ფაქტი თითქოს ერთი შეხედვით ერთი უნდა იყოს, მაგრამ უამრავი შემთხვევაა, როდესაც ე.წ. მეტოქე „ფაქტები“ (rival „facts“) გვხვდება ერთი და იმავე მოვლენის შესახებ დაბეჭდილ სხვადასხვა ანგარიშში. ერთი და იმავე „ფაქტი“ სხვადასხვა გაზიერებით სხვადასხვაგვარად შეიძლება იყოს აღწერილი. ფაქტები არა მხოლოდ სახეები და თარიღებია, აյ შედის ისტორიული მოვლენებიც.

საინფორმაციონ საგაზეთო სტატიების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ცნობაში, ანგარიშში, ინტერვიუსა და რეპორტაჟში რეალიზებულია: რეალური, ისტორიული, მეტოქე და ვეტორის მიერ შექმნილი ფაქტები.

იმ სტატიებში, რომლებშიც მთავარი სტატიაში აღწერილი ფაქტია, ჩვენ მიერ გამოყოფილი სემანტიკური მაჩვენებლებიდან უთუოდ უმთავრესია რა? — What? ე. ი. რაზეა, რა ამბავზეა თხრობა. „On the whole, the best definition of a journalistic fact may be that it's an assertion with visiting rights. ... Newspaper facts tend to be unchallenged claims rather than unchallengeable ones. We characterize *them* — not vice versa. Facts are „incomplete“ because we want more. „Bare“ facts are bare because we refuse to describe their clothes. „Brute“ facts aren't born brute — they have bruteness thrust upon them“ (მენოფი, სჩადსონი (რედ.), 1987, 73).

ამრიგად, ჩვენ მიერ დასმულ ორ შეკითხვაზე: რას მოვგითხრობს და რას უნდა მოვგითხრობდეს საინფორმაციო სტატიები, პასუხი მხოლოდ ერთი იქნება — ყველაფერს.

მოვლენის, ამბის აუცილებელი კომპონენტები, რომლებიც აისახება საგაზეთო სტატიაში, ის კომპონენტებია, რომლებიც გვპასუხობენ კითხვებზე: ვინ? / რა?- სად?- როდის? ამ შეკითხვებზე პასუხი ქმნის ინფორმაციულ მინმუმს, რომელიც ნებისმიერ საინფორმაციო საგაზეთო სტატიას ახასიათებს.

კომუნიკაციურ-პრაგმატულ მოთხოვნებზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს მოცულობის მოთხოვნა, რომელიც საინფორმაციო ჯგუფში შემავალი სტატიებიდან განსაკუთრებით გამოყოფს ცნობას; თუ მოცულობა, ლაკონიურობა ანგარიშისთვის, რეპორტაჟისთვის და ინტერვიუსთვის არ არის ძალზე მკაცრად განსაზღვრული, ცნობაში — ინფორმაციის ლაკონიურობა წამყვან მოთხოვნად გვევლინება.

ანალიზმა ასევე ცხადყო, რომ ცნობისა და ანგარიშის საინფორმაციო მოცულობა ხშირად ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა არ არის აუცილებელი, რომ ამგვარი დამთხვევა ყველა ტიპის ცნობასა და ანგარიშში ხდებოდეს, რადგან ანგარიშის მსგავსი მიკროტექსტი ხშირად მოვლენის ადგილის ემოციური აღწერის გარდა, მოცავს მოვლენასთან დაკავშირებულ საერთო მსჯელობასაც. ამ ტიპის დასაწყისი / შესავალი დამახასიათებელია უფრო დიდი მოცულობის ანგარიშებისთვის.

ამრიგად, გაანალიზებულ საინფორმაციო საგაზეთო სტატიებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ საინფორმაციო სტატიათა უმრავლესობაში წარმოდგენილია სემანტიკური მაჩვენებელი — **What? რა?** — ანუ ახალი მოვლენა, ფაქტი, რომელიც ან ბრიტანული, ამერიკული და საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ამბავს გადმოსცემს ან ისეთი ფაქტია, რომელიც მკითხველის, საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და განხილვის საგანი გახდა.

სევე უთუოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა საინფორმაციო საგაზეთო სტატია გვპასუხობს კითხვაზე **რა? What?**; მაგ. პრეზიდენტის, დედოფლის ნებისმიერი ქმედება, ინფორმაცია ცნობილი პიროვნებების / პოლიტიკური მოღვაწეების, პრესკონფერენციების, სამიტების, შეხვედრების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სპორტული მოვლენები შესახებ და ა. შ.

ლიტერატურა

გვენცაქე, 1986 — . . . ,
, « », 1986.

ვერდონქი, 2002 — Peter Verdonk, Stylistics, Oxford University Press, 2002.

კუკი, 2003 — Guy Cook, Applied Linguistics, Oxford University Press, 2003.

მენფი, სჩადსონი (რედ.), 1987 — Robert Karl Manoff and Michael Schudson (eds), Reading the News, New York, 1987.

უიდოუსონი, 1996 — H. G. Widdowson, Linguistics, Oxford University Press, 1996.

ETER BALIASHVILI

The Semantic Indicator “What?” in Informative Newspaper Articles

Summary

The paper deals with the realization of the semantic indicator What? in informative newspaper articles (in a notice, an account, a report, an interview). The study is based on the British and American newspapers.

In the analysis of the second semantic indicator the following issues have been identified:

1. What can be reflected in an article?
2. The “Facts” and the “News”.

The analyzed data have shown that all informative newspaper articles answer the question What? Factual information can be of the following types: real, historical, rival, fictitious.

ნათალია გადამაბაძე

**ვერბალური და ვიზუალური პეიზაზის სემიოტიკა
ინტერნეტ ახალ ამბებში**

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ვერბალური და ვიზუალური პეიზაზების სინტაქტიკას, სემანტიკასა და პრაგმატიკას ინტერნეტ ახალ ამბებში. მისი მთავარი მიზანია, დაადგინოს:

- ვერბალურ და ვიზუალურ პეიზაზებსა და მათ რეფერენტებს შორის არსებული მიმართება;
- ვერბალური და ვიზუალური პეიზაზების ფუნქციები ინტერნეტ ახალ ამბებში;
- პეიზაზის როლი რეპორტაჟის განწყობის შექმნაში;

ემპირიული მასალა მოიცავს 2010-2011 წლებში გამოქვეყნებულ 200 სტატიას შემდეგი ინტერნეტ წყაროებიდან: www.washingtonpost.com, www.guardian.co.uk, www.dailymail.co.uk, www.time.com, www.nytimes.com, www.bbc.co.uk, და ა.შ.

ინტერნეტ მასალის შერჩევა განაპირობა უახლესი სოციოლოგიური კვლევებით (Pew Research Center Publications, 2009) მიღებულმა შედეგმა: მკითხველთა უმრავლესობა უპირატესობას ინტერნეტში მოძიებულ მასალას ანიჭებს.

საკვლევად შევარჩიე ყველაზე აქტუალური ბუნებრივი კატასტროფების ამსახველი ფოტომასალა და სტატიები. 2010-2011 წლებში გლობალური დათბობის შედეგად დედამიწა შეძრა რამდენიმე კატასტროფამ. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა საზოგადოებასა და გარემოზე.

ყველაზე შთამბეჭდავი 2010 წელს იაპონიაში ცუნამის შედეგად განადგურებულ ფუკუშიმა-დაიჩის რეაქტორს ეხებოდა. თავდაპირველად, გაშუქდა მთელი ერისა და ქვეყნის, შემდეგ ცალკეული ადამიანების

ტრაგედია, და ბოლოს კამერის ფოკუსში პეიზაზი მოხვდა. მისი საშუალებით მკითხველი აღიქვამდა არა მარტო მომხდარი კატასტროფის მთელ საშინელებას, შესაძლო შედეგებს საზოგადოებასა და გარემოზე, არამედ აღძრავდა მკითხველში გარკვეული პასუხისმგებლობის გრძნობას ბუნების მიმართ.

იაპონიაში მომხდარი ტრაგედია კვლავ აქტუალური და ფართო გაშუქების საგანია. ეს შეიძლება აიხსნას ჭ.გალტუნგისა და მ.რუჟის ფასეულობათა შეკალით:

• ნეგატიურობა — უარყოფითი ამბავი უფრო აქტუალურია, ვიდრე პოზიტიური;

• მოულოდნელობა — უჩვეულო ახალი ამბავი უფრო საინტერესოა, ვიდრე ყოველდღიურობა;

• პერსონალიზაცია — ხდომილებათა ცენტრში არის ინდივიდი ვენ დაიყი (ვენ დაიყი, 1988, 39) აღნიშნული ფასეულობების მნიშვნელობას იმითაც ხსნის, რომ ისინი არა მეტაფიზიკური, აბსტრაქტული ნორმებია, არამედ ახალი ამბების შერჩევასა და ინტერპრეტაციაზე მოქმედი სოციალური და კოგნიტური შეზღუდვები.

ისევე, როგორც სხვა ახალი ამბები, კატასტროფის ამსახველი მასალა გარკვეულ სტრუქტურულ ჩარჩოში ექცევა. გამოკვლეული სტატიები აგებულია არა ტრადიციული „გადმობრუნებული პირამიდის“ ან „ქვიშის საათის“ სტრუქტურით, არამედ წარმოადგენს ლინეარულ თხრობას განსაზღვრული დროის პერსპექტივით.

ერთი მხრივ, იკვეთება მარტივ აწმუნები (Present Simple) მოცემული სტატიური პეიზაზის აღმწერი ლაკუნიური წინადაღებები. მაგალითად:

„Cobwebs spread across storefronts. Mushrooms sprout from living-room floors. Weeds swallow train tracks. A few roads, shaken by the earthquake, are cantilevered like rice paddies. Near the coastline, boats borne inland by the tsunami still litter main roads“ (<http://www.hindustantimes.com>, 15.03.2012, 16.00)

მეორე მხრივ კი, მოცემულია წარსული დროში (Past Simple) აგებული დეტალური აღწერა.

„Many homes **were crushed** beneath the intense pressure of the first barrage of water which **left** behind a tangled mess of wrecked wooden buildings. Cruelly, many others that initially **stood firm** **were washed** away when the ferocious waves **continued** to roll in from the Pacific“ (<http://www.dailymail.co.uk>, 02.02.2012, 14.00)

რეგისტრი ფორმალურია, ჭარბია უპირო სტრუქტურები. ქვემდებარე იშვიათადა მოცემული, მეტია მიმღებები, ვნებითი გვარი და ეგზისტენციალური სტრუქტურები There is/There are.

a. **It has taken** five days for rescue teams to clear a way through the wreckage to the town (<http://www.voanews.com>, 01.02.2012, 12.00)

b. The towering yellow flowers now adorn gardens, farm fields and roadside plots. Although they brighten the landscape, their stalks and petals concentrate the radioactivity and **will later have to be burned or left** to decompose in a controlled environment (<http://www.guardian.co.uk> 13.02.2012, 15.00)

მსგავსი უპირო სტრუქტურები უზრუნველყოფს ახალი ამბებისათვის აუცილებელ ობიექტურობასა და მიუკერძოებელ ტონს. გამოყენებული სტრუქტურები ემოციურადაც დატვირთულია როგორც დენონატურ, ასევე კონოტაციურ დონეზე. პეიზაჟის აღწერებში ჭარბობს განადგურებისა და ნგრევის ამსახველი სემანტიკური ველი. ცუნამისა და ცეცხლის სტიქიები ხშირად პერსონიფირებულია.

განადგურებისა და ნგრევის სემანტიკური ველი წარმოდგენლია შემდეგი ლექსიკური ერთეულებით:

toss, throw, crushed, crumbled, suspended, strewn, smash, twisted and bent, squashed, toppled, shaken, stained, wreckage, destruction, etc.

“What should have been a road was covered in **broken branches, a squashed tractor and lots of electricity cables that had been brought down**. The destruction goes on and on.

The seashore was in the distance behind a row of trees. Here the waves toppled houses, they lie at **crazy angles**. Trees have been **smashed** into the buildings. A motorcycle lies **twisted and bent**.

Inside the houses the furniture has been turned to matchsticks, possessions **tossed** everywhere, and on a few walls are portraits with the faces of those who once lived here, now **stained** by the waters which filled everything” (<http://www.bbc.co.uk>, 24.01.2012, 15.40)

ცეცხლის სემანტიკური ველი წარმოდგენილია შემდეგი ლექსიკური ერთეულებით:

burned, ablaze, smouldering, burning, flames, fire and water, smoke, etc.



<http://www.dailymail.co.uk> 02.02.2012, 14.00

Witnesses said the **fires** were caused after the tsunami smashed into cars, causing them to leak oil and gas. They described a city of ‘**fire and water**’ – what is not **ablaze** is submerged.

Then, as the torrent of water sweeps in, the entire region merges into the sea, causing a flood that few would be able to survive.

Many homes were **crushed** beneath the intense pressure of the first barrage of water which left behind a tangled mess of wrecked wooden buildings. Cruelly, many others that initially stood firm were washed away when the ferocious waves continued to roll in from the Pacific.

<http://www.dailymail.co.uk> 02.02.2012, 14.00)

ვერბალურ პეიზაჟებში ყველაზე ემოციურად დატვირთული სიტყვაა **apocalyptic** (აპოკალიფსური). მას მთელ რიგ სტატიებში გხვდებით.

a. These were the **apocalyptic** scenes captured from the skies above north-eastern Japan yesterday (<http://www.dailymail.co.uk> 02.02.2012, 14.00)

b. The damage to the area is being described as **apocalyptic** (<http://www.bbc.co.uk>, 24.01.2012, 15.40)

სიტყვა აპოკალიფსურის მიერ გამოწვეული მთავარი ალუზია ბიბლიურია, მაგრამ მოცემულ კონტექსტში ის სრული გაჩანაგების და გაშირვის კონტაციასაც იძენს. უფრო რელიგიური მკითხველისათვის კი სამყაროს შესაძლო დასასრულსაც შეიძლება აღნიშნავდეს. სიტყვა აპოკალიფსური, ერთი მხრივ, უკავშირდება განადგურებისა და ცეცხლის სემანტიკურ ველებს, მეორე მხრივ კი - ასოციაციურადაა დაკავშირებული გაქრობის/ გაუჩინარების სემანტიკურ ველთან.

a. They described a city of ‘fire and water’ – what is not ablaze is **submerged**. (<http://www.dailymail.co.uk> 02.02.2012, 14.00)

b. Four entire trains carrying hundreds, possibly thousands of passengers, **vanished** after the earthquake (<http://www.dailymail.co.uk> 02.02.2012, 14.00)

c. As well as the ships seen here, a cruise liner is said to have simply **vanished** with hundreds of holidaymakers on board. (<http://www.dailymail.co.uk> 02.02.2012, 14.00)

ფუკუშიმა-დაიჩის ტრაგედიაზე მოძიებულ ვერბალურ მასალაში ხშირია გზისა და პერსპექტივაში სივრცის რეფერენცია. ამის შედეგად, კატასტროფა უფრო ფართო სპექტრში, ყველა განზომილებაში აღიქმება.

a. ...but **pictured from above** – in such unlikely settings – they appear almost as toys scattered by a child who has grown bored with playing. (<http://www.dailymail.co.uk> 02.02.2012, 14.00)

b. As you enter the tsunami zone, there is nothing but devastation stretching away into the distance (<http://www.bbc.co.uk>, 24.01.2012, 15.40)

c. In the distance, men in orange suits and waterproof boots try to cut through the roof of a collapsed house (<http://www.bbc.co.uk>, 24.01.2012, 15.40)

ისტორიულად გზა — ახალი ცხოვრების დაწყებისა და თავისუფლების სიმბოლო იყო. მაგრამ 60-ების შემდეგ ეს მეტაფორა შეიცვალა. ის ასოცირდება ჩქაროსნულ გზატკეცილთან, ამბიციურობასა და მეტოქეობასთან, რაც არ გვაძლევს საშუალებას გაექცე რეალობას და დატებე თავისუფლებით.

იაპონიაში მომხდარი კატასტროფის კონტექსტში, გზა ცხოვრებისეული გზის მეტაფორაა, ემოციური და სულიერი გამოცდილების სიმბოლო, რომლის ახსნა და აღქმა მკითხველის არა მარტო ინტელექტუალურ, არამედ ემოციურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

გზა, ნანგრევებთან, ცარიელ უბნებსა და სულისშემცველ აღამიანურ ტრაგედიასთან ერთად ხდება ისტორიის/ გამოცდილების განუყოფელი ნაწილი.



<http://inhabitat.com>, 13.04.2012, 18.23

აქ გზა აღნიშნავს ყველაფრის დასასრულსა და გაუჩინარებას, და ეს, თავის მხრივ, კვლავ უკავშირდება აპოკალიფსს.

კატასტროფის ამსახველი ახალი ამბების მნიშვნელოვანი კომპონენტია ვიზუალური პერსპექტივი. ფოტოსურათი არ არის წმინდა ვიზუალური საშუალება. როგორც ბურგინი აღნიშნავს, ეს არის ვერბალურისა და ვიზუალურის რთული ურთიერთმიმართება (ბურგინი, 58, 1982). ფოტოს მნიშვნელობა ახალი ამბის სტრუქტურისა და მთავრი აზრის აგებისთვის დიდია. როგორც სამყაროს უშუალო ამსახველი, ფოტო უზრუნველყოფს ამბის ობიექტურ ასახვასა და მოუკერძოებლობას. მისი ინტერპრეტაცია ჩვეულებრივ დამოკიდებულია რე-

ციპიენტის სოციალურ და კულტურულ ფონისეულ ცოდნაზე. შესაბამისად, მისი ინტერპრეტაცია სხვადასხვა სოციურში შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული იყოს. თუმცა, იაპონიაში მომხდარი მოვლენები ნებისმიერ მკითხველში მხოლოდ თანაგრძნობას გამოიწვევს.

ფუკუშიმა-დაიჩის ტრაგედიის ამსახველი ფოტოების მთავარი ფოგურა პეიზაჟია. მასში მოცემული ხატები: ნაგრევები, კვამლი, დატბორილი ტერიტორიები — ინდექსური კოდებია, რადგან პირდაპირ მიუთითებენ მანამდე მომხდარ მოვლენებზე: კვამლი — ცეცლზე, ნგრევა — მიწისძრაზე და ა.შ.

აღნიშნული ფოტოები არა მხოლოდ ხატისებრი ასახვაა რეალობის (ბარტი 1982:80), არამედ სიმბოლურიც, რაც გულისხმობს ფოტოს ასოციაციურად დაკავშირებას მოცემულ მასალასთან ან აღნიშნულ თემატიკაზე არსებულ სხვა ტექსტებთან. მაგალითად, იმისათვის რომ გაიგო, რაა ნაგულისხმევი შემდეგ სათაურში — “How does Fukushima differ from Chernobyl?” (<http://www.bbc.co.uk>, 24.01.2012, 15.40), უნდა იცოდე რა მოხდა უკრაინში ჩერნობილის რეაქტორის აფეთქების შედეგად და რა გავლენა ჰქონდა ამ მოვლენას საზოგადოებასა და გარემოზე.

პეიზაჟი აღძრავს რეალური ან შესაძლო შედეგების სურათს. ხშირად ეს შედეგები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთავარი მოვლენები.

ფოტოს აქვს გარკვეული ლინგვისტური დატვირთვაც, რომელიც გამოხატულია სათურის ან წარწერების საშუალებით. ფოტოს სათური ან წარწერა აკავშირებენ გამოსახულებას კონტექსტან, გამოკვეთენ რელევანტურ ინფორმაციას. ფოტოსა და წარწერის/ სათაურის ურთიერთმიმართება ქმნის მომხდარის ზოგად სურათს.

უმეტეს შემთხვევებში წარწერები გამოხატავენ ახალი ამბების მთავარ აზრს/ თემას — ისინი ტექსტის მაკროპროპოზიციებია (ვან დაიკი, 1998, 54). თუმცა შესაძლოა გადმოსცე მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაცია, მაგ. ტოპონიმური სახელები, დაშავებულთა სახელები ან/და რაოდენობა.

“Catastrophe: The true scale of the devastation that the tsunami unleashed is clear in this picture of the port city of **Minamisanriku** town where **10,000** people are unaccounted for” (<http://www.dailymail.co.uk>, 02.02.2012, 14.00)

წარწერა შესაძლოა ასევე იყოს ამონარიდი სტატიიდან და აღწერდეს სურათს ემოციურად დატვირთული ლექსიკით.

იმას, თუ რას წარმოადგენენ ფოტოების წარწერები, ჩაბლინი შემდეგნაირად განსაზღვრავს “captions ... present themselves as neutral labels for what self-evidently exists in the depicted world whilst actually serving to define the terms of reference and point-of-view from which it is to be seen (Chaplin 1994: 270).



Still smouldering: White smokes rise from burning house in Yamadamachi in Iwate, today after the earthquake caused **pandemonium** in the area. (<http://www.dailymail.co.uk> 02.02.2012, 14.00)

თუმცა გარკვეულ შემთხვევებში არ არსებობს სრული დამთხვევა ფოტოსურათსა და მის წარწერას შორის.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში რელიგიური მეტაფორა **pandemonium**/ პანდემონიუმი — ჯოჯოხეთის ალუზიაა, ნახსენები მოლტონის ნაწარმოებში „დაკარგული სამოთხე“ (1865). მნიშვნელობა, რომელიც სიტყვაზ შეიძინა ამ ნაწარმოებში — ქაოსი, თავაწყვეტილობა და ღრინველია. სხვა დისკურსის მსგავსად, ახალი ამბების დისკურსშიც

ვხვდებით იმპლიკაციებს. დეილი მეილის რეპორტაჟის თანმხლები ვიზუალური პეიზაჟი არ შეესატყვისება წარწერაში ნახსენებ სიტყვას — ბანდემონიუმი. პეიზაჟში ასახულია არა ქაოსის, არამედ სიჩუმის ხატი.

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტ ახალ ამბებში ვაზუალურ და ვერბალურ პეიზაჟებს შორის არსებობს დიალექტური კავშირი. ისინი ერთმანეთს ავსებენ და სრულყოფენ. ახალ ამბებში პეიზაჟი წარმოდგენილია, როგორც ფოტოგრაფიული, ასევე ლინგვისტური კოდების მეშვეობით. აღქმის პროცესში ვიზუალურ და ლინგვისტურ მნიშვნელობას ემატება მკითხველის ინტერპრეტაციული მნიშვნელობა.

ლიტერატურა

ბარტი 1982 — Bartes, R., [Camera Lucida: Reflections on Photography](#), 1982

ბურგინი 1982 — Burgin,V., Thinking Photography, London: Macmillan, 1982

გალტუნგი, რუჟი 1965 — Galtung, J. & Ruge, M. Holmboe, The Structure of Foreign News. The Presentation of the Congo, Cuba and Cyprus Crises in Four Norwegian Newspapers, [Journal of Peace Research](#), vol. 2, 1965, online edition

ვან დაიკი 1988 — van DIJK, T.A.,News Schemata, <http://www.discourses.org>

ვან დაიკი 1988 — 1988, van DIJK, T.A.,News Analysis, LAWRENCE ERLBAUM ASSOCIATES, PUBLISHERS, 1988 Hillsdale, New Jersey Hove and London, <http://www.discourses.org>

ჩაპლინი 1994 — Chaplin, E., Sociology and Visual Representation, London: Routledge, 1994

საკვლევი მასალა

www.bbc.co.uk, www.dailymail.co.uk, www.guardian.co.uk, www.hindustantimes.com, www.nytimes.com, www.time.com, www.voanews.com, www.washingtonpost.com, Pew Research Center Publications, 2009

NATALIA BAGDAVADZE

Semiotics of Verbal and Visual Landscapes in Internet News Stories

Summary

The paper explores semiotics of verbal and visual landscapes in Internet news stories. The aim of the study is:

- 1) to reveal the relations between verbal and pictorial landscapes and their referents
- 2) to single out functions of verbal as well as visual landscapes in Internet news coverage
- 3) to state the role of landscapes in creating the overall mood of the news stories

The empirical data comprises 200 articles in the period between 2010-2011, from the following Internet sources: online versions of famous British and American editorials and channels www.washingtonpost.com, www.guardian.co.uk, www.dailymail.co.uk, www.time.com, www.nytimes. com, www.bbc.co.uk,etc.

The study has proved that in Internet news discourse the visual landscape represents a triad comprising:

- 1) **the non-coded iconic message**, which is the literal visual message. It is used to support the symbolic message of a photograph/ landscape and is completely spelled out for the audience or viewers

2) the coded iconic message, which is the symbolic message of the visual landscape. It involves applying associations and intertextuality to the text in order to reveal the meaning connoted by the landscape. In case of the given study it is destruction, grief, misery, further impact of the catastrophe in question on the society and environment, etc.

3) the linguistic message, which could be expressed via a title, caption, etc. It links the image with its context, provides certain relevance to the reader; also, it involves a reciprocal relation between a text and a picture, each contributing its own part to the overall message.

As regards verbal landscape, it operates on two levels:

1) **denotational**, by pointing directly what happened – describing the event

connotational, by signifying or implying the overall mood and possible consequences of the disaster with the help of various stylistic devices and loaded language.

ის გმრამე

ნობრივი ცნობილებიდან – კულტურაზე

ენისა და კულტურის ურთიერთდამოყიდებულების სპეციფიკის ახსნის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად სამართლიანადაა მიჩნეული ვ. ფონ ჰუმბოლტის თეორია, რომლის მიხედვით კულტურის ეროვნული ხასიათი სამყაროს თავისებურ ასახაში პოვტს გამოხატულებას. ენა და კულტურა, როგორც ერთგარად დამოუკიდებელი ფენომენები, ენობრივი ნიშნების მნიშვნელობებით არიან დაკავშირებულნი, რომლებიც ენისა და კულტურის ონტოლოგიურ მთლიანობას განაპირობებენ (ჰუმბოლტი, 1795, 72). ენისა და კულტურის ავტონომიურ სისტემებად აღიარება, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც სუბსტანციური, ასევე ფუნქციონალური თვალსაზრისით, არ გამორიცხავს მათ მჭიდრო ურთიერთკავშირს როგორც უშუალო, ასევე გაშუალებული სახით. პირველ შემთხვევაში ვგულისხმობთ, რომ ორივე ფენომენი დაკავშირებულია აზროვნებასთან და სწორედ მისი საშუალებით უკავშირდება ერთმანეთს. წარმოადგენს რა აზროვნების განუყოფელ კომპონენტს, ანუ სამყაროს ლოგიკურ-რაციონალურ გააზრებას, ენა მონაწილეობს სულიერი შემოქმედების ყველა გამოვლინებაში, მიუხედავად მისია, არის თუ არა სიტყვა შემოქმედების უშუალო ინსტრუმენტი. ენობრივ-ნიშნობრივი სისტემა, რომელიც საზოგადოებრივი ცნობიერების მატერიალიზაციას ახდენს, შეიცავს ინფორმაციას სამყაროს შესახებ. ენა და კულტურა აერთიანებს ნებისმიერ ეთნოსს, განვითარების რა საფეხურზეც არ უნდა იმყოფებოდნეს იგი. ენა და კულტურა განასხვავებუნ ერთ ეთნოსს მეორისგან და, ამავდროულად, შეიცავნ ურთიერთობის და დაახლოების გზებს. ენა, აზროვნება და კულტურა იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ, პრაქტიკულად, ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. ერთიანობაში ისინი დაკავშირებულნი არიან რეა-

ლურ სამყაროსთან და უპირისპირდებიან მას, ასახავენ და, იმავდრო-
ულად, ზემოქმედებენ მასზე. სიტყვა ასახავს არა სინამდვილის სა-
განს, არამედ მის ხედვას, რომელიც თავს მოხვეულია ენის მატარებ-
ლის ცნობიერებაში ამ საგანზე არსებული წარმოდგენით.

საქმიანობის პროცესში, ობიექტური სამყაროს ასახვისას, ადამია-
ნი შეცნობილის შედეგებს სიტყვაში აფიქსირებს. ენობრივ ფორმაში
გამუღავნებულ ცოდნათა ეს ერთობლიობა წარმოადგენს იმას, რასაც
სხვადასხვა კონცეფციაში „ენობრივი შუალედური სამყარო“ ან „სა-
მყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია“ ეწოდება. ყოველი ენა მის მატა-
რებელს უყალიბებს სამყაროს გარევეულ ხატს, რომელიც სწორედ ამ
ენისთვის დამასასიათებელ ცნებათა თავისებური სემნტიკური ქსელე-
ბითაა წარმოდგენილი. ეს დასტურდება როგორც ასოციაციური ექ-
სპერიმენტებით, ასევე, იმ სირთულეებით, რომლებიც კულტურათშო-
რის კომნიკაციასა და თარგმანის პროცესში წარმოშობა.

ენა კულტურის შემადგენელი ნაწილი და მისი ინსტრუმენტია,
ის ჩვენი სულიერების სინამდვილე, კულტურის სახეა. იგი გაშიშვლე-
ბული სახით წარმოაჩენს ეროვნული მენტალობის სპეციფიკას. ენა
არის მექანიზმი, რომელმაც კაცობრიობას ცნობიერების სამყარო და-
ანახა. როგორც კ. ლევი-სტროსი აღნიშნავდა, ენა ერთსა და იმავე
დროს წარმოადგენს კულტურის პროდუქტს, მის უმნიშვნელოვანეს
შემადგენელ ნაწილს და მისი არსებობის პირობას (ლევი-სტროსი,
1983, 184). უფრო მეტიც, ის კულტურის არსებობის სპეციფიკური
ფორმა და კულტურული კოდების ფორმირების ფაქტორია. ენისა
და კულტურის დამოკიდებულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც
მთელისა და ნაწილის მიმართება. ენა შეიძლება განვიხილოთ, რო-
გორც კულტურის კომპონენტი და როგორც მისი იარაღი, რაც სრუ-
ლიად განსხვავებული რამეა. ამავდროულად, ენა აგტონომიური ფე-
ნომენია ზოგადად კულტურასთან მიმართებით და ის შეიძლება გან-
ვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი სემიოტიკური სისტემა. ვინაი-
დან ენის მატარებელი, იმავდროულად, კულტურის მატარებელიცაა,
ენობრივი ნიშნები კულტურის ნიშნების ფუნქციებსაც ასრულებენ
და კულტურის პრეზენტაციის საშუალებას წარმოადგენენ. სწორედ

ეს განსაზღვრავს ენის ფუნქციას, გამოხატოს მისი მატარებლების მე-
ნტალობის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა. როგორც ვ. კარა-
სიკი აღნიშნავს, ლინგვოკულტუროლოგიური სპეციფიკის მოდელირე-
ბა ენობრივი ნიშნის იდიომატურობის გზით და სამყაროს სურათის
(მათ შორის, სამყაროს ენობრივი სურათის) მეშვეობით ხორციელდე-
ბა (კარასიკი, 2002, 265).

ყოველი კულტურა თავისებურად ახდენს სამყაროს კონცეფტუა-
ლიზაციას, თავისებურად ანაწევრებს მას, რაც გულისხმობს იმას,
რომ ყველა ენას თავისი სამყაროს სურათი გააჩნია, რომელიც აიძუ-
ლებს ენობრივ პიროვნებას, თავისი გამონათქვამის შინაარსი ამ სუ-
რათს შეუსაბამოს. სწორედ ამში ვლინდება ენაში დაფიქსირებული
სპეციფიკურად ადამიანური აღქმა სამყაროსი. ენა არის უმნიშვნელო-
ვანესი საშუალება ადამიანის მიერ სამყაროს შესახებ ცოდნის ფორ-
მირებისა.

ასახავს რა თავისი მოღვაწეობის პროცესში ობიექტურ სინამდვი-
ლეს, ადამიანი სიტყვაში აფიქსირებს თავისი შემეცნების შედეგებს.
ეს უკანასკნელი, ენობრივი სახით წარმოდგენილი, არის ის, რასაც
სხვადასხვა კონცეფციაში ეწოდება „**სამყაროს ენობრივი რეპრეზენტაცია**“, „**სამყაროს ენობრივი მოდელი**“, „**ენობრივი შუალედური სამყარო**“
და, ყველაზე ხშირად, „**სამყაროს ენობრივი სურათი**“. სა-
მყაროს (მათ შორის, ენობრივი) სურათის ცნება ემყარება ადამიანის
წარმოდგენას სამყაროს შესახებ. თუ სამყარო ადამიანი და გარემოა
მათ ურთიერთქმედებაში, მაშინ სამყაროს სურათი წარმოადგენს
ადამიანის და გარემოს შესახებ ინფორმაციის გადამუშავებას. „**სამეც-
როს სურათი**“ არსობრივად ნიშნავს არა სურათს, რომელიც ასახვს
სამყაროს, არამედ სამყაროს, გაგებულს, როგორც სურათი (ჰაიდეგე-
რი, 1927, 96).

გზა რეალური სამყაროდან ცნებამდე და შემდეგ მის სიტყვიერ
გამოხატულებამდე სხვადასხვა ხალხებში განსხვავებულია, რაც განპი-
რობებულია ამ ხალხების ცხოვრების წესის სპეციფიკით, ისტორიის,
გეოგრაფიის თავისებურებით და, შესაბამისად, მათი საზოგადოებრი-
ვი ცნობიერების განვითარების არაერთგვაროვნებით.

From Linguistic Awareness to Culture

Summary

The paper deals with the triad –language, thought, culture, their interconnectedness and relation with the extralinguistic reality. The dialectically connected three elements oppose, reflect and determine the reality at the same time.

ეთნიკური კულტურა საწყისი ეტაპია ნაციონალურის, თუმცა ეს უკანასკნელი არ დაიყვანება მასზე. მისი სიმდიდრე ეფუძნება და-მწერლობასა და განათლებას, თავს იჩენს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ტექნოლოგიურ განვითარებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ფილოსოფიასა და მეცნიერებაში. ეთნიკური და ნაციონალური კულტურის ურთიერთდამოკიდებულება საქმაოდ რთული და წინააღმდეგობრივია. ეთნიკური კულტურა ხალხური ენის საფუძველია, სიუჟეტების, ხელოვნების ნიმუშების წყაროა. ეთნიკური კულტურა კონსერვატიულია, მისთვის უცხოა ცვლილებები, მაშინ, როდესაც ნაციონალური კულტურა მუდმივ მოძრაობაშია. რაც უფრო ღია ნაციონალური კულტურა სხვა კულტურებთან დიალოგისათვის და კავშირებისათვის, მით უფრო განვითარებული და მდიდარია.

ადამიანი გარკვეული ეროვნული მენტალობის და ენის მატარებელია, რომელიც ამავე ერის სხვა წარმომადგენლებთან დაკავშირებულია ერთობლივი საქმიანობით და, რაც მთავარია, ენობრივი აქტივობით. თანამედროვე მკვლევართათვის საინტერესოა არა ზოგადად ადამიანი, არამედ ადამიანი ენაში, ვინაიდან ადამიანი ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია შეგვიყვანს მენტალობის სფეროში, რადგანაც ის განსაზღვრავს სამყაროს დანაწევრებას ამა თუ იმ კულტურაში. ის მოგვითხრობს ადამიანზე ისეთ რამეს, რის შესახებაც ადამიანს, შესაძლოა, წარმოდგენაც არ ჰქონდეს.

ლიტერატურა

- | | | | |
|----------------------------|-------|----------|---|
| კარასიკი, 2002 — | . | : | , |
| , . — : | 2002. | | |
| ლევა-სტრისი, 1983 — | - | , | " |
| ”, 1983. | | | |
| ჰაიდეგერი, 1927 — | . « | », 1927. | |
| ჰუმბოლტი, 1795 — | , “ | ” 1795. | |

ანა ბოჭორიშვილი

მამაკაცისა და ქალის შეტყველების ზოგიერთი
მახასიათებელი

როგორც ცნობილია, საუბრისას თავაზიანობის დაცვა მოეთხვევბა როგორც ქალს, ისე მამაკაცს. საინტერესოა, არიან თუ არა ქალები და მამაკაცები თანაბრად თავაზიანები. მოცემულ სტატიაში შევცდებით გავარკვიოთ რა მახასიათებლებით განსხვავდება და ემსავსება ერთმანეთს ქალისა და მამაკაცის მეტყველება ინგლისურ და ქართულ ენებში.

დაკირვებამ გვაჩვენა, რომ ქალებს უყვართ ბევრი საუბარი და სწორედ საუბარი მიაჩნიათ კონტაქტის დამყარების საუკეთესო საშუალებად. ქალები იყენებენ ენას, რომ დამყარონ, განავითარონ და შეინარჩუნონ ურთიერთობები (ჭ. ჰოლმისი). ლინგვისტური კვლევების მიხედვით, ქალები და მამაკაცები სხვადასხვაგვარად მეტყველებენ. მამაკაცები ენას აღიქვემდენ, როგორც ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემის იარაღს. მამაკაცებისთვის საუბრის დაწყების მიზეზი ძირითადად საუბრის შინაარსზე და მის შედეგზე ფოკუსირებული და არა იმაზე, თუ რა გავლენას მოახდენს მისი საუბარი სხვების გრძნობებზე. ქალებს კი სწორედ ეს გრძნობები უფრო აინტერესულ ასევე, ქალები საუბრისას უფრო თავაზიანები არიან, ვიდრე მამაკაცები.

წინამდებარე სტატიაში, თავაზიანობის ხსნებისას ვგულისხმობთ ლინგვისტურ თავაზიანობას, ანუ ქმედებას, რომელიც გამოხატავს ერთდროულად დადებით ინტერესს სხვების აზრის მიმართ (*involvement strategy — ჩართვის სტრატეგია*) და ამასთანავე ინარჩუნებს გარკვეულ დისტანციას (*independence strategy — დამოუკიდებლობის სტრატეგია*). წარმატებული კომუნიკაციის მისაღწევად კომუნი-

კანტები ერთმანეთის ლინგვისტური სახის სურვილებს ითვალისწინებენ, თავაზიანი ადამიანები თავს არიდებენ პიროვნების ლინგვისტური სახის რღვევისაღმი მიმართულ ქმედებას, ანუ თავიდან იცილებენ „სახის“ სურვილების რღვევას. აქვე უნდა ითქვას, რომ ისეთი ქმედებები, როგორიცაა არა მარტო ბრძანება, მითითება, შეურაცხყოფა, არამედ თხოვნა და აჩევის მიცემა, შეიძლება ჩაითვალოს პიროვნების დამოუკიდებლობის სტრატეგიის ხელყოფად, თუ ეს, რა თქმა უნდა თავაზიანი ფრაზების წარმოთქმით არ განხორციელდა.

ლინგვისტური ლიტერატურის (ჰოლმისი, თანგინი, რ. სქოლინი, ს. ვ. სქოლინი) მიხედვით ქალები საუბრისას ცდილობენ მოსაუბრებები ჩართონ საუბარში და ამით ისინი ურთიერთდამოკიდებული გახადონ საუბრისას, შედეგად საუბარიც ბუნებრივი და ცოცხალია, მამაკაცები კი ცდილობენ მეტად დაიცვან იერარქია, შეინარჩუნონ დისტანცია და ავტონომია მოსაუბრეთა შორის. ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ ქალები და მამაკაცები განსხვავებულად მეტყველებენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ საზოგადოებათა უმეტესობაში გენდერულ უთანასწორობას, კერძოდ, მამაკაცთა ძალაუფლების უპირატესობას ქალებთან შედარებით, შედეგად მოაქვს ის, რომ ქალები ლინგვისტური თვალსაზრისით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო თავაზიანი არიან, ვიდრე მამაკაცები. საინტერესოა, რომ მაშინაც კი, როცა ქალები და მამაკაცები იზრდებიან ერთსა და იმავე ოჯაზში, ერთად იღებენ განათლებას, მუშაობენ ერთსა და იმავე დაწესებულებებში, არიან ერთი და იმავე პროფესიისა და საზოგადოების წარმომადგენლები, მათი მეტყველება, ანუ ქალის და მამაკაცის დისკურსი ორი სხვადასხვა სისტემაა, რომლებიც არა ერთი მახასიათებლით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ განსხვავებას იწვევს არა მარტო სქესობრივი ფაქტორი, არამედ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა კულტურა, ასაკი, თანამდებობა, სოციალური მდგომარეობა, გარემოება. ხშირად სწორედ ეს ფაქტორები ხდება საუბრისას გაუგებრობის მიზეზი. განსხვავებული სამეტყველო მანერა აღამიანის უყალიბდება ბავშვობიდანვე. ჩასაკვირველია, ამა თუ იმ აღამიანის სამეტყველო სტილი დროთა განმავლობაში გარკვეულ ცვლილებები-

საც განიცდის. დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ გოგონები უპირატესობას ანიჭებენ საუბარს მცირე ჯგუფში, ხოლო ბიჭები უფრო დიდ ჯგუფში და თანაც უფრო მეტად აქტიურები არიან, ვიდრე გოგონები. ბიჭების საუბარი მცირესიტყვაობითა და პირდაპირობით გამოირჩევა, რაც სასაუბრო წრეში მთავარი ადგილის დამკვიდრებისაკენ მიმართული ქმედებაა, ხოლო გოგონები ძირითადად ჩართვის სტრატეგიას მიმართავენ და შედევად მეტად პარმონიულ საუბარსაც აწარმოებენ, სადაც ერთი შეხედვით დომინანტი მოსაუბრე არ ჩანს (სვანი). თუმცა აქვე აღვნიშვნავთ, რომ გამონაკლისებიც და განსხვავებული მაგალითებიც მოიძებნება, სადაც ქალების (გოგონების) სამეტყველო სტილი მამაკაცთა სტილს ემსგასხვება. ამასთანავე მნიშვნელოვანია ინდივიდის ფაქტორიც, განსხვავებული სამეტყველო ჩვევების მქონე ადამიანები მრავლად მოიძებნება როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა შორის. ქალისა და მამაკაცის მეტყველებაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ისინი ენას განსხვავებულად აღიქვამენ და თვლიან, რომ მათი სქესისათვის ესა თუ ის სამეტყველო მანერა თუ სტილი უფრო მისაღებია, შესაბამისად, მეტყველება იქცევა სიტუაციაზე ძალაუფლების მოპოვების იარაღად და მეტწილად მამაკაცების ქალებზე დომინირების საშუალებად. სხვადასხვა ადამიანის საკომუნიკაციო სტილი განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავებანი, ქალისა და მამაკაცის მიერ მსოფლიოს განსხვავებული აღქმა, თაგა იჩენს არა მარტო ოჯახურ წრეში, არამედ ნებისმიერ სიტუაციაში ენობრივი კომუნიკაციის დროს და ხშირად წარუმატებელი კომუნიკაციის, მედგაცრუების მიზეზიც ხდება. ზემოთქმულის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რ. სქოლონისა და ს. ვ. სქოლინის მაგალთს:

He: What would you like for your birthday?

She: I don't care, anything's OK.

He: No, really, what do you want? I'd like to get you something nice.

She: You don't have to get me anything, besides, we can't afford much right now.

He: Well, how about if we just go out for dinner together then?

She: Sure, that's fine. I don't really want anything. You always give whatever I want anyway!"

(Scollon R., Scollon S.W.)

რ. სქოლონის და ს. ვ. სქოლინის აზრით ნათელია, რომ საუბრის ბოლოს მამაკაცი და ქალი იმედგაცრუებული რჩებიან შექმნილი სიტუაციით. მამაკაცს ნამდვილად სურს რაიმე განსაკუთრებულით და უჩვეულოთი გაახაროს ქალი, მაგრამ მათი საუბრიდან იგი ვერ არკვევს რა სურს ქალს და ისევ მისთვის ჩვეულ შეთავაზებას უბრუნდება. მამაკაცი იმედგაცრუებული რჩება, ვინაიდან მან სრულიად გარკვევით და ნათლად დასმულ შეკითხვაზე პასუხი ვერ მიიღო. მეორე შერივ, ამ საუბრით ქალიც იმედგაცრუებული რჩება. იგი თვლის, რომ მამაკაცს არ უნდა დაესვა მისთვის ეს შეკითხვა, ვინაიდან იგი (he) საკმაოდ კარგად იცნობს მას (her) და შეიძლება თავად მიხვდეს რით შეიძლება მისი გახარება. ქალმა იგრძნო, რომ მამაკაცის საქციელი უბრალოდ თვალთმაქცობა იყო. მან იფიქრა, რომ მამაკაცი კმაყფილი დარჩა იოლი გამოსავლის პოვნით. მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცს საუკეთესო სურვილები ამოძრავებდა, ქალის თვის მისი საქციელი საპირისპიროს ამტკიცებს. შედეგად მივიღეთ წარუმატებელი კომუნიკაცია, საუბრის ბოლოს ორივე მოსაუბრე იმედგაცრუებული და ერთმანეთზე გარკვეულწილად ნაწყენი რჩება. მაგალითიდან ჩანს, რომ ქალი საუბრისას მალავს თავის ნამდვილ სურვილს, მამაკაცი კი პირიქით, სწორედ ეს არის გაუგებრობის მიზეზი. ამ საუბარში ქალი და მამაკაცი ერთსა და იმავე სიტუაციას სხვადასხვარად აღიქვამენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი საუბრი იყო ბმული, ყოველგვარი შეფერხების გარეშე, დაცული იყო სინტაქსი, გერმანია და ა.შ. მათ მაინც ვერ მიაღწიეს წარმატებულ კომუნიკაციას. ეს მაგალითი არ ამტკიცებს იმას, რომ ქალები საუბრისას არაპირდაპირ გამოხატავენ სათქმელს, მასში პრაგმატიკულ დატვირთვას დებენ, ხოლო კაცები კი პირიქით. ეს შემთხვევა ადასტურებს იმას, რომ ბმული საუბარი, სადაც საუბრის კომპონენტები დაცულია, შესაძლოა წარუმატებელი აღმოჩნდეს, ვინაიდან მოსაუბრეთა მოლოდინი და სხვადასხვა საქციელის აღქმა — ინტერაპრეტაცია განსხვავებული.

დ. ტანენის აზრით, ქალები საუბრისას მეტ კონსერვატიულობას, მეტ თავაზიანობასა და კონპერაციულობას იჩენ, ვიდრე კაცები —

თუმცა დ. ტანენი ასევე აღნიშნავს, რომ ეს ზოგადი დასკრნაა, რომელიც ზოგიერთ საზოგადოებებში (Community of Practice) განსხვავებულ სურათს იძლევა.

მისი აზრით, ქალთა საუბარი უფრო ლიტერატურულია მამაკაცთა საუბრისგან განსხვავებით. გ. ოსტინი კი თვლის, რომ სქესი საზოგადოებრივი რანგის ერთგვარი სისტემაა, სადაც მამაკაცთა სქესი უფრო პრესტიულად აღიმება, ვიდრე ქალთა.

გ. ჰოლმისი აზრით კი, ქალები და მამაკაცები, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვაგვარად იყენებენ ენას, ვინაიდან კაცებისგან განსხვავებით ქალები ყურადღებას ამახვილებენ საუბრისას ენის ეფექტური ფუნქციის გამოყენებაზე, ანუ ქალები საუბრისას ცდილობენ ჩართვის სტრატეგიის საშუალებით მსმენელის (კომუნიკაციის) თანამოაზრედ წარმოაჩინონ თავი.

Sarah: Do you like rap, Tom?

Tomas No, I don't like it very much.

Sarah Well, it's OK for me, what kind of music do you like then?

Tomas: I like rock a lot.

Sarah: "U2" do you like them?

Tomas: No, I don't, I can't stand them.

როგორც ვხედავთ, ამ საუბარში ქალის სამეტყველო სტრატეგია და მიზანი განსხვავდება მამაკაცის სტრატეგიისაგან. ქალი შეკითხვების დასმისა და ჩართვის სტრატეგიის საშუალებით ცდილობს აწარმოს დიალოგი მამაკაცთან, ხოლო, როგორც ვხედავთ, მამაკაცი ინარჩუნებს დამოუკიდებლობის სტრატეგიას და არც ერთ შეკითხვას არ უსვამს ქალს. მსგავსი მაგალითების სიმრავლე საშუალებას იძლევა დაგასკრნათ, რომ ქალები კომუნიკაციისას ძირითადად სოლიდარობისა და ჩართვის სტრატეგიას (**solidarity/ involvement strategy**) მიმართავენ, ხოლო კაცები მათ ძალაუფლებას, ანუ სტატუსის დამკიდრების სტრატეგიას (**independence strategy**).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავაზიანობის ფორმაც განსხვავებულია სხვადასხვა სიტუაციაში, ამ ფორმას ძირითადად ეტიკეტის ნორმა განსაზღვრავს, მაგ: წვეულებაზე თავაზიანი ადამიანი წახალისებს

და საშუალებას აძლევს სხვებს გამოთქვან აზრი. უახლოეს პიროვნებასთან თავაზიანი ადამიანი არა მარტო კარგი მოსაუბრეა, არამედ ყურადღებიანი მსმენელიც. ანუ თავაზიანი საუბრის „ოდენობა“ განსხვავდება სიტუაციის მიხედვით. უფრო მეტიც, სხვადასხვა სიტუაციაში განსხვავდება ქალისა და მამაკაცის თავაზიანად ურთიერთობის ნორმები და წესები.

ლინგვისტური ლიტერატურისა და დაკვირვების მიხედვით თითოეული სქესი მისთვის ხელსაყრელ, კომფორტულ პირობებში უფრო მეტს საუბრობს, ვიდრე ნაკლებ ხელსაყრელ გარემოში. მამაკაცები მეტად თვისუფლად საუბრობენ საჯაროდ (საზოგადოებაში), ხოლო უმეტესი ქალებისათვის კი მეტწილად, ვიწრო სასაუბრო წრე უფრო სასურველია. შესაბამისად, ზოგადი თვალსაზრისით, საჯაროდ, ფართო საზოგადოების წინაშე საუბარი ქალებისათვის ლინგვისტური სახის რღვევისაკენ მიმართული ერთგვარი საფრთხეა, ისევე როგორც კაცებისათვის — ვიწრო სასაუბრო წრე.

ცხადია, რომ საუბრის წარმოების საუკეთესო საშუალებაა შეკითხვების დასმა. საინტერესოა, რომ შინაურული საუბრისას ქალები გაცილებით მეტ შეკითხვას სვამენ, ვიდრე კაცები, ხოლო საჯარო გამოსვლების თუ დისკუსიების (ოფიციალური კონტექსტის) დროს — პირიქით ხდება. მარჯორი სვეკარის დაკვირვებით კონფერენციაზე, სადაც 52% ქალი იყო, დასმული შეკითხვებიდან 27% ეკუთვნოდა ქალებს, დანარჩენი კი — მამაკაცებს, ამასთანავე მამაკაცების შეკითხვები ორჯერ უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე ქალებისა. მსგავსი დაკვირვება მოახდინა გ. ჰოლმება 100 საჯარო შეხვედრაზე და მგავსი მაჩვენებელი მიიღო.

სატელევიზიო გადაცემებზე ჩვენი დაკვირებით გამოვლინდა, რომ ეთერში დასმული შეკითხვებიდან მამაკაცთა შეკითხვები ჭარბობს ქალთა მიერ დასმულ შეკითხვებს. თოქშოუს შემთხვევაში, როდესაც შოუს წამყვანი სთხოვს სტუდიაში მყოფ დამსწრეებს, რომელთა რიგებში ქალები უფრო მეტი არიან, ვიდრე მამაკაცები, დაუსვან შეკითხვები მოწვეულ სტუმრებს, კვლავ მამაკაცთა შეკითხვები სჭარბობს ქალებისას. სტუდიაში 24 ქალი და 15 მამაკაცი იყო, დასმული 10

შეკითხვიდან 7 მამაკაცებს ექუთგნოდა, 3 კი — ქალებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ თოქშოუს მსგავსი მაჩვენებელი გვხვდება უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჩვენი დაკვირვების შედეგად გამოიყვეთა გარკვეული თემები, რაც ქალებს უფრო ხელეწიფებათ, მაგ.: საუბარი მოდის, თავის მოვლის, ყვავილების თუ საჩუქრების შესახებ. ამ თემებზე საუბრისას თოქშოუზე დაკვირვებით ქალთა მიერ დასმული შეკითხვები სჭარბობდა მამაკაცთა მიერ დასმულ შეკითხვებს (სტუდიაში 17 ქალი და 10 მამაკაცი იყო).

აღსანიშნავია, რომ მამაკაცები მოსაუბრებებს უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს, ვიდრე ქალები, მაშინაც კი, თუ ქალები პროფესიულად უფრო მაღალ საფეხურზე დგანან. მაგალითად, დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქალ ექიმს მამაკაცი პაციენტები უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს, ვიდრე კაც ექიმს. ასევე თანამდებობრივად მაღალ საფეხურზე მდგომ ქალს თანამშრომელი კაცები (კოლეგები) უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს, ვიდრე თანამშრომელი ქალები.

მაგ.: შეკრებაზე დეპარტამენტის უფროსი (ქალი) ესაუბრება თანამშრომლებს:

Mr. X: I must say that it's time we addressed this issue seriously, and that means *{* that it needs to be discussed at ...
Mrs. X: hmm, yes

Mr. X: we all have to think about it, all of us.

Mrs. X: I agree, I think that's right, we *{* need to start by
Mr. Y:
start by discussing some of these *{* issues a bit more thoroughly
Mrs. X: *{* hmm, right!}

მაგ.: კრებაზე დირექტორი (ქალი) საუბრობს თანამშრომლებთან:

დირექტორი: კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ კალენდარული გეგმების წარდგენა საგადღებულოა. ეს უნდა მოხდეს არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა. განათლების სამინისტრო ითხოვს, რომ უველა საგანში ...

თანამშრომელი კაცი: უკაცრავად ქ-ო **X**, დიდ ბოდიშე

გიხდი, რომ გაწყვეტინებთ, უველა-
ფერი გასაგებია, მაგრამ ჩემს შე-
მთხვევაში, იცით რომ საძილოტო
კლასები მყავს, ხადაც ჯერ წიგნები
დაბეჭდილიც არ არის და გვემდებზე
საუბარი ნაადრევი მეჩვენება.

დირექტორი: გახსაგებია თქვენი შეკითხვა ბატონი **X**, ამაზე
ცალკე გიხსაუბრებ, მე შეგახსენებ
დანარჩენებს რომ

თანამშრომელი კაცი: ... მხოლოდ ეგ მაინტერესებდა, მერე
გაუგებობობა რომ არ იყოს ან საუკე-
დური. შეგახსენეთ უბრალოდ, მაღლო-

დირექტორი: კალენდარები კალენდარულ გვემდებს.

მსგავსი შემთხვევების სიმრავლე ცხადყოფს, რომ ინგლისურსა და ქართულში მამაკაცები ხშირად აწყვეტინებენ საუბარს მათზე თანამდებობრივად უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ ქალებსაც კი. ისეთი შემთხვევები სხვადასხვა საკომუნიკაციო გარემოზე თუ სიტუაციაზე (სკოლაში, ბანკში, ოჯახში, როგორიცაციაში და ა.შ.) დაკვირებით, საქმიანდ ბევრი აღმოჩნდა, რაც საფულეველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ის, რაც საუბრისას მიუღებელი, შემძლებელი და არათავაზიანია ქალისათვის, შესაძლოა მისაღები და ნორმალური იყოს მამაკაცისათვის. შესაბამისად მაშინ, როდესაც ქალები საუბრისას მამაკაცი შეწყვეტინებას თავაზიანად თავს არიდებენ, მამაკაცები მიიჩნევენ, რომ ქალი მოსაუბრისათვის ეს საუბარი არასასურველია ან მათ უბრალოდ სათქმელი არა აქვთ სასაუბრო თემასთან დაკავშირებით.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქალები საუბრის შესანარჩუნებელ სიგნალებს, სიტყვებს თუ ბევრებს (*yeah, mm, hmm, oh / ჰმ, ჰმ, აბა, ა-ჰმ*) უფრო ხშირად წარმოთქმის, ვიდრე კაცები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ამ სიგნალებს წარმოთქმამენ, რათა აგრძნობინონ მოსაუბრეს, რომ ისინი მათ უურადღებით უსმენენ და ამით საშუალებას აძლევენ მოსაუბრეს განაგრძოს საუბარი, ხოლო მამაკაცების მიერ ამ სიგნალების გამოყენება ხშირ შემთხვევაში სასაუბრო ჯერის მოპოვების მიზნით ხდება, მაგ.: მოსწავლეები საუბრობენ მასწავლებლებზე.

Steven: she provided the appropriate sayings for particular times.
Sally: right
Steven: and so she didn't actually teach them
Sally: right
Steven: but she just provided a model.
Sally: ... yeah... hm...
Steven: You know you mustn't refer to this...
Sally: mm...
Steven: and she actually produced a book . . . that set out some . . .

Sally: hm...

Steven: of those ideas at the simplest level..

Sally: ... Yeah

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ქალი მოსაუბრე საუბრის შესანარჩუნებელ სიგნალებს იყენებს, ამით საშუალებას აძლევს მამაკაცს ისაუბროს, ასევე ქალი ამ სიგნალებით აგრძნობინებს მამაკაცს, რომ ყურადღებით უსმენს მას.

შემდეგი მაგალითიდან ვხედავთ, რომ საუბრის სიგნალებს მამაკაცი განსხვავებული თვალსაზრისით — ჯერის მოპოვების მიზნით იყენებს. მაგ.:

Buyer (man): Have you a bed to sell?

Seller (woman): I've got one, but it's rather expensive.
If you want it for yourself though...

Buyer: hmm

Seller: I'll make you a { reduction

Buyer: hmm, how much is it?

Seller: well, it's £ 400

Buyer: hmm

Seller: and believe me, { if it were anyone but you, I'd ask . . .

Buyer: ... hmm, what's you last price?

(Pye D. – Greenal S , - CAE Listening and Speaking Skills)

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ურთიერთობისას ლინგვისტური კომუნიკაციის წესებს ქალები და მამაკაცები სხვადასხვაგვარად აღიქვამენ და იყენებენ. ქალები და მამაკაცები ამ ქმედებაში სხვადასხვა დატვირთას დებენ. ლინგვისტური თავაზიანობა განსხვავებულია მათთვის. შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ ქალების

სასაუბრო სტილი ძირითადად კოოპერაციულია, ანუ მიმართულია საუბარში კველის თანაბრად ჩართვისაკენ, ხოლო მამაკაცის სასაუბრო სტილი იერარქიულია, რაც ნათლად აწვენებს მათ სურვილს, რომ საუბრისას იყვნენ დამოუკიდებელნი და რომ ძირითადად დამოუკიდებლობის სტრატეგიის პრინციპებით ხელმძღვანელობენ.

ინგლისურსა და ქართულში ქალისა და მამაკაცის მეტყველებაზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ როგორც ინგლისურში, ისე ქართულში

- ა) ქალისა და მამაკაცის სამეტყველო სტრატეგიები განსხვავდება ერთმანეთისაგან. მამაკაცები საუბარისას მიმართავენ დამოუკიდებლობის სტრატეგიას, ხოლო ქალები ჩართვის სტრატეგიას.
- ბ) ქალები ლინგვისტურად უფრო თავაზიანნი არიან, ვიდრე მამაკაცები.
- გ) ქალებისათვის ვიწრო სასაუბრო წრე უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მამაკაცებისათვის. მამაკაცები ფართო სასაუბრო წრეს ანიჭებენ უპირატესობას (საჭარო გარემოში მამაკაცების შეკითხვები სჭარბობს ქალების შეკითხვებს, თუმცა არის თემები, რომლებიც ქალებს უფრო ხელეწიფებათ).
- დ) მამაკაცები ქალებს უფრო ხშირად აწყვეტინებენ საუბარს, ვიდრე ქალები მამაკაცებს (მაშინაც კი, თუ ქალი მამაკაცზე მაღლა დგას თანამდებობრივად).
- ე) საუბრის შესანარჩუნებელ სიგნალებს ქალები უფრო ხშირად წარმოთქვამენ, ვიდრე კაცები.
- ვ) საუბრის შესანარჩუნებელ სიგნალებს ქალები მოსაუბრის წახალისების მიზნით წარმოთქვამენ, ხოლო კაცები სასაუბრო ქერის მოპოვების მიზნით.

ლიტერატურა

ბრაუნი გ., იული გ. 1983 – Brown G., Yule G. Discourse Analysis, New York. Cambridge University Press, 1983.

ბრაუნი პ., ლევინსონი ს. 1987 – Brown P., Levinson S. - Some Universals in Language Usage : Politeness Phenomena, New York , 1987.

გოქსაძე, 2002 — გოქსაძე ლ., „ყოფითი ღირებულებანი და ნორმათა რღვევა როგორც სახის დაკარგვის საშიშროების შემქმნელი ლინგვისტური ქმედება“, საენათმეცნიერო ძებანი, XII, 2002.

თანენი დ., 1984 – Tannen D., Conversational Style : Analyzing Talk Among Friends , Norwood, N.Y. , Ablex, 1984.

თანენი დ., 1990 – Tannen D., You Just Don't Understand : Women and Men in Conversation. New York, 1990.

თანენი დ., 1996 – Tannen D., Gender and Discourse, Oxford University Press, 1996.

ოსტინი ჯ., 1962 – Austin J. How to Do Things With Words , Oxford, 1962.

სკოლონი რ., სკოლონი სვ. 1983 – Scollon R., Scollon S.W., Face in Interethnic Communication, Longman, 1983.

სკოლონი რ., სკოლონი სვ. 1994 – Scollon R., Scollon S.W., Intercultural Communication, Blackwell, 1994.

www.rules of etiquette.com

Personal conversational style is influenced by various factors such as: ethnicity, religion, class, race, age, profession, geographical regions, etc. Differences and peculiarities in how men and women communicate have been the topic of long scientific interest as well as ours.

The paper shows that:

a) In both languages men refer to independence strategy while women to involvement strategy

b) Women express themselves linguistically more politely than men.

c) Women prefer to communicate in a narrow circle, while men prefer some larger audience.

d) Men tend to interrupt women more frequently than women.

e) Women tend to utter certain signals with the aim of supporting conversation more often than men.

Women utter such signals with the aim of encouraging conversation while men do this for the sake of turn taking.

ANA BOGORISHVILI

Some Gender Peculiarities of Verbal Communication between Men and Women

Summary

The paper discusses the peculiarities of gender relationships through communication in English and Georgian. It is well known that conversation fosters mutual understanding of communicators and increases emotional intimacy. Environment plays a great role in men's and women's manner of talking.

სიახლა გელაშვილი

პრესის როლი უცხოური ენის (ფრანგული) სტავლების
პროცესში

თანამედროვე ფრანგული ენის სახელმძღვანელოებში დიდი ყურადღება ეთმობა სასწავლო მასალას, რაც აუცილებლად უნდა მოიცავდეს თანამედროვე ცხოვრებისეულ სიტუაციებს, ხოლო ეს უკანასკნელი აუცილებელი პირობაა რეალობაზე დაფუძნებული სწავლებისა. ამგვარი მიღებობა განსაზღვრავს უცხოური ენის სწავლების ფუნქციონალურ (ლაპარაკობ იმისთვის, რომ...) და ინტელექტუალურ მასშტაბს (ლაპარაკობ რაღაცის შესახებ, აზრს გამოთქვამ რაღაცის შესახებ). ანუ, მოსწავლე ინტერაქციაშია ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ამავე დროს ახერხებს აზრის გამოთქმას და სხვისი აზრის აღქმას. ამის საილუსტრაციოდ მოგვყავს ჩვენ მიერ მოძიებული მასალა ფრანგულ გაზეთ „ლე ფიგაროში“, რომელიც ეძღვნება საფრანგეთისთვის მნიშვნელოვან მოვლენას, საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელშიც სოციალისტების კანდიდატმა ფრანსუა ლანდმა გაიმარჯვა. ფრანგული ენის შემსწავლელისთვის ეს მოვლენა მნიშვნელოვანია, რადგან ენის სწავლისას ის აუცილებლად შედის იმ კულტურულ კონტექსტში, რასაც საფრანგეთის ყოველდღიურობა ჰქვია.

საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული უამრავი მასალა შეგვიძლია მრავალი დანიშნულებით გამოიყენოთ. უპირველესი კი იქნება მოცუმული მასალის გაცნობა და შემდეგ ამ მასალაზე დაყრდნობით გაბმული მონოლოგის მომზადება, რომელიც აგებული იქნება არგუმენტირებულ მსჯელობაზე და რომლითაც ენის შემსწავლელი თავის ლოგიკურ აზრს ჩამოყალიბებს აღნიშნულ მოვლენაზე არსებული დოკუმენტების გამოყენების საფუძვლზე. შესაძლებელია, აგრეთვე, დებატების მოწყობა მოცემულ თემატიკაზე.

ჩვენ მიერ მოძიებულ დოკუმენტში დისკუსიის ერთ-ერთი მონა-

წილები მიიჩნევს, რომ ფრანგები არიან უცნაურები, რადგან ამ ქვეყანაში, რომელიც მემარჯვენედ ითვლება, სახელისუფლო შტოების უმრავლესობაში არიან სოციალისტები (დოკ. 1). ამ მოსაზრებას მოჰყვება საპირისპირო აზრი მემარცხენე წარმომადგენლის მხრივ, რომელიც მიიჩნევს, რომ მემარჯვენების მარცხი მოდის იქიდან, რომ მათ არ ეხერხებათ ერთიანობა და შეუძლიათ მხოლოდ დაქსაჭივა (დოკ. 2). საინტერესოა კიდევ ერთი მონაწილის მოსაზრება ფრანგულ გამორჩეულობასთან დაკავშირებით. ის ირონიულად ამბობს, რომ საფრანგეთს ახასიათებს დაწვას ის, რაც უყვარდა და პირიქით. (დოკ. 3) ხოლო ერთი მონაწილე შეწუხებულია იმ 48 პროცენტი ფრანგის გამო, რომელებმაც არ აირჩიეს ოლანდი (დოკ. 4). ეს მოვლენა გულგრილს არ ტოვებს არც სპორტის წარმომადგენელს, რომელიც ფიქტობს, რომ უნდა შეწყდეს მემარცხენების კრიტიკა და მემარჯვენებმა მიხედონ საქმეს, რათა საკანონმდებლო არჩევნებში შეძლონ გამარჯვება (დოკ. 5). ერთ-ერთი მემარჯვენე ამომრჩეველი მემარჯვენეთა დამარცხებას მემარცხენე თვალსაზრისის მედიის გამარჯვებად თვლის, რაც იმას მოწმობს, რომ მომავალში მემარჯვენებმა უნდა მოახერხონ მემარცხენე მედიაზე გამარჯვება (დოკ. 6). მემარჯვენეთა კიდევ ერთი მომხრე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სოციალისტმა პრეზიდენტმა მემარჯვენებიც უნდა შეიყვანოს მთავრობაში, რომ დღვანდელი სოციალისტები დღვანდელი მსოფლიოს შესაბამისად უნდა იქცეოდნენ და არა 1789 წლის რევოლუციური იდეების შესაბამისად (დოკ. 7). ერთ-ერთი მონაწილე აღმფოთებული პასუხობს სპორტის სამსახურს მას არ მოსწონს, რომ სპორტსმენი ადვილად იცვლის პოლიტიკურ მოწამეს, პოლიტიკა სპორტი არ არისო, საყვედურობს (დოკ. 8).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს მასალა არის აქტუალური საფრანგეთისთვის და მისი გაცნობით ენის შემსწავლელი ეცნობა იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელიც საფრანგეთში არსებობს. მას ეძლევა საშუალება მოამზადოს მოხსენება ფრანგულ ენაზე, ანუ, როგორც ამას სხვანირად ეწოდება გაბმული მონოლოგი. როცა გაბმულ მონოლოგის ისმენს ჯუფი, მას აუცილებლად უჩნდება კითხვები და მონოლოგის შემდგომ წარიმართება დისკუსია, რომელშიც ყველა იქ-

ნება ჩაბმული და ყველას შეეძლება საკუთარი აზრის გამოთქმა. ამ დროს ხდება უცხო ენის შემსწავლელის გაწაფვა სხარტ საუბარში და აზროვნებაში, რადგან ენა არის არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ აზროვნების საშუალება. მასწავლებელი დისკუსიის სიტუაციაში კოორდინატორის როლში გვევლინება. ბოლოს, ის უკვე შესთავაზებს კლასს მოცემულ დოკუმენტებში არსებული ღვევის შესწავლის, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე საკომუნიკაციო ენისათვის. ამას გარდა, ენის შემსწავლელი ეჩვევა ანალიზსა და სინთეზს. იგი ვალდებულია გააანალიზო ცალკეული დოკუმენტი და შემდეგ მათი სინთეზი მოახდინოს, რისი საშუალებითაც ის ააგებს თავის მონოლოგს, ან დაწერს არგუმენტულ ესეს და რაც მთავარია, მიეჩვევა საკუთარი აზრის ფორმულირებას. ფრანგული ენის სახელმძღვანელოები ამის შანსს ნაკლებად იძლევა, რადგან იქ მასალის რაოდენობა შეზღუდულია, გარდა ამისა, **ვერცერთი სახელმძღვანელოს დოკუმენტი ვერ იქნება ისეთი აქტუალური, როგორც საგაზეთო დოკუმენტი.** ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით შესაძლებელია პარალელების გავლება ფრანგულ და ქართულ ლინგვო-კულტურულ ასპექტებს შორის. განხილულ მასალაში ჩვენ გამოვყავით ისეთი გამოთქმები, რომლებიც ანალოგიურია ფრანგული და ქართული კულტურისათვის:

მაგ. 1. Des gens qui ont les pieds sur terre et la tête sur les épaules ხალხი, რომელიც მყარად დგას მიწაზე და რომელსაც თავი მხრებზე აქვს.

2. Il n'arrive pas à la cheville de Baudis ის ბოდის ფრჩხილადაც არ ღირს (შინაარსობრივად ოდნავ დაცილებული, მაგრამ ანალოგიური).

3. Pointer une arme sur la tempe des électeurs იარაღი დაუმიზნო საფეხულში ამომრჩეველს

4. Tuer dans l'œuf ჩანასახშივე მოსპო (ფრანგულად : კვერცხშივე მოსპო)

გმოვყავით აგრეთვე ისეთი გამოთქმები, რომლებიც დაახლოებით ერთნაირია ფრანგულ და ქართულ სინამდვილეში და ისეთებიც, რომლებიც სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგ., 5. placer to-

us ses œufs dans le même panier ყველა კვერცხი ერთ კალათში მოათავსო. ანუ, მისი შესატყვისი ქართული კულტურიდან გამომდინარე იქნება „ყველა ერთ ტაფაზე მოაქციო“, რაც მაშინ გამოიყენება, როცა ლაპარაკია სხვადასხვა შესაძლებლობების ადამიანების თანაბარ შეფასებაზე. ჩვენ მიერ მოძიებული კვემოთ მოყვანილი სიტყვათა ერთობლიობა არის სრულიად ახალი გამოთქმა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლის ეპოქასთან. გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლა ლამის ყოველდღიური ფრაზაა ფრანგულ კულტურაში და აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ ხაზი გაესვა დისკუსიაში მონაწილეს ინფორმაციის „სისუფთავისათვის“, გამოიყენა ეს ტერმინი „დაუბინძურებული ინფორმაცია“. 6. Une information non polluée დაუბინძურებელი ინფორმაცია. მოცემული მასალა საინტერესოა ენის სტრატიფიკაციული ანალიზის თვალსაზრისითაც, ჩვენ ვხედავთ, რომ სპორტსმენი მონაწილე აზრის გამოთქმისას მიმართავს არგოტიზმებს, les cadors, რაც ნიშნავს ძაღლებს, «ce qui me rase-ის რაც თავს მაბეზრებს არის...» ანუ ის იყენებს ფრანგული ენის იმ ვარიანტს, რომელსაც ფამილარული ენა ეწოდება. რაც შეეხება პირველ მონაწილეს, რომელიც არის ჟურნალისტი, ის იყენებს სტანდარტულ ენას, რომელშიც არის მეტაფორული ფრაზები, რაც იმას ამტკიცებს, რომ ჟურნალისტი ზრუნავს კარგად თქმის ხელოვნებაზე. ამის მაგალითია „Elles(les critiques) ne manqueront pas de pleuvoir quand le ciel s'assombrira au-dessus de sa tête“ კრიტიკის წვიმა არ მოაკლდება, როცა მის თავზე ცა მოიქუფრება.“ სრულიად განსხვავდულ დისკუსის გვთავაზობს მეორე მონაწილე, მისი მეტყველება არის პოლიტიკური შეფერილობის, რადგან ის არის ცენტრისტი პოლიტიკოსი და იყენებს პოლიტიკოსთა სოციალური ჯგუფისათვის დამახასიათებელ ღვევისას : il est absolument nécessaire pour eux (les dirigeants UMP) d'être moins arrogants, moins diviseurs, moins partiaux, plus justes, plus généreux et plus soucieux de l'intérêt du plus grand nombre, alors peut-être ils auront l'espoir de revenir aux affaires (აუცილებელია, რომ საპრეზიდენტო პარტიის ხელმძღვანელები იყვნენ ნაკლებად დამცინავები, ნაკლებად სეპარატისტები, ნაკლებად მიკერძოებულები, უფრო

სამართლიანები, უფრო დიდსულოვნები, **უმრავლესობის ინტერესის** გათვალისწინებით, ... მხოლოდ მაშინ შეიძლება იმედი გაუჩნდეთ, რომ საქმეს დაუბრუნდებიან).

ამავე მასალაში ჩვენ აღმოვაჩინთ სიგლებს და ინგლისური ენიდან შემოჭრილ ნეოლოგიზმებს. RPR (Rassemblement du pays pour la république ქვეყნის ერთიანობა რესპუბლიკისთვის, მემარკვენეთა პარტია შირაკის დროს), PS (parti socialiste სოციალისტური პარტია), QG (quartier généralშტაბი), UMP (Union de la majorité présidentielle საპრეზიდენტო უმრავლესობის პარტია), JT (journal télévisé სატელევიზიო ახალი ამბები), FN (Front national ნაციონალური ფრონტი). აბრევიატურები ქართულ ლინგვო-კულტურულ სივრცეშიც იხმარება, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რაც ფრანგულ ლინგვო-კულტურულ სივრცეში. ანგლიკიზმების ხმარება ფრანგულ ენაში არახალია, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ამ ბოლო დროს ქართულ ენაშიც საქმაოდ შემოდის ინგლისური სიტყვები. **poolés** (მოლოპარაკებულები) **des "has been"** (ძველები). აღსანიშნავია, რომ ეს გამოთქმა არ არის დაფიქსირებული ლექსიკონში.

როგორც ჩვენი ანალიზიდან ჩანს, მედიადოკუმენტები დიდ როლს თამაშობს უცხო ენის (ფრანგულის) სწავლების პროცესში. ასეთი მასალის უპირველესი ლირებულება აქტუალობაში გამოიხატება, რადგან ფრანგული ენის შემსწავლელი უნდა გაეცნოს საფრანგეთის ლინგვო-კულტურულ თანამედროვე კონტექსტს და მეტიც, თანდათან უნდა გაუშინაურდეს მას. ამ ფონზე, ჩვენს შემთხვევაში საფრანგეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების ფონზე, იმართება გაკვეთილი გაბმული მონოლოგით, კითხვა-პასუხით, სინთეზითა და ანალიზით, რაც ძალიან დინამიკურს ხდის პროცესს და ენის შემსწავლელთა ინტერესს აღვივებს. ინტერესის გარეშე კი შეუძლებელია კარგი სწავლა. ინტერაქციული სასწავლო პროცესის შემდეგი ეტაპი არის მოცემულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ლექსიკური ანალიზის წარმართვა, რის შედეგადაც ვლინდება დღევანდელი ტენდენციები (აბრევიატურებისა და ანგლიკიზმების მოჭარბებული ხმარება, გარემოსთან კავშირში ახალი ფრაზეოლოგიზმების წარმოქმნა და

სრულიად ახალი სიტყვათა კომბინაციების მიგნება, „დაუბინძურებული ინფორმაციის“ სახით).

მედიადოკუმენტების გამოყენება ფრანგული ენის გაკვეთილებზე ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას მსოფლიო კულტურულ პროცესში, განსაკუთრებით კი საფრანგეთის კულტურასთან ხდება შეხვედრა, რაც დიდად მნიშვნელოვანია ენის სწავლისას, რადგან კულტურა არის ის ყოვლისმომცელი კონტექსტი, რომელიც ენობრივი ორაზროვნების მოხსნის ყველაზე ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

1. ნეოლოგიზმები, როგორც ნასესხები სიტყვები, ასევე ფრანგული ძირიდან წარმოებული ახალი სიტყვები სწრაფად ჩნდება მედიაში, კერძოდ, პრესაში და ზოგჯერ მოსწავლე შეიძლება გაეცნოს ახალ ენობრივ ერთეულებს მანამ, სანამ ისინი ლექსიკონში დაფიქსირდებოდეს.

პრესა ეხება ცხოვრების ყველა სფეროს: საზოგადოებას, პოლიტიკას, მეცნიერებას, ჯანმრთელობას, კულტურას და ა.შ. რაც საშუალებას აძლევს მასწავლებელს საჭიროებისდა მიხედვით შეარჩიოს აქტუალური თემატიკა.

პრესის დოკუმენტებზე დაყრდნობით შესაძლებელია დებატების გამართვა, რაც საშუალებას მისცემს თითოეულ მოსწავლეს საკუთარი კრიტიკული აზრი ჩამოაყალიბოს და გამოთქვას, აგრეთვე სხვისი მოსაზრება გაიგოს და მასზე ირეაგიროს. ამით მიიღწევა მთავარი მიზანი უცხო ენის შესწავლის პროცესში, რაც ევროსაბჭოს მიერ არის დადგენილი: მოსწავლე ახერხებს საკუთარი აზრის ფორმულირებას (ზეპირი და წერილობითი პროდუცირება) და სხვისი აზრის გაგებას (ზეპირის აღქმა და წაკითხულის გაგება).

დანართი (სტატიაში გამოყენებული ფრანგულენოვანი დოკუმენტები)

1. **Yves Thréard**: Singulière nation que cette France dont on a coutume de dire qu'elle est majoritairement de droite. Demain, son nouveau président de la République, socialiste, va prendre ses fonctions. Il règnera sur un pays

dans lequel la plupart des grandes villes sont tenues par des maires socialistes, les régions par des présidents socialistes, une forte proportion des départements par des exécutifs socialistes. La majorité au Sénat est socialiste et, bientôt, celle de l'Assemblée nationale le sera sans doute aussi.

Singulière nation que cette France qui, comme toutes les démocraties, fait du partage des pouvoirs l'alpha et l'omega de son bien être, *mais place tous ses œufs dans le même panier*.

Comment François Hollande, qui n'entend pas être un président comme les autres, va-t-il **concilier sa normalité revendiquée avec cette concentration des pouvoirs locaux et nationaux entre les mains d'un seul parti, le sien ? Avec cet Etat PS, comme naguère on a pu dénoncer l'Etat RPR ?**

Cette situation n'est pas la moins paradoxale à assumer pour un homme qui veut introduire de la justice à tous les étages de notre pays. Il va avoir fort à faire s'il veut amortir les critiques. **Elles ne manqueront pas de pleuvoir quand le ciel s'assombrira au-dessus de sa tête**, de celles de son gouvernement, de sa majorité et de son parti. Bienvenue à François Hollande, et bonne chance...) é

2. (Thierry COULOM - Adjoint au Maire de Nancy – Centriste : Ce qui est étonnant dans cette France de droite où, curieusement, tous les rouages politiques sont majoritairement détenus par la Gauche, c'est l'incapacité pour l'UMP de faire son autocritique afin d'essayer de comprendre pourquoi depuis dix ans, elle a perdu toutes les élections locales.

Si d'aventure, Monsieur Thréard, vous pouviez glisser à l'oreille des dirigeants de l'UMP qu'il est absolument nécessaire pour eux d'être moins arrogants, moins diviseurs, moins partiaux, plus justes, plus généreux et plus soucieux de l'intérêt du plus grand nombre, alors peut-être ils auront l'espoir de revenir aux affaires.

la cure d'opposition qui se prépare ne pourra que leur être profitable à la condition qu'ils assument leur échec mais malheureusement tout laisse à penser qu'il sont loin du compte dans ce domaine.

JF Coppé en particulier et bon nombre d'ancien ministres, devraient penser que de ne pas l'ouvrir en ce moment, comme il le font pour dénigrer systématiquement le Président nouvellement élu, serait plus efficace pour leur image et leur destin que cette attitude **infantilisante et revancharde qui insupporte un maximum de gens y compris de l'UMP.**)

3. (Un des aspects de l'exception française sans doute.

Descartes et Robespierre, l'orgueil d'avoir Versailles et l'esprit des sans-

culotte, brûler ce qu'on a adoré et inversement, être majoritairement à droite et voter à gauche. Et se réveiller avec la gueule de bois plus souvent qu'à notre tour. Qu'importe du moment qu'on chante cocorico même avec les 2 pieds dans la mouise, l'honneur est sauf n'est-ce pas?

Bonne chance, dîtes-vous? Ou pas.)

4. (Je crois M. Thréard, que c'est plutôt aux 48,4% de français qui n'ont pas voulu d' Hollande à la présidence qu'il faut souhaiter bonne chance!

Car pour ceux là, en cas de victoire de la gauche aux législatives, les 5 ans qui viennent seront difficiles moralement et financièrement!

Dans votre descriptif de l'état PS vous avez oublié le 4ème pourvoir, celui de la presse et des médias qui sont **tout acquis à la gauche**.

Il faut lire la presse étrangère pour avoir **une information non polluée et non partisane** qui parle des enjeux économiques européens et mondiaux.

En France, on met en avant la "com" de notre nouveau président "normal" à savoir, "Regardez comme je suis l'exact opposé de Sarkozy"! Et tous les JT regorgent d'images du nouveau président à la boulangerie, au café, devant son QG, devant sa voiture, dans la rue et toujours avec sa petite cours de journalistes **poolés** totalement acquis à sa cause et à sa communication. Pendant ce temps là, on ne parle pas des choses qui fâchent à savoir toutes les promesses que les gens de gauches attendent et qui ne seront pas honorées. Il est aussi visiblement utile de rappeler que si la gauche possède quasiment tous les départements et régions, c'est surtout grâce à de nombreuses triangulaires avec le FN qui ont mécaniquement fait tomber ses territoires dans le panier socialiste. Alors, effectivement tout ce rose, cela fait effectivement beaucoup, mais à bien y réfléchir, tant mieux! Il apparaît, dans ce pays, que si l'on n'est pas enclin au socialisme, on soit de suite qualifié de "revanchard haineux n'acceptant pas la défaite" Beaucoup d'électeurs de droite n'attendent ni n'espèrent rien d'Hollande. Leur lucidité sur les réalités économiques françaises et européennes est justement la cause de leur profond désespoir! Donc, face à cela, il ne sert à rien d'argumenter plus avant, la meilleure force de conviction c'est la preuve par 3, comme en maths! L'actualité économique européenne aura tôt fait de mettre en lumière l'incrovable vacuité du programme socialiste bien mieux que les opposants du PS ne pourraient le faire! Le retour de bâton sera brutal. Que ce soit par l'Union européenne, l'Allemagne seule ou les agences de notations, les promesses électoralles de dépenses d'Hollande seront **tuées dans l'oeuf**. Toutes les instances du pays étant à gauche, les socialistes devront assumer pleinement et entièrement cette fois et constater par eux-mêmes les limites du socialisme à la française.

5. (J'ai voté Nicolas Sarkozy à cette présidentielle. Mais je suis sportif; et en tant que tel, il me faut reconnaître que la victoire des socialistes est méritée. Ils ont été meilleurs que l'UMP et Sarkozy, à différents égards. Maintenant, ce qui **me rase**, c'est cette musique que jouent **les cadors** de la droite, depuis le soir du 6 mai 2012 : "il y a danger à donner tous les pouvoirs aux mêmes". Nous sommes bien en démocratie ! Le peuple donne sa confiance à ceux qu'il juge les plus valables, à tort, ou à raison. La gauche n'a pas **pointé une arme sur la tempe des électeurs** pour les obliger à la choisir. La droite n'a qu'à cherché à plaire, à séduire. Il faut arrêter ces jérémiaades contre-productives et se mettre au travail pour tenter de faire un résultat aux législatives à venir).

6. (il faut que la droite regagne du terrain sur les médias, à Toulouse et toute la région Midi Pyrénées **nous subissons la dictature de la Dépêche du Midi** (Baylet)c'est pour cela que cette région vote massivement socialiste. Le conseil général de Haute Garonne est socialiste depuis près de 100 ans, je n'achète plus ce journal qui ne cesse **de cracher sur la droite**, comme elle l'a fait sur les maires centristes de Toulouse Baudis, Douste Blazy et Moudenc jusqu'à la venue de Cohen, qui déforme et paralyse Toulouse par ses travaux de la rue d'Alsace la rue la plus chère du monde à force de faire et défaire, **il n'arrive pas à la cheville de Baudis**, lui même tué, par la Dépêche du Midi et ses rumeurs.il nous faut absolument un journal de droite dans la région)

7. (Les législatives c'est en juin, donc la droite devra faire tout pour limiter les dégâts. Hollande a gagné, c'est la démocratie, il est socialiste, mais je donnerais plus pour la sociale démocratie, la gauche, la vrai, j'en ai peur, ses tenants brandissent non pas le drapeau tricolore, mais le drapeau rouge, infame à mes yeux car responsables de millions de morts dans les pays qui l'ont brandi. Et ceux de France qui se réfèrent aux révolutionnaires de 1789, qui ont fait des milliers de morts pour la dite révolution. Nous sommes dans un autre monde, et il faut laisser de côté ses idées d'une autre époque. Les problèmes du monde sont autres. La France est une puissance de ce monde actuel, mais elle est partie intégrante de l'Europe, il y a malheureusement des pays à la peine dans cette Europe, il aurait fallu peut-être regarder de plus près les CV de chacun avant de les intégrer afin d'éviter les déséquilibres qui sont apparus. Je crois que Hollande ne mènera pas une politique de "gauche toute", il s'entourera de gens qui ont **les pieds sur terre et la tête sur les épaules**, et s'adapteront à la situation de l'Europe et du monde pour la politique à mener. Par contre au point de vue de la politique intérieure ça va être très serré entre ceux qui voudront changer les choses rapidement et ceux qui réfléchiront à chaque situation de manière posée.!! Et pour finir Hollande

devrait faire son équipe avec des nouveaux et non prendre parmi ceux qui sont des "has been".)

8. Sportif! Vous amalgamez sport et politique ? Laissez-moi rire ! En effet la défaite d'un match n'a pas de conséquences sur la vie des citoyens, la défaite d'un parti, oui! J'en conclue que vous êtes très influençable, en quelque sorte **une girouette qui tourne selon le sens du vent**. C'est hélas un problème dans notre pays. Hollande n'a même pas encore pris sa fonction que vous lui accordez **un blanc-seing**, uniquement parce que 51,62 % d'électeurs (39% pour le PS) lui ont accordé leurs votes ? Il a été dit clairement que Hollande était un président par défaut (débâcle DSK) et qu'il avait gagné plus par antisarkozysme (génétré par le 4e pouvoir) que par adhésion, ce que vous qualifiez de "vote de confiance" ???? Or c'est un vote de rejet de Sarkozy et de défiance contre Hollande, ce qui n'est jamais brillant pour le vainqueur. Allez écouter les gens sur les marchés, là où il existe encore un bon sens populaire, vous serez surpris de leur résignation. Ils n'ont aucun enthousiasme, aucune illusion sur le PS et certains regrettent déjà... trop tard parce que le suffrage universel a parlé ! Avant de regretter, il faut réfléchir. Quand le gouvernement socialiste sera en difficultés, allez-vous encore changer de direction ? Je n'aimerais pas vous avoir comme "présumé" ami. En attendant mettez-vous au travail et ne demandez pas à votre pays ce qu'il peut faire pour vous, mais demandez-vous ce que vous DEVEZ faire pour lui. En effet, il ne faut pas attendre que le voisin de palier ou le voisin allemand soit seuls à bosser pour vous permettre de bien vivre ou de vivre au dessus de vos moyens.

ლიტერატურა

ადამი, 2008 — Adam, Jean-Michel, (2008) La linguistique textuelle.

დათინაშვილი, 2004 — Datinachvili, M. Lomidzé, T.(2004) Bien joué 2, cahier d'exercices 2, éd. Diogène.

დოლები, 2007 — Dollez, C. Pons S. (2007) «Alter ego», B2, Hachette.

ეკო, 2009 — Eco U. (2009) «Dire presque la même chose», Paris.

გრეიძას, 2007 — Greimas, Algirdas,(2007) Julien, Sémantique structurale, PUF.

ტრავერსო, 2004 — Traverso, V. (2004) Grille d'analyse des discours interactifs oraux, in ; Niveau B2 pour le français, Didier.

ზარატე, 1995 — Zarate, G. (1995), Représentations de l'étranger et

didactique des langues, Didier.

Cadre européen commun de référence pour les langues, conseil de l'Europe, 2000.

SYBILLA GUELADZE

The Role of the Press in Teaching a Foreign Language
(on the material of French)

Summary

In modern textbooks of the French language special emphasis is placed on true-to-life situations, the latter being an essential feature of present-day foreign language teaching methodology. The methodology in question embraces two aspects: functional (using a foreign language is purpose-oriented, i.e. it implies performing a particular function) and intellectual (every use of language is subject-oriented). The paper stresses the importance of different types of the Press (written, audio-visual) when teaching French. The given method enhances the learner's cultural awareness, helping him/her to interpret adequately messages in different culture-specific situations.

ირნე გოშევოლიანი

პლეონაზმი ყოველდღიურ ღისძურსში

სიტყვებს შორის პარადიგმატული ურთიერთობიმართებები ასახავენ სემანტიკურ მიმართებებს სხვადასხვა ენობრივ ერთეულებს შორის. ასეთი ურთიერთობების ერთ-ერთი სახეა პლეონაზმი.

პლეონაზმი (*pleonasmós*) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სიჭარბეს, სიუხვეს. ის პირველად გამოიყენეს 1610 წელს. ეს ტერმინი ლინგვისტიკაში გამოიყენება ჭარბსიტყვაობის გამოსახატვად. ზედმეტი და უსარგებლო სიტყვების, ზოგჯერ სინონიმების, ხმარება და-მახასიათებელია ყოველდღიური დისკურსისათვის. მას მეტყველების გასამძაფრებლად ან ემოციური ელფერის მისაცემადაც იყენებენ. პლეონაზმი ხშირად უნებურად გამოიყენება მოსაუბრის ან ავტორის მიერ, ზოგჯერ კი მაზანმიმართულად. ის რიტორიკული განმეორებაა, რომლის მიზანია ნათქვამი უფრო გასაგები და ადვილად აღქმადი იყოს განსაკუთრებით მაშინ, თუ რომელიმე სიტყვა უცნობია დისკურსში მნიშვილებისათვის. ხშირია შემთხვევა, როცა უცხოური სიტყვის მნიშვნელობის არცოდნა იწვევს პლეონაზმს. მაგალითად, დროის ქრონმეტრაჟი, ფასების პრეისკურანტი, უცნაური პარადოქსი და სხვა.

burning fire — მოგიზგიზე ცეცხლი; cash money — ნაღდი ფული; end result — საბოლოო შედეგი; all together — ყველა ერთად; invited guests — მოწვეული სტუმრები; Win a free gift — უფასო სჩიუქჩის მოგება; That is the *real truth* — ნამდვილი ჭიშმარიტება; I was thinking in my mind... ჩემს გონებაში ვფიქრობდი; I saw him do it with my own eyes — საკუთარი თვალით ვნახე; I am repeating it again — ამას ვიმეორებისევ / ხელმეორედ — პირადად მე, მაისის თვეში, სახელმწიფო ქონე-

ბის არაკანონიერი გაფლანგვა, საკუთარი გამოცდილების სხვებისთვის გაზიარება, მთელი ჩემი ცხოვრება სოფელში გავატარე და ა.შ.

პლეონაზმი ხშირია არა მარტო ყოველდღიურ დისკურსში არა-მედ ლიტერატურაში, პრესაში, პოლიტიკურ და რეკლამის დისკურს-ში. მაგალითად, **Please prepay in advance.**

გრაისის კონვერსაციული მაქსიმების მიხედვით, საუბრის დროს ადამიანმა თავი უნდა აარიდოს ჭარბისტყვაობას. ამ თეორიის თანახ-მად, მეტყველებისას ჩვენ უნდა დავიცვათ შემდეგი პრინციპები: კონ-პერაციულობის, ხარისხის, რაოდენობის, შესაბამისობისა და ქცევის მაქსიმები. აქედან რაოდენობის და ქცევის მაქსიმები ყველაზე ზუს-ტად განსაზღვრავენ პლეონაზმის საყითხს დისკურსში. ამ პრინციპე-ბის მიხედვით ჩვენ უნდა მოვერიდოთ ზედმეტი სიტყვების გამოყენე-ბას, უნდა გამოვთქვათ აზრი გარკვევით და არ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე მეტი, ვიდრე აუცილებელია მოცემულ სიტუაციაში ინფორმა-ციის გადასაცემად, აზრი ნათლად და ლაგონურად უნდა იყოს ჩამო-ყალიბებული, ის არ უნდა იყოს ორაზროვანი. თუ ამ მოთხოვნებს გავითვალსწინებთ, პლეონაზმის შემთხვევები იშვიათი იქნება. თუმცა მეტყველებაში პირიქით ხდება.

სენტ ეგზიუპერიმ ერთხელ თქვა „დიზანერმა კარგად იცის, რომ მან სრულყოფილებას მიაღწია არა იმით, რომ არაფერი აქვს დასამატებელი, არამედ იმით, რომ არაფერი აქვს ამოსაკლები“: ეს სიტყვები შეიძლება მიღუსადაგოთ პლეონაზმის შემთხვევებს წერით და ზეპირ დისკურსში.

პლეონაზმი ხშირად გამოიყენება მიზანმიმართულად სიტყვის ან ფრაზის ხაზგამისათვის. ზოგჯერ ის იდიომატურად გამოიყენება, მა-გალითად, a hot water heater. პლეონაზმს შეგვიძლია ტაგტოლოგიაც კი კუჭოდოთ, რადგან ისიც ნიშნავს სიტყვის ან აზრის გამეორებას. პლეონაზმი, ისევე როგორც ტაგტოლოგია, ხშირად გამოიყენება იუ-რიდიულ ლიტერატურაში სიტყვის ან აზრის ნათლად გადმოსაცემად. მაგალითად, will and testament, breaking and entering. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ენდან სიტყვების სესხებით ინგლი-სურში. როცა ძველად მწერლები ან მემატიანები იყენებდნენ უცხო-

ურ სიტყვებს, ისინი არ იყვნენ დარწმუნებული ამ სიტყვის ჰეშმა-რიტ მნიშვნელობაში, ამიტომ უცხოური სიტყვების, ლათინურისა და ფრანგულის, გვერდით ისინი ხმარობდნენ ინგლისურ სიტყვებს. ეს საშუალებას აღლევდა საშუალო კლასის ჭარბობადგენელ ინგლისელს გაეგო უცხოური სიტყვის მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში ჭარბისიტყვა-ობა, ანუ პლეონაზმი საგვებით გამართლებული იყო.

პლეონაზმი, მიუხედავად იმისა, რომ სტილისტურად გაუმარ-თლებელ ხერხად შეიძლება ჩავთვალოთ, ხშირად გამოიყენება მეტყვე-ლებაში გამოყენებული სიტყვის, ფრაზის, ზოგჯერ კი აზრის შესამოწ-მებლად. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება ტელეფონით საუბრის დროს, გაურკვევლი კალიგრაფიის ან მეტყველებაში სხვა ენებიდან ნაესხების სიტყვების მნიშვნელობის გადამოწმების მიზნით.

ხშირად ზედმეტად „მჟღვრეტყველი“ მოსაუბრე იმეორებს ერთსა და იმავეს სხვადასხვა სიტყვებით, რაც მის თავდაჭერლობაზე არ მე-ტყველებს და მის საუბარს არასასიმოვნოს ხდის. თუმცა, მეორე მხრივ, საუბრის ან წერის დროს თუ სიტყვებს გამოზომილად და ძუნწად გამოიყენებთ და იდიომებს შეკვეცავთ, მეტყველება არაბუ-ნებრივი იქნება. მაგალითად მოვიყვან safe haven, tuna fish, chop and change, toil and moil, by and by, Bureaucrats cut red tape, PIN number — Personal Identification number, "off of" ფრაზიდან keep the cat off of the couch ინგლისური ფრაზული ზმნა keep off და მოძრაობა — of the couch სხვა.

არსებობს სინტაქსური და სემანტიკური პლეონაზმი. სინტაქსუ-რი, ანუ გრამატიკული პლეონაზმი ხშირია ინგლისურ ენაში ფუნქცი-ური სიტყვების გამოყენების სიშირის გამო. მაგალითად,

I'm going to go ahead and send you the email; keep the cat off of the couch; Put that glass over there on the table; I know you are coming—I know that you are coming; I think you are right — I think that you are right; I'm going way down south; I just wanted to let you know that I love your present

სემანტიკური პლეონაზმის გამოყენება ხშირად განპირობებულია სიტყვის აგებულებით. არა მარტო სიტყვები შედიან პლეონაზმის ჯგუფში, არამედ მორფემებიც. ამერიკულ დიალექტებში "-al-" სუფიქ-სის ჭარბად გამოყენება შეიმჩნევა. განსაკუთრებით "-ic", "-ac" დაბო-

ლოებულ სიტყვებში, როგორიცაა, publicly ნაცვლად publicly. ჩნდება კითხვა, რომელი არის სწორი ფორმა: maniacally თუ maniacally, forensically თუ forensically, heroically თუ heroically"; სიტყვა forensical არ ასებობს, ამიტომ სუფიქსი -ally შეიძლება არასწორად მოგზებენოთ, თუმცა forensically არის ლექსიკონში დაფიქსირებული სიტყვა. გასათვალისწინებელია"-ic", "-ac" დაბოლოებების არსებობა, ზოგ შემთხვევაში სიტყვა არ მთავრდება -ical-ზე როგორც სიტყვა maniacal-maniacally. მოუხედავად, იმისა რომ აღნიშნული სიტყვები publically, maniacally, forensically, heroically და ა.შ. არასწორია, ისინი ხშირად გამოიყენება მეტყველებაში, ამიტომ ვთვლით, რომ ადგილი აქვს მორფების პლეონაზმურ ხმარებას. მსგავსი პლეონაზმური მორფება არის ir- სიტყვაში regardless, რომელიც ნაწარმოებია მცდარად irrespective სიტყვის გავლენით.

ხშირია სინონიმური წყვილების პლეონაზმური შეწყვილება, რომლებიც აძლიერებენ იდეას ორი მსგავსი მნიშვნელობის შესიტყვებებით. ერთგვარი რითმი საშუალებას იძლევა ადვილად დავიმახსოვროთ ისინი: by leaps and bounds, to pick and choose, pure and simple, stuff and nonsense, bright and shining, far and away, proud and haughty, hale and hearty, with might and main, really and truly, hue and cry, act and deed.

პლეონაზმი ხშირად გვხვდება ფრაზის დონეზე. ასეთი გამოთქმები ზოგჯერ ხუმრიბადაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა ხშირია ყოველდღიურ დისკურსში.

"It's déjà vu all over again." My predictions about the future of politics; "I have heard of Thee by the hearing of the ear"

ბიზნესის ტერმინოლოგიისთვისაც არ არის უცხო პლეონაზმური გამოთქმების გამოყენება, მაგალითად,

absolutely essential, adequate enough, advance warning, basic fundamentals, big in size combined together, consensus of opinion, each and every, exactly identical, few in number final outcome, grateful thanks, mutual cooperation, necessary prerequisite new beginning, past history, reason why, red in color, refer back, repeat again

წარმოგიდგენთ ყველაზე გავრცელებულ პლეონაზმებს, რომლებიც არა მარტო ყოველდღიურ დისკურსში გვხვდება, არამედ ოფიცი-

ალურ დოკუმენტებშიც.

(actual) experience; (advance) planning; (advance) reservations; (advance) warning ; all meet (together); (armed) gunman; at (12) midnight; at (12) noon; autobiography (of my life) (awkward) predicament; (baby) boy was born; (basic) fundamentals; cheap (price); (close) proximity; cold (temperature); commute (back and forth); consensus (of opinion) (difficult) dilemma; ყოველდღიურ დისკურსში პლეონაზმების გამოყენება იმდენად ხშირია, რომ მსმენელის გაოცებას არ იწვევს.

1.The vegetable seller who is selling vegetables, used to go to work in the very early morning. The vegetable seller, used to go to work in the very early morning.

2.The unfortunate man, who was unlucky, lost his watch yesterday.

The unfortunate man lost his watch yesterday.

3. Many uneducated old women and men, who had never attended school, wanted to learn and write the English language. Many uneducated old women and men, wanted to learn and write the English language.

4. Tiny little town – Tiny town

ინტერნეტში მოვიძეთ ცნობილი ადამიანების გამონათქვამები, რომლებშიც შეგვხდა პლეონაზმები:

"And that's a self-portrait of himself, by himself." Richard Madeley
"It looks like being a busy weekend on the ferries, particularly Saturday and Sunday." Peter Powell
"It was a sudden and unexpected surprise." Old Bailey Correspondent for the BBC
"I never make predictions, especially about the future." Samuel Goldwyn
"Anyone who goes to a psychiatrist ought to have his head examined." Samuel Goldwyn
"Sometimes you can observe a lot just by watching." Yogi Berra
"If we do not succeed, we run the risk of failure." Former Vice-President Dan Quayle
"They've written their own number – it's an original number and it's written by themselves." Jenny Lee-Wright
"So the VAT [Tax] increase on a secondhand car is just another added addition." Adrian Love
"Just look at that [ice skating result]. Nine 'six' marks, every one of them a 'six'."
Alan Weeks

პლეონაზმი ხშირად გვხვდება აქრონიმებში:

She is infected with the **HIV virus**.— "Human Immunodeficiency Virus virus". "I forgot my **PIN number** for the **ATM machine**.—"Personal Identifi-

fication Number number", "Automated Teller Machine machine". "I upgraded the **RAM memory** of my computer."— "Random Access Memory memory". SIN number—Social Insurance Number number

პლეონაზმად შეიძლება მიგიჩნიოთ წინადადებაში სინონიმური წყვილების გამოყენება, თუმცა ისინი კონოტაციური მნიშვნელობით განსხვავდებიან. მაგალითად,

His eyes sparkled with amusement, merriment, high spirits, and happiness.

His eyes glittered with anger, rage, hatred and malice.

He loved, admired, adored and worshiped her.

ამ შემთხვევაში სინონიმური წყვილების გამოყენება მათი მნიშვნელობის ტაქსონიმური გრადაციის მიხედვით გამოხატავს ძლიერ ემოციას, გრძნობას და სტილისტურ ხერხად მიიჩნევა.

ამრიგად, პლეონაზმის გამოყენება ყოველდღიურ დისკურსში სხვადასხვა გარემოებით არის ნაკარნახევი. ხშირად ეს გამოწვეულია 1. დაბალი კულტურით და გაუნათლებლობით; 2. მცდელობით უცხოური სიტყვა ავტსათ მშობლიურით; 3. სტილისტური ხერხით; 3. სინონიმების არცოდნით; 4. ნასესხები სიტყვებისა და ბუნდოვანი მნიშვნელობის მქონე ნეოლოგიზმების სიჭარბით ენაში; 5. ლექსიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმების დარღვევით.

ლიტერატურა

ბრაუნი, 2006 — Gillian Brown. George Yule. Discourse Analysis. Cambridge University Press. 2006.

კრუსი, 2000 — D. Alan Cruse, Meaning in Language. An Introduction to Semantics and Pragmatics. Oxford University Press 2000.

ლობნერი, 2002 — S. Lobner. Understanding Semantics. Oxford University Press. 2002.

IRINE GOSHKHETELIANI

Pleonasm in Every Day Discourse

Summary

One of the types of paradigmatic semantic relations is pleonasm (from Greek *pleonasmos* meaning redundant, superfluous). In linguistics the term in question is used in reference to volubility. The latter being frequently encountered in every day speech: the use of redundant and empty words, sets of synonyms can be purposeful as well as subconscious. A purposefully used pleonasm has a rhetorical loading, it serves to make utterances emotionally charged or more easily understandable, especially in those cases when a lexical unit needs explication. Pleonasm can be of syntactic and semantic types.

რიცხვ დარასალია

**ინიციაციის არჩევითი ს. ტ. პოლრიზის პოემაში
„ბებერი მეზღვაურის ლექსი“**

ინგლისელი რომანტიკოსი პოეტის, ლიტერატურის კრიტიკოსისა და მთაზროვნის სემუელ ტეილორ კოლრიზის პოემა „ბებერი მეზღვაურის ლექსი“ გამოცემისთანავე (1798 წელი, სემუელ კოლრიზისა და უილიამ უორდსუორთის მიერ გამოცემული „ლირიული ბალადები“) დისკუსიისა და კრიტიკის საგნად იქცა. პოემის ფორმისა და სიუჟეტის უჩვეულობა, სტილიზებული თხრობის მანერა, შთამბეჭდავი, მოულოდნელი მეტაფორები კრიტიკოსებსა და მკითხველებში ორაზროვან დამოკიდებულებას იწვევდა: ერთი მხრივ, ისინი მონუსხულები იყვნენ კოლრიზის ქმნილებით, მეორე მხრივ, კი უძნელდებოდათ ნოვატორული პოემის ადეკვატური ინტერპრეტაცია. თვით უ-უორდსუორთიც კი, რომელიც გარკვეულწილად მონაწილეობდა აღნიშნული პოემის სიუჟეტური მონახაზის შექმნაში (გორბუნოვი, სოლოვიოვა 1981), აღნიშნავდა, რომ მისი მეგობრის ნაწარმოებს ბევრი ნაკლი პქნდა და კრებულის აღნიშნული პოემით დაწყება შეცდომა და კრებულისათვის ზიანის მომტანი იყო, ვინაიდან პოემის უცნაურობა და არქაიზმების სიჭარბე აფრთხობდა მკითხველს და ის კრებულს ბოლომდე არ ეცნობოდა. თუმცა, უორდსუორთი ასევე ხაზის უსვამს პოემის ლექსთწყობისა და ენის სიმშვენიერეს, მასში წარმოდგენილი ხატებისა და სახეების ხატოვანებას, კერძოდ, ის წერდა:

Yet the Poem contains many delicate touches of passion, and indeed the passion is every where true to nature, a great number of the stanzas present beautiful images, and are expressed with unusual felicity of language; and the versification, though the metre is itself unfit for long poems, is harmonious and artfully varied, exhibiting the utmost powers of that metre, and every variety of which it is capable. It therefore appeared to me that these several me-

rits (the first of which, namely that of the passion, is of the highest kind) gave to the Poem a value which is not often possessed by better Poems (ინტ.წყ.).

კოლრიზი რამდენიმე წლის განმავლობაში ხვეწდა პოემას: შეამცირა არქაიზმებისა და სტრიქონების რაოდენობა, ამოიღო დასკვნითი ნაწილი, „Argument“ (1802), ხოლო 1817 წლის გამოცემაში (კრებული „Sybilline Leaves“) პოემას ლათინური ეპიგრაფი და მინდორზე განთავსებული ფიქციური ავტორის გლოსები დაამატა, რამაც ნაწარმოები კიდევ უფრო ექსტრაორდინარული გახადა; აღნიშნულს შედეგად ნაწარმოების საბოლოო ვარიანტში ჩადენილი ცოდვისათვის (მეზღვაურმა ალბატროსი მოკლა) ზღვად და შემდგომში მიწად სახეტიალოდ განწირული მეზღვაურის ამბავი თანადროულად ლექსისა და პროზაული ტექსტის მეშვეობით გადმოიცემა.

ცნობილია, რომ პოემის სიუჟეტი რამდენიმე წყაროს ეყრდნობა: ბებერი მეზღვაურის ატლანტიკის კუეანიდან წყნარ ოკეანეში მოგზაურობის აღსაწერად კოლრიზი გეოგრაფიულ წყაროებს მიმართავს: აქ რამდენიმე წიგნი უნდა დავასახელოთ: ჭეიმს კუკის „მოგზაურობა წყნარ ოკეანეში 1776-1780 წლებში“, ჯორჯ შევლოკის „მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო დიდი სამხერთის ზღვის გავლით“, ფ. მარტენსის „მოგზაურობა შპიცენბერგენზე და გრენლანდიაში“ და ასევე ლონდონის სამეფო აკადემიის ჩანაწერები და ანგარიშები. საურადღებოა, რომ, პოემის საკვანძო და მთავარი მოქმედი პირისათვის საბედისწერო ეპიზოდი — გემზე ალბატროსის გამოჩენა და მეზღვაურის მიერ მისი მოკვლა — გ. შევლოკის წიგნში აღწერილ ისტორიას ეფუძნება.

კ. კოლრიზი გეოგრაფიული სიზუსტით წარმოგვიდგენს ხომალდის გადაადგილებას სამხერთისაკენ, პორნის კონცხის მიმართულებით, ამას მზის აღწერით, ხომალდის მიმართ მისი მდებარეობის ჩვენებით აღწევს:

The Sun now rose upon the right:

Out of the sea came he,

Still hid in mist and on the left

Went down into the sea.

ხშირ შემთხვევაში, ის, რაც, სიურრეალისტურ მარინისტულ პეი-

ზაჟად ალიქმება (ლპობადი ზღვა, წებოვანი, სლიკინა ზღვის არსებები), სინამდვილეში მოგზაურთა ჩანაწერებზე დაფუძნებული აღწერაა.

მეორე მნიშვნელოვანი წყარო თავად კოლრიჯის განუხორციელებელი ნაწარმოებების მოსამზადებელი მასალაა; პოეტი გეგმავდა, ერთი მხრივ, მზეზე, მთვარესა და სტიქიებზე ჰიმნების, ხოლო, მეორე მხრივ, მზეზე, სტიქიების სტილში ბოროტების არსის შესახებ ეპობების შექმნას.

ასევე უნდა აღინიშნოს კოლრიჯის გატაცება კაენის სახით, უილიამ უორდსუორთთან ერთად იგი მუშაობდა თხზულებაზე The Wanderings of Cain (კაენის ხეტიალი), რომელიც ვერ განახორციელა და როგორც თავად აღნიშნავს, ყველაფერი ბებერი მეზღვაურის “შექმნით დასრულდა.

მკვლევრები პოემის ერთ-ერთ წყაროდ ქრისტიანული ფოლკლორის ნიმუშს „მოხეტიალე ებრაელის“; „მარად ურიას“ ლეგენდასაც (XIII ს) ასახელებენ; ლეგენდის თანახმად, გოლგოთას გზაზე მიმავალი ქრისტეს წვალებისათვის ებრაელი გაწირულია დედამიწაზე სახეტიალდ.

ნაწარმოებში კოლრიჯი აგრეთვე მიმართავს მეზღვაურთა ძველ თქმულებას მფრინავ ჰოლანდიელზე: გემ-აჩრდილზე, რომელსაც გარდაცვლილი მეზღვაურები მართავენ. უ-უორდსუორთის მოგონებებიდან ჩანს, რომ კოლრიჯი გატაცებული იყო ამ თემატიკით. ბებერი მეზღვაურის მიერ ჩადენილი ცოდვის გამო ხომალდის მთელი ეკიპაჟი ისჭება — მათ სიკვდილი და მისი თანმხლები ქალბატონი ცოცხალ-მკვდარი (Life-in-Death) დაეპატრონება: მეზღვაურებს სიკვდილი მოცელავს, ბებერი მეზღვაურის სასჯელი კი სიკვდილსა და სიცოცხლის ზღვარზე ყოფნაა, ანუ იგი თავად ცოცხალ-მკვდრად იქცევა.

Her lips were red , her looks were free.
Her locks were yellow as gold:
Her skin was as white as leprosy.
The Night-mare LIFE-IN-DEATH
was she.

Who thicks man's blood with cold.

მკვლევრები ასევე ყურადღებას ამახვილებენ კოლრიჯის გოთიკუ-

რი სტილით გატაცებაზე.

ლიტერატურის კრიტიკაში პოემის სხვადასხვა ინტერპრეტაცია არსებობს (ზაგანი, 1981; რუბასკი, 2004). ინტერპრეტაციისას ზოგიერთი მკვლევარი ეყრდნობა კოლრიჯის მიერ გამოყენებულ წყაროებს, კრიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ითვალისწინებს რა კოლრიჯის გატაცებას მიმდინარებით „მაღალი კრიტიკა“, რომელიც ბიბლიური ტექსტების ანალიზა და ინტერპრეტაციას ეფუძნება, განიხილავს პოემას, როგორც ქრისტიანულ ალეგორიას და კოლრიჯის მდგრადობას მოახდინოს ბიბლიური ნარატივის იმიტაცია. საყურადღებოა, რომ სწორედ ზემონახსნები მიმდინარეობის ზეგავლენით დაურთო კოლრიჯმა კომენტარები პოემას. გლოსების დართვით, და ბიბლიურ ნარატივთან ნაწარმოების ქარგის მიახლოებით, პოეტი თითქოს ცდილობს მიგვანიშნოს, რომ ბიბლიური ტექსტის მსგავსად, მისი პოემის ინტერპრეტაცია არის არა სტატიკური, არამედ დინამიკური პროცესი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას გააანალიზოს „ბებერი მეზღვაურის ლექსი“ ერთ-ერთი არქეტიპის, ინიციაციის არქეტიპისა და მასთან დაკავშირებული კონცეპტუალური მეტაფორების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლრიჯის ნაწარმოები გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს ექსტერის წიგნის ძველ ინგლისურ პოემებთან „მოხეტიალე“ („The Wanderer“), „მეზღვაური“ („The Seafarer“), „ცოლის გოდება“ („The Wife's Lament“) და „ქმრის უსტარი“ („The Husband's Message“). ჩემი დაკვირვებით, სწორედ ინიციაციის კონცეპტუალური მეტაფორები ინიციაცია — გზაა მოგზაურობაა და ინიციაცია—ზღვით მოგზაურობაა — ქმნის აღნიშნული პოემების კონიტურ სტრუქტურას, ფრეიმს (დარასელია, 2010).

ინიციაციის არქეტიპი, რომელიც სპეციალური ლიტერატურის შესწავლისა და ჩატარებული ანალიზის საფუძველზე სამწევრა სტრუქტურის სახით დაკარგვა-ძებნა-ძოგნა (გამსახურდია, 1991; ელიადე, 1956; პროპი, 1984) შეიძლება წარმოვადგინოთ, კონცეპტუალური მეტაფორების გარკვეული სიმრავლისაგან შედგება.

როგორც ცნობილია, კონცეპტუალური მეტაფორის თეორია ყურადღებას ამახვილებს კონცეპტუალურ სფეროებს შორის არსებულ კონიტურ ანასახზე (cognitive mapping). მეტაფორა მიჩნეულია კონიტური სფეროების სტრუქტურირებისა და აბსტრაქტული ცნებების განვითარების მნიშვნელოვან საშუალებად. კონცეპტუალური მეტაფორა გულისხმობს სისტემატურ მიმართებას საწყისს, წყაროს ფუნქციის მქონე სფეროსა (source domain) და სამიზნე სფეროს (target domain) შორის (ლეიკოფი, 1993; ლეიკოფი, კონსონი, 1980; სტრაული, 2005) კონცეპტუალურ მეტაფორებში **ინიციაცია-გზაა/ მოგზაურობაა და ინიციაცია- ზღვით მოგზაურობაა, საწყის სფეროს/ წყაროს წარმოადგენს გზა, ზღვით მოგზაურობა, სამიზნე სფეროს კი ინიციაციის პროცესი/ სულიერი განწმენდის პროცესია.** შესაბამისად, ინიციაციის გზაზე მყოფი პიროვნება, ადეპტი — მოგზაურია, მეზღვაურია. ზღვა — ქტონური სამყაროს სიმბოლოა, იგი ინდივიდის ქვენა გრძნობებს წარმოადგენს.

ინიციაციის პროცესს წინ უსწრებს **სულიერი ჰარმონიის, დათიური საწყისის დაკარგვა**, რაც მითოლოგიასა და კადიონურ ზღაპრებში (რომლებიც პროფანირებულ მითებს წარმოადგენენ, ბიდერმანი, 1993, 124) და მსოფლიო ორიტერატურის ბევრ ნიმუშში სიმბოლურად საგანძურის/სატრაფოს/ოქროს საწმისის/გრალისა და სხვ დაკარგვით გამოიხატება. აქედან გამომდინარე ინიციაციის მიზანი — სულიერი განწმენდა, ხშირად წარმოდგენილია როგორც დაკარგული საგანძურის/სატრაფოს/გრალის/ და ა.შ **ძებნის პროცესი** (გამსახურდია, 1991). ძებნის პროცესთან (სულიერ განწმენდასთან) დაკავშირებული სირთულეები მეტაფორულად სხვადასხვანირად არის წარმოდგენილი: ურჩეულთან შებრძოლება და მისი დამარცხება, ქვესკნელთ ჩასვლა, ზღვად ან მიწად ხეტიალი, რთული მენტალური პრობლემის გადაჭრა (გამოცანების ამოხსნა) და სხვ.

ბოგნა ხშირ შემთხვევაში სრულდება მიწიერი ქორწინებით, რაც სიმბოლურად ღვთიურ ქორწინებას *hieros gamos* გულისხმობს. ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ მიწიერი ქორწილის სცენები ქმნიან ერთგვარ ფონს მეზღვაურის ამბისთვის. საყურადღებოა ის ფაქტიც,

რომ ბებერი მეზღვაური თავის ისტორიას ერთ-ერთ მექორწილეს უკვება. პოემის ერთ-ერთ დამაბოლოვებელ სტროფში, ჩემი თვალსაზრისით, მოცემულია ზეციური და მიწიერი ქორწინების იმპლიკაციური შედარება:

O sweeter than the marriage-feast,
Tis sweeter far to me,
To walk together to the kirk
With a goodly company!

შეიძლება ითქვას, რომ ინიციაციის მეტაფორების შემთხვევაში მაკროკოსმოსი წარმოადგენს წყაროს, საწყისს სფეროს, ინდივიდის მიკროკოსმოსი კი სამიზნე სფეროს.

სავსებით დასაშვებია, რომ, ბებერი მეზღვაურის ლექსში¹⁰, კოლ-ჩიქმა, ცნობიერად თუ არაცნობიერად, მოახდინა ინიციაციის არქეტიპის, როგორც კოლექტიური არაცნობიერის ერთ-ერთი ერთეულის, აქტუალიზაცია. თავად საღთო წერილიც, კი, რომლის ალეგორიული ინტერპრეტაციით ასე გატაცებული იყო კოლრიგი, ხომ ინიციაციის არქეტიპს ეფუძნება. პოემაში ინიციაციის არქეტიპის სამწვრა სტრუქტურიდან ორია წარმოდგენილი — **დაკარგვა და ძებნა**.

დაკარგვა: მთავარი მოქმედი პირის მიერ ღვთიური საწყისის დაკარგვა მეტაფორულად მეზღვაურის მიერ ალბატროსის მოკვლით არის წარმოდგენილი; ის, რომ ალბატროსი ღვთიურ საწყისს განასახიერებს, ალბატროსის სახელდებაში ჩანს the pious bird of good omen (კეთილის მაუწყებელი ღვთიური ფრინველი), a Christian soul (ქრისტიანი სული). ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ წარმართულ და ქრისტიანულ სიმბოლიკაში ფრინველი სულის სიმბოლოა (ბიდერმანი, 1992, 39). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ფრინველის აღნიშნულ სიმბოლურ დატვირთვას ვხვდებით ქველ ინგლისურ პოემაში „**მეზღვაური**“:

At length did cross an Albatross,
Through the fog in came:
As if it had been a Christian soul,
We hailed it in God's name

ალბატროსის მოკვლით ბებერი მეზღვაური არღვევს იმ ჰარმონიას, რომელიც ადამიანსა და ღვთის მიერ შექმნილ სამყაროს შორის

არსებობს. ალბატროსის მოკვლა მეზღვაურისთვის მძიმე ჯვარია, ნაწარმოებში ეს როგორც პირდაპირი ხერხით (განრისხებული მეზღვაურები ალბატროსის გვამს კისერზე დაჰკიდებენ ბებერ მეზღვაურს), ასევე მეტაფორულად არის წარმოდგენილი:

Ah! well a-day! what evil looks
Had I from old and young!
Instead of the cross, the Albatross
About my neck was hung.

ძებნა: ინიციაციის პროცესის სირთულეების გაღმოსაცემად კოლრიჭი, ერთი მხრივ, მიმართავს ფართოდ გაფრცელებულ კონცეტუალურ მეტაფორას: ინიციაციის პროცესი — ზღვით მოგზაურობაა; (ზღვა, როგორც უკვე აღინიშნა და როგორც ცნობილია, ქტონური სამყაროს სიმბოლოა).. მეორე მხრივ, კოლრიჭი იყენებს ასევე ფართოდ გაფრცელებულ მეტაფორას, რომელიც სულიერ განწმენდას ხელით დაბადებასთან აერთდაიგვეებს: ჩადენილი ცოდვის გამო ბებერი მეზღვაური მიცვალებულთა და აჩრდილთა სამყაროში ექცევა, ის ცოცხალ-მკვდრად იქცევა; აღნიშნულ ეპიზოდში პოეტი მიმართავს პერსონიფიკაციას, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება კონცეპტუალურ მეტაფორებს: სიკვდილი-პიროვნებაა, სიკვდილ-სიცოცხლე — ქალბატონია. შეცდომის გაცნობიერება და ცოდვის მონანიება საწყისია მეზღვაურის სულიერი განწმენდისა:

He prayeth best, who loveth best
All things both great and small;
For the dear God who loveth us,
He made and loveth all.

მხურვალე ლოცვა მას ნაწილობრივ უმსუბუქებს სასწელს; აღნიშნულის გამოსახატავად პოეტი კვლავ მიმართავს, როგორც პირდაპირ, ასევე მეტაფორულ ხერხს: აღვლენილი ლოცვისთანვე ალბატროსის გვამი სცილდება მეზღვაურის კისერს და ტყვიასავით ეშვება ზღვაში; მეზღვაურს ასევე სერაფიმთა გუნდის ხილვა აქვს:

The self-same momentI could pray;
And from my neck so free
The Albatross fell off, and sank
Like lead into the sea.

Each corse lay flat, lifeless and flat,
And, by the holy rood!
A man all light, a seraph-man,
On every corse there stood

თუმცა ბებერი მეზღვაურისათვის სულიერი განწმენდის პროცესი არ დასრულებულა: მას გარკვეული მისია ეკისრება: მან უნდა განაგრძოს დედამიწაზე ხეტიალი, ადამიანებს თავისი ამბავი მოუთხროს და მოუწოდოს ლოცვისა და რელიგიური ცხოვრებისაკენ:

To walk together to the kirk,
And all together pray,
While each to his great Father bends,
Old men; and babes,
and loving friends

And youth and maidens gay!

ზემომყვანილი სტრიქონებიდან ნათლად ჩანს, რომ ბებერი მეზღვაურის მიზანი ღვთიური ქორწინებაა, ღვთიური საწყისის დაბრუნებაა.

ამრიგად, თავის პოემაში „ბებერი მეზღვაურის ლექსი“ ს. ტ. კოლრიჭი ახდენს ინიციაციის არქეტიპისა და მასთან დაკავშირებული კონცეპტუალური მეტაფორების აქტუალიზაციას; აღნიშნული არქეტიპი ასახავს ისტორიას, დრამას ადამიანის სულისა, მის ცოდვადაცემას და კვლავ აღზევებას — ეს მარადიული ოქმა, საუკუნეების მანძილზე იზიდავდა და კვლავ მიიზიდავს სხვადასხვა ქვეყნისა და აღმსარებლობის შემოქმედებს.

ლიტერატურა

ბეილი, 1912 — Bayley, H., 1912, The Lost Language of Symbolism, London.

ბიდერმანი, 1992 — Biedermann, H., Dictionary of Symbolism, Hertfordshire: Wordsworth Reference

გამსახურდია, 1991 — ზვ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, თბილისი: მეცნიერება.

გორბუნოვი, სოლოვიოვა, 1981 — , . . . , . . . , in Coleridge S.T., Verse and Prose, Moscow: Progress Publishers.

დარასელია, 2010 — Daraselia, N., Metaphors of Initiation in Some Old English Poems, in The Stockholm 2010 Metaphor Festival, Abstracts, Stockholm: Stockholm University Press, p.22-23.

ელიადე, 1956 — Eliade, M., Rites and Symbols of Initiation, New York.

თულანი, 1989 — Toolan, Michael, J. Narrative. A Critical Linguistic Introduction. Routledge: London & New York.

კოლრიდგი, 1981 — Coleridge, S.T., Verse and Prose, Moscow:Progress Publishers.

ლეიქოფვი, 1993 — Lakoff, George. "The Contemporary Theory of Metaphor", in Ortony, Andrew (ed.), Metaphor and Thought. Cambridge: CUP.

ლეიქოფვი, ჯონსონი, 1980 — Lakoff, George & Mark Johnson. Metaphors We Live By. Chicago: University of Chicago Press.

მაკანი, 1981 — McGann, J., The Meaning of the Ancient Mariner, in Critical Inquiry 8, Autumn.

ბრობი, 1984 — ზღაპრის მორფოლოგია, თბილისი: მეცნიერება

რუბასკი, 2004 — Rubasky, E.A. The Rime of the Ancient Mariner: Coleridge's Multiple Models of Interpretation, in The Coleridge's Bulletin, New Series 24(NS), Winter, p19-28..

სტოკელი, 2005 — Stockwell, Peter. Cognitive Poetics An introduction. Routledge : London &New York.

ინტერნეტ წყარო *The Rime of the Ancient Mariner*, en. wikipedia.org/wiki (gamoZaxeba 2012, 1-10 aprilii).

been explored from the standpoints of conceptual metaphor theory and cognitive poetics. The study displays the archetype of initiation, the elements of the initiation frame being revealed in the plot structure of the poem as well as in its tropology.

On the basis of scholarly literature and the observations carried out on the corpus of world literature the structure of the initiation frame has been stated as follows:

1. Loss of divine knowledge, divine mentality.
2. Quest full of hardships for its return.
3. Finding and gaining back the lost wisdom.

Each of the episodes is associated with a number of conceptual metaphors. The poetic narrative in "The Rime of the Ancient Mariner" presents the first two elements of the initiation frame. The Loss of divine knowledge, divine mentality, spiritual harmony between man and God is symbolized by the ancient mariner killing an albatross, the latter being referred to as a pious bird, a Christian soul. The Quest episode is conveyed by means of the conceptual metaphor: Initiation process is a sea journey, sea standing for the chthonic aspect of the unconscious; the introduction of such characters as the Spectre-Woman (Life-In-Death) and her Death-mate serves as an allusion to the descent into the underworld, one of the impediments on the path to the purification. The concluding lines of the poem make it clear that the ultimate goal of the mariner is return to the ancestral heavenly life, the union of the soul with God, holy marriage hieros gamos. It is noteworthy that the poem implies a contrast between an earthly marriage and that of the holy one.

NINO DARASELIA

The Archetype of Initiation in S.T. Coleridge's "The Rime of the Ancient Mariner"

Summary

The paper is an attempt to prove that the archetype of initiation as well as the conceptual metaphors associated with it form the cognitive basis of S.T. Coleridge's poem 'The Rime of the Ancient Mariner'. The poem has

0რიცხვ ღებულობა

გამხნევების გამოხატვის საშუალებები ინგლისურ
და ჩართულ ენებზე

რომ გურული ხვდება ერთმანეთს:

- როგორ არის შენი ცოლი?
- გარდაიცვალა
- რას ამბობ, კაცო, რით?
- გრიპით.
- მაი აფერი!

გურული ანუდოტი

თანამედროვე მსოფლიოში ადამიანების ცხოვრება აღსავსეა სტრესული სიტუაციებით და პრობლემებით. შესაბამისად, გამხნევება ყველას სჭირდება ამა თუ იმ სიტუაციაში. გამამხნევებელი გამონათქმები იძღვნად საჭირო გახდა, რომ ამჟამად არსებობს უამრავი ინტერნეტ-გვერდი, სადაც უხვადა გამამხნევებელი სიტყვები, ანდაზები, ცნობილი ადამიანების ციტატები, ქრისტიანული თანადგომის სპეციალური ვებგვერდებიც კი არსებობს, სადაც ბიბლიიდან აღებული გამამხნევებელი ციტატები ასობით არის მოყვანილი. ვებგვერდები მოიცავს შემდეგ პუნქტებს: გამამხნევებელი ფრაზები ყოველდღიურ სიტუაციაში, მეგობრების გამხნევება, ნათესავების გამხნევება, განსაკუთრებით მგრძნობიარე ადამიანების გამხნევება, გამხნევება კეთილი სურვილებით, გამხნევება წერილობითი ფორმით, გამხნევება იუმორის მეშვეობით, შთაგონება და მოტივირება, გამხნევება დილით, გამხნევება საახალწლოდ, გამხნევება სწრაფად და მოკლედ, მასწავლებლის მიერ მოსწავლის გამხნევება, სითბოს გამოხატვა, გამხნევება ჩურჩულით, გამხნევება უიღბლო სიყვარულის დროს, გამხნევება უმუშევრობის დროს ან ახალი სამსახურის დაწყების წინ, მოზარდებისა და მო-

ხუცების გამხნევება, მეზღვაურებისა და ჭარისკაცების გამხნევება და მრავალი სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ რობინ ლეიკოვის მიერ შემოთავაზებული „თავაზიანობის წესების“ მესამე პუნქტია „კარგი განწყობა შეუქმენი შენს თანამოსაუბრეს“ (ლეიკოვი, 1980). ამდენად, გამხნევების შემცველი გამონათქვამები თავაზიანობის ფორმულების და სამეტყველო ეტიკეტის განუყოფელი ნაწილია.

როგორც სამეტყველო აქტი, გამხნევება შედის ბიპებიტივების ჯგუფში. კ. ოსტინის მიერ გამოყოფილი გამამხნევებელი ზმნები შემდეგია: *condole, commiserate, compliment, sympathize* (ოსტინი, 1965) გამხნევების სამეტყველო აქტების ილოკუცია არა მსმენლის თანაგრძნობა, პერლოკუციური ეფექტი კი — აღრესატის მაღლიერება და მისი ტკივილი შემსუბუქება.

ადამიანს ოდითვანებები აქებს იმის მოთხოვნილება, რომ გამოიჩინოს გულისხმიერება თანამოძმეთა მიმართ. ამასთან დაკავშირებით, ყველა ენაში არსებობს სიტყვებისა და გამოთქმების მთელი წყება, რომელთა საშუალებითაც აღმიანები ერთმანეთის მიმართ კეთილ სურვილებს გამოხატავენ. ამ გამოთქმების დიდი ნაწილი კარგ ილბალთანაა დაკავშირებული. ინგლისურ ენაში კეთილი სურვილის გამომხატველ გამოთქმებში ღომინირებებს სიტყვა „luck“, „Good Luck!“, „Best of Luck!“, „I wish you luck!“. რაიმე მნიშვნელოვანი საქმის წამოწყების წინ ინგლისელები ცდილობენ წაახალისონ ნაცნობ-მეგობრები ფრაზით „I'll keep my fingers crossed for you“.

გამხნევების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იუმორს, რამდენადაც, როგორც ცნობილია, იუმორი სტრესისგან გათავისუფლების საუკეთესო საშუალებაა. გამხნევებისას აუცილებელია შესაფრის დროს სწორი გამონათქვამის შერჩევა. ეს განსაკუთრებით ეხება იუმორის გამოყენების შემთხვევებს, რადგან არასწორმა ხუმრობაში შესაძლოა სტრესული სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმოს და გაანაწყენოს ადრესატი.

ზოგი ადამიანი ძლიერ განიცდის სიბერის მოახლოებას, ამიტომ დაბადების დღეს ცუდ ხასიათზეა, ასეთ შემთხვევაში ბრიტანელები

შემდეგი სიტყვებით ამხნევებენ იუბილარს: „You are not getting older but just getting more experienced“. ქალბატონებს, რომლებიც წუხან გარეგნობაზე, ასე ამხნევებენ: „რას ამბობ, ძალიან ლამაზი ხარ!“ „თმა ასეც გიხდება“ „მერე რა, რომ წონაში ცოტა მოიმატე, ძალიანაც კარგად გამოიყურები“ და სხვა. ქალბატონები ასევე ხშირად განიცდიან კულინარიულ წარუმატებლობას. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მათი გამხნევება ქათინაურებით: „რას ამბობ, სულაც არ არის დამწვარი, უბრალოდ შებრაწულია“, „სულაც არ ყლია მარილი“, „მწვანილის გარეშეც ძალიან გვერიელია“ და სხვა.

ბუნებრივია, თანადგომა და გამხნევება ყველაზე მეტად სჭირდება გასაჭირში მყოფ ადამიანს. ადამიანს, რომელსაც იღბალმა უმტკუნა, ამხნევებენ ფრაზით: „Better luck next time!“. თუ ადამიანი წარმატებას ვერ მიაღწევს რაიმე სფეროში, მას სხვა სფეროში უქადიან წარმატებას: „What you lose on the swings, you gain on the roundabouts“. „Unlucky at cards, lucky in love!“. გამხნევების პროცესში იმდენად მნიშვნელოვანია მომავალი წარმატების იმედი, რომ ამ სტრატეგიას კომპანიებიც მიმართავენ. მაგ. მოშეგბიანი გათამაშების დროს უიღბლობას გვიმსუბუქებს კოკა-კოლას თავსახურზე ამოტვიფრული „კიდევ სცადეთ“, რაც მომხმარებელს აღავსებს მომავალი მოგების იმედით და, ამასთან, შესანიშნავი მარკეტინგული სტრატეგიაცა.

ცალკე აღნიშვნის ლირსია ის შემთხვევები, როდესაც ადრესატის გამხნევება მის მიერ რაიმე საქმიანობის წარმატებით განხორციელებას ისახავს მიზნად. მაგალითად, მასწავლებლები ხშირად ამხნევებენ მოსწავლეებს კომპლიმენტით „That's a nice question“. ამით მასწავლებელი ხელს უწყობს იმას, რომ მოსწავლე გათამამდეს, არ მოერიდოს შეკითხვების დასმა და, საბოლოო ჯამში, უკეთ აითვისოს მასალა. ასევე მნიშვნელოვანია ბავშვის გამხნევება მისი პირველი, თუნდაც წარუმატებელი ნაშრომის შექმნით: „არა უშავს, პირველი ჭერისთვის ძალიან კარგია. თანდათან უკეთ გამოგივა“.

გამხნევების პროცესში დიდ როლს თამაშობს შორისდებულის შემცველი გამონათქმამები. ინგლისურში ასეთებია: „come on!“, „hip-hip“, „hurray“, „huzza“, „rah-rah“, „three cheers“, „whoopee“, „yay“,

„yell“, „yippee“ და მრავალი სხვა. ქართულშიც ბევრი გამამხნევებელი შორისდებული და შეძახილი არსებობს: „აბა“; „აბა ჰე და აბა ჰო“; „აბა შენ იცა“; „აბა, არ შემარცხეინ“, „აბა ჰე, მიდი“ და სხვა. გამამხნევებელი შეძახილები ძალზე მნიშვნელოვანია სპორტული თამაშებისა და შეკიბრებების დროს. საყარელი გუნდისა და სპორტსმენის გასამხნევებლად გულშემატკივარი გააჰვირის სპორტსმენის, მისი ქალაქის ან ქვეყნის სახელს. ამ ბოლო დროს ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის ძალზე გავრცელდა ასევე გამამხნევებელი შეძახილი „Ole!“, რომელიც ესპანური წარმოშობისაა და კორიდას უკავშირდება, მაგრამ ესპანური საფეხბურთო გუნდების წარმატებასთან ერთად ბევრ ქვეყანაში გახდა პოპულარული. სპორტსმენების გამხნევება ოდითგანვე იყო მნიშვნელოვანი. ყერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი ე.წ. „cheerleading“-ს, რომელიც იმდენად პოპულარული და მნიშვნელოვანი გახდა, რომ დღეს თვით „cheerleading“-ში ტარდება ჩემპიონატები.

ადამიანს, რომელსაც უსიმოვნება შეემთხვა, ინგლისელები ურჩევნ ნაკლებად იდარდოს და ფილოსოფიური სიმშეიდოთ აღიქვას მომხდარი. ასეთ შემთხვევებში ამბობენ: „Never mind;“ „Take it easy;“ „Don't worry;“ „Cheer up;“ „Stiff Upper lip;“ „There is no use grieving over it;“ „There's no use crying over spilt milk.“ ადამიანებს იმითაც ამხნევებენ, რომ ბევრად უარესი სიტუაციებიც არსებობს: „It might have been worse;“ ქართულში ასეთი გამამხნევებელი გამონათქმებები შემდეგია: „ნუ გეშინია“; „რა ვუყოფ მერე“; „ნუ ღელავ“; „ნუ ნერვიულობ“; „ხდება ხოლმე“; „გულს ნუ გაიტე“; „შენ არა ხარ პირველი და უკანასკნელი“; „ვის არ მოსვლია“; „უარესიც ხდება ხოლმე“; „კიდევ კარგად გადარჩენილხარ“ და სხვა.

გასაჭირში მყოფი ადამიანების გასამხნევებლად ასევე არსებობს ანდაზები, რომლებიც ადამიანებს ურჩევნ ცუდ სიტუაციაშიც დაინახონ რაიმე კარგი და სასარგებლო: „One must learn to make the best of a bad job“, „Every could has a silver lining“. ქართულში ამგვარი გამონათქმამია „ზოგი ჭირი მარგებელია“.

ცალკე განსახილველია ის შემთხვევები, როდესაც ავადმყოფს ამ-

ხნევებენ. ასეთ შემთხვევებში ინგლისელები ამბობენ: „I hope you're better soon“, „Get well soon“. ამ უკანასკნელ გამოთქმასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში ძალზე პოპულარულია სპეციალური საფოსტო ბარათები წარწერით „Get well soon“, რომლებსაც ავადმყოფ ადამიანებს უგავნიან. ქართველები ავადმყოფებს ამხნევებენ შემდეგნაირად: „ნუ გეშინია, ორ-სამ დღეში ჩიტივით იქნები“; „სულ მალე ფეხზე დადგები“; „აბა შენ იცი, მალე გამოჯანმრთელდი“ და სხვა. ასეთ შემთხვევებში სრულიად დასაშვებია, რომ დაირღვეს ჭ. ოსტინის მიერ შემოთავაზებული გამონათქვამის იღბლიანობის მესამე პირობა, კერძოდ, გულწრფელობის პირობა (ოსტინი, 1965). მთავარია არა ის, რომ ითქვას სიმართლე, არამედ ის, რომ ადრესატს ეჭვი არ შეეპაროს ჩვენს გულწრფელ სურვილში, გავამხნევოთ ავადმყოფი და გავიზიაროთ მისი ტკივილი.

ცხადია, განსაკუთრებული გამხნევება იმ ადამიანებს სჭირდებათ, რომლებმაც ახლობლები დაკარგეს. ასეთ სიტუაციაში ქართველები ამბობენ: „რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“; „ნუ გეშინია, მარტო არ ხარ, ჩვენ შენ გვერდით ვართ და არაფერს გაგიჭირვებთ“; „გამაგრდი, თავს მიხედე, შენ ახლა სჭირდები შვილებს“ და სხვა. ინგლისური ინტერნეტსაიტები კი უამრავ რჩევას იძლევიან იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოვაქცეთ მსგავს სიტუაციაში. ყველაზე გაგრცელებული ფრაზებია: „It was God's will“; „Time will heal“; „This must be very painful to you“; „It must be hard to accept“; „I really miss him. He was a special person“. ასევე მნიშვნელოვანია დახმარების შეთავაზება, რაც დამწუხრებულ ადამიანს აგრძნიბინებს, რომ ის მარტო არ არის: „If there's anything I can do, give me a call“; „May I go grocery shopping with you the first time you're out?“. ავტორი წიგნების სერიისა „How to Say It When You Don't Know What To Say“ რობი მიღერ კაბლანი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ სულაც არ არის აუცილებელი გამამხნევებელი ფრაზების წარმოთქმა და უფრო მნიშვნელოვანია მწუხარებაში მყოფი ადამიანის მოსმენა და უბრალოდ მის გვერდით ყოფნა (კაპლანი, 2004).

ვერბალური საშუალებების გარდა, გამხნევების პროცესში დიდ როლს თამაშობს კინესიკური სიგნალებიც, როგორიცაა მხარზე ხელის მოთათუნება, ღიმილი, ჩახუტება, თვალის ჩაკვრა, თავზე ხელის გადასმა და სხვა.

სიტუაციები, როდესაც ადამიანებს გამხნევება სჭირდებათ, იმდენად მრავალფეროვანია, რომ, ბუნებრივია, ერთი ნაშრომი ვერ დაიტევს გამამხნევებელი გამონათქვემების ამომწურავ სიას. ვფიქრობ, ზემომყვანილი მაგალითებიც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს გამხნევების ვერბალური თუ არავერბალური საშუალებები ამა თუ იმ ცხოვრებისეულ სიტუაციაში. გამამხნევებელი სიტყვები და ფრაზები უზვადაა როგორც ინგლისურში, ასევე ქართულშიც. მთავარია შესაფერის დროს შესაბამისი გამამხნევებელი გამონათქვამის შერჩევა, რაც გულისხმობს არა მარტო ენის სრულყოფილად ფლობას, არამედ შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიების სირღმისეულ ცოდნასაც.

ლიტერატურა

ლეიიფო 1980 — Lakoff, R.T.; When Talk Is Not Cheap; in “The State of Language” ed. by L. Michaele and Ch. Ricks. University of California Press; 1980

ოსტინი, 1965 — Austin, J.L. How to Do Things with Words; Oxford University Press. 1965

კაპლანი, 2004 — Kaplan R. M. “How to Say It When You Don't Know What To Say. The Right Words for Difficult Times”. Prentice Hall Press. 2004

ინტერნეტი

- www.wordsthatcomfort.com
- www.searchtherightwords.com
- www.letsencourage.com
- www.christianencouragement.net

The Ways of Expressing Encouragement in English and Georgian Languages

Summary

In everyday life each of us comes across situations when there is a need to encourage our friends and relatives. Encouragement is inalienable part of speech etiquette and politeness strategy. As speech acts, encouraging utterances fall into the group of behabitives. The paper deals with the verbal and nonverbal ways of encouragement in various situations related with luck, success, stress and grief. Apart from the analysis of encouragement words and phrases in English and Georgian, the paper focuses on communication strategies, humour and the factor of sincerity with regard to encouragement.

ნათია გასამე

ზოგი რამ პოლიტიკური პორეშოულობის შესახებ

თანმედროვე საზოგადოებაში ძალზე აქტუალური გახდა პოლიტიკური კორექტულობის ლინგვისტური პრობლემა. როგორც ცნობილია, პოლიტიკური კორექტულობა გულისხმობს ვერბალურ ქცევას, რომელიც გამოჩიტავს ნებისმიერი სახის ვერბალურ დისკრიმინაციას: რასობრივს, გენდერულს, რელიგიურს თუ პოლიტიკურს.

1793 წელს აშშ-ის უმაღლეს სასამართლოში საქმეზე „ჩიზპოლმი ჯორჯის წინააღმდეგ“ დაისვა პოლიტიკური კორექტულობის საკითხი. პროცესზე გაცხადებულ იქნა, რომ ხშირად, სიტყვა „სახელმწიფოს“ იმ ხალხის მნიშვნელობას ანიჭებენ, რომელთა კეთლდღეობაზე ზრუნვაც ეგაღებათ და, რაც სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. სასამართლოზე დაისვა საკითხი, გაესმართლებინათ ადამიანი, რომლის მიერ საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვაში „ამერიკის შეერთებული შტატები“ პოლიტიკურად არაკორექტულად იყო ნახსენები, როდესაც ცალსახად უნდა ყოფილიყო ნათქვამი „შეერთებული შტატების ხალხი“. სწორედ ამ სარჩელიდან გამომდინარე გაჩნდა ტერმინი „პოლიტიკური კორექტულობა“, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ჩვენს ეპოქაში.

პოლიტიკური კორექტულობის მიზანია გამოყენებიდან აღმოფხვრას ყველა ის ლექსიკური ერთეული, რომელიც შეუჩაփმოველია ცალკეული ინდივიდისათვის. ნაშრომში პოლიტიკური კორექტულობის ზოგადი მახასიათებლი განხილულია ინგლისურ და ქართულენოვანი მასალის გამოყენებით. საყურადღებოა, რომ ტერმინი წარმოიშვა ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა რასობრივად და ეთნიკურად მრავალფეროვნია და, შესაბამისად, ნაციონალური, კულტურული თუ ეთნიკური საკითხები მწვავე პრობლემას წარმოადგენს. სპე-

ციალური ლიტერატურისა და ემპირიული მასალის შესწავლის საფუძვლზე გამოყავი პოლიტიკური კორექტულობის შემდეგი სფეროები:

- I გენდერული,
- II სექსუალურ უმცირესობათა,
- III რასობრივი და
- IV. ფიზიკურ/მენტალური ნაკლის შემნები ინდივიდთა სფერო.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

I. გენდერული სფერო – გენდერული თანასწორობის პრობლემა აშშ-სა და ევროპაში აქტუალურ ელფერს იძენს მე-19 საუკუნის მიწურულს. გენდერული თანასწორობა მიზნად ისახავს საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების სრული მონაწილეობის წახალისებას. აქედან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის პრობლემა მიმართულია გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ.

შესაბამისად, გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს დასავლეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდა ფემინისტური მოძრაობა, რომლის შექმნაც განპირობებული იყო ქალთა უფლებების შეღახვით. კერძოდ კი, მდედრობითი სქესის წარმომადგენლების უფლებები მამრობითისგან მკვეთრად განსხვავდებოდა და ამ მოძრაობის წარმომადგენლების პროტესტი შემდეგ ციტატაშიც გამოიხატებოდა: „Feminism is the radical notion that women are people“.

ინგლისური ენის სპეციფიკიდან გამომდინარე და სოციალურ ცხოვრებაში მომზდარი ცვლილების გათვალისწინებით, ფემინისტები ცდილობდნენ ენიდან ამოელოთ ყველა ის ლინგვისტური ერთეული, რომელიც ქალებსა და მამაკაცებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებდა. კერძოდ:

ა) თანამედროვე ინგლისურში იყენებენ ქალბატონის მიმართვის ფორმას Ms., რომელშიც განსხვავებით ფორმებისა Mrs. და Miss არ ფიქსირდება ქალის ოჯახური მდგომარეობა.

ბ) პროფესიის აღმნიშვნელი რთული სიტყვების შემადგენელი კომპონენტი "man", რომელსაც ზოგადად ადამიანის მნიშვნელობა აქვს, ჩანაცვლებულ იქნა სიტყვით "person" :::

chairman	chairperson	chair
congressman	congressperson	

spokesman **spokesperson**

cameraman	camera operator
------------------	------------------------

foreman	supervisor
----------------	-------------------

fireman	fire fighter
----------------	---------------------

გ) სიტყვები, რომლებიც -ess სუფიქსს შეიცავდა (ეს უკანას-კნელი ასოცირდებოდა მხოლოდ მდედრობით სქესთან) შეიცავალა ნეიტრალური სიტყვებით:

Headmistress	Headteacher
---------------------	--------------------

Stewardess	Flight attendant
-------------------	-------------------------

Actress	Actor
----------------	--------------

დ) მხოლობითი რიცხვის მესამე პირის მამრობითი სქესის ნაცვალსახელი „he“, რომელიც ზოგადი მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა, ჩანაცვლებულ იქნა: მას ჩაენცვლა s/he წერილობით ფორმაში. ზეპირ მეტყველებაში კი ფართოდ გამოიყენება კონსტრუქციები განუსაზღვრელი ნაცვალსახელებით everyone/everybody.

ხელოვნური ცვლილებების მცდელობებს გხვდებით წერილობით დისკურსში, თუმცა ეს ცვლილებები არ დამკვიდრებულა სწორედ მათი ხელოვნური ხასიათის გამ:

ა) სიტყვის „woman“ დამწერლობა შეიცავალა womyn ან wimmin. ეს სიტყვა შეიქმნა მე-20 საუკუნის მიწურულს და წარმოადგენს ფემინისტური მართლწერის ნიმუშს, -man ბოლოსართის თავიდან აცილების მცდელობას.

ბ) ნაცვლად ბოლოსართებისა -or,-er/-ess გვხვდება ნეიტრალური -ron ბოლოსართი,

Actor/actress	Actron (მსახიობი ნებისმიერი სქესის)
----------------------	--

Waiter/waitress	Waitron (მიმზანი ნებისმიერი სქესის)
------------------------	---


აღნიშნულ პრობლემას ქართულ ენასა და კულტურაში არ ვხდებით, ერთი მხრივ, ქართული ენის სპეციფიკის გამო, მეორე მხრივ, კი, შესაბამისი სოციალური ფონის არ არსებობის გამო.

II. სექსუალურ უმცირესობათა სფერო – საზოგადოებაში ოდიოგანვე გამოიყოფოდა და გამოიყოფა სექსუალური უმცირესობები, რომლებიც წარმოადგენენ იმ ადამიანთა ჯგუფს, რომლის სექსუალური იდენტურობა და ორიენტაცია განსხვავდება საზოგადოების უმრავლესობისგან. მათ ხშირად ელჩიბითი (LGBT) აბრევიატურით მოიხსენიებენ. ელჩიბითი გახლავთ საზოგადოების ის ნაწილი, რომელშიც გაერთიანებული არიან ღესბოსელები, გეები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები.

მიუხედავად საზოგადოების ამ წარმომადგენერალთა ორიენტაციისა, ისინი პოლიტიკურად კორექტულად უნდა იყვნენ წოდებული, რათა არ მოხდეს მათი შეურაცხყოფა და დამცირება. ინგლისურ ენაში ვხვდებით სიტყვებს, რომლებიც დამამცირებლად ითვლება ამ პირთათვის. შესაბამისად, მათი ინტერესების დამცველთა საზოგადოებამ შეიძლება პოლიტიკურად კორექტული ტერმინები:


არაპოლიტიკურებული	პოლიტიკურად კორექტული
Fag, faggot – a gay male; offensive	Gay
Homo - pejorative form	homosexual (to use only in medical context; in other context is too offensive)
Queen - pejorative form for an effeminate gay; only used among LGBT people	Gay
Queer - offensive for all the LGBT representatives	Transgender
Trans / Tranny – offensive	Transgender
Dyke	Lesbian (but some women prefer to be called “gay” rather than “lesbian”)
“Bi”	Bisexual

დაკვირვებამ ცხადყო, რომ მიუხედავად აღნიშნული პოლიტიკურად კორექტული ტერმინებისა, საზოგადოების მიერ კვლავ გამოყენება პოლიტიკურად არაკორექტული სიტყვებით სხვადასხვა ფორუმსა თუ სოციალურ ქსელში, მაშინ, როცა პრესის, ტელევიზიის თუ სამედიცინო სფეროში ეს ინდივიდები სპეციალური ტერმინებით იწოდებიან:



ქართულ ენაში გვაქვს ტაბუირებული სიტყვები, რომლებსაც ჩვეულებრივ დისკურსისას არ გამოიყენებენ. თუმცა, არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც აფექტში მყოფი ინდივიდი მაინც გამოიყენებს აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულებს. ასე მაგ.: არასამთავრობო გაერთიანების „მამული, ენა, სარწმუნოება“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი „ქართული პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს, სოზარ სუბარს, პომისექსუალიზმში ადანაშაულებს. და მიმართავს შემდეგი სიტყვებით: არ გეწყინოს, სოზარ მაგრამ... რაც არ უნდა ამოეფარო „ქართულ პარტიას“, მაინც პედერასტი ხარ“ (<http://www.presa.ge/new/?m=politics&AID=2944>).

ქართული რეალობიდან გამომდინარე, საზოგადოების უმრავლესი ნაწილი აღნიშნული უმცირესობის წარმომადგენლებს მიმართავს პოლიტიკურად არაკორექტული სიტყვებით სხვადასხვა ფორუმსა თუ სოციალურ ქსელში, მაშინ, როცა პრესის, ტელევიზიის თუ სამედიცინო სფეროში ეს ინდივიდები სპეციალური ტერმინებით იწოდებიან:



III. რასობრივი სფერო – ქართულის ენის განმარტებითი ლექსიკურნის მიხედვით ტერმინი „რასა“ – ეს არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია საერთო

წარმოშობით, სხეულის წარმოშობის ერთნაირი, მემკვიდრეობით გადაცემული ნიშნებით (კანის, თვალის, თმის ფერი, თავის მოყვანილობით და სხვა).

საზოგადოების წევრები სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს ხშირად არაპოლიტკორექტული ტერმინებით მიმართავნ, რაც ამა თუ იმ რასის წარმომადგენლებისათვის ძალზე შეურაცხმყოფელია.

აღნიშნულ სფეროში პოლიტიკური კორექტულობის მოძრაობა დაიწყო ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე აფრიკელი ინდივიდების მიერ: მათ პროტესტს იწვევდა სიტყვის „Black“ (შავი) ნეგატიური კონტაკია. ეს ტერმინი შეესატყვისება ესპანურ სიტყვას „Negro“ (შავი, მუქი) და როგორც შავკანიანი ინდივიდის აღმნიშნელი, მის თარგმანს წარმოადგენს.

ნებისმიერი რასის წარმომადგენლისათვის მნიშვნელოვანია სახელდებაში არ ფიგურირებდეს კანის ფერი, რაც ზოგადად დამაცირებლად ითვლება. მაგ.: აფროამერიკელებისთვის შეურაცხმყოფელ ტერმინებად ითვლება შემდეგი სიტყვები:

Nigga Nigger/Negro (ზანგი) colored (ფერადკანიანი) black (შავკანიანი). ამ სიტყვას „black“ ნეიტრალურ ლინგვისტურ ტერმინშიც ვხვდებოდით – Black English, მაგრამ ეხლა ის ჩანაცვლებულია ტერმინით Afro-American Vernacular English (ინგლისურის აფროამერიკული დიალექტი).

გარდა ამისა აფროამერიკელებისთვის ეთნიკურ შეურაცხმყოფელ სიტყვებად ითვლება Spade, Coon, Jigaboo რაც აღნიშნავს შავკანიან ადამიანს (a black person).

ამ სიტყვების ეტიმოლოგია შემდეგნაირია:
სიტყვა „Spade“-ის მნიშვნელობებია: 1. ნიჩაბი; 2. ყვავი/პიკი(ბანქს თამაშისას); 3. შეურაცხმყოფელი, დამაცირებელი სიტყვა აფროამერიკელისთვის, აღნიშნულმა სიტყვამ შეურაცხმყოფელი ტონი შეიძინა 1647 წელს, როდესაც მწერალმა ჯონ ტრეპმა დაწერა შემდეგი „Gods people shall not spare to call a spade a spade, a niggard a niggard“. სწორედ ამ ფრაზისგან გამომდინარე სიტყვამ „Spade“ შეცდომით შეიძინა აფრო-ამერიკელებისათვის ნეგატიური კონოტაცია.

სიტყვა „Coon“-ის პირველადი მნიშვნელობა „ენოტი“ გახლავთ

ძალზე შეურაცხმყოფელი რასობრივი ცილისწამება, რომელიც გამოიყენება ამერიკულ და ავსტრალიურ სლენგში. ამერიკაში ითვლება დამამცირებელ სიტყვად აფროამერიკელებისთვის, ხოლო მკვიდრი ავსტრალიელი ხალხისათვის შეურაცხმყოფელი წოდებაა. ამ სიტყვის წარმომავლობისა და მნიშვნელობის მიხედვით სიტყვა „Coon“ კნანიბითი ფორმაა სიტყვისა „Raccoon“, რომელიც ბატარა და შეუხედავი ცხოველია. ბუნებრივია, როდესაც ადამიანებს აღნიშნული სიტყვით მიმართავნ, ეს დამაცირებელია და იწვევს ამ პირების დეპუმანიზაციას. ამიტომაც, სიტყვა „Coon“ აღიარებულია ეთნიკურ ცილისწამებად.

სიტყვა, „Jigaboo“-ს წარმომავლობა უცნობია. აღნიშნული ეთნიკური ცილისწამება გამოყენება 1990-იან წლებში აფრიკელი წარმოშობის ამერიკელი ინდივიდებისთვის. ამ სიტყვის გამოყენება შეუძლია მხოლოდ აფროამერიკელს თავისივე წრეში. სხვა შემთხვევაში ამ ტერმინის გამოიყენა აფროამერიკელისათვის დამაცირებელია.

აქედან გამომდინარე, უმჯობესია, თუ გამოვიყენებთ ისეთ პოლიტიკურად კორექტულ ნეიტრალურ ტერმინებს, რომლებშიც არ ფიგურირებს კანის ფერი.

Politically incorrect

Nigga/ Negro/Colored person/ Black

Politically corrected

African American /Afro-American

Aborigines

Bushmen (the original inhabitants of Southern Africa)

Australian Aboriginal peoples (or name of group)

Eskimos; Inuit

Native Alaska

Gypsies

Roma

Spanish-speaking; Latino/Latina

Hispanic

Indians (American)

Native Americans, American Indians, or use the tribal name

IV. ფიზიკურ მენტალური ნაკლის მქონე ინდივიდთა სფერო.

ფიზიკურ/მენტალური ნაკლის მქონე ადამიანთა ტერმინებში ჯერ სახელდება პიროვნება და შემდეგ დაავადების სახელწოდება. მაგ.: არ უნდა გამოვიყენოთ ტერმინები: ღიაბეტით დაავადებული, შიდსიანი, არამედ (გთხოვთ, იხილოთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილი):

ტერმინთა სტრუქტურა არის შემდეგნაერი:

A + person + with/of + name of disability/disease. ანუ, ამ წყობაში გვაქვს წინდებულიანი ფრაზა;

A + person + to have + name of disability/disease. აქ კი ვხვდებით „to have“ ზრის სტრუქტურას.

აგრეთვე გვაქვს ტერმინის გაბუნდოვანება, რომელიც მიღწულია სამედიცინო ტერმინის გამოყენებით. მაგ.: Congenital disability, რომელშიც არც წინდებულიანი ფრაზა და არც ზრისანი სტრუქტურა არ გვაქვს.

არაპოლიტკორექტული პოლიტკორექტული

A Diabetic	A person <u>with</u> diabetes
An AIDS victim	A person <u>with</u> AIDS/ <u>who has AIDS/living with AIDS</u>
Birth defect	Congenital disability
Dwarf	Little person, person <u>of</u> short stature
Spastic	A person <u>with</u> cerebral palsy

ფიზიკურიმენტალურ შესაძლებლობებში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ქვეყუფები და მათი სახელდების ტიპები:

ინდივიდის ფიზიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ ტერმინებში აღსანიშნავია ტერმინ „challenged“-ის გამოყენება/ჩანაცვლება. სიტყვა „challenge“-ის პირველადი მნიშველობა არის „გამოწვევა“. იგი დადგებითი სემანტიკის მატარებელი სიტყვაა. გარკვეული ფიზიკური ნაკლის შემთხვევაში, ცალკეული ინდივიდისათვის ეს ნაკლი სრულებითაც არ არის, არამედ გამოწვევაა, რომელსაც უნდა გაუმკლავდეს და გადალახოს. ამიტომაც ცალკეულ ფიზიკურ ნაკლთან ჭიდილი ცოტათი მაინც რომ გაუმარტივდეთ ინდივიდებს, უნდა გამოვიყენოთ პოლიტიკურად მართებული ტერმინები.

არაპოლიტკორექტული

Invalid > handicapped > disabled

Short people

Fat people

Blind

Mute

Ugly

Bald

Dead

Psychopath

Retarded children

პოლიტკორექტული

Physically challenged

Vertically challenged people

Horizontally challenged people

Visually challenged

Vocally challenged

Aesthetically challenged

Follicularly challenged

Metabolically different

Socially misaligned

Children with learning difficulties

სოციალურად დაუცველ ინდივიდთა ტერმინები არაპოლიტკორექტული პოლიტკორექტული

Old age pensioners

Poor, Disadvantaged, Ill-provided,
Socially deprived,

Underprivileged, Disadvantage

Unemployed

Garbage man

Old

Senior citizens

Economically disadvantaged; Low income people; Differently advantaged; Economically exploited

Unwaged

Refuse collectors

Chronologically gifted; Mature

პროფესიასთან დაკავშირებული ტერმინები

პოლიტიკურად კორექტულ ტერმინებზე მომუშავე პირები ცდილობენ შეიმუშაონ იმ პროფესიებთან დაკავშირებული პოლიტკორექტული ტერმინები, რომელიც არ სარგებლობენ დიდი პატივისცემით საზოგადოებაში:

არაპოლიტკორექტული

Janitor

Undertaker

Barber

პოლიტკორექტული

Sanitation engineer

Morticians or Funeral director

Hairstylist or Beautician

Secretary

არაპოლიტკორექტული

slums
third world countries
Uneducated

როგორც ნებისმიერი სხვა დასავლური ქვეყანა, საქართველოც იზიარებს პოლიტიკური კორექტულობის ცნებას და მოვლენას. შესაბამისად, ეს საკითხი განიხილება ქართულ ენაშიც. პოლიტიკურად კორექტული ტერმინები უაღრესად მნიშვლოვნია ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების საქმიანობისას. შესაბამისად, წარმოგიდგნეთ იმ ტერმინებს რომლებსაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ.

არაპოლიტკორექტული

ინგალიდი
უნარშეზღუდული

უპატრონი
ღარიბი, შეჭირვებული
ავადმყოფი

გიური
ბრძანა
მაწარებალა, უპატრონო
ნარკომანი, ლოთი

კიბოთი დაავადებული
მეძავი/პროსტიტუციით და-
კავებული

შვილობილობა
ხეიბარი
აღნიშნული გლობალური ლინგვისტურ პრობლემით მხოლოდ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციები როდი არიან დაინტერ-

Administrative assistant

სხვადასხვა

პოლიტკორექტული
Substandard housing
Emerging nations
Alternatively schooled

პოლიტკორექტული

უნარშეზღუდული
განსხვავებული შესაძლებლობების მქონე

სოციალურად დაუცველი
სულიერად განუვითარებელი

ფსიქიატრული სერვისის მომხამრე-
ბელი/ფსიქიკურად არამყარი ადამიანი

უსინათლო

მზრუნველობამოკლებული
პრობლებული ადამინი

ავთვისებიანი სენიო დააგადებული

სექს მუშაკი

მინდობით აღზრდა

დამოკიდებულობის მქონე პირი

სებული. იმისათვის, რომ განსხვავებული შესაძლებლობების მქონე პირები უფრო ინტეგრირებული იყვნენ ჩვენს საზოგადოებაში და ხალხის ნეგატიური დამოკიდებულება მათ მიმართ აღმოიფხვრას, კეთდება რეპორტაჟები სხვადასხვა მაუწყებლის მიერ. მაგალითად, 2011 წლის 11 ივნისს გაკეთდა რეპორტაჟი „განსხვავებული შესაძლებლობების პირებზე“ გადაცემა „პოსტ სკრიპტუმის“ მიერ. გადაცემაში გაიუღერა შემდეგმა ფრაზამ: „ტერმინი „უნარშეზღუდული“ დისკრიმინაციული ფორმაა ინვალიდობის მქონე ადამიანისათვის, ამის ნაცვლად შეგიძლიათ თქვათ შეზღუდული შესაძლებლობების პირი“.

რა თქმა უნდა, წამყვანის მიერ წარმოთქმული ფრაზა უფრო კორექტულია, თუმცა მაგრამ მე მაინც ვეწინააღმდეგები ტერმინს „შეზღუდული შესაძლებლობების პირი“, რადგანაც სიტყვა „შეზღუდვა“ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს: მცირე უფლებებს, ნაკლებ რესურსებს, მცირე ცოდნას, ვიწრო თვალ-თახედვას, მაშინ როცა სიტყვა „განსხვავებული“ ნიშნავს: ნიშანი, რომლითაც ერთი საგანი მეორისებრ განსხვავდება; ვისიმე რისამე საპირისპიროდ.(1986). აქედან გამომდინარე, უპრინანი იქნებოდა, თუ საზოგადოება გამოიყენებს მსგავსი ინდივიდების სახელდებისას ტერ-მინს „განსხვავებული შესაძლებლობების პირი/პირები“. ეს ტერმინი უკვე გამოიყენება ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების მიერ მათი ბერეფიციარების მიმართ.

სინტერესო რეპორტაჟი და მთელი გადაცემა მიეძღვნა იმედის არხის თოქშოუ „პროფილის“ საშუალებით განსხვავებული შესაძლებლობების პირებს. თოქშოუში გაუღერებული იყო შემდეგი ფრაზა: „არ უნდა ვიყენებდეთ სიტყვებს, რომლებითაც ახასიათებენ ავადმყოფი, დეფექტური, ინგალიდი, დაუნი, შეზღუდული, ის ბავშვი“. მაგ.: სიტყვა „დაუნი“ მედიცინაში ცნობილია როგორც ტერმინი „დაუნის სინდრომი“, მთავარ კლინიკურ გამოვლინებად ითვლება ჩამორჩენილი ფსიქიკური და ფიზიკური განვითარება, დამახასიათებელი ცვლილება გარეგნობაში და შინაგანი ორგანოების ხშირი დარღვევები. მაგრამ, საზოგადოებაში უკვე იმდენად ხშირად გამოიყენება ეს

Տունցա, հռմ օյցա ևեցա Շեյշալթմպուզըլո մենանցելոնքիս մարդարյեցած, հոգորհուցա „սալլելո“, „օճուտո“, „լոկուտ“.

Ֆոլութիկուրո կորյեթվուլոնքիս դաշնամերն օմքենած թիարդու, հռմ օյց լուց բոկմուսոյու և ևեցալասեցա Երկետինու կո լուցը. այս մացալուտած, պատրաստու կարգած բանօնմա ամերիկյալմա մամլերալմա և կամքոնիտորմա լուցու զագած, 2011 վրու 23 մասս զամուսպա և սիմլերա „Born This Way“ (ասետած ճաճագեծուլո), հռմելու լումալ ձութած օյցա. յս զաթուատ և սիմլերա, հռմելունու նատլած և մագագուած արևու թարմուցանու և ֆոլութիկուրած կորյեթվուլո զերծալուրո լուցա, հռմելու զամորութացա պատրաստու բարձրուած գամունացուած: հասունացած, զենքուրուլո, հրանութիւնու և ևեց. և սիմլերա ամիցանցես, հռմ լուցարդու տագուանտու տացու և գրտմանետու, մոնուն աճամիանցեն օւետեթած, հոգորհուցու արուան. պատրաստու այցէ զանեցալուրո և տագուսիթիւնու սուլամանց. և սիմլերա և լուղանալաւ լուցունու թարմուցանու թարմուցանու թարմուցանու թարմուցանու: „նու օմալցու, նու դարուանչած տացու սինանուլսա և թիւնունու, լուծալուծ զուցարդու սայստարու տացու (Don't hide yourself in regret, Just love yourself)“. արա այցէ մենանցելոնքա եար ագրուամիջրուկյալու, տյուրու տյու պատրաստու հասու թարմուցանու լուցունու, լուցունու թարմուցանու զայցած, լուծանցու տյու ալմուսազլու կըցյնենքիս մերացրենք եար (You're black, white, beige, chola descent, You're Lebanese, you're orient) լուծալուծ, զուցարդու գրտմանետու. ար այցէ մենանցելոնքա, եար յիւսունու, մուսուլմանու, կատունու տյու առուստու, ար այցէ մենանցելոնքա, տյու եար զանեցալուրո արուենթացու: զեր, լուսեմուսելու, թիւնանցենցու ան թիւերուսեյշուալո (No matter gay, straight, or bi, lesbian, transgendered life), մագարու լուցունու (Believe capital H-I-M).

և սիմլերա մորալու տանամալաւ „There's nothing wrong, Because HE made you perfect, You were born this way...“ լուցունու լուցունու զացու ամ բանօնմա և սիմլերա բանօնմա Երկետինու մենանցելուրո արնունուլու սիմլերա:

It doesn't matter if you
love him, or capital H-I-M
Just put your paws up
'cause you were born this

[Post-chorus:]
Oh there ain't no other way
Baby I was born this way
Oh there ain't no other way

[Bridge:]
Don't be a drag, just be a
queen
Whether you're broke or

way, baby My mama told me when I was young We are all born superstars She rolled my hair and put my lipstick on In the glass of her boudoir	Baby I was born this way I'm on the right track, baby I was born this way Don't be a drag just be a queen [x3] Don't be!	evergreen You're black, white, beige, chola descent You're Lebanese, you're orient Whether life's disabilities Left you outcast, bullied, or teased Rejoice and love yourself today 'cause baby you were born this way No matter gay, straight, or bi, Lesbian, transgendered life, I'm on the right track baby, I was born to survive. No matter black, white or beige Chola or orient made, I'm on the right track baby, I was born to be brave.
"There's nothing wrong with loving who you are" She said, "Cause he made you perfect, babe" "So hold your head up girl and you'll go far, Listen to me when I say" [Chorus:] I'm beautiful in my way 'Cause God makes no mistakes I'm on the right track, baby I was born this way Don't hide yourself in regret Just love yourself and you're set I'm on the right track, baby I was born this way	[Verse:] Give yourself prudence And love your friends Subway kid, rejoice your truth In the religion of the insecure I must be myself, respect my youth A different lover is not a sin Believe capital H-I-M (Hey hey hey) I love my life I love this record and Mi amore vole fe yah (Love needs faith)	

ԸստՎերաթիւրա:

ալանո, ծահօջ 2006 — Allan, K. and Burridge,K., Forbidden Words Taboo and the Censoring of Language, Cambridge University Press 2006

արքոնենո 2005 — Atkinson L. Gerald Radical Feminism and Political Correctness, 2005 http://www.lifesitenews.com/ldn/2005_docs/PC5.pdf

օքա 2004 — Eco, U. „Eco on Political Correctness”, June 28, 2004; <http://voxdav.blogspot.com/2004/06/eco-on-political-correctness.html>;

հագիենո 2008 — „ , , 2008 <http://www.study.ru/support/lib/note96.html>;

უოტმენი 1989 — Wattman, F.F., “Politically Correct Speech”; Language, Gender and Professional Writing: Theoretical Approaches and Guidelines for Nonsexist Usage. New York: The Modern Language Association of America, 1989;

სკოლონი, სკოლონი 2001 — Scollon R., Scollon S.W. „Intercultural Communication: A Discourse Approach (Language in Society)”, Second Edition, Blackwell Publishers Ltd 108 Cowley Road Oxford OX4 1JF UK 2001

საქმე „ჩიშოლმი გორგიის წინააღმდეგ“, U.S. Supreme Court CHISHOLM v. STATE OF GA., 2 U.S. 419 (1793), <http://caselaw.lp.findlaw.com/scripts/getcase.pl?navby=CASE&court=US&vol=2&page=419>.

ბამოყვებული ლექსიკონები:

ოქსფორდის ლექსიკონი, 2008 Oxford Advanced Learners Dictionary of Current English, 7th edition, Oxford University Press, 2008;

ჩიქბაგა 1986 — ქართული ენის განმარტებითი (ერთომეული), თბილისი 1986.

სათაღვეოზიო გადაცემები:

„პოსტ სკრიპტუმი“, 2011, წლის რეპორტაჟი თემაზე „განსხვავებულ შესაძლებლობების პირები“;

„პროფილი“, 2011, რეპორტაჟი თემაზე „განსხვავებული შესაძლებლობების პირები“.

ინტერვეიტის ავტორიზებული რეზულები:

http://en.wikipedia.org/wiki/Political_correctness

<http://agsslanguage.wordpress.com/the-impact-of-political-correctness-on-language-change/>

<http://www.presa.ge/new/?m=politics&AID=2944>

http://en.wikipedia.org/wiki/LGBT_community

http://en.wikipedia.org/wiki/History_of_feminism

<http://www.nlgja.org/resources/stylebook.html>

http://www.ehow.com/about_5192250_spade-symbolize_.html

<http://www.blurtit.com/q837589.html>

<http://www.thefreedictionary.com/jigaboo>

<http://home.online.no/~gunnarab/gender-neutral-words.htm>

<http://feminism.com/>

<http://blog.linuxchixla.org/2009/11/06/feminism-is-the-radical-notion-that-women-are-people/>

<http://www.reference.com/motif/computers/origin-of-jigaboo>

<http://www.answers.com/topic/list-of-ethnic-slurs-by-ethnicity>

http://www.civilin.org/pdf/Welfare_Survey.pdf

<http://www.metrolyrics.com/born-this-way-lyrics-lady-gaga.html>

http://cabacr.ca/english/social/codes/guidelines_nonsexist.pdf

NATIA VASADZE

On Political Correctness

Summary

The paper examines the phenomenon of political correctness on the material from English and Georgian languages and cultures. As is known, political correctness aims at eliminating any kind of discrimination expressed linguistically. The following spheres of politically correct discourse have been dealt with: gender, racial, of sexual minorities, physical and mental disability. The study has revealed that the attitude towards the above enumerated spheres as well as the ways of their linguistic realization are culture specific. The paper focuses on and contrasts lexical and grammatical means for building English and Georgian politically correct discourses. Special emphasis has been placed on samples of political incorrectness.

რუსული ხედაზე

ზოგის ხმოვანპრეზისთა შესახებ გერმანულენოვან
მნათოვციონირულ ლიტერატურაში

ქართული ზმნის ხმოვანპრეზისთა შესახებ აზრთა სხვადასხვაობა კარგა ხანია შეინიშნება ლინგვისტურ წრეებში. როგორც ქართველი, ისე უცხოელ მეცნიერებს გამოთქმული აქვთ საინტერესო (ზოგჯერ ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავებული) მოსაზრებები მათი ფუნქცია-დანიშნულების შესახებ.

ქართველ ენათმეცნიერთა შორის ქცევის კატეგორია პირველმა შენიშნა და შეისწავლა ნ. ჩუბინაშვილმა (იხ. ოლონტი, 1962, 234). მან დახსასიათა ხმოვანპრეზისები ზმნებში და პირთა კუთვნილებითი დამოკიდებულების გამომხატველ კატეგორიას უწოდა „მიჩემებითი ფორმა“, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ ობიექტის მქონე ზმნებს ახასიათებს. ნ. ჩუბინაშვილმა გამოყო სამი სახე: საზოგადო (იგივე საარვისო: ვაშენებ, ვსწერ), მიჩემება მოქმედისა პირისა (იგივე სათავისო: ვიშენებ, იშენებ, იშენებს... ვიწერ) და მიჩემება საცნაურო-სა პირისა (იგივე სასხვისო).

მართალია, შემდეგ ამ საკითხს ქართული ენის გრამატიკის სხვა ავტორებიც ეხებოდნენ (მათ შორის ნ. მარიც), მაგრამ მწყობრი მოძღვრება არც ერთს არ მოუცია. ქცევის სისტემა საფუძვლიანად განიხილა ა. შანიძემ ჯერ კიდევ 1926 წელს და შემდეგ ზოგიერთი მოსაზრება ოდნავ შეცვალა. როგორც ალ. ოლონტი აღნიშნავს: „ქართული ზმნის მიჩემებითი ფორმების მონოგრაფიულად შესწავლა, ქცევის მორფოლოგიური კატეგორიის ცალკე გამოყოფა და მისი სტრუქტურული ფუნქციების შეჯერება პროფ. ა. შანიძის დამსახურებაა“ (ოლონტი, 1962, 235).

არნ. ჩიქობავა არ ემხრობოდა საარვისო ქცევის (ანუ ნეიტრალური ვერსიის) გამოყოფას, რადგან ამ ფორმაში არ ჩანს კუთვნილე-

ბით-დანიშნულებითი ურთიერთობა (ჩიქობავა, 1959). საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვეს ქცევის კატეგორიასთან დაკავშირებით ბ. რუდენკომ (1940), გ. როგავამ (1942), ფ. ერთელიშვილმა (1965), თ. გიორგობიანმა (1971), გ. ნებიერიძემ (1976), ნ. სალაძემ (1977; 1986), მ. მაჭავარიანმა (1980; 1987), ბ. ჯორბენაძემ (1983), ი. კოჭიმამ (2006) და სხვ. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მეცნიერი ხაზს უსვამდა ხმოვანპრეზისთა მრავალფრნეციურობასა და ქცევის კატეგორიის პოლისემიანტიკურობას. ყურადღება მიაქციეს ხმოვანპრეზისთა კავშირს ობიექტური პირის არსებობასთან: „ა-, ი-, უ-, ე- ხმოვანი პრეფიქსების ძირითადი ფუნქცია ზოგადად ობიექტური პირის არსებობაზე მითითება, კერძოდ კი სუბიექტის ობიექტურ პირებთან გარკვეული (კუთვნილება-დანიშნულების, ლოკატიური და სხვ.) მიმართების გამოხატვაა, ხოლო, თუ რომელია კონკრეტულად ობიექტური პირი, რომელსაც მიემართება სუბიექტის მოქმედება, ამაზე სათანადო პირის ნიშანი (მარკერი) მიუთითებს“ (მელიქშვილი, 2001, 36).

ქცევის საკითხი იქცა არა მარტო ქართველ, არამედ გერმანელ ენათმეცნიერთა ინტერესის საგნადაც. მათს შრომებში ა, ი, უ, ე ხმოვნებისთვის დამკიდრებულია ჰუგო შუხარდტის (1895) მიერ გამოყენებული ტერმინი „მახასიათებელი ხმოვნები“ (Charaktervokale). მათი ერთგვარი ანალიზი მოგვცა გ. დეეტერსმა (1930), შემდეგ, XX საუკუნის 50-იან წლებამდე, ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ მოკლე შენიშვნებს ვხვდებით: გაკვრით შეეხო ამ გრამატიკულ მოვლენას გერტრუდ კეტლერი ზმნის საკითხების განხილვისას მარკოზის სახარების ქველქართულ თარგმანში (კეტლერი, 1938, 86). ვილ-ჰელმ პეშენიც დაინტერესდა თავის დისერტაციაში ხმოვანპრეზისებით ძველქართულ ზმნაში (მათესა და მარკოზის თარგმანებსა და პალიმფსისტურ ტექსტებში) და ა- პრეფიქსი მიიჩნია ირიბი ობიექტის მანიშნებლად (პეშენი, 1939, 26-32). ტერმინი „ხმოვანპრეზისები“ კიტა ჩენკელმაც (1958) გამოიყენა. მართალია, ის თეორეტიკოსი ლინგვისტი არ იყო, მაგრამ უცხოელებისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში კვალიფიკაცია უნდა მიეცა ზმნისწინის შემდეგ არსე-

ბული ხმოვნებისთვის ქართულ ზმნაში. ის გამოყოფს ოთხ ვერსიას: ნეიტრალურს, სასუბიექტოს, საობიექტოსა და სუპერესიულს (საზედოს) და მსჯელობს ა ხმოვნის ფუნქციებზე (კაუზატივებთან და გარდამავალ ზმნებთან), თან გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლებელია საარგისო ქცევის ა პრეფიქსის პირველადი ფუნქცია სულ სხვა იყოს (ჩხენკველი, 1958, I, 250).

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან გერმანულენოვან ნაშრომებში მეტი ყურადღება დაეთმო ქართული ზმნების ხმოვანპრეფიქსთა დანიშნულების ახსნას. ჰაინც ფენრიხი (1965) ხაზი გაუსვა მათს პოზიციას (უშუალოდ ზმნის ფუძის წინ), რამაც მას საშუალება მისცა გამოეტან დასკვნა აღნიშნული ფორმანტების შეიძლო კავშირზე ზმნასთან და მათს სიძველეზე (ფენრიხი, 1965, 153). მეცნიერმა „ქართული ენის მოყლე გრამატიკაში“ (1986) ხმოვანპრეფიქსები მხოლოდ ჩამოთვალი (ა, ე, ი, უ) პოზიციის მითითებით, თან აღნიშნა, რომ გრძნობა-აღქმის ზმნებში ობიექტური პირის ნიშნები ხშირად ხმოვანპრეფიქსებთან (ი/უ და ე) კომბინაციაში გვხვდება (მიყვარს, აქვს, გძლვარ, მეყვარება, შემიყვარდება, შევიყვარებ...) (ფენრიხი, 1986, 98).

შემდეგ მ. ლორთქიფანიძე-პილმა მიმოიხილა თავის სტატიას (1986) და სადისერტაციო ნაშრომში (1987) არსებული შეხედულებები მახასიათებელ ხმოვანთა შესახებ (ოლონდ არ დაუსახელებია ბოედერის ნაშრომი). ავტორი აღნიშნავს, რომ ა- ხმოვანი აწარმოებს ნასახელარ, ნაზმნარ და კაუზატიურ ფორმებს (ლორთქიფანიძე-პილი, 1986, 63). უ- ნიშნის დახასიათებისას ის ხაზს უსვამს, რომ მისი ერთადერთი ფუნქცია არაა კუთვნილების გამოხატვა, არამედ ირიბი ობიექტზე, ლოკალურ მიმართებაზე ანდა უბრალო დამატებაზე მითითება (ეურჩებოდნენ, მოუყვა, მოუქნია...). მეცნიერი განიხილავს ა, ი, უ, ე ხმოვანპრეფიქსებს სხვადასხვა ტიპის ზმნაში, მათს სემანტიკურ დიფერენციაციას და ე/ა-ს მიიჩნევს ირიბი ობიექტის (ანდა სემანტიკური სუბიექტის) ფუნქციურ კორელატად (ლორთქიფანიძე-პილი, 1986, 68). ავტორი შენიშნავს, რომ ი- ხმოვანი ხშირადაა გამოყენებული გარდამავალ ზმნებში (იხატავს, იშენებს), რომლებშიც მო-

ქმედება გადადის საკუთარ სხეულზე ან სხეულის ნაწილებზე (ტანი დაიბანა, თბი დავარცხნა); ყურადღებას აქცევს ე. წ. ინენიან ვნებითებს (აბსოლუტურ და რელატიურ ფორმებს); იმოწმებს გ. კეტლერის აზრს, რომ სუბიექტი და ობიექტი იდენტურია რეფლექსივებში, როცა მოქმედების საგანი თვით იქცევა სუბიექტად (მაგალითად, გეგუბს აქტივია, შეეჭიდა — პასივი). იმავე სურათს აჩვენებს სველი ქართულიც და ე მიუთითებს ირიბი ობიექტის არსებობაზე (არაი ევნოს, აღსარებულოს, დაეთსის, ეჩუენა...). ე ხმოვანი ხანძეტ ტექსტებშიც გამოიყენებოდა ირიბი ობიექტთან ერთად ზმნაში (მიხეც, მიაჭურ...). ავტორის აზრით, ე ხმოვანი შეუძლებელია ცალსახად ჩაითვალოს მხოლოდ პასივის ან რეფლექსივის ნიშანი: „როგორც კი ე ხმოვანპრეფიქსი გამოჩნდება ზმნურ ფორმაში, თავს იჩენს ირიბი ობიექტიც“ (ლორთქიფანიძე-პილი, 1986, 66)!

მ. ლორთქიფანიძე-პილის სტატიაში განხილულია ე- ხმოვანი ფორმები შესაძლებლობის (Passiv der „Möglichkeit“, Potenzialis), მიჩნევისა (Passiv des „Dafürhaltens“) და გუნების ვნებითებში (Passiv der „Stimmung“): ეჭმება, იჭმება, ეჭმურება, ემღვრება, ეტირება... ავტორის აზრით, ე ხმოვანი მიემართება სემანტიკურ სუბიექტს (რა ემღვრება მას?) (შდრ. ჯორგენაძე, 1983, 97). ნაშრომში განხილულია ე ხმოვნის ფუნქცია უნებლიობის გამომხატველ შემოეხარჯა ტიპის ზმნებში და გამოთქმულია მოსაზრება, რომ არაა დამტკიცებული ამ ხმოვნის კავშირი უნებლიობის (Involuntativ, das Unwillkürliche) ჩვენებასთან. ნაშრომის ძირითადი დასკვნა ისაა, რომ ე და ა ხმოვანპრეფიქსები ირიბი ობიექტის (ზოგჯერ — სემანტიკური სუბიექტის) ფუნქციური კორელატებია.²

1 აღსანიშნავია, რომ გ. დეტერსიც და გ. პეშენიც ე-ს ირიბი ობიექტს უკავშირებდნენ (დეტერსი, 1930, 70; პეშენი, 1938, 81).

2 სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა მ. ლორთქიფანიძე-პილის დისერტაცია (1987), რომლის გაცნობაც იენის უნივერსიტეტშია შესაძლებელი. ზემოთ დასახელებულ სტატიაში კი ჩამოყალიბებულია დისერტაციის ძირითადი დებულებები ხმოვანპრეფიქსთა დანიშნულების შესახებ. განსაკუთრებით ხშირად მეცნიერი იმოწმებს ბ. ჯორგენაძის შეხედულებებს (ჯორგენაძე, 1983). როგორც ჩანს, ავტორისთვის იმ

ერთ-ერთი უმნიშვნელოგანესი გერმანულენოვანი ნაშრომი ქართული ვერსიისა და ხმოვანპრეფიქსების შესახებ არის ვინფრიდ ბოეცერის¹ ვრცელი სტატია, ორმელიც დაიბეჭდა *Folia Linguistica*-ში (ბოეცერი, 1968, 82-152).

სტატიის შესავალში ვრცლად და კრიტიკულადაა მიმოხილული ხმოვანპრეფიქსთა შესახებ არსებული ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა. მეცნიერი აღნიშნავს, რომ სასუბიექტო და საბიექტო ქცევებს შორის სინტაქსური განსხვავება მხოლოდ გარეგან ფორმას ეხება, სინამდვილეში კი ორივე ეყრდნობა ექსპლიციტურ ან იმპლიციტურ მიცემითს (ბოეცერი, 1968, 106). ის ასკვის, რომ ქართულში *i-Dativ*-², ასევე პირდაპირი და ირიბი ობიექტები შეიძლება ერთდროულად გამოიხატოს ზმნაში: მე > ჩემს თავს, შენ > შენი თავი: ვინ მომიკლა (მე) შენი თავი? (ის) მომყიდის მე შენს თავს. მიცემითები, მეცნიერის აზრით, არსებობს ფარული (ლატენტური) ან დაუფარავი (არალატენტური): დაუფარავია მაშინ, როცა ის მოცემულია წინადადებაში (ირიბი ან საზედაო დატივის სახით). ირიბი ულლების დროს კი მიცემითში დგას ქვემდებარე. სხვა მიცემით ვერ დაიკავებს ამ ადგილს. რეფლექსური დატივი ყოველთვის დაფარულია (ლატენტურია): მე ვიჰერ პეპელას (ჩემთვის). შდრ. მე ვუკრავ სონატას (მისთვის) — აქაც დაფარულია, ოღონდ III პირისთვის.

ავტორის აზრით, ნეიტრალური ანუ შინაარსდაცლილი ფორმა შეიძლება იყოს ყველა ამ ხმოვნის შემცველი, მაგრამ თითოეული მაინც მიემართება ექსპლიციტურ ან იმპლიციტურ მიცემითს. უკუქცევითი *i-Dativ*-ი ყოველთვის იმპლიციტურია. ნეიტრალურია ი, თუ საჭირო *i-Dativ*-ი გვაძლევს მორფოლოგიურ ფორმას, ე. ი. ზმნაში გამოხატულია პირის ან უკუქცევითი ნაცვალსახელები (ზოგჯერ მიმართოს არ იყო ცნობილი ბოეცერის მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართული ზმნის ქცევის შესახებ და ამიტომაც არ ასახელებს მას.

1 მართალია, ვ. ბოეცერის ნაშრომი ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელია, მაგრამ მას ბოლოს ვიზილავთ. როგორც ავტორი ბოლოშის მოხდით აღნიშნავს, სტატიის დაწერისას ის ჯერ კიდევ არ იცნობდა ჰ. ფენრისის ნაშრომს, რომელსაც მხოლოდ შემდეგ გაეცნო ხელნაწერში და ვერ გაითავალისწინა.

4 ვ. ბოეცერი ტერმინით *i-Dativ*-ი აღნიშნავს ირიბი ობიექტის ბრუნვას.

თება გულისხმობს საკუთარ სხეულზე ან სხეულის ნაწილზე მოქმედებას: *Partinenzrelation*).

ვ. ბოეცერი წერს: „ნეიტრალიზაცია ნიშნავს იმ სინტაქსური მიმართების დაბნელებას, რომელიც ჰქონდათ ხმოვანპრეფიქსებს შესაბამის ზმნასთან, მაგრამ ნეიტრალური და არანეიტრალური ხმოვნების ურთიერთშესებადობისგან (*Komplementarität*) გამომდინარეობს, რომ ისინი მაინც აღიქმებიან ზმნურ პრეფიქსებად, თუმცა „შინაარსისგან დაცლილად“ (ბოეცერი, 1968, 124). მათი სინტაქსური წარმომავლობა განსხვავებულია, რისი გარკვევაც ჩანაცვლებითაა შესაძლებელი (-ზე, -თვის თანდებულიანი ფორმებით ან უკუქცევითი ნაცვალსახელით). ობიექტის ნიშანი ეთანხმება პირს, ქცევის ნიშანი კი მიცემითის დახსასიათებაა: ის თვითონაა მიცემითის სპეციფიკური სახის მაჩვენებელი, რომელიც განპირობებულია ამ ბრუნვის ფორმის წარმოშობით (ესაა ირიბი ობიექტის ან I სერიის პირდაპირი ობიექტის ბრუნვა).

ვ. ბოეცერი განიხილავს მიცემითის ფუნქციებს, როცა ის მიემართება საობიექტო, სასუბიექტო და სუპერიულ (საზედაო) ვერსიებს და ასკვის, რომ ერთის არსებობა გამორიცხავს მეორისას, რაც ადასტურებს ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციურ ერთიანობას (ბოეცერი, 1968, 145). ავტორი იზიარებს აზრს, რომ ქცევაში გაერთიანდეს სიტუაციაც და არ გამოიყოს ცალკე კატეგორიად (ბოეცერი, 1968, 94).

ვ. ბოეცერისთვის არსებითია ამ ხმოვანთა სემანტიკური დიფერენციაცია ზმნაში და გამოყოფს მათ შემცველ ზმნათა 12 ჯგუფს: პირველ ოთხში (I – IV) პრეფიქსები ვერსიის მაჩვენებელია და ი/უ, ე, ა-ს აქებს საქცევა მნიშვნელობა. ყველა დანარჩენში (V-XII) კი ნეიტრალურია (შინაარსისგან დაცლილი). განსხვავება ისაა, რომ ზოგ შემთხვევაში ზმნასთან დგას მიცემითი, ზოგან კი — არა. ლატენტური (ფარული) მიცემითი იგულისხმება V-VIII ჯგუფებში:

I. ი/უ — მიცემითი ექსპლიციტურია (ანუ საობიექტო ვერსიაა): მე გაგისკვენი ძაფი. მასწავლებელმა წერილი გადამითარგმნა. შენ დაგივარცხნე თმა. მეზობელმა ქალმა ჩვენ ძროხა მოგვიწველა. მე კარს ვუკაუნებ. გოგოს სიყვარული გულში მიზის.

II. o — იმპლიციტური მიცემითი (სასუბიექტო ვერსია): ბავშვმა მოიწია ტოტი. მე შევიხვიე ფეხი. მე დავჭერი პური.

III. a — ექსპლიციტური მიცემითი (სუპერესიული ანუ საზედაო ვერსია): მე მწვადს ნიახური დავაჭერი. მჭედლმა ცხენს ნალი დააჭედა. მიაშენებს ის სახლს რამეს. მიაკვდება მას ძალი.

IV. e — ექსპლიციტური მიცემითი: ეთამაშება (მას).

V. u — ავტომატურად შემოტანილი ლატენტური დატივი III პირში: შემოვუშვი, ვუსმენ, ვუკრავ, გადავუხადე.

VI. o — ავტომატურად შემოტანილი ლატენტური უკუქცევითი დატივი: შეი იჭერ პეპელას. ასევე: წაიყვანა, მოიყვანა, მოიწვია, იყიდის.

VII. a — ავტომატურად შემოტანილი ლატენტური უკუქცევითი სუპერესიული დატივი III პირში: ვაშენებ, ვაბამ, ვასხამ, აგზავნის.

VIII. e — ავტომატურად შემოტანილი ლატენტური რეფლექსური დატივი (ერთპირანი ენიანი ვნებითის დროს): ვეწერები...

IX — X შემთხვევებში იგულისხმება ინვერსიული (ირიბი უღლების) ზმნები ან I თურმებითის ფორმები. ესაა ე. წ. მიმართებითი დატივი (**Bezugsdativ**), მაგრამ ხმოვანპრეფიქსები უფრუნქციობა.

XI. o — ქვემდებარესთან ირიბი უღლების დროს: მაქეს, მახსოვს.

X. i/u — ქვემდებარესთან ირიბი უღლების დროს (სუპერესიული დატივი): უყვარს, გინდა, მიხარია, მიხურს, მე (თურმე) მიწერია წერილი, გამიტებია, (მას) მოუპარავს.

XI და XII კგუფებში პრეფიქსები განპირობებულია მორფოლოგიურად:

XI. e — განპირობებული ვნებითის წარმოებით (ეწერება სიაში შდრ. მე შენ გეწერები სიაში).

XII. — a ნულპრეფიქსის ნაცვლად ზოგ ზმნასთან: აშენებს, აგებს.

ვ. ბოედერის ახსნა ასეთია: „საობიექტო ქცევას, თავის შხრივ, სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობა აქეს და მისი მიჩნევა ერთი ფუნქციის მქონედ თითქმის შეუძლებელია. თუკი ფორმას შევხდავთ, მაშინ ყველა მიცემითს, რომელთაც ეყრდნობა სხვადასხვა ქცევა და მათი ქვეტიპები, მსგავსი პოზიცია აქვს, ისევე, როგორც ქცევის ნიშებს“ (ბოედერი, 1968, 140).

ავტორი გვთავაზობს ვერსიის ასეთ განმარტებას: „ვერსიის (ქცევის) დროს აუცილებელია a) ქცევისნიშნიანი ზმნისა და b) მიცემითის თანაარსებობა, რომელიც გამოიხატება ქცევის ნიშნით“ (ბოედერი, 1968, 135).

ვ. ბოედერის აზრით, არსებობს ოთხი ტიპის ხმოვანპრეფიქსები: შინაარსისგან დაცლილი (უშინაარსო), უფუნქციო და მორფოლოგიური დანიშნულებისა.

ქცევის ნიშანსა და მიცემითს შორის ურთიერთობა ზმნაში გამოხატული უნდა იყოს ობიექტური პირის ნიშნით, თვით მიცემითი კი უნდა ეყრდნობოდეს სისტემურ მიზეზებს: ექსპლიციტურად შესაძლებელი პირის ან უკუქცევითი ნაცვალსახელების არსებობას (ბოედერი, 1968, 130). ზმნაში გამოხატულია პირის ნიშნები, მაგრამ გამოუხატვია უკუქცევითი ნაცვალსახელები.

შეუარსით გ. ბოედერის შეხედულებები:

1. კუთვნილება-დანიშნულების ფუნქცია აქეს შემდეგ მახასიათებელ ხმოვნებს (ხმოვანპრეფიქსებს): ი/უ — საობიექტო, ი — სასუბიექტო და ა — საზედაო.

2. ცალკე არ უნდა გამოიყოს საარგისო ქცევა. არა მარტო აპრეფიქსს, არამედ ყველა ხმოვანპრეფიქსს (მათ შორის ი-სა და ე-ს პასიურ ზმნებში) შეუძლია ნეიტრალიზება ანუ შინაარსისგან დაცლა (ა. შანიძის ტერმინოლოგით, ესაა ე. წ. საარგისო ქცევის ფორმები, უქცევ ზმნები და ერთპირანი ენიანი ვნებითები).

3. ზმნებში ცალკე კატეგორიად არ უნდა გამოიყოს სიტუაცია. ახმოვანი ჩადგება დასახელებული ხმოვანპრეფიქსების რიგში, თუკი შესატყვისი მიცემითი ბრუნვა არსებობს.

4. ე. წ. ინტენიან ვნებითებში ეს ხმოვნები არაა ვნებითის ნიშნები, არამედ მახასიათებელი ხმოვნებია (**Charaktervokale**). ამათგან ე-ს უმეტესად აქეს შესაბამისი ექსპლიციტური მიცემითი, ხოლო ი- მიღებულია ტრანსფორმაციით.

5. თუკი ხმოვანპრეფიქსი ნეიტრალურია, მისი სუბსტიტუცია (ან ტრანსფორმირება) შეიძლება -თვის, -ზე თანდებულიანი ნაცვალსახელებით ანდა თავი, გული, ტანი სიტყვების შემცველი შესიტყვებით.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ გერმანულენოვან ლინგვისტურ ლიტერატურაში ყურადსაღები მოსაზრებებია გამოთქმული ქართული ზმნის ვერსიისა და ხმოვანპრეფიქსთა (მახასიათებელ ხმოვანთა) ფუნქციების შესახებ. ყველა მეცნიერი აღიარებს ამ ხმოვნების მჭიდრო კაფშირს მიცემითის არსებობასთან. ამას გარდა, ამ პრეფიქსთა რიგში აცევენ გარდაუვალი ზმნის ე- და ი-ხმოვნიან წარმოებასაც. ვფიქრობთ, უცხოეთში გამოქვეყნებული ლინგვისტური ნაშრომები ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ენის გრამატიკული კატეგორიების შესწავლის ისტორიისათვის. ამიტომაც საჭიროა მათი თარგმნა ქართული ენით დაინტერესებული პირებისთვის.

ლიტერატურა

ბოედერი, 1968 — Winfried Boeder, Über die Versionen des Georgischen Verbs: Fol. 2 (Folia Linguistica, Volume 2) (1-2), de Gruyter – Jan 1, 1968, 82-152.

გომრგობიანი, 1971 — თ. გიორგობიანი, ქცევის კატეგორიისათვის ქრთულში: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1971, №1.

დეეტერსი, 1930 — Deeters, Gerhard, Das kharthwelische Verbum. Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930.

ერთელიშვილი, 1965 — ფ. ერთელიშვილი, ქცევის საკითხისათვის ქრთულში: თსუ შრომები, 114, 1965, გვ. 177-198.

კეტლერი, 1938 — Kettler, Gertrud, Das Verbum finitum in der altgeorgischen Übersetzung des Markus-Evangeliums, Mödling, 1938.

კოჯიმა, 2006 — Y. Kojima, Bemerkungen über die subjektive Version im Georgischen. In: Georgica (Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens), 28, 2006, 123-135.

ლორთქიფანიძე-პილი, 1986 — Marina Lortkifanidse-Piel, Ein Versuch der Funktionsdeutung des Georgischen Charaktervokals. In: Sprachbau u. Sprachwandel, Jena, 1986, 63-69.

ლორთქიფანიძე-პილი, 1987 — Marina Lortkifanidse-Piel, Die Funktion der Charaktervokale im Neugeorgischen und ihre Wiederga-

bemöglichkeiten im Deutschen, Jena, Univ., Dissertation, 1987, 142 Bl.

მაჭავარიანი, 1980 — მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საჭითხისათვის: იქ, ტ. XXII, 1980, გვ. 42-45.

მაჭავარიანი, 1987 — მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987.

მელიქიშვილი, 2001 — დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი, 2001

ნებიერიძე, 1976 — გ. ნებიერიძე, ქცევის კატეგორია ქართულში: მაცნე, 1976, №4.

პეშენი, 1939 — Peschen, Wilhelm, Die Charaktervokale des altgeorgischen Verbums in der Übersetzung des Matthäus und Markus und den Palimpsest-Texten, Dissertation, Bonn, 1939.

როგავა, 1942 — გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვაში): საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1942, I, 207-212; II, 497-502.

რუდენკო, 1940 — . . . , ,
- ., 1940.

სალაძე, 1977 — ნ. სალაძე, ქცევის კატეგორიის შესწავლის ისტორიისათვის: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1977, №4.

სალაძე, 1986 — ნ. სალაძე, უცხოელი მკვლევრები ქართული ზმნის ქცევის კატეგორიის შესახებ: ენათმეცნიერება, თბ., 1986.

ფენრიჩი, 1965 — Fähnrich, H. Die Funktionen des Charaktervokals i im georgischen Verb'. In: Wissenschaftliche Zeitschrift der Friedrich-Schiller-Universität Jena. Gesellschafts- und Sprachwissenschaftliche Reihe, WZ (J) GS, Heft 1, Jahrgang 14, 1965, 153-157.

ფენრიჩი, 1986 — Heinz Fähnrich, Zum Aufbau georgischer Verbformen. – In: Sprachbau u. Sprachwandel, Jena, 1986, S. 22-26.

ლლონტი, 1962 — ალ. ლლონტი, ზმნის მიხემებითი ფორმების შესწავლის ისტორიისათვის: თსუ შრომები, 1962, ტ. 99, 231-235.

შანიძე, 1926 — ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი (რეზიუმე ფრანგულ ენაზე): თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, 1926, 6, 312-338.

შანიძე, 1953 — ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I: მორთოლოგია, თბ., 1953.

შუხარდტი, 1895 — Schuchardt, Hugo, Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen (=Sitzungsberichte der Akademie der Wissenschaften Wien), Philologisch-historische Classe 133, 1), 1895.

ჩიქობავა, 1959 — არნ. ჩიქობავა, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზნებში: იკე, XI, 1959, 151-168.

ჩხენცელი, 1958 — Tschenkeli, Kita, Einführung in die georgische Sprache I: Theoretischer Teil, 1958, Zürich.

ჯორბენაძე, 1983 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე, 1989 — B. Dshorbenadze, Die Vokalpräfixe des Georgischen Verbs. In: Georgica, 12 (1989), 9-13.

RUSUDAN ZEKALASHVILI

On Georgian Verbs with Vocalic Prefixes in German Linguistic Literature

Summary

In German scholarly literature there are a number of relevant viewpoints on Georgian verbs with vocalic prefixes. The term ‘characteristic vowels’ coined by Hugo Schuchardt in reference to vocalic prefixes is widely accepted. It is noteworthy that similar to some Georgian linguists, German linguists consider the prefixes in question to be a correlate of an indirect object (i.e. of a noun in the Dative). The paper focuses on W. Boeder’s work on the functions of version (a category of the Georgian verb) as well as of the vocalic prefixes (i, u, a, e). Boeder has singled out 12 groups of verbs with these prefixes and classified them into four groups: 1. those having the meaning of version; 2. neutral, devoid of meaning; 3. functionless; 4. having only a morphological load. Boeder does not single out neutral version, nor does he consider situation a separate category, he unites the latter with the category of version.

რუსულ კავშირის მიზანი

ემოციურობის ფაზორი და სამაცნიერო პროცესი

ცნობილია, რომ გრძნობები უაღრესად დიდ როლს თამაშობენ საკომუნიკაციო პროცესში — წერითი თუ ზეპირმეტყველებითი ფორმით. შესაბამისად, ემოციური შეფასებები სხვადასხვა ენობრივი ფორმით გამოიხატება. ჩვენი მიზანია გამოვყოთ ემოციური შეფასებები „კარგ“ და „ცუდი“ ნიშნით და ზოგადად დავახასიათოთ ისინი.

ნაშრომში მოცემულია ემოციურობის გამომხატველი შეფასებითი ლინგვისტური ერთეულები, რომლებიც ორიენტირებული არიან გამონათქვამის შეფასებაზე. ასე შეფასებებს საფუძვლად უდევს ავტორის ული სუბიექტური დამოკიდებულება, რაც აშკარა მხატვრულ ლიტერატურაში. ჩვენს შემთხვევაში ანალიზი ჩატარებულია სამეცნიერო სფეროს მასალაზე და ფოკუსირება სწორედ ამ ფონზე კეთდება.

ემოციურ-შეფასებითი ერთეულების გამოყენება, აქტუალიზება შენის შეფასებითი ერთეულების კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ პარამეტრებს, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ემოციური ზემოქმედების უნარს.

ზედსართაული შეფასებითი ფორმები შეიძლება ემოციურად ყველზე მეტად დატვირთულ ერთეულებად მივიჩნიოთ სამეცნიერო პროზაში. ფაქტობრივად, ტექსტის ავტორის ული შეფასების დატვირთვა სწორედ ამ ლექსიკურ ერთეულზე მოდის. ჩვენი აზრით, ისინი აადვილებენ ადრესატამდე ინფორმაციის მიტანას და ხელს უწყობენ უფრო საინტერესო, მიმზიდველი გახადონ მოცემული ინფორმაცია. შეფასებითი ერთეულები არიან გარანტი იმისა, რომ სამეცნიერო ტექსტები დაიცან ერთფეროვნებისაგან, ანუ მხოლოდ და მხოლოდ ფაქტობრივი მასალის გადმოცემისაგან. აქედან გამომდინარე მოგვაჩნია, რომ ავტორის ული ინდივიდუალურობა სწორედ ამ ფორმების საშუალებით ვლინდება, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ სამეცნიერო პროზა მატერიალური და შედარებით მშრალი შეფასებითი ფორმებისაკენ სწრაფვით გამოიჩინევა, განსხვავებით ლიტერატურუ-

ლი სფეროსგან.

მეცნიერი თავის კვლევებში თავისუფალია, მაგრამ მოვლენის აღწერის თუ განსაზღვრის პროცესში ის ექვემდებარება ენობრივ, ზოგად კანონზომიერებებს. ის თვითნებურად თუ სუბიექტური დამოკიდებულებით ფაქტობრივ მასალაზე ვერ შეცვლის ენობრივ ფორმებს. მაშასადამე, ისიც დამოკიდებულია ენობრივ ნორმებზე და სწორედ აქ ვლინდება ენის სოციალური ბუნება, მიუხედავად იმისა, თუ რა სფეროში ტარდება ესა თუ ის ანალიზი. ენა ასევე იძლევა უამრავ შესაძლებლობას გამოხატოს მოვლენისადმი ავტორისეული დამოკიდებულება. ეს შესაძლებლობა შეიძლება გამოვლინდეს ენის ყველა დონეზე. ჩვენ მხოლოდ მორთვლოგიურ/სტილისტური დონით შემოვიფარგლებით. ამგარად ჩვენი ვალია, ყურადღებით მოვეკიდოთ ენობრივი ერთეულების შერჩევას ემოციურობის გამოხატვისას — განსაკუთრებით სამეცნიერო პროზაში. იმის კითხვა — არიან თუ არა ემოციურობის აღმნიშვნელი ერთეულები გარდა მიზანდასახულობისა ფაქტის და მოვლენის დასაბუთებაზე მიმართული გამოხატულებანი. ჩვენი აზრით, ეს ასეა; სხვაგვარად — მეცნიერი არ მიმართავს შეფასებით ფორმებს მოვლენის აღწერისას, თვალსაზრისის გამოთქმისას, ციტირებულ ავტორთა აზრის კრიტიკული შეფასებისას და სხვა. ისინი ალბათ არ შეიძლება ჩავთვალოთ ჩვეულებრივ დესკრიფიულ ფორმებად, რადგან გულისხმობენ ფაქტების თანაარსებობას, შეფასებითი ხასიათისა და თვისებების გამოვლენას. ენაში სწორედ ამ ერთეულებზე მოდის დომინანტური ფუნქცია, რომ თავის თავზე აიღონ ავტორისეული მიმართება მოვლენაზე, ექსპერიმენტზე და გამოსცენ სუბიექტური დამოკიდებულება აღსაწერ მასალაზე.

მართალია, სამეცნიერო პროზა გამოირჩევა გრძნობების გამოხატვის სიმწირით, ჩვენ შევეცადეთ სწორედ ამ განმსაზღვრელი ენობრივი ფორმებით დაგვეხსიათებინა ეს სფერო, რომელსაც ხშირად მიიჩნევთ შეუთავსებლად ემოციურობის ფაქტორთან.

ემოციურობის გამომხატველი ფორმები აღნიშნულ სფეროში უნდა ემსახურებოდეს შეტყობინებას და არა ეფექტის მოხდენის მიზანს, მაგალითად:

The problem appears to me not to be sufficiently cool.

ვფიქრობ, შეფასებაში სუბიექტურობის მაჩვენებელი ფაქტორი აშკარაა. შესაბამისად, გასაგებია მთქმელის უარყოფითი დამოკიდე-

ბულება პრობლემის მიმართ, ასევე:

— When scientists find language letting them down, it is generally because it is too precise, too determinate.

— For the logician, if two things conflict they cannot both be true.....and if language does not do this, then it is too loose, too vague.

ინტენსიფიკატორი *too* მოცემულ მაგალითებში გვაძლევს შეფასებას „მეტისმეტი“, რაც უარყოფით ელფერს აძლევს გამონათქვას, ანუ წინა პლანზე გამოდის „ცუდი“ შეფასებითი ფორმა.

„ცუდი“ ემოციური შეფასებით ზედსართაულ ფორმებს ხშირად ვხვდებით რეცენზიის, სტატიის ან ნაშრომის შეფასებისას: unsatisfactory, ridiculous, tedious, boring, unworthy, vague, second-rate, ignorant and so on.

—....the author finds the theory of epicycle ridiculous.

სამეცნიერო პროზაში უფრო დიდი სიხშირით გვხვდება დადგებითი შეფასებითი ზედსართაული ფორმები და შესიტყვებები, როგორიცაა: excellent, fascinating, perfect etc.

— a fascinating field of study,

— a striking paper,

— an excellent review,

— wonderful substrate for growth.... and so on.

მიმართა, რომ ყველა ეს ზედსართაული ფორმა გადმოსცემს ინტელექტუალურ-ლოგიკურ შეფასებას. მათ აქვთ უნარი შექმნან მყარი ბმული ერთეულებით არსებით სახელებთან. ხშირია, როცა ისინი კლიშე ფორმებად ჩჩებიან ენაში და მათი გამოყენების სიხშირე საკმაოდ მაღალია ჩვენთვის საინტერესო სფეროში, მაგალითად:

great success, amazing improvements, a remarkable experiment, striking facts, a boundless variety of..... and so on.

ვზიარებ ნ.რაზინინას თვალსაზრისს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, რომ ეს კლიშე ფორმები, რომლებიც გამოირჩევან თავისი მყარი ბუნებით, შეფასებითი თვისებების მატარებელი ერთეულებია, სადაც ავტორისეული შეფასება მოვლენის მიმართ აშკარაა და ის შეიძლება იყოს „კრგი“ ან „ცუდი“. უნდა დავამატო, რომ ასევე გავრცელებულია 2,3 წევრიანი შეფასებითი ფორმებიც:

— ingenuous and explicit approach,

— interesting and useful observation,

— quite simple and satisfactory experiment and so on.

მაშასადამე, სამეცნიერო პროზა, რომელიც მიჩნეულია ყველაზე უფრო ნეიტრალურ, ფაქტობრივ მასალაზე აგებულ სფეროდ, მაინც ხასიათდება ემოციურად დატვირთული შეფასებითი ლექსიკური ერთეულებით, რომლებიც უფრო საინტერესოს ხდიან კვლევით ნაშრომს და გადმოსცემენ ავტორისეულ ხედვას „ცუდის“ ან „კარგის“ გაგებით.

ლიტერატურა

ლაზურისი, 1991 — Emotion and Adaptation NY

ვიერზბიკა, 1999 — Emotions across Language and Culture, Cambridge University Press.

რაზინკინა, 1971 —

,

RUSUDAN KAVTIASHVILI

Emotion and Scientific Prose

Summary

The paper deals with the emotion concepts in scientific prose. The viewpoint that the latter lacks emotionally coloured evaluative forms is not always true.

The paper is an attempt to define some lexical units giving “good” or “bad” connotation to the idea expressed in scientific texts.

ოციცონ კვანთალიანი, რუსულ ლანდია

ზონური კომპონენტი ტერმინოლოგიურ ლექსიკაში „შინამრევაზოგობის მასალების“ მიხედვით

მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის შეიკრიბა 1935 წელს ერთი მეცნიერული პროგრამით და ერთდროულად მთელ საქართველოში, აგრეთვე საინგილოში მცხოვრებ ქართველებს შორის. ექსპედიციის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ივ. ჭავახიშვილი. ვარდამ დონდუსადმი მიწერილ წერილში ის წერდა: „თავმოყრილია ისეთი მასალა, ურომლისოდაც მომავალში ვერც კულტურის ისტორიკოსი, ვერც ენათმეცნიერი და ვერც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიაზე მომუშავე ვერას გააკეთებს. მოხარული ვარ, რომ ის საშილოშვილო საქმე, რომელიც უნდა გაკეთებულიყო და რომელზედაც ვოცნებობდი, ბოლოს მაინც განხორციელდა“ (ჭავახიშვილი, 1968, 137).

ამ მასალების ენათმეცნიერული ღირებულება იმდენად დიდი იყო, რომ ამ ტექსტების უკეთ დაცვისა და შენახვისათვის ენათმეცნიერების ინსტიტუტში საჭიროდ მიჩნიეს გაეკეთებინათ ასლები და მასალა ხელახლა გადაეწერათ. ეს პირები 1956 წელს შეადგინა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რედაქციაში, შემდეგ ეს მასალა გამოიყენეს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ფონდის შესახებად.

ამჟამად მიმდინარეობს ენათმეცნიერების ინსტიტუტის კუთხნილი ხელნაწერი პირების გაციფრება და დიალექტების კორპუსში განთავსება, რაც განაპირობებს სხვადასხვა დარგისა და დიალექტური მასალის ლექსიკოგრაფიულ დამუშავებას.

ფაქტობრივად, ეს არის მოსამზადებელი სამუშაო ენციკლოპედიური ტიბის დიალექტური განმარტებითი ლექსიკონისათვის, რომელიც ამ უნიკალური მასალის მიხედვით უნდა გაკეთდეს. ამიტომ სა-

ჭიროა აქ თავმოყრილი მრავალფეროვანი ლექსიკური მასალა დამუშავდეს ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. ამჟამად სწორედ ამ სამუშაოს ნაწილს წარმოვადგენთ.

ბ. ფოჩხუა წერდა, რომ „საქმიანობასთან დაკავშირებული ლექსიკის დაჯგუფება-შეწავლა დამახასიათებელია ქართული ლექსიკოლოგისათვის“ (ფოჩხუა, 1974, 211). „შინამრეწველობის მასალები“ სწორედ საქმიანობასთან დაკავშირებულ ლექსიკას მოიცავს. ბ. ფოჩხუა საგანგებოდ გახაზავს „შინამრეწველობის მასალების“ დიდ ღირებულებას. „ქართული ენის ლექსიკოლოგიაში“ ის წერდა: „ქართული ენის ლექსიკის მნიშვნელოვანი წილის დარგობლივი მიმოხილვის ნიმუშს წირმიადგენს ის სამუშაო, რომელიც აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შესრულდა ოცდათიან წლებში. ქართველი ერის ისტორიის ყოველმხრივი შეწავლისათვის მისი მატერიალური კულტურის კვლევას რომ პირველასრისხოვანი მნიშვნელობა აქვს — ეს გარემოება ივ. ჯავახიშვილს იმთავითვე პქონდა გათვალისწინებული. წერილობითი წყაროების ჩვენებათა საფუძველზე მან შექმნა შესანიშნავი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ (ორი ტომი), მაგრამ არქეოლოგიური და, განსაკუთრებით, ეთნოგრაფიული მასალების უკარისობაში აიძულა მეცნიერი საგანგებო ზომები მიეღო. საქართველოს სხვადასხვა კუთხემი შემორჩენილი სხვადასხვაგარი მოსაქმების შესახებ ცნობების შესაკრებად ივ. ჯავახიშვილმა შეადგინა სათანადო პროგრამა (ინსტრუქცია) — „შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წეს“ (ფოჩხუა, 1974, 213).

ბ. ფოჩხუა გულისტკივილით შენიშნავს, რომ ივ. ჯავახიშვილის ნაადრევმა სიკვდილმა ხელი შეუშალა მასალის სასტამბოდ გამზადებას, მაგრამ ჩანს, რომ დიდი მეცნიერი გულდასმით სწავლობდა ამ მასალებსა და საჭიროების შემთხვევაში იყენებდა კიდეც. აქვე ის უმატებს, რომ „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხებში“, რომლის გამოცემაც ივ. ჯავახიშვილის სიცოცხლეში მოესწრო (1938წ.), წერილობითი წყაროების გარდა სრულად არის გათვალისწინებული ხსენებული „შინამრეწველობის მასალებიც“. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვა-

ლების შემდეგ გამოცემულ მის რამდენსამე ნაშრომშიც ჩანს ამ მასალების გამოყენების კვალი“ (ფოჩხუა, 1974, 214). ბ. ფოჩხუა „შინამრეწველობის მასალების“ შესახებ მსჯელობს თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის წინასიტყვაობაშიც. აქ მას ჩამოთვლილი აქვს დარგებიც, რომლებიც ჩამწერებმა ივ. ჯავახიშვილის შედგენილი პროგრამის (ინსტრუქციის) თანახმად შეისწავლეს.

შინამრეწველობის ტერმინოლოგიური ლექსიკა თავისი შედგენილობის მიხედვით ერთგაროვანი არ არის. საკუთრივ შინამრეწველობის ტერმინების გარდა აქ გვხვდება სხვადასხვა დარგის დიალექტური ლექსიკა. ამიტომ აღნუსული და სათანადოდ დამუშავებული უნდა იქნეს ლექსიკური დიალექტიზმები. ბ. ფოჩხუა გამოყოფს ლექსიკურ დიალექტიზმებს, ანუ დიალექტურ სიტყვებს და მათ გვერდით განიხილავს ე. წ. სემანტიკურ დიალექტიზმებს, ე. ი. საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვათა დიალექტურ მნიშვნელობებს... ის წერს: „სემანტიკურ დიალექტიზმებსა და საკუთრივ ლექსიკურ დიალექტიზმთა შორის მიჯნა ძნელი დასაღვენია. მათ შორის თავსდება ის სიტყვები, რომლებიც წარმოებით, იგებულებით, საერთოენობორივ ფაქტებს მიეკუთვნებიან, მნიშვნელობა კი დიალექტური აქვთ, მაგრამ ამასთანავე მონოსემიურნი არიან: დიალექტში დადასტურებული სპეციალური მნიშვნელობის გვერდით მათ არ მოეპოვებათ საერთოენობრივი მნიშვნელობა“ (ფოჩხუა, 1974, 193). ამის ნათელი დადასტურებაა „შინამრეწველობის მასალები“. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

დაოშა, დაოშავს

„თუ მაგარი მიწა არის, ნაოჩარი რომ არის, მაშინ იმას დაოშავთ და დაფარცხამდი. დაოშას უძახით დამორე (დახულში საწინააღმდეგო კვლებს რომ გაავლებენ, კ. კ.) რომ დავხნავთ“ (ქვ. იმერ. III, 292).

დააჩერგალებს, დააჩერგალება

შემდეგ რამდენიმე კონას (ჩალისას) ერთად მოუყრი თავს, ავაყენებ ფეხზე და დააჩერგალებს. დააჩერგალებას ჩვენ უძახით, როდესაც რამდენიმე ჩალის კონას ერთად ავაყენებთ ფეხზე და შეკრავთ (ქვ. იმერ. III, 292).

ამოფარავს, ამოფარვა

პურისთვის მიწას ჯერ დავხნავთ, მერმედ დავთესავთ და მერე დავთარცხავთ. მერმედ პურს **ამოვფარავთ. ამოვაჩვას** ჩვენ ვეძახით, კვალს რომ გავავლებთ პურში, იმას ამოვწმენდავ, ანუ ამოვფარავთ (ქვ. იმერ. III, 305).

გამოროდება, გაამოროდებს
[სიმინდის ყანას] მერე მეორე თოხი ექნება, რომელსაც **გამოროდებას** ვეძახით (ქვ. იმერ. III, 309).

მერე გაგამოროდებდით (ქვ. იმერ. III, 312).

გადაკვანტილება
მე ავიღებ ჩალის კონას, კუდს გაუხსნი შვაზე. გავხოვ მეორე ჩალის კონის კუდზე და გადავისამ ერთმანეთზე და ჩამოვკიდებ შტოზე. ამას გადაკვანტილებას ვეძახით ჩალისას (ქვ. იმერ. III, 310).

დაძულება, დაიძულებს
მეორე დღეს რომ გაძოუშვებენ ცხვარს, დედა **დაიძულებს ბატკანს**, რადგან გათხუნულია, თავისი სული აღარ ასდის, ამას **დაძულება ჰქვიან** (ქიზ. IV).

აქ წარმოდგენილ ყველა ზმნურ ფორმას აქვს მხოლოდ დიალექტური მნიშვნელობა და არ მოეპოვება საერთოენობრივი მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ საკუთრივ ტერმინთა წარმოებაში უმეტესად უშუალოდ ზმნური კომპონენტი არ მონაწილეობს, მაგრამ ტერმინოლოგიურ ლექსიკაში იგი ცალკე გამოსაყოფია. რ. ღამბაშიძე მიუთითებს, რომ ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სამეცნიერო ტერმინის როლში ძირითადად არსებითი სახელები გვევლინებიან, დანარჩენი მეტყველების ნაწილები კი, თუ ისინი არ წარმოადგენენ ტერმინის შედეგენილობაში სტრუქტურულ კომპონენტს, საჭირონი არიან მხოლოდ მეცნიერული თხრობის პროცესში. თავად რ. ღამბაშიძე წერს, რომ „ზმნები მართებულად არაა მიჩნეული მკვლევართა უმრავლესობის მიერ ტერმინებად, მიუხედავად იმისა, რომ ცნებათა რთულ სისტემაში პროცესების აღმნიშვნელი კატეგორია ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია“ (ლამბაშიძე, 1986, 72-73). ის მიუთითებს, რომ „პროცესების აღსანიშნავად ტერმინოლოგიურ სისტემებში ზმნების ნაცვლად ნაზმნარი სახელები, ანუ მოქმედების სახელებია გამოყენებული...

ზმნის არსებით სახელად გარდაქმნა მოქმედების აბსტრაქტულობას გამოხატავს“ (ლამბაშიძე, 1986, 73).

მართლაც, „შინამრეწველობის მასალებში“ როდესაც მთქმელი საუბრობს ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შესახებ, ზმნური კომპონენტის გვერდით ის ასახელებს სახელზმნურ კომპონენტსაც: მასდარსა და მიმღებობას. პროცესს ის მართლაც სახელს არქმევს, იყენებს უმეტესად მასდარს, მოქმედების სახელს.

ამას ადასტურებს ზემოთ წარმოდგენილი მაგალითები. მთელი მასალა ისედაც ამის ილუსტრირებაა. ამიტომ აქ რამდენიმე ნიმუშს მოვიყვანთ:

დაპრელებს, დაპრელებული
სკეტებს **დაგაპრელებთ** და გამოვიყვანთ თაღებს **დაპრელებულს** (ქვ. იმერ. I, 38).

დაბარყვნის, დაბარყვნა
ცხვარი რომ გაიპარსება, მატყლს ჯერ დავწერავთ და მერე კი მატყლს **დაგბარყვნით. დაბარყვნას** ჩვენ საჩეჩელზე ჩეჩვას უძახით (ქვ. იმერ. II, 142).

გადაყმაწვილებს, გადაყმაწვილება
მოვაბავ ძაფს თავში, გამოყყობი ბოლო თავში და მოვახობ, შემდეგ **გადავაყმაწვილებთ. გადაყმაწვილებას** იმას ვეძახით, რომ ჭარედინად გადაგვსავთ დასაქსუალი ჭოქით (ქვ. იმერ. II, 143ა).

რა თქმა უნდა, მასალიდანაც ჩანს, რომ ზმნებით თხრობის პროცესში მოქმედება, საქმიანობა აღინიშნება, თორემ ტერმინად მათ მიჩნევას თვით მთქმელებიც ერიდებიან და ამისთვის მოქმედების სახელს იყენებენ. ფაქტია, ზმნა ტერმინის აქტუალიზაციას ახდენს. ზმნა ტერმინი არ არის, მაგრამ ტერმინს გამოავლენს. ესეც ფაქტია, რომ ზმნური კომპონენტის გარეშე ტერმინოლოგიური ლექსიკის შესწავლა შეუძლებელია. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონისათვის მასალას სათანადო დამუშავება დასჭირდება. რა თქმა უნდა, აუცილებელი იქნება მასალის ბუდობრივად წარმოდგენაც. ერთ ბუდეში იქნება სრული ინფორმაცია ტერმინის შესახებ, მისი ნაწილების თუ მასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ. მაგალითად, **მატყლის** დამუშავებას უკავშირდება

და, სავარაუდოდ, ერთ ბუდეში შემოვა **დაკეპვა**, **დაწერვა**, **დართვა**, **დაქსელვა** ფორმები შესაბამის კონტექსტან ერთად და სათანადო ზმნური ფორმებიც აღირიცხება.

მიწის დამუშავებას უკავშირდება ზმნები — **დახნავს**, **დაჭოლას**, **დაფარცაშს**, **დაოშავს**, **დათესავს**.

გასათვალისწინებელია, რომ ელექტრონული ვერსია მეტ საშუალებას იძლევა სხვადასხვა ამოცანა დავსახოთ და სასურველი შედეგი შედარებით ადვილად მივიღოთ.

ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ ბ. ფოჩხუას თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონში საკმაოდ ხშირად სხვადასხვა სემანტიკურ ბუდეში შეტანილი აქვს ზმნები. რა თქმა უნდა, აღმოცენება, კვირტი, ყლორტი, ყვავილი, მოსხმა, ტყეთა კაფვა და გაშენება და მსგავს ბუდეებში შემავალი ცნებების, ტერმინების შესახებ ზმნების გარეშე სრული წარმოდგენა არ შეგვეჩნებოდა.

აქედანაც ცხადია, რომ აუცილებელია ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ზმნების როლის გამოკვეთა და საფუძვლიანი შესწავლა. ამის-თვის საჭირო გახდა განგვეხილა ზმნური პოლისემია და სინონიმია.

ცნობილია, რომ შინამრეწველობის ტერმინებისა და ტერმინოლოგიური ლექსიკისათვის დამახასიათებელია მონოსემიურობა, მაგრამ ხშირია პოლისემიაც, მიუხედავად იმისა, რომ რ. ლამბაშიძე მიუთიებს, „პოლისემიის შემთხვევები ტერმინოლოგიურ ლექსიკაში გაცილები ნაკლებია, ვიდრე საერთო ქართულში“ (ლამბაშიძე, 1986, 23).

ბ. ფოჩხუა ხაზს უსვამს პოლისემიის კავშირს კონტექსტან. პოლისემიური სიტყვა საგანთა რამდენსამე კლასთან ავლენს მიმართებას, ამდენად იგი კონტექსტთა რამდენსამე ჯგუფში უნდა გვხდებოდეს. სხვადასხვა კონტექსტში სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება სხვადასხვა იყოს (ფოჩხუა, 1974, 249). მართლაც, პოლისემიური სიტყვა შეიძლება რამდენიმე სემანტიკურ ბუდეში მოხვდეს ისე, როგორც ბ. ფოჩხუას თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიულ ლექსიკონშია. იქ, როგორც ბ. ფოჩხუა აღნიშნავდა, სიტყვის მრავალმნიშვნელობისა და განხილვის სხვადასხვა კუთხის გამო ერთი და იგივე სიტყვა

შეიძლება მრავალჯერ შეგვხდეს სხვადასხვა თემატურ განაყოფში (ფოჩხუა, 1987, 9). „შინამრეწველობის მასალებშიც“ ასეა.

მაგალითად, **ამოიუგანს** ზმნას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. **ამოიუგანს სახლს**, **კედელს** თუ **ბუქარს** — ეს ერთ მნიშვნელობამდე დაიყვანება. ეს არის **ამოშენება**, მაგრამ **ამოიუგანს თვალს** — ეს უკვე განსხვავებული მნიშვნელობაა და **ამოქსოვას** ნიშნავს. ასევე განსხვავებული მნიშვნელობაა **ამოიუგანს ყველას** და **ამოიუგანს / აიყვანს წყალს**.

პოლისემიურია გამართვა საქსლისა — საქსოვის გამართვაა და **გამართვა სახლისა** — დურგლის საქმიანობას გულისხმობს.

ტერმინოლოგიურ სისტემებში სინონიმის არსებობა ერთ-ერთ სადაცო საკითხად მიიჩნევა, მაგრამ შინამრეწველობაში ეს საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ხშირია მათი არსებობა არა მარტო სხვადასხვა დაილექტის დონეზე, არამედ ახლომდებარე სოფლების არეალშიც. რ. ლამბაშიძის აზრით, „სხვადასხვა ტერმინოლოგიური სისტემა სხვადასხვა დამოკიდებულებას იჩენს სინონიმების ხმარების თვალსაზრისით. ბოტანიკის, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიებში სინონიმების დიდი სიჭარბეა, რასაც უთუოდ თავისი ახსნა მოეპოვება. შესაძლებელია არ იყოს გამოსარიცხი ის ფაქტიც, რომ ზოგი დარგის სპეციფიკა, მისი სემანტიკური სტრუქტურა უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ნაციონალური საერთო ენის ფესვებთან“ (ლამბაშიძე, 1974, 41). ეს მოსაზრება ფართოდ ვრცელდება შინამრეწველობის ტერმინოლოგიურ სისტემებშე. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. სინონიმებია: **დაბარუებნის** მატყლს, მატყლის **დაბარუებნა** და საჩეჩელზე **ჩეჩიას** მატყლს, მატყლის **ჩეჩვა**, **დაკეკავს** მატყლს, მატყლის **დაკეპვა** და **დაწერვა** მატყლს, მატყლის **დაწერვა**.

გამორჩავს — გაფურცლავს

[ვენახს] ამისათვით **გაგურცლავთ**, გამოვაკლებთ, **გამოგრჩავთ**, **გამორჩავა** — ბევრი ფოთოლი რომ ექნება ნაყარი, დავაყენებთ სამოთხ ლერწზე (ქვ. იმერ. IV, 361).

მორაგვავს — მოლობავს

ფაცხას წნელით **მოვრაგვავთ**. წნელით **მოვლობავთ** (ქვ. იმერ. I, 24).

ბოლოს, ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ტერმინოლოგიური ხასიათის შესიტყვებების, ანუ ტერმინოლოგიური გამოთქმების შესახებ. ის გამოყოფილი უნდა იყოს ერთად სწორედ იმ სახით, როგორც ტექსტშია მოცემული და განმარტებაც მთლიან შესიტყვებას უნდა მიეცეს. ჩვენი მასალა, ზემოთაც აღვნიშნეთ, მოსამზადებელი ბაზაა ენციკლოპედიური ტიპის განმარტებითი ლექსიკონისათვის. ამიტომ განმარტებებიც უფრო ვრცელი, ამომწურავი უნდა იყოს, სრულ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს საგნის თუ მოქმედების, საქმიანობის შესახებ. ამიტომ შესიტყვება მთლიანად უნდა გამოიყოს, მაგრამ შესიტყვების კომპონენტები ცალ-ცალკე, თავის ადგილზეც უნდა დაფიქსირდეს და განიმარტოს. მაგალითად: **საძირკვლის ჩაგდება, საძირკვლის გაჭრა, მიწის გადაბრუნება, სახლის გამართვა (დურგლის საქმიანობა), ნამატების გამოყვანა** (ქსოვის დროს), ქვის გათლა, კირის გამოწვა, ჭრის აკვრა, ხნულის გატანა, ხუშტარაში გამოყვანა — ფიცრის ორივე გვერდის სისქე თანაბარი რომ ექნება. სისწორეში გამოყვანა სისქის (ქვ. იმერ.).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „შინამრეწველობის მასალები“ საქმიანობასთან დაკავშირებულ ლექსიკას მოიცავს. ნებისმიერი საქმიანობა მოქმედების მიმდინარეობას, პროცესს გულისხმობს. მოქმედება, პროცესი კი შეუძლებელია ზმნების გარეშე აღიწეროს. ამიტომ შინამრეწველობის ტერმინოლოგიურ ლექსიკაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სწორედ ზმნურ კომპონენტს. შინამრეწველობის ტერმინოლოგიურ სისტემებში მათ თავიანთი გამორჩეული ადგილი უკავიათ. ამის ნათელი დადასტურებაა შინამრეწველობის მასალების ტერმინოლოგიურ ლექსიკაში ზმნური პოლისემის, სინონიმის თუ ტერმინოლოგიური ხასიათის შესიტყვებების, ანუ ტერმინოლოგიური გამოთქმების მწყობრი სისტემის არსებობა, რაც ზმნური კომპონენტების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია მათი ამ კუთხით შესწავლა.

ლიტერატურა

კვანტალიანი 2007 — ც. კვანტალიანი, „შინამრეწველობის მასალების“ ენათმეცნიერული მნიშვნელობა, საენათმეცნიერო ძიებანი, XXV, 2007წ.

ფოჩხუა 1974 — ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, 1978წ.

ფოჩხუა 1987 — ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, 1987წ.

ლამბაშიძე 1986 — რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, 1986წ.

ჯავახიშვილი 1968 — ივ. ჯავახიშვილი, ვარლამ დონდუასადმი მიწერილი წერილები, მნათობი, №9, 1968წ.

TSITSINO KVANTALIANI, RUSUDAN LANDIA

Verb Components in Terminological Lexis: on the Material of “Household Manufacturing”

Summary

The paper presents the results of the study of verb components carried out on the material of “Household Manufacturing”, the data accumulated under the supervision of Ivane Javakhishvili, the copies being preserved at the Institute of Linguistics of the Georgian Academy of Sciences.

The analysis has revealed the following: in the text corpus in question the writer uses verbs for representing different types of procedure, and masdar forms for nominating the activities.

The paper also focuses on the issue of polysemous and synonymous terms and terminological set phrases. The results of the study have proved that verb component is of particular importance for terminological lexis.

ნაც ლოლაძე

სიმუშლი ლოკალიზაციის აღმიშვნელი ზოგადი

სივრცული მიმართებების ენობრივი რეალიზაცია დიდ ინტერესს იწვევს როგორც ლინგვისტური, ისე კოგნიტური თვალსაზრისით. მისი შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს გამოვაგვინოთ სივრცული აღქმის კანონზომიერებები, ცნებათა სისტემა, რომლის საშუალებითაც ადამიანი შეიმძებებს სამყაროს. სხვადასხვა ენაში ამ მიმართებების რეალიზაცია განსხვავდებულია.

სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები ქართულში მყარ ლექსიკურ-გრამატიკულ ჯგუფს ქმნიან. ეს უძველესი ფორმაციის ზმნებია, რომელთაც, ერთი მხრივ, შეინარჩუნეს გარკვეული არქაულობა — მონაცემება რიცხვის, გვარის, დრო-კილოთა მიხედვით; მეორე მხრივ, განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საგულისხმოა როგორც ამ ზმნათა შესწავლის, ისე საერთოდ ენის ტენდენციების თვალსაზრისით.

თანამედროვე ქართულში ვერტიკალური მდებარეობა (როგორც სულიერი, ისე უსულო საგნისა) აღინიშნება დვას ზმნით, რაც შეეხება ჰორიზონტალური მდებარეობას, სულიერისას აღნიშნავს წევს ზმნა, ხოლო უსულო საგნისას — დვას, ძვეს ზმნები. მდებარეობას აღნიშნავს აგრეთვე ზის ზმნა, რომელიც სულიერს მიემართება.

ძველ ქართულში ვერტიკალურ მდებარეობას აღნიშნავს დვას ზმნა, თანამედროვე ქართულის მსგავსად, როგორც სულიერი, ისე უსულო საგნისა:

ხვალისა დღე დღა კუალად იოვანე და მოწაფეთა მისთაგანნი ორნი ი. 1, 35

დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორით ლ. 23, 49

მრავალურ დღან ზეთი იგი ჭურჭელსა კი. I 18, 30.

ჭურჭელი დღა მუნ ძმრითა სავსტ. ი. 19, 29

რაც შეეხება ჰორიზონტალური მდებარეობას, მას აღნიშნავს ძეს ზმნა, იგი გამოიყენება როგორც უსულო, ისე სულიერი საგნის მდებარეობის აღსანიშნავად:

აპა ცული ძირთა ხეთასა ძეს მ. 3, 10

სადა ბზც ძე ინგორის სახისმეტყ. იტ. 5

რადა სძე და ხურინავ? სინ. მრ. 163, 17

ყრმად ჩემი ძეს სახლსა შინა ჩემსა დაქსნილი მ. 8, 6 C

წევს ზმნა აღნიშნავს „წოლას“, „დაძინებას“ (აბულაძე, 1973, გვ.

550). ისევე როგორც თანამედროვე ქართულში, ძველშიც ეს ზმნა სულიერს მიემართება (უფრო ზუსტად, ვინ ჯგუფის სახელს). ამ ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმები თითქმის არ გვხდება. როგორც ივ. ქავთარაძე მიუთითებს: „დასაშვებია, რომ პირველი და მეორე სუბიექტური პირის ფორმები უზმნისწინოდ აორისტში ფორმალურად მსგავსია აწყოსი: ვწევ — ვწევ(ი). მრავლობითის მესამე პირში გამოვლენილი ან სუფიქსი სავარაუდოა ძველ ქართულშიც: წვანან“ (ქავთარაძე, 1954, გვ. 151). მაგრამ ეს ფორმაც არ გვხდება.

სახარებაში ერთადერთი შემთხვევა ამ ზმნის გამოყენებისა, ისიც მესამე სუბიექტური პირის აორისტის ფორმით.

ხე იგი თავადი წევა თავით კერძო სასთაულსა ზედა მრ. 4, 38 C

რაც შემდგომ ხელნაწერებში იყო ზმნითა შეცდლილი.

სინურ მრავალთაგში აწყოს მესამე სუბიექტური პირის ფორმა დასტურდება:

აპა ესერა ყრმა სახუეველითა შეხუეულ არს და ბაგასა შიდა წევს სინ. მრ. 38, 7

ილია აბულაძის ლექსიკონში მოყვანილია მეორე სუბიექტური პირის ფორმა სწევ:

რომელსა სწევ შენ გუერდსა შენსა ზედა | ეზეკ. 4, 9 (აბულაძე, 1973, გვ. 550)

სწევ ფორმა აქვს დადასტურებული აგრეთვე ლ. ბარამიძეს:

ნუ დღეს ჭურჭნასა სწევ და ხვალე ცხედარსა ზედა. ივ. ჭავახ., სინის აღწ. 229, 40

ივ. ქავთარაძე იმოწმებს შემდეგ ფორმებს:

აწმუნ: ქუეყანასა ზედა წევრ. ქართ. სომხ. ლიტ. ურთ. 62, 15
ხოლმეობითი: ბზესა ზედა ინგორის და ზო უკუნ წვის. სახის-
მეტყ. ი 8

ზის/ქლა ზმნა უფრო ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება, ვიდრე
თანამედროვე ქართულში. ამ ზმნისათვის ილია აბულაძე ზეჯდომის
მნიშვნელობას გამოყოფს.

...ფუცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა მ. 23,
22

რაც შეეხება კადა ფუძეს, იგი ძირითად მნიშვნელობასთან ერ-
თად, „დამკვიდრების“ სემანტიკითაც გამოიყენება:

კლეს შორის ყოველსავე ადგილსა M

თქვენ შორის დაეჭვიდროს ყოველსა ადგილსა G || შვ. 23, 16*

ამდენად, საგნის სივრცული ლოკალიზაციის აღნიშვნისას სულიე-
რობა-უსულობის (ვინ და რა ჯგუფის) მიხედვით განაწილება მეორე-
ული ჩანს. ამ მხრივ საყურადღებოა ქართველურ ენათა მონაცემები:

„დგომის“ აღმნიშვნელი ზმნები შემდეგ სურათს გვიჩვენებენ:

ქართ. დგას

მეგრ. დგუ (6)

ჭან. დგურს

სვან. ლჲბ

როგორც ვხედავთ, ქართულსა და ზანურში ეს ზმნა საერთო
ძირს ეყრდნობა. არნ. ჩიქობავა მიუთითებს, რომ ზანურში ამ ძირს
ხმოვანი დაკარგული აქვს, ქართულში კი პირველსა და მეორე პირში
გამოიჩნება, ამდენად, ამ ზმნის ძირიდ დეგს მიიჩნევს (ჩიქობავა,
1938, გვ. 269).

ქართულ-ზანურ ძირს უკავშირებენ სვანურ გ ძირსაც. კერ-
ძოლ, ვ. თოფურია დევ ზმნის ძირად გამოყოფს გ'ს, ხოლო დ'ს კლა-
სის ნიშნის კვალიფიკაციას აძლევს. (თოფურია, 1942ა, გვ. 966, 972;
თოფურია, 1942გ, გვ. 149). ვ. თოფურია ზანურის დგ ძირს ქართუ-

* ილია აბულაძე იმოწმებს ძალზე საყურადღებო ფორმას: დღისი და ღამე აქა
შედრია სინ-11, 242

ლიდან შესულად მიიჩნევს. როგორც ივ. ქავთარაძე მიუთითებს იგივე
გ ძირი უნდა გვქონდეს ჰგიეს ზმნაში (ქავთარაძე, 1954, გვ. 155).

„ძევს“ სემანტიკის ზმნებია:

ქართ. ძევს

მეგრ. ძუ (6)

ჭან. ძუნ || ძინ

სვ. ზი || ზგ

არნ. ჩიქობავა ქართულ-ზანურისათვის საერთო ძ ძირს გამო-
ყოფს. ქართულ მ და ზანური უ, მისი აზრით, ფუნქციურად შეე-
ფარდებიან ერთმანეთს (ჩიქობავა, 1938, გვ. 388), ამავე დროს, ძ
ძირს არნ. ჩიქობავა დ ძირს უკავშირებს. აღსანიშნავია, რომ ეს ძი-
რები ერთმანეთს დაუკავშირა ნ. მარმა. მან ამოსავლად ძ მიიჩნია,
აქედან, ძვ→დვ (მარი, 1925, გვ. 155). არნ. ჩიქობავას აზრით კი
ამოსავალი უნდა ყოფილიყო დ: დ→ძ, დ'ს ფონეტიკური ცვლილების
მესამე საფეხურად მკვლევარი ზ'ს ვარაუდობს: დ→ძ→ზ. ზ ძირიანი
ფორმები დასტურდება ჭანურის ათინურ კილოკავში მოვოზუნ (იქვე)
დ, ძ ძირებსა და ზ'ს უკავშირებს ერთმანეთს და ამავე დროს ზ ძირს
ივ. ქავთარაძეც, მაგრამ იგი გარდამავალ საფეხურად მიიჩნევს არა
ძ'ს, არმედ ზ'ს — დ→ზ→ძ (ქავთარაძე, 1954, გვ. 224)*.

რომელი მოსაზრების სასარგებლობაც უნდა გადაწყდეს ეს საერ-
თხი, ჩვენთვის არსებითია, რომ ძევს სემანტიკის ზმნები სრულ შესა-
ტყვისობას გვიჩვენებს სამივე ქართველურ ენაში (ფერიხისი, სარჯე-
ლაძე, 1990, გვ. 422).

ამდენად, ვერთიკალური მდებარეობის აღმნიშვნელი ძირია ქარ-
თულ-ზანური ლუ / ლვ; სვან. გ, ხოლო ჰორიზონტალური მდებარეო-
ბის აღმნიშვნელი ძირია ქართულ-ზანური ძ, სვან. ზ ↔ ძ. როგორც
ვხედავთ, „დგომის“ და „დგბის“ აღმნიშვნელი ზმნები საერთო
წარმოშობისა ჩანს. განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს მდებარეო-
ბის აღმნიშვნელი სხვა ზმნები.

* ძ გავსა ყურადღებას ამაზგილებს იმ გარემოებაზე, რომ ეგვე დ/ზ ძირი
გვაქს ფორმაში ხაზ „აცვია ფეხს“. შდრ. ზანურის ჭან. ქომიძინ; მეგრ. მუმოძუნ „აც-
ვია ფეხზე“, სადაც შესაბამისი ზმნა ძ ძირიანი (გაგუა, 1976, გვ. 122).

ქართველურ ენებში „წოლის“ აღმნიშვნელი ზმნებია:

ქართ. წევს

მეგრ. ჭანუ (6)

ჭან. ჭანს

სვან. აყურე

ზანური ჯ ძირი ქართული ძ ძირის შესატყვისია, შდრ. ქართ. ძირ // ძირ. აღსანიშნავია, რომ ძირი, დაძირება ამ ზმნის ძირითადი მნიშვნელობაა ჭანურში. როგორც ვხედავთ „წოლის“ აღმნიშვნელი ზმნები სხვადასხვა ძირს ეყრდნობა ქართულში, ზანურსა და სვანურში. ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს „კდომის“ აღმნიშვნელი ზმნები:

ქართ. ზის ჭდა

მეგრ. (გე)ხე (6)

ჭან. გეხენ

სვან. სურ

მდებარეობის აღმნიშვნელი ზმნებისათვის დამახასიათებელია არ-სებობა-მყოფობისა და კუთვნილების სემანტიკით მათი გამოიყენება. ამ ზმნების ერთ-ერთ მნიშვნელობად არსებობა-მყოფობა გამოყოფილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: დგას 4. ცხოვრობს; დაბანკულია; იძყოვება. მინდორში ჭარი დგას. 8. არის (როგორი ამინდი). სიცხე დგას. იმაზე (ან ამაზე) დგას — იმ (ამ) აზრისა. იმ (ამ) აზრს იზიარებს [ქეგლ, 1990, გვ.458]; ზის 3. არის იძყოვება. უსაქმოდ ზის.— სახლში ზის 4. (საუბ.) ციხეშია, დაპატიმრებულია. ხულიგნობისათვის ზის 5. აღვილსამყოფელი აქს (მეფეს, პატრიარქს) რომის პაპი გატიკანში ზის. (ქეგლ, 1990, I, გვ.504).

კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენება ეს ზმნები არსებობა-მყოფობისა და კუთვნილების სემანტიკით ძველ ქართულში, მაგ.:

დგას

ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე დგეს ი 12, 34 C

ვითარმედ ქრისტე უკუნისამდე უვოს ი 12, 34 DE

ძეს

ყრმად ჩემი ძეს სახლსა შინა ჩემსა დაგსნილი მ. 8, 6 C

მონად ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღულეული მ. 8,

6 DE

რომლისა ძც თვისი იდვა სნეული კაფერნაომს ი. 4, 46. C

რომლისა ძც სნეულ იუ კაფარნაუმს ი. 4,46.

ამ შემთხვევებში არსებობის სემანტიკის ზმნა (არის, იყო) გვიან-დელ ტექსტებში ენაცვლება მდებარეობის აღმნიშვნელ ზმნებს. კიდევ უფრო ხშირია შემთხვევები, სადაც ეს შენაცვლება არ ხდება, მაგრამ ზმნები აშკარად სპეციალური მნიშვნელობით გამოიყენება. ამ მხრივ აღსანიშნავია **ძეს** ზმნა:

რად ძეს ჩემი სახლსა მას აქაბისსა და ერისა ისრაელისა სინ.

მრ. 129, 36. რად ძეს = რა ხელი მაქს, რა მინდა (მასთან), რა მე-საქმება, რად ჩვენს შორის საერთო.

რად ძეს ჩემი და შენი სინ. მრ. 130, 5 = რა გინდა, რა გინ-დათ ჩემგან, რაა ჩვენს შორის საერთო.

ასეთივე მნიშვნელობის ჩანს სახარების ტექსტიდან:

რად ძეს ჩუენი და შენი, იესუ მ. 8, 29

რად ძეს შენი და ჩემი, დედაკაცო, ი. 2, 4 C

არსებობის, კუთვნილებისა და სივრცული ლოგიკისაციის სემან-ტიკური კატეგორიების კავშირი ერთმანეთისაგან იძლენად განსხვავებულ ენებში დასტურდება, რომ ზოგიერთი ავტორი მას ენობრივი უნივერსალიადაც კი მიიჩნევს (ლაიონზი, 1978).

ამ მხრივ საინტერესო სურათს გვიჩვენებს ქართული ენის დია-ლექტები და ქართველური ენები.

ლიტერატურა

აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

გაგუა, 1976 — კ. გაგუა, დრონაკლი ზმნები სვანურში, თბ., 1976.

თოფურია, 1942ა — ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მო-ამბე, ტ. III, № 5, თბ., 1942.

თოფურია, 1942 — ვ. თოფურია, დ-თავსართიანი ზმები ქართულში, თსუ შრომები, XXV, თბ., 1942.

იმნაიშვილს, 1975 — ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 17, თბ., 1975.

ლაიონზი, 1978 — . . . ,
, 1978.

გარი, 1925 — . . . ,
, 1925.

ფენრიხი, სარჯველაძე, 1990 — ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველური ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990

ქავთარაძე, 1954 — ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბ., 1954.

ქეგლ, 1990 — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბ., 1990.

ჩიქობაგა, 1938 — არნ. ჩიქობაგა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

animate objects by means of the verb *cevs*, and that of inanimate objects by means of the verbs *devs* and *zevs*. The verb *zis* also denotes the horizontal position of animate objects. In Old Georgian the situation is different: the verb *dgas* denotes the vertical position of animate and inanimate objects; the verb *zes* (and also the verb *cevs*) denotes the horizontal position of both animate and inanimate objects. *zis/jda* used to have a narrower semantics. The verbs in question have the semantics of existentiality and possession. The interconnection between the categories of location, existentiality and possession is considered a language universal. In this respect the data of Georgian dialects and Kartvelian languages is of particular relevance.

NANA LOLADZE

Verbs Denoting Space Location

Summary

The verbs denoting space location form a stable lexical-grammatical group in Georgian. On the one hand, being the verbs of ancient formation they have preserved some archaic features and can change according to number, voice, tense and mood. However, on the other hand, the verbs in question have undergone significant changes. the study of the latter being of particular relevance for revealing general tendencies in the development of the Georgian language.

In modern Georgian the vertical position of animate as well as of inanimate objects is conveyed by the verb *dgas*, whereas the horizontal position of

ნახა მსახურადი

პოლიტიკური დისკურსის თარგმანის
ენობრივი თავისებურებანი

ამჟამად, პოლიტიკური დისკურსი იქაჩე უფრო მეტად „სოციალურია“ ვიდრე ოდესმე და წვდომა პოლიტიკურ „ტექსტებთან“ თანამედროვე სამყაროში გაცილებით ადვილია. მასალების წვდომის ენობრივი ბარიერი თარგმანის მეშვეობით სრულიად მოხსნილია, თუმცა ლობნერის აზრით, თუკი ყოველ ცალკეულ ენას აქვს საკუთარი სისტემა, მაშინ ლოგიკურია თუ ჩავთვლით, რომ ენები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ მათ გააჩნიათ განსხვავებული სახელწოდებები სხვადასხვა ცნებებისათვის და სხვაგვარად ასახელებენ ერთსა და იმავე საგნებს, მსგავსს სიტუაციებს კი განსხვავებულად გადმოსცემენ. (ლობნერი, 2002, 153) შესაბამისად, ლონგვისტები ინტერესდებიან იმ ენობრივი განსხვავებების და თავისებურებების კვლევით, რომელიც თავს იჩენს თარგმანის დროს.

უფრო მეტი სიცხადისათვის პოლიტიკური დისკურსის ძირითად პრინციპებს და მის რამდენიმე დეფინიციას გავეცნოთ. ნიკოლა ვუდსი აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ დისკურსში სიტუაცია შერჩევა ერთგვარი ტაქტიკა, სტრატეგია (ვუდსი, 2006, 59). ჩილტონი და შეფუნერი (1997) მიიჩნევდნენ, რომ პოლიტიკური დისკურსის განსაზღვრა ბევრად არის დამოკიდებული მის ინტერპრეტაციაზე. ძირითადი უურადღება უნდა მიექცეს პოლიტიკური კონცეპტების, ანუ საკვანძო სიტყვების სტრატეგიულ გამოყენებას კონკრეტული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ნიკოლა ვუდსი აღნიშნავს, რომ პოლიტიკოსთა მიერ გამოყენებული ენა მიმართულია იმისაკენ, რომ შეგვიძნას კონკრეტული შეხედულება პოლიტიკური რეალობის ირგვლივ, რათა შემდეგ მოვიქცეთ ამ შეხედულების შესაბამისად, მაგალითად, ხმა მივცეთ კონკრეტულ პარტიას. ნიკოლა ვუდსი აგრეთვე

აღნიშნავს, რომ პოლიტიკურ დისკურსს მიზნად შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა სამეტყველო აქტების განხორციელება, რომლის მიზანია, გააპროტესტოს, ზეწოლა მოახდინოს, დააშინოს, დააკანონოს და რა თქმა უნდა, დაგვარწმუნოს. (ვუდსი, 2006, 50)

პოლიტიკური დისკურსის მიზნების სხვადასხვაობა შესაბამისად ჟანრობრივ სხვადასხვაობას იწვევს, თუმცა მოცემული ნაშრომის ძირითად პრინციპს არ წარმოადგენს ამ უანრთა კლასიფიკაცია. მოცემული ნაშრომში ყურადღებას ამახვილებს ლინგვისტურ თავისებურებაზე, რომელიც თავს იჩენს პოლიტიკური დისკურსის თარგმანის შემთხვევაში. ემპირიულ მასალად გამოყიყნებთ პრეზიდენტ ბარაკ ობამას მიერ ვაშინგტონში ვიზიტის დროს წარმოთქმული სიტყვის თარგმანს, რომელიც პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვენდა თარგმანთან ერთად. სტატიაში გამოყენებული ყველა ციტატა და თარგმანი აღებულია ოფიციალური ვებგვერდიდან — www.president.gov.ge

არაფისტვის იქნება გასაკვირი ის ფაქტი, რომ ენა და პოლიტიკა განუყოფელია და რომ ენა პოლიტიკის ძლევამოსილი იარაღია. მკვლევრები პოლიტიკოსებს პოლიტიკურ „აქტიორებს“ უწოდებენ, თუმცა დღევანდელ რეალობაში ისინი ამ „საქმიანობის“ შეთავსების პარალელურად საქმიანო ასტატურად ითვისებენ „პოლიტიკური ლინგვისტების“ საქმიანობასაც. ამ მოსაზრების კარგი დასტურია პრეზიდენტ სააკაშვილის პასუხი CNN-ის უურნალისტის მიერ დასმულ შეკითხვაზე სამხრეთ ლექციისა და აფხაზეთის ტერიტორიების შესახებ.

Well, I think the whole methodology of this question is incorrect...

მსგავსი მაგალითები არა ერთი მკვლევრის ნაშრომში მოიქმნება, რაც კიდევ ერთხელ იმის დასტურია, რომ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი კარგი ორატორი, ოდნავ მსახიობი და დაკვირვებული ლინგვისტია (ან ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს). ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითი ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ორატორის უნარ-ჩვევების მიღმა პრეზიდენტი თუ სხვა პოლიტიკოსი ლინგვისტურად მომზადებული და გათვითცნობიერებულია.

ზემოთ განხილული მოსაზრებიდან გამომდინარეობს რიგი სხვა დასკვნებისა, რომელიც საკმაოდ საყურადღებოა ნებისმიერი ლინგვის-

ტისათვის. ითვალისწინებენ რა პოლიტიკოსები ენის სიძლიერეს, ისინი სულ უფრო და უფრო მეტად უწევენ საკუთარ თავს „ლინგვისტურ კონტროლს“. ეს იგრძნობა პოლიტიკური დისკურსის ნებისმიერ სახეობაში როგორც ლექსიკური, ისე სემანტიკური და პრაგმატიკული ანალიზის დროს. ჩვენს შემთხვევაში კი ჯერს შევაჩერებთ თარგმანზე.

აღსანიშნავია ის, რომ თარგმანის პროცესი ძალიან ბევრ კითხვას ბადებს. ქრისტინა შაფნერი და სიუზან ბასნეტი აღნიშნავენ, რომ თარგმანი ხშირად იმპლიცირებულია და შესაბამისად კონტექსტი ირლევა (შაფნერი, ბასნეტი, 2010, 8). თარგმნის პროცესში ხშირად შეხვდებით ლინგვისტურ უზუსტობებს, რაც შესაძლოა მიზანმიმართული ან იმულებითი იყოს, გამომდინარე შესაბამისი ლექსიკური თუ გრამატიკული შესატყვისის არარსებობით.

პრეზიდენტ აბაშას მიერ წარმოთქმული სიტყვის ერთ-ერთი ნაწილის ქართული თარგმანი ყურადღებას იპყრობს სიტყვა „უნდა“-ს ხშირი გამოყენებით. მოცემულ პარაგრაფში რამდენიმე მოდალური ზმნის თარგმანსაც შეხვდებით, მაგრამ მოდალური ზმნების თარგმანის თავისებურებებს სხვა ნაშრომი დაეთმობა. მოცემული ციტატის ქართული ვერსია არათრით გასაკვირი არ იქნებოდა, რომ არა მისი ინგლისური ვერსია. საყურადღებოა ზმნა „უნდა“-ს პოლისემიური ბუნება.

„Obviously, Georgia has made strides in creating an effective free market system and more progress **needs** to be made. The United States wants to help in that progress.“

And so one of the most important things that we're doing in addition to things like the MCC and OPIC loans is also what we've agreed to is a high-level dialogue between our two countries about how we **can** continue to strengthen trade relations between our two countries, including the possibility of a free trade agreement. Obviously, there's a lot of **work to be done** and there are going to be a lot of options that are going to be explored. The key point, though, is we think it's a win-win for the United States and for Georgia as we **continue** to find opportunities for businesses to invest in Georgia, for us **to be able to** sell Georgia our goods and services, and Georgia **to be able to** sell theirs as well.“

„საქართველომ, უდავოდ, ძალიან დიდ ნაბიჯები გადადგა ეფექტიანი, თავისუფალი ბაზრის შექმნისათვის და, რა თქმა უნდა, პროგრესი კვლავაც **უნდა** გაგრძელდეს. პროგრესის მიღწევაში კი საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება.“

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ ათას-წლეულის გამოწვევის კორპორაციისა და ოპიკის კრედიტების გარდა, არის ის, რომ შევთანხმდით მაღალი დონის დიალოგზე ჩვენს ორ ქვეყანას შორის. ჩვენ **უნდა** განვიხილოთ სამოქმედო გზები თუ როგორ გავაღრმავოთ სავაჭრო ურთიერთობა, მათ შორის, განვიხილეთ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ბევრი რამ **უნდა** გაკეთდეს და ბევრ სხვადასხვა შესაძლებლობას განვიხილავთ ამ მიმართულებით. მთავარია, რომ ეს მომებიანი და ურთიერთსასარგებლობა ორივე ქვეყნისთვის — როგორც საქართველოსთვის, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ჩვენ **უნდა** ვიპოვოთ ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის, რომ საქართველოში განხორციელდეს ინვესტიციები. ჩვენი პროდუქცია **უნდა** გაიყიდოს საქართველოში და ქართული პროდუქცია **უნდა** შემოვიდეს ჩვენს ბაზარზე. www.president.gov.ge

ფაქტია, რომ თარგმნის დროს ამა თუ იმ ენაში ლინგვისტური ეკვივალენტის არარსებობის დროს ლინგვისტს უწევს ამ ენისა და კონტექსტის შესაბამისად შეაჩინოს სიტყვა თუ სიტყვათა კომბინაცია. მაგრამ რამდენად მართებულია სხვა ეკვივალენტების გამოყენება მაშინ, როდესაც ენაში არსებობს შესატყვისი სიტყვა თუ სიტყვათა კომბინაცია? ან არსებობს კი მარეგულირებელი წესები? მოცემული მაგალითიდან გამოდინარე, გამოგვაქს დასკვნა, რომ თითქმის ყველა ზმნა შესაძლოა ითარგმნოს ქართულში როგორც სიტყვა „უნდა“-და. ძალიან ბევრი უპასუხო კითხვა არსებობს, მაგრამ ერთი რამ უდავოა, პოლიტიკოსები მსგავს საშუალებას თავის სასარგებლოდ იყენებენ სასურველი, იმპლიცირებული მესიჯის გადასაცემად.

„more progress **needs** to be made“ - ნაცვლად თარგმანისა „საქართველო... მეტ პროგრესს საჭიროებს“ ითარგმნა „პროგრესი კვლავაც უნდა გაგრძელდეს.“ პირველი თარგმანი ქვეყანაში არსებულ პრობ-

ლემებს წევს წინ და გულისხმობს, რომ გაკეთებული საკმარისი არ არის, მაშინ როცა არსებული თარგმანი გულისხმობს, რომ პროგრესი აქტიურია მაგრამ მეტი უნდა გაკეთდეს. მსგავსი მნიშვნელობის მატრაქელია შემდეგი წინადაღების თარგმნა — „Obviously, there's a lot of *work to be done*“/ „რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს“. ვნებით გვარში წარმოთქმული წინადაღება კვლავ **არსებულ** „ბევრ გასაკეთებელს“ წევს წინა პლანზე, მაშინ როცა თარგმანი „ბევრი რამ უნდა გაკეთდეს“ სამომავლო, გადაუდებელ გასაკეთებელზე ამახვილებს უურადღებას. შესაბამისად, უწყინარი ცვლილება ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე იწვევს პრაგმატიკულ ტრანსფორმაციას.

მომდევნო მაგალითში მოდალური ზმნა „can“ ითარგმნა როგორც „უნდა“ — „how we *can* continue to strengthen trade relations between our two countries“/ „ჩვენ **უნდა** განვიხილოთ სამოქმედო გზები თუ როგორ გავაღრმავოთ საგაჭრო ურთიერთობა“. ინგლისური ვერსია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაძლიერების შესაძლებლობას გულისხმობს, მაშინ როცა ქართული თარგმანი „შესაძლებლობას“ გამორიცხავს, იგი უფრო კატეგორიულია, არ განიხილავს შესაძლებლობას, არამედ მიუთითებს, რომ ეს ასე „უნდა“ იყოს და არა სხვაგვარად. კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია - „*we continue* to find opportunities for businesses to invest in Georgia, for us *to be able to* sell Georgia our goods and services, and Georgia *to be able to* sell theirs as well“ / ჩვენ **უნდა** ვიპოვოთ ახალი შესაძლებლობები ბიზნესისთვის, რომ საქართველოში განხორციელდეს ინვესტიციები. ჩვენი პროდუქცია **უნდა** გაიყიდოს საქართველოში და ქართული პროდუქცია **უნდა** შემოვიდეს ჩვენს ბაზარზე“. კვლავ გრძელდება „შესაძლებლობის“ „ვალდებულებით“ შეცვლა. „ჩვენ ვაგრძელებთ ... რომ შევძლოთ გაყიდვა“ თარგმნილია „ჩვენ **უნდა** ვიპოვოთ ... უნდა გაიყიდოს“. ზემოთ მოყვანილი ციტატის თარგმანი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ის მთლიანად ცვლის თემას და მსენელამდე/მკითხველამდე შეცვლილი, სახეცვლილი ინტენციით მიდის.

ამგვარად, კარგად შესრულებული თარგმანი უმეტეს შემთხვევაში ერთადერთი საშუალებაა მასალის მსმენელამდე/მკითხველამდე სწორად მიწოდებისა. პოლიტიკური ტექსტების თარგმანი ლინგვისტთა ყურადღებას იპყრობს, რადგან სულ უფრო აქტიურდება და ხშირი ხდება „სუბიექტური“ თარგმანი.

ლიტერატურა

გუდსი, 2006 — Nicola Woods. “Describing Discourse”. Oxford University Press. Great Britain.

ლობნერი, 2002 — Sebastian Lobner. “Understanding Semantics”. Arnold. London.

ჟეფნერი, 2010 — Christina Schäffner and Susan Bassnett. ‘Political Discourse, Media and Translation~ Cambridge Scholars Publishing Newcastle

ჩილტონი, 1997 — Chilton, P. & Schäffner, C. Discourse and Politics; co-authored with Christina Schäffner, Teun A. van Dijk (ed.), Discourse as Social Interaction. Discourse Studies: A Multidisciplinary Introduction.

ემპირიული მასალის ელექტრონული წყაროები: <http://www.president.gov.ge> / <http://www.cnn.com/edition>

NANA MSAKHURADZE

Linguistic Peculiarities of the Translation of Political Discourse

Summary

The paper stresses the role of accurate translation in political discourse. Quite often translation is the only means of access to political texts. The main critique of the paper is directed towards a subjective type of translation.

თამარ ნაჟვებია

**პრატიკული ენოენდინგის თარგმანი
(დუბლირება)**

დუბლირება არის მეთოდი, რომელსაც შეუძლია სახე შეუცვალოს წყარო ტექსტს და მიმღები საზოგადოებისთვის ნაცნობად აქციოს იგი სპეციფიკური ტექნიკის გამოყენებით, რომელსაც „მოშინაურება“ ეწოდება. ეს არის მეთოდი, რომლის დროსაც უცხოური დიალოგის მორგება ხდება მსახიობის პირსა და მის მოძრაობებთან და მაყურებელს უჩნდება გრძნობა, რომ იგი მიმღებ ენაზე ლაპარაკობს (სზარკოვსკა, 2005).

დუბლირება გახმოვანების ყველაზე გავრცელებული სახეობაა. იგი, ჩვეულებრივ, სრულდება პროფესიონალი მსახიობების მიერ და თითოეულ პერსონაჟს თავისი გამხმოვანებელი ჰყავს. დუბლირების პროცესის მთავარი მიზანია მიღებულმა პროდუქტმა იგივე ეფექტი მოახდინოს მაყურებელზე, როგორიც საწყის პროდუქტს ჰქონდა.

დუბლირება ლიტერატურული თარგმანისაგან ძალიან განსხვავდება და ერთ-ერთი განსხვავება სწორედ ის არის, რომ ლიტერატურული თარგმნის შემთხვევაში თარგმანი საბოლოო პროდუქტია, გახმოვანებისას კი ის მხოლოდ ნახევარფაბრიკატია, რომელიც ადაპტორს გადაეცემა საბოლოო სახის მისაცემად. ადაპტორი თარგმანზე მუშაობს და ცდილობს მისი შინაარსი ისე გადმოსცეს, რომ მოახერხოს სინქრონიზაცია საწყის ტექსტთან.

არსებობს **ფონეტიკური, სემანტიკური და დრამატული** სინქრონიზაცია. (Paquin, <http://accurapid.com/journal/05dubb.htm>) **ფონეტიკური** სინქრონიზაციის შემთხვევაში გახმოვანება ემთხვევა მსახიობთა ტუჩების მოძრაობას. ეს ადვილად მიიღწევა, თუ თარგმანსა და საწყისი ტექსტის გარკვეულ სინტაგმებში სიტყვაში მარცვლების თანა-

ბარი რაოდენობაა და ამას გარდა ლაბიალური ხმოვნებიც დაახლოებით თანაბრად არის გამოყენებული. რამდენადაც შესაძლებელია, ფონეტიკური სინქრონიზაციის დროს უნდა შევინარჩუნოთ მიმღები ენის სინტაქსური სტრუქტურები და წყარო ენის ტექსტის სემანტიკა, გარდა ამისა, თარგმანის დროს უნდა შევინარჩუნოთ სწორი რეგისტრი და თავი ავარიდოთ დიალექტურ გამოთქმებს, თუ ამის საჭიროება არ არსებობს.

სემანტიკური სინქრონიზაცია გულისხმობს იმავე აზრის გამოხატვას, რაც წყარო ტექსტშია და ის, რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული მნიშვნელობა ტექსტის აღმისათვის აუცილებელია. იმ შემთხვევაში, თუ ის უმნიშვნელო ინფორმაციას შეიცავს, მისი მოდიფიკაცია შესაძლებელია ფონეტიკური სინქრონიზაციის სასარგებლობი. ეს ეხება მაგალითად რიცხვით სახელებს, საჭმიანობას და ა. შ. მაგალითად, თუ გმირის საქმიანობა ისტორიის გადმოცემისას მნიშვნელოვან როლს არ ასრულებს, მაშინ მიმღებ ენაზე მისი შეცვლა შეიძლება ფონეტიკური სინქრონიზაციის სასარგებლობდ.

დრამატული სინქრონიზაცია გულისხმობს მიმღებ ენაზე მოსაუბრის რეალისტურობას. რასაც მსახიობი ამბობს გახმოვანების დროს და რასაც გმირი აკეთებს, უნდა შეესაბამებოდეს ერთმანეთს. ვთიქრობ, სხვადასხვა ტიპის სინქრონიზაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ დრამატული სინქრონიზაციაა.

რაც შეეხება პერსონაჟის სახის შექმნას, ხორხე დიას კინტასი წიგნში „The didactics of audio-visual translation“ (აუდიო-ვიზუალური თარგმანის დიდაქტიკა) აღნიშნავს, რომ პერსონაჟთა სახეების შექმნა, ძირითადად, ორი მეთოდით ხდება: მოქმედებითა და დიალოგით. (როდესაც პერსონაჟი თვითონ მეტყველებს ან მასზე სხვა პერსონაჟები საუბრობენ, აღწერენ მას ან ახასიათებენ და ასე იქმნება გმირის პორტრეტი.) ენის სტრატიფიკაციული ვარიანტები, უარგონი და ასევე სიტუაციური ვარიანტები ხშირად პერსონაჟთა მეტყველებაში არიან გაბნეულნი. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პერსონაჟის დახასიათებასა და მისი სახის შექმნაში და დიდი მნიშვნელობა

აქეს, თუ რამდენად მოახერხებს მთარგმნელი ამ ფორმალურ ნიშანთა თარგმანში გამეორებას და რამდენად იქნება შენარჩუნებული კომუნიკაციური ეფექტი.

განსახილველად ავირჩიე კურტის ჰენსონის ფილმი „8 მილი“, რომელიც 2002 წლის შექმნა, იგი ჰიპ-ჰოპ დრამა და ნაწილობრივ აგტობიოგრაფიულ ფილმს წარმოადგენს. ახალგაზრდა რეპერი ჭიმი სმით უმცროსი, რომლის როლს ცნობილი რეპერი ემინემი ასრულებს, დეტროიტის ღარიბულ კვარტალში, 8 მილის ჟუჩაზე ცხოვრობს, რომელიც თეთრების კვარტალს შავკანიანებისგან ყოფს. ჭიმი ცდილობს თავისი შავკანიანი თანატოლების პატივისცემა მოიპოვოს. ასევე რეპის საშუალებით ცდილობს ის თავი დააღწიოს ყოველდღიური ცხოვრების საშინელ გაჭირვებას, სიბინძურებას და უიმედობას. ეს ფილმი განსახილველად ავირჩიე, რადგანც ჰიპ-ჰოპი ახალგაზრდებში პოპულარული მუსიკოლური ჟანრია, რომელიც XX საუკუნის 70 წლებში ამერიკის შავკანიანთა კვარტალებში წარმოიშვა და ამიტომ აქ ხშირად ვხვდებით ე.წ. შავ ინგლისურს, რომლისთვისაც მთელი რიგი თავისებურებებია დამახასიათებელი და აგრეთვე სლენგურ გამოთქმებს. ყოველივე ეს კი მას კვლევისთვის საინტერესო მასალად აქცევს. ვინაიდან „8 მილი“ ჰიპ-ჰოპ დრამაა ფილმში ხშირია ჰიპ-ჰოპის ტექსტებისათვის დამახასიათებელი სლენგის, უხეში სიტყვების გამოყენება და ძალადობის სცენების დაწყრილებითი აღწერა, რაც ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს ტელემაუწყებლობისა და, შესაბამისად, მთარგმნელისთვისაც.

რაც შეეხება შავი ინგლისურს, მისთვის მთელი რიგი თავისებურებებია დამახასიათებელი ლექსიკურ, ფონოლოგიურ და გრამატიკულ დონეზე. თუმცა შავ ინგლისურს ამ ენის სხვა დანარჩენი სახეობებისაგან განსხვავებული ლექსიკა არ აქს, აქ გვედება სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც და ზოგჯერ ფორმაც დასავლეთ აფრიკული ენებიდან არის შემოსული. მაგ: **cool** „მშვიდი, თავშეკავებული“ cf. **Mandingo suma** „ნელი“ (სიტყვასიტყვით „მშვიდი“) ან **bad** „მართლა კარგი“.

შავი ინგლისურის ფონოლოგიისთვის ძირითადად დამახასიათე-

ბელია ბოლოკიდური ხმოვნების შეკვეცა, ასევე ბოლოკიდური I და r ვოკალიზაცია uh. Sister-sisteuh.

რაც შეეხება გრამატიკას, to be ზმნა ძირითადად არ გამოიყენება He - all right და მომავალი to go-gonna საშუალებით იწარმოება. I'm gonna miss you. ასევე უნდა აღინიშნოს მრავალჯერადი უარყოფის გამოყენება. **I ain't step on no line.** და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საინტერესოა, თუ როგორ ხდება „8 მილის“ და მისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების ქართულ ენაზე თარგმანი, რა მთარგმნელობით ხერხებს მიმართავს მთარგმნელი და რა ფაქტორები განაპირობებს მის არჩევანს.

„შავი“ ინგლისურისათვის დამახასიათებელი ნიშნები:

1. Chedder Bob: Lemme see.

მაჩვენე.

გამოთქმის დამახინჯება თარგმანში ნეიტრალური „მაჩვენეთაა“ გადმოსული.

2. Jimmy: F**ki' Janeane an' I jus' broke up, an' shit , an' she took the house an'

The goddamn car-

მე და ჯენინი დავცილდით. ასე მითხრა, ორსულად ვარო.

ჩემი მანქანა და სახლი დავუტოვე.

ამ ნაწილში ორიგინალში ვხვდებით, როგორც ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირებას, ასევე სალანდავი სიტყვების: F***ing, s**t, goddamn- გამოყენებას. ქართულ თარგმანში კი ეს ყველაფერი ნეიტრალური სიტყვებით არის გადმოსული.

3. Chedder Bob: You gonna stay at your mom's?

დედიკოსთან აპირებ დაბრუნებას?

„შავი ინგლისურისთვის“ დამახასიათებელია to be ზმნის გამოტოვება. ეს თავისებურება ქართულ თარგმანში მსგავსი ერთეულით ვერ აისახებოდა ენების არაერთგვაროვნებიდან გამომდინარე. ქართულ თარგმანში ეფექტი გადასულია სხვა ერთეულზე, კერძოდ, სიტყვა „დედიკო“-ზე, რომელიც დედის მოფერებით-კნინობით ფორმას წარმოადგენს და ამ კონტექსტში ერთგვარი დაცინვის ელფერს აძლევს

მთელ გამონათქვამს და მოსაუბრეებს შორის ფამილიარულ დამოკიდებულებასაც უსვამს ხაზს.

4. Future: Yo, that dude mentally ill?

ეს ტიპი აფრენს?

სლენგი მისალმება yo, ასევე -dude „შავი ინგლისურისათვის“ დამახასიათებელი to be ზმნის დამოკლება, სუბსტანდარტული მეტყველების ეფექტი ქართულ თარგმანში გამოხატულია სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი ერთეულებით-სიტყვით „ტიპი“ და უხეში რეგისტრის ზმნით „აფრენს“.

5. Jimmy: You ain't goin' nowhere, Mom.

არსადაც არ წახვალ.

„შავი ინგლისურისათვის“ დამახასიათებელი მრავალჭერადი უარყოფა თარგმანში არ მულავნდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ორსალიტერატურო მეტყველების თარგმანში გადმოტანისას შეპირისპირებულ ენათა, კონკრეტულ შემთხვევაში კი ქართული და ინგლისური ენების, სტრუქტურული არაერთგვაროვნება საშუალებას არ აძლევს მთარგმნელს, რომ თარგმანის ტექსტში ყოველი ცდომილი ფორმა მეორე ენის იმავე დონის ერთეულებში ასახოს.

როდესაც არანორმატიული ენობრივი ფორმების ზუსტი კალკირების შესაძლებლობაზე ვლაპარაკობთ, ვეულისხმობთ, რომ ის, რაც ინგლისურ ტექსტში ენობრივი ნორმებიდან გადახრაზე მიგვანიშნებს და რაც ინგლისური ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობის მარკერად მიგვაჩნია, შესაძლოა სრულიად არ ავლენდეს იმავე ეფექტს თარგმანის ენაში, ისევ და ისევ ენათა არაერთგვაროვნების გამო, ზოგჯერ ენის პერიფერიულ შრეებშიც კი. მაგალითად, არასალიტერატურო ენის ერთ-ერთ მარკერად ინგლისურ ენაში ორმაგი უარყოფის ერთ წინადადებაში რეალიზაცია ითვლება. ორმაგი უარყოფა სალიტერატურო ინგლისურ ენაში უარყოფით მნიშვნელობას ანეიტრალებს და საპირისპირო მნიშვნელობასაც კი იქნენ. ქართულ ენაში კი ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადება მტკიცებით მნიშვნელობას არასოდეს შეიძენდა. ამიტომ, „შავი ინგლისურისათვის“ დამახასიათე-

ბელი თავისებურებები ქართულ თარგმანში ძირითადად არ აისახება ან სუბსტანდარტული მეტყველების ეფექტი თარგმანში სხვა ერთეულებზე ინაცვლებს, რითაც დრამატული სინქრონიზაცია მიიღწევა.

სლენგი და უწმაწური სიტყვების გამოყენება:

ამა შევეხოთ იმ საკითხს, თუ რატომ იყენებენ ადამიანები უწმაწურ სიტყვებს საუბრისას. ცნობილია, რომ როგორც მეტყველება და დადებითი ემოციები მიიჩნევა საერთო ადამიანური თვისებებად, ასევე ლანდლები (უწმაწური სიტყვების გამოყენება). თიმოთი ჯეიძელცლად გამოიკვლია უხამსი ენა. საკუთრივ სალანდრავი ლექსი-კის გარდა, ის გამოყოფს აგრეთვე სლენგს, ეთნიკურ-რასობრივ გამონათქვამებს, ვულგარიზმებს, ტაბუირებულ მეტყველებას, ვერბალურ აგრესისას, უხამსობას, ღვთისგმობას. მის წიგნში წამოყენებული თეორიის მიზანია „აღუდგინოს ენას ემოციურობა და დაარღვიოს ის უემოციო (სტანდარტული) ენის თეორიები, რომელიც საუკუნეების მანძილზე ვრცელდებოდა (ჯეი, 2000).

ლანდლები-გინება შეიძლება იყოს არაგანზრახული და განზრახული. პირველ ჯუფში შედის ავტომატური ბასუხი რაღაც დიდ გაღიზიანებაზე, მაგალითად: ტკივილზე, გაკვირვებაზე, სიხარულსა თუ სხვა ემოციაზე. მეორე ტიპის გინება კი ვერბალური აგრესის გამოხატულებაა. მაგალითად (S**t, F**k, Damn, Hell) შეიძლება ემოციურ მდგომარეობაზე მიუთითებდეს, მაგ: გაკვირვება, გაღიზიანება, გაბრაზება, სისარული, განზრახული-შეთხზული ტიპის უხამსი ლიტყვების გამყენება კი წინასწარ გათვლილი ვერბალური აგრესის გამოხატულებაა.

ჯეის აზრით, ადამიანი იმიტომ კი არ ილანდება, რომ მისი გონებრივი ლექსიკონი ღარიბია ან, ვინაიდან უხამსი გამოთქმა არსებობს, საიდანაც მას არჩევანის გაკეთება შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ ფსიქოლოგიური და სოციო-კულტურული ძალები აიძულებენ მას ასე მოიქცეს (ჯეი, 2000, 243-252).

ვფიქრობ, „8 მილში“ ორივე ტიპის ლანდლების მაგალითებს ვხვდებით. ვნახოთ, თუ როგორ ხდება მათი ქართულ თარგმანში გადმოტანა.

1. Alex: I heard you were a real dope rapper.

გავიგე, ნამდვილი რეპერი ყოფილხარ.
Dope- სლენგზე ნიშნავს საუკეთესოს. რაც თუმცა სხვა შინაარსს
გამოხატავს, სლენგი არ არის.

2. Stephannie: Hey, you need to start chippin' in, Rabbit, if you're livin'
here.

თუ აქ ცხოვრებას აპირებ, უნდა გადაიხადო კიდეც.
Chip- სლენგზე ფულს ნიშნავს, თუმცა ეს ეფექტი თარგმანში
განეიტრალებულია.

3. Janeane: Ya know everybody's callin'm you a loser from the other
night.

იცი, რომ იმ ღამის შემდეგ ყველა იდიოტს გეძახის?
Loser- ხელმოცარულ ადამიანს ნიშნავს და შეურაცხმყოფელი მი-
მართვაა ინგლისურენოვან სამყაროში. ქართულ თარგმანში ის „იდი-
ოტით“ არის გადმოსული, რაც შეურაცხმყოფელი მიმართვის ფორ-
მაც არის და ერთგვარად გამოხატავს სიტყვის მნიშვნელობას.
გვხვდება უხეში ზმნის «fuck» სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება
და სხვადასხვა მეტყველების ნაწილის (ზმნის, ზედსართავი და არსე-
ბითი სახელის) ფუნქციებით გვხვდება. უკიდურეს გალიზიანებას
გამოხატავს, იმ კონტექსტს და გარემოს ეხამება, საღაც გმირები
ცხოვრობენ.

1. Jimmy: F***k off, Cheddar Bob.

თავი დამანებე.

F***k off- სლენგია და უხეში გამოთქმა, ნიშნავს „თავი დამანებე“.
ქართულ თარგმანში მის ნეიტრალურ ვარიანტს ვხვდებით.

2. Wink: I heard ya got caught out. Peopl

Sain' some f***ked up s***t, boy.

ვინკი: წუხელ რა დაგემართა? ასე თქვეს, ჩაისვარაო.

გხვდებით ფრაზულ ზმნას f***ked up -რაც რაღაცის ძალიან ცუ-
დად გაკეთებას, დაზიანებას ნიშნავს და s***t-რაც შეურაცხმყოფელი
გამოთქმაა., ნიშნავს ვინმეს ან რამეს, რაც არ მოგწონს, განსაკუთრე-
ბით იმიტომ, რომ ის ცუდი ხარისხისაა ან არასასიამოვნო.. თარგმან-
ში ეს ეფექტი შესაბამისი მნიშვნელობისა და რეგისტრის ზმნითაა
გადმოცემული.

3. Wink: Forget it. An' f***k battlin' down at the Shelter, yo. Justa bunch
a Losers who ain't got deals.

ისევ შელტერში დადიხარ? მატყუარები არიან, დაგბირდებიან
და არაფერს არ გაგიკეთებენ. მაგას ჭობია, სახლში დარჩე.
ისევ გვხვდება F***k-სიტყვის გამოყენება, რაც ამ შემთხვევაში
უკიდურესი გაღიზიანების გამოხმატველია. ასევე ბოლოკიდური თან-
ხმოვნების რედუცირება და შავი ინგლისურისთვის დამახასიათებელი
ain't-ზმნის გამოყენება უარყოფისას. თარგმანში ეს ეფექტი განეიტ-
რალებულია.

4. Future: Who the f***k is that?

ვინ არის ეგ ნაბიჭვარი?
F***k- უხეში გამოთქმაა, რომელიც თარგმანში ასევე უხეში სიტყ-
ვით „ნაბიჭვარი“ არის გადმოსული.

5. Future: Wink says he knows prince? What the f***k does prince gotta
do with our music , Jimmy?

Wink's jus' talk. There will be no action, only talking.
ვინკი სისულელეს ბაზრობს ძმაო. კაცი არ არის.
ამ მონაკვეთში გვხვდება ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცი-
რება, სიტყვა „f***k“ გამოყენება და ქართულ თარგმანში დაბალი რე-
გისტრის ელფერი სლენგი ზმნის გამოყენებით იქმნება „ბაზრობს“-
ლიპარაკობს. გვაქვს ასევე მიმართვის ფორმა „ძმაო“, რომელიც მოსა-
უბრებს შორის ფამილიულ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს.

6. Future: F***k it whatever.

რაც გინდა, ის გააკეთეთ.
გაბრაზების გამოხმატველი წამოძახილი თარგმანში გადმოსულია
ფრაზით, რაც ემოციის ერთგვარ ნეიტრალურ თარგმანს წარმოად-
გებს.

7. Jimmy: Hey, Sol, ya wonder at what point ya just say “f***k it”. When
ya know ya gotta stop Livin' up here and start livin' down
here.

სოლ, რა მდგომარეობაში უნდა იყოს ადამიანი, რომ
ყველაფერი დაიკიდოს და საერთოდ დაახვიოს აქედან?

F***k it'- სლენგი ზმინით „დაიკიდო“-თია გადმოსული, ასევე ვხვდებით სლენგს „დაახვიონ“-წასვლას ნიშნავს და კარგად ერგება მთელი მონაკვეთის რეგისტრს.

8. Jimmy: You're f***king kiddin'me.

ხუმრობ?

უხეში გამოთქმა ნეიტრალური ზმინით არის გადმოსული.

მეორე უხეში სიტყვა, რომელიც ასევე უკიდურეს გაღიზიანებას გამოხატავს და სხვადასხვა კონტექსტში გახვდება არის „Sh*t“

1. Wink: S**t. Yo. We were goin' to my show an' she said we hadda come get you.

What was I supposed to do?

დაიკიდე რაა. ჩემს შოუზე დავპატიუე. მითხრა ბაჭიაც წაყიყვანოთ.

ხოდა მოვედით. რა უნდა მექნა.

S**t- სლენგი ზმინით „დაიკიდე“-თია გადმოსული.

2. Jimmy: Yeah I should work on some songs for my demo an's**t.

S**t- ერთ-ერთი მნიშვნელობა სლენგზე არის ვინმეს კუთვნილი ნივთები, რაც თარგმანში უბრალოდ სიმღერით არის გადმოსული.

როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში ვხვდებით სტილისტური ორიდაციის მეთოდის გამოყენებას. რამდენმე უხეში ან სლენგი სიტყვების გამოყენებით წარმოდგენა იქმნება საუბრის სტილზე და დანარჩენი უხეში ერთეულები ნეიტრალური შესატყვისებით არის გადმტანილი. ამით მთარგმნელი თაგს არიდებს უწმაწური სიტყვების მეტისმეტ გამოყენებას, რაც ქართული ენისთვის, ვფიქრობ, რომ არ არის დამახასიათებელი. არჩევანი დრამატული სიძრონიზაციის სასარგებლოდ არის გაკეთებული, რაც მიმღებ ენაზე მოსაუბრის რეალისტურობას გულისხმობს და მიმჩნია, რომ აუცილებელია რელევანტური კომუნიკაციური ეფექტის მისაღწევად.

ენის სიტუაციური გარიანტულობა-მიმართვის ფორმები:

1. Future : Yo, son. We goin' out t'night!

მაგას ვამბობდი, ძმაო. წავიდეთ ამაღამ კლუბში.

მიმართვის ფორმა Son-გადმოსულია ძმაო-თი, რაც ერთი თაობის ხალხს შორის მიმართვის უფრო ბუნებრივი ფორმაა.

2. Wink: If ya wan', I'll pull outta tha show. You're my friend, yo.

And I don't wanchya bein' mad at me.

თუ გინდა, თავს დავანებებ ყველაფერს. შენ ჩემი ძმა ხარ. ორიგინალში ვხვდებით ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირებას, სლენგი მიმართვის ფორმას yo. ხოლო friend – “შმაო“-თია გადმოსული, რაც მეტ სიახლოვეს გულისხმობს და ასევე ერთგვარი სლენგის ელფერს ანიჭებს გამონათქვამს.

3. Chedder Bob: We gonna get all the hot bitches now won, Rabbit!

ხო, ძმალე კონტრაქტს დავდებ და ჰველა ქალი ჩვენი იქნება.

Hot bitches- ქალისაღმი მიმართვის უხეში ფორმა, ნეიტრალური თარგმანით არის ჩანაცვლებული.

ფილმში არის რეპის სიმღერაში შეჯიბრების სცენები. სადაც ჭიმი და მისი ოპონენტები დროში გათვლილ და გარითმულ სიტყვიერ შეურაცხყოფაში ეგიბრებიან ერთმანეთს. მხოლოდ შეჯიბრების ფინალურ სიმღერას განვიხილავ, რომელშიც ფაქტიურად ნაჩვენებია თუ როგორ გარემოში შეიქმნა ჰიპ-ჰოპი და ვის შეუძლია მისი კარგად შესრულება.

Now everybody from the 313,

put your mother-f***kin hands up and follow me,
everybody from the 313 put your mother-f***kin hands up.

Look, look,

313 მომხრეებმა ხელები ასწიეთ და მომყევით.

313 დეტროიტის საფოსტო კოდია და ამ სიმღერაში იქ მაცხოვებელ ხალხს ნიშნავს და არა მომხრეს, თუმცა რახან კლუბში შეჯიბრების სცენაა ორ მეტოქეს შორის, თარგმანში მომხრეც ორგანულად ჭდება.

This guy aint a mother-f***kin MC,

I know everything he's got to say against me,

აქ შენი ადგილი არ არის. ეს არ არის ემსი. ყველაფერი ვიცი, რასაც ჩემზე იტყვის.

I am white, I am a f***kin b*m, I do live in a trailer with my mom,
My boy future is an uncle tom.

I do got a **dumb** friend named Cheddar Bob who shoots

himself in the leg with his own gun,
 I did get jumped by all 6 of you chumps
 and Wink did f**k my girl,
 I'm still standin here screamin "F**K THE FREE WORLD!"
 And never try and judge me dude
 You don't know what the f**k i've been through.

დიახ, თეთრი ვარ, ღარიბი ვარ და ტრეილერში ვცხოვრობ დედასთან.

ჩემი მეგობარი ფიუჩერი მაგარი კაცია. **დარტყმული** ჩედარ ბობიც ჩემი მეგობარია, რომელმაც ტყვია ფეხებში მოირტყა. თქვენი ექვსი გამარჯვებული დავამარტყე.

ვინკმა გოგო **ამახია** და მაინც აქ ვდგავარ და ჩემს სიტყვას ვამბობ. ფეხებზე მკიდია თავისუფალი მსოფლიო. არ გაძედოთ ჩემი განსჯა. თქვენ არ იცით, რა გამოვიარე.

Dumb- სალაპარაკო ენაზე სულელს ნიშნავს და თარგმანში იმავე რეგისტრიებს ზედსართავი სახელით არის გადმოსული.

ვხვდება ასევე სიტყვა f**k-, რომელიც თარგმანში ჟარგონული, თუმცა ნაკლებად ექსპლიცისტური ზმნით არის გადმოსული-, „ამახია“.

შემდეგ კი მოწინააღმდეგის გარემოსა და ცხოვრების სტილს აღწერს.

But I know something about you,
 You went to Cranbrook, that's a private school,
 What's the matter dawg you embarrassed?
 This guys a gangster?
 His real name's Clearance.

And Clearance lives at home with both parents,
 And Clearance's parents have a real good marriage,
 this guy dont wanna battle, hes shook,
 cuz ain't no such things as halfway crooks,
 He's scared to death,
 He's scared to look in his f**kin yearbook, f**k Cranbrook.

მე ვიცი, ვინც ხარ. კრანბრუკში სწავლობდი, კერძო სკოლაში-რა და-გემართა? შეგრცხვა? ეს ბიჭები განგსტერები არიან?

მისი ნამდვილი სახელი კლერენსია და თბილ სახლში ცხოვრობს დედ-მამასთან, ბედნიერი ოჯახია. ამ ბიჭის შეეშინდა, კანკალებს, იმიტო რო ქუჩაში არ უცხოვრია. ქუჩაში არ უცხოვრია. მაგრად შეეშინდა. ნახეთ მისი სკოლის დღიური. კრანბრუკის დედაც.

Dawg- ჰიპ-ჰოპის სლენგზე ახლო მეგობარს ნიშნავს, თუმცა თარგმანში ეს არ აისახება. ასევე გვხდება შეკვეცილი წინადადებები და გამოთქმის დამახინჯება, რაც ნაწილობრივ თარგმანშიც აისახება გაუმართავი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ბოლოკიდური თანხმოვნების მოკლებით „იმიტო“ და ა. შ.

Fk Cranbrook-** კრანბრუკის დედაც. თარგმანში გინების შემოკლებულ ვარიანტს ვხვდებით. სერტოლ ორიგინალში ძალიან ხშირია უწმაწური სიტყვების გამოყენება, რაც ქართულ თარგმანში ბევრად უფრო იშვათად გვხდება, და ვფიქრობ, რომ სწორი მთარგმნელობითი ხერხია, ვინაიდან ირიდაციის მეთოდით ეს სიტყვები მთელ კონტექსტს აძლევენ ტონს და არ არის საჭირო მათი ყოველი სიტყვის შემდეგ გამოყენება.

ამის შემდეგ ჯიმი იმარჯვებს, ვინაიდან მისი მოწინააღმდეგებისეთ გარემოშია გაზრდილი, რომ არ შეიძლება ჰიპ-ჰოპის ესმოდეს თავისი ნიჭისდა მიუხედავად. ფილმის დუბლირებულ ვარიანტს განვიხილავ და იმ სცენებში, რომლებშიც მოქმედი პირები სიმღერაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, სიმღერის არიგინალური ვერსია ისმის და ფონად მიყვება ქართული თარგმანი, მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ მსმენელი აღიქვამს მის რეგისტრს და შინაარს და არ უჩნდება შეგრძნება, რომ თარგმანში რამე შერბილებულია, ეფექტი შენარჩუნებულია.

დასკვნა:

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ფილმს წიგნთან შედარებით ის უბირატესობა გააჩნია, რომ მულტიმედიური საშუალებაა და ინფორმაციის გადაცემა ხდება არამარტო სიტყვების, არამედ იმიჯის, აუდიო საშუალებებით, რომელიც ამ ფილმში საკმაოდ გამოკვეთილია. კამერა ისეთნაირად აჩვენებს დეტროიტის კვარტალებს, რომ ტურიზმის განვითარებას ეს ნამდვილად არ შეუწყობს ხელს (კინკ-

რიტიკოსი ჯეიმს ბერარდინელის აზრით (მიუთითე). ქალაქის სცენები დაბომბილ ქალაქს წააგავს, მოქმედების უმრავლესობა შენობაში ხდება, ფილმში მზე თთქმის არ ანათებს და არავინ იღიმის, ხალხი ამ ფილმში არსებობისათვის იბრძვის. ეს ყოველივე ერთად ისეთ სურათს ქმნის, რომ ვფიქრობ ესეც უადვილებს მთარგმნელს ისე შეარჩიოს მთარგმნელობითი ხერხები, რომ პროდუქტის თავდაპირველი ეფექტი შეინარჩუნოს და ამავე დროს ოდნავ შეარბილოს ის უხამსი და უხეში ენა, რაც ამ ფილმშია გამოყენებული. მაგალითად სიტყვა **F**k-მხოლოდ** ჩემ მიერ განსახილველად შერჩეულ მაგალითებშიც კი (ამ სტატიაში ყველა მაგალითი არ განმიხილავს) სხვადასხვა კონტექსტში 27 არის გამოყენებული, რაც თარგმანში ამ სიტყვით, რა თქმა უნდა, არ აისახება. ასევე ხშირად და სხვადასხვა კონტექსტში ხდება სლენგი სიტყვა **Sh*t**-ის გამოყენება. ისიც ისევე როგორც ზემოთ ხსენებული სიტყვა, როდესაც ემოციის გამოსახატავად გამოიყენება ძირითადად ნეიტრალური თარგმანით არის ჩანაცვლებული, ზოგჯერ ხდება მათი სლენგით გადმოტანა და როდესაც იმავე ერთეულით ჩანაცვლება ვერ ხერხდება, რაც საწყისი ტექსტშია მოცემული, ეფექტი სხვა, თარგმანისათვის უფრო დამყოლ ერთეულზე ინაცვლებას. მთლიანად პროდუქტის შექმნისას მთარგმნელი ირიდაციის მეთოდს იყენებს, რაც მულტიმედიური ნაწარმის თარგმნისას ვფიქრობ ძალიან ეფექტურია და ვინაიდან კომუნიკაციური ეფექტი მიიღება ისე, რომ არ ხდება უხეში და უხამსი სიტყვების ზედმეტი გამოყენება, რაც ქართული ენისთვის ვფიქრობ ორგანული არ არის და ამასთანავე სატელევიზიო ცენზიც არ ირღვევა.

ლიტერატურა

- სზარკოვსკა, 2005** — Agnieszka Szarkowska. "The Power of film translation" Translation Journal.vol 9. No 2. 2005.
- ჯეი, 2000** — Timothy Jay . "Why we curse; A Neuro-Psyco-Social Theory of Speech" John Benjamins Publishing company.2000
- "The Didactics of audio-visual Translation" Jorge Dias-Cintas. 2008. John Benjamins. B. V.

ლექსიკონები

- ლ. ბრეგვაძე „ქართული უარგონის ლექსიკონი“. ბაკურ სულაკა-ურის გამომცემლობა.2005.
- „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. ქართული ენციკლოპედია. 1986.

ინტერვეტ მისამართები

1. <http://www.dailyscript.com/scripts/8MILE.pdf>
2. http://onlinezone.ge/news/8_mile_8_mili_2002_kartulad/2009-11-30-2034
3. <http://www.reelviews.net/movies/e/8mile.html>
4. <http://www.azlyrics.com/lyrics/eminem/8mile.html>
5. <http://accurapid.com/journal/05dubb.htm>
6. http://books.google.ge/book?id=753zB9IshAC&pg=PA48&lpg=PA48&dq=how+characters+are+created+in++audio+visual+translation&source=bl&ots=l9yRJxXvK5&sig=boo0Azqn8Q_8xVLUpHJeULEYvsQ&hl=ka&sa=X&ei=w1Z4T6qhA8jqOae13OsN&ved=0CCAQ6AEwAQ#v=onepage&q=how%20characters%20are%20created%20in%20audio+visual%20translation&f=false
7. <http://www.hawaii.edu/satocenter/langnet/definitions/aave.html>
8. http://books.google.ge/books?id=nCQOpG4ODXIC&pg=PA73&source=gbs_toc_r&cad=3#v=onepage&q&f=false

TAMAR NACHKEBIA

Characters in Audio-Visual Translation (dubbing)

Summary

The paper explores the ways characters are created in audio-visual products by focusing on the relevant markers of language stratification and situational variations, that are of particular importance in the process of dubbing from English into Georgian. Special emphasis is placed on the modifications made by the translator for the purpose of maintaining the communicative effect of the original within the restrictions typical of dubbing technique.

Empirical data are taken from C. Hanson's film "8 Miles". The observations have proved that in the film the characters are created not only via their speech but also by visual means which eases the translator's task to maintain the atmosphere of the original, by slightly mitigating the rough and rude language of the film. By the employment of the effect of irradiation dramatic synchronization and communicative effect of the original are achieved.

ნიკოლოზ ოთიაშვილი

ლიახვის ხეობის ონომასტიცური მასალები

(თურქული აღწერის მიხედვით)

ხეობის შესახებ რამდენიმე ისტორიული ძეგლი მოგვეპოვება, მათ შორის მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის უსათაურო დავთარი, სადაც აღწერილი მაშინდელი სოფელი ცხინვალი და ხეობის სოფლები, მცხოვრებთა რაოდენობა, გვარ-სახელები, რომელთა შესწავლა და სხვა დოკუმენტებთან შედარება დღესაც აქტუალურ საკითხად ჩემია. ძალზე საყურადღებოა ვახუშტი და ოთანე ბაგრატიონების „აღწერები“, მხარის შესახებ დიდწილიშვნელოვანი მასალებია ფიქსირებული.

პირველხარისხოვან ძეგლებს უნდა მივაკუთვნოთ ამ ცოტა ხნის წინათ გამოცემული „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი, რომლის თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჭიქიაძ და პროფესორმა ნოდარ შენგელიაძ.

XVIII საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში ოსმალები ქართლს ეუფლებიან და მოახდინეს მხარის მთლიანი აღწერა, მათ შორის ორივე ლიახვის ხეობისა, რომელიც საკმაო სიზუსტითაა შესრულებული.

ტექსტში მოცემულია ოსმალური საგადასახადო ტერმინები, დასახლებული პუნქტები, გაძქრალი სოფლები, რომელთა ლოკალიზაცია დასადგენია, რაც მნიშვნელოვანი ფაქტი იქნება. დავთარში მოცემულია ანთროპონომული მოდელის (გვარსახელი) პირველი წევრი — საკუთარი სახელი, მამის სახელი (გვარის გამოკლებით, რაც არ არსებობდა თურქული სინამდვილეში). მოცემულია წოდებრივი იერარქია და სხვა.

ამ დროისათვის ხეობის სოფლები მაჩაბლების, ფავნელიშვილების, ერისთავების თავადურ გვარებს ეკუთვნიდა, მაგრამ ისინი და-

ვთარში არ არიან მოხსენებული, ყველგან მხოლოდ თავად ამილახვართა გამგებლობა იხსენიება, როგორც ზემო ქართულის სარდლებისა, რომელთა კომპეტენციაში შედიოდა მოსახლეობის აღწერის ორგანიზება.

ამ მხრივ საყურადღებოა ერთი დოკუმენტი, რომელიც როსტომ მეფემ მისცა ამილახვარს: ... „განგიახლეთ ამილახვარობის დროშა, შემოგარტყით ხმალი მოსურად მებრძოლითა და ორგულთა ჩვენთა. კულატა სასარდროს საქმე გარიგებული ქონდათ, ანცა გაგირიგეთ და დაგიმკვიდრეთ სარგო სარდრობისა, ასე, რომე, როდესაცა თემი იწერებოდეს, ერთის კარის ჩვენის მდივნისა, თქვენს სასარდროს თქვენ ასწერდეთ“...

სოფელი ცხინვალი, ზემო, ქვემო ნიქოზები, ორივე ხვითი, წყნარი, თიხევი, ამოცი, ფხვენისი, შინდისი, ასევე მთისა და ბარის სოფლები ამილახვრისადმია მიყუთვებული.

ჩამოთვლილი სოფლების მცხოვრებთა ეთნიკური შემადგენლობა საკუთარ სახელებზე დაყრდნობით აბსოლუტურად ქართულია. სოფელი წყნარი, რომელიც მთელ რიგ წყაროებშია მოხსენებული, მინარების დიდი ლიახვისა და ფრონეს ხეობების წყალგამყოფზე მდებარეობს და დღეს ეთნიკურად შეცვლილია, მაგრამ თურქული აღწერის მიხედვით მთლიანად ქართულია. სახლობდნენ: ალდგომელა, მახარებელი, ივანე, ბერუკა, გენება, ზაქარია, თევდორე, რევაზ, ფილიპე და სხვები.

პატარა ლიახვის ხეობის სოფელი გრი, რომელიც უჭველესი დასახლებაა, ამ დროისათვის მთლიანად ქართულია. სახლობდნენ: გიორგი, ბერი, ოთარი, ოქრუა, დიმიტრი, ზურაბ და სხვები. მათი გარების აღდგენა კი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იქნება, რადგან გვიან მოსული ხალხი პრეტენზიას აცხადებს გერის ხეობაზე და იქ არსებული „სპარსის წმინდა გიორგის ეკლესიაზე“, რომლის აგება ფარსმან მეფეს მიეწერება ისტორიული დოკუმენტების მიხედვით.

თურქული აღწერის მიხედვით შეცვლილია სოფლების სახელები, დასადგენია ზოგიერთის ლოკალიზაცია — მაგალითად, გაურკვეველია სოფელ ტოლეთუბნის, წარის, ქუთახლისის, ზარსეთის, ზენხლისის,

ბარდიზის, ზენდისის დოკალიზაცია, სადაც საკუთარი სახელების მიხედვით მხოლოდ ქართველობა სახლობდა.

იმდროინდელი საკუთარი სახელები ძველი ქართულისამებრ ძირითადად ფუძის სახით არის წარმოდგენილი: ფირან, იოსებ, ივანე, ზურაბ, ფარმეუზ, ავთანდილ, სიმონ, როსტომ, იორამ, ასელ, ბერდ, რევაზ და ასობით სხვა. ასევე გვხვდება სახელობითი ბრუნვის ფორმით და ჩანს, რომ ორთოგრაფიის საკითხები ყალიბდება.

ცხინვალის დასავლეთით, ორი კილომეტრის დაცილებით საქართველოს გაერთიანების დასაწყისში მეცხრე-მეათე საუკუნეების მიჯნაზე ტბელთა ფეოდალურმა გვარმა დიდი მშენებლობა წამოიწყო, რომელთა ნაშთები დღესაც შემორჩენილია. აქ მდგარეობს სოფელი კუსირეთიც (დღეს ნასოფლარია). აქ დაცულია წმინდა გიორგის სახელზე აგებული ტაძარი ჭერ კიდევ გადარჩენილი ასომთავრული წარწერებით.

ზემოხსენებული დავთარში 359-ე გვერდზე მოცემულია სოფლის სახელი განსხვავებული ფორმით ღუსირეთი. სოფელი კუსირეთს ასახელებენ ვახუშტი და იოანე ბაგრატიონები და ამ სახელით არის დატანილი ვახუშტის მიერ შედგენილი რუკაზეც. ზემოხსენებული თურქული აღწერით სოფელში ცხოვრობლნენ: დათუნა, ბერი, თედორე, ზურაბ, დავით, ფირან, გიორგი, შიო, გიორგი და სხვა პირები, რომელთა რაოდენობა ასზე მეტია.

მხარეში, ძირითადად ცხინვალში, თამარაშენში, საბაწმინდაში, რომ ებრაელობა სახლობდა, მთელი რიგი დოკუმენტებით ცნობილი ფაქტია. ისინი კადრობა-აღებმიცემობას ეწოდნენ და სოფლის მეურნეობასაც მისდევდნენ.

თურქული ტექსტიდან პირველად გახდა ცნობილი, რომ ებრაელობას ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტში სოფელ ღუსირეთში, იმავე კუსირეთში, უცხოვრიათ. აღწერის ტექსტში გვხვდება ებრაული სახელები, რომლებიც ძირითად -ა ხმოვნით არიან დაბოლოებული: მორდეხა, მოშია, მამისთვალა, დანიელა, ისპაკა, მოშია, ისრაილა, შაბათა, გათვალა, ხოსია, ნათა, ბათა და სხვები, რომელთა მიგრაცია სხვა ადგილებში შესასწავლია.

როგორც აღწერიდან ჩანს, ქართველთა და ებრაელთა დასახლებები ცალ-ცალკე იყო და აღწერაც ასეა შესრულებული. ებრაელთა ონომასტიკონში გვხვდება ქართულთან საზიარო სახელები: გიორგი, ბეჟან, ზაალ, შიო, ხოსია, ელიზბარ, დავით მრავალჯერ და სხვა.

დროთა განმავლობაში სახელები ცვლილებას განიცდის და ანთროპონიმიაში ეს ფაქტია. სოფლების ქემერტის, კეხვის, ქურთის აღწერებში გვხვდება ასეთი სახელები: მისთემა, გიკაკა, სადანა, გიორგი, ბადურ, გუნლიკა, შუშუდი, ზასიე, ჯემადინ, ბისასკა, ბივალი, ხავარა და სხვები, რომელთა ეტიმოლოგია დღეს შტოგვარებში და ზედმეტ სახელებში უნდა ვეძებოთ.

თურქული აღწერით მხოლოდ მამაკაცებია აღრიცხული, რომლებსაც გადასახადის გადახდა ფულით და ნატურის სახით ვალებოდათ. აღწერას მოსდევს სოფელში მცხოვრებთა რაოდენობა და ბოლოს ჯამი, ასევე თუ რამდენი დღიური მიწის მფლობელი იყო ეს სოფელი, რამდენი სახლი იდგა და სხვა.

თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ორი მოზრდილი ტომია, რომელიც საუკეთესო წყაროა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიული და ენათმეცნიერული, ასევე სხვა მომიჯნავე დარგების შესასწავლად, რომელიც, სახელდობრ, ზემო ქართლის მხარესთან არის დაკავშირებული. სხენებული მასალები აღმოჩენებს გვპირდება ონომასტიკაში, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში უნდა შევიდეს.

ლიტერატურა

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, თბ., 2009.

გახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, მეცნიერება, 1997.

იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986.

NIKOLOZ OTINASHVILI

Onomastic Materials of the Liakhvi Valley

(on the basis of Turkish survey)

Summary

The paper discusses ‘The Accounts on Tbilisi Vilayet of 1728’ issued as a book. The source in question includes the description of both Liakhvi valleys. The data presents Ottoman tax terminology, the names of settlements, the names of vanished villages, whose location is to be stated. On the basis of male names it can be concluded that the population of the whole region was ethnically Georgian, however, the family names spread in the region are still to be stated. The results of the study might settle many debatable issues.

ასათ ააიდ, მარა აშამე

ფრაზეოლოგიზმები და ფრაზეოლოგიზმები საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგარიდადა განმარტებული, რაც დაკავშირებულია შესწავლის ობიექტთა არაერთგვაროვან კლასიფიკაციასთან. ეს არაერთგვაროვნება კიდევ უფრო მეტ ტერმინოლოგიურ სიჭრელეს იწვევს და ამიტომ ხშირად ჭირს ზუსტი ზღვარის გავლება ფრაზეოლოგიურად ცნობილ სახესხვაობებს შორის. ტერმინები: ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრაზეოლოგიური გამოთქმა, ფრაზეოლოგიური შენაზარდი, ფრაზეოლოგიური შესიტყვება, ხატოვანი გამოთქმა, იდიომი, მყარი გამონათქვამი, სტერეოტიპული გამოთქმა, ტერმინოლოგიური შესიტყვება, კალკური შესიტყვება... ზოგ შემთხვევაში ერთმანეთსაც ფარას, იდენტურია და ზოგ შემთხვევაში მკვეთრადაც განსხვავდებიან. თუმცა ყველას ერთი უდავო საერთო ნიშანი აქვს და ესაა მათი მეტ-ნაკლები ფრაზეოლოგიური და არაიშვიათად სტრუქტურული სიმყარე. ამ სიმყარის გამო მათ ერთგვარი ენობრივი ფორმულების სახე აქვთ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფრაზეოლოგიზმთა დიდი ნაწილი ენის ხატოვანი აზროვნების გამოხატულებაა, ბუნებრივია, რომ მათი აღნუსხვა და კვლევა ნებისმიერი ენის შესწავლის ერთ-ერთი საინტერესო უბანია. ფრაზეოლოგიზმთა შესწავლას ექსტრალინგვისტური მნიშვნელობაც აქვს, რამდენადაც მათში ხშირად შემონახულია ენის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თუ კულტურულ-სოციალური თავისებურებების გასაღები. ამიტომ ფრაზეოლოგიზმთა განხილვა ენათმეცნიერების (და არა მხოლოდ ენათმეცნიერების) სხვადასხვა დარგის ინტერესების მიხედვითაა შესაძლებელი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ფრაზეოლოგიზმთა ყველა ნაირსახეობა ერთ დიდ ჯგუფად არის წარმოდგენილი, — ესაა ე. წ. რომბული გამონათქმამები, რომლებშიც შედის

იდიომები და მეტაფორული გადააზრებით მიღებული სხვა ხატოვანი სიტყვა-თქმანი. ტერმინოლოგიური დანიშნულებით გამოყენებული მყარი გამოთქმები შესაბამის სიტყვა-სტატიაში რომბული მითითების გარეშეა წარმოდგენილი და განმარტებული.

საერთოდ, ქეგლის ახალი რედაქციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტად მიჩნეულია ფრაზეოლოგიური ერთეულებით მისი გამდიდრება. ეს მოხდა, ერთი მხრივ, იმ მაგალითების ხარჯზე, რომელთა ნაწილი ფიგურალურის კვალიფიკაციით იყო ასახული ილუსტრაციებში, მეორე მხრივ, ახალი მასალის მოპოვების შედეგად. მყარ გამონათქმამებს შეუერთდა ასევე დალოცვის, წყევლისა თუ ნატვრის ფორმულები (მათ შორის ერთსიტყვიანი). ამავე დროს, ფრაზეოლოგიზმთა (ე. წ. რომბულ გამონათქმანი) მითითება მოქსნა არაერთ ტერმინოლოგიურ შესიტყვებას და ამით მკვეთრი მიჯნა დაიდო ამ ორი ტიპის შესიტყვებას შორის (ქეგლი, ახ. რედ., I, გვ. 11).

ლექსიკოგრაფული თვალსაზრისით, ტერმინოლოგიური შესიტყვებები სირთულეს არ ქმნიან. ამ რიგის შესიტყვებები არც ისე ბევრია, არც სტრუქტურული და სემანტიკური ვარიანტების სიჭრელით გამოიჩინებიან (სხვაგვარად ტერმინოლოგიურ სახელებად ვერ ჩამოყალიბდებოდნენ) და, შესაბამისად, განსამარტავდ პრობლემებს არ ქმნიან.

სირთულები, რომლებიც დაკავშირებულია ე. წ. რომბულ გამონათქმამებთან, გამოწვეულია, ერთი მხრივ, მათი მრავალრიცხოვნებით, მეორე მხრივ კი, ფრაზეოლოგიურ სახესხვაობათა მრავალფეროვნებით. არსებითად, ამ ჯგუფშია თავმოყრილი ყველა ტრანს ფრაზეოლოგიზმი. სწორედ ამიტომ მოვხსენებთ მათ ე. წ. რომბულ შესიტყვებებად, რომელიც მხოლოდ ტერმინია ტერმინია.

ე. წ. რომბულ შესიტყვებათა უდიდესი უმრავლესობა ორ- და მეტსიტყვიანია, თუმცა ცნებითი თვალსაზრისით ისინი ერთ, შემადგენელ კომპონენტთაგან სრულიად განსხვავებულ ცნებას აღნიშნავენ. ძირითადი ლექსიკოგრაფიული პრობლემა დაკავშირებულია ამ გამოთქმის სალექსიკონო ერთეულად გატანის აღილთან, — გამოთქმის შემადგენელ რომელ სიტყვა-სტატიასთან უნდა მოხდეს მისი მნიშვნელობის დაფიქსირება, — ანუ განისაზღვროს წამყვანი, ბირთვი სიტყვა.

პოლისემიურ სიტყვებთან დაკავშირებით აქტუალურია აგრეთვე რომბულ შესიტყვებათა ადგილი სიტყვა-სტატიაში. ვითარება მარტივია, როდესაც ფრაზეოლოგიური შესიტყვება განსამარტი სიტყვის ერთ რომელიმე მნიშვნელობასთან არის აშკარად დაკავშირებული,

მაგრამ უფრო ხშირად ბუნდოვანია, კონკრეტულად რომელი მნიშვნელობაა მეტაფორულად გადააზრებული. ასეთ შემთხვევაში ე. წ. რომბული შესიტყვებები სიტყვა-სტატიის ბოლოს არის თავმოყრილი.

საერთოდ, ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა შესწავლა უმთავრესად ხდება ცალკეული ემოციური კონცეპტების მიხედვით. სემანტიკური დიმინანტების მიხედვით დაჯუფებული ფრაზეოლოგიზმების განხილვისას მეტ-ნაკლებად ამ ემოციების გადმოსაცემ სტრუქტურებსაც ექცევა ყურადღება. რამდენადაც ჩვენს კვლევას უფრო ლექსიკოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მიზანი აქვს, გადავწყვიტეთ, ამოსავლად აგველო არა ემოციური კონცეპტი, არამედ სიტყვა, როგორც სხვადასხვა კონცეპტური სტრუქტურის შემქმნელი, ერთგვარი სიტყვა-კონცეპტი. ასეთი ფართო სემანტიკური ველის მქონე სიტყვები ყველა ენაშია და მათი რაოდენობა არც ისე დიდია. ესენია: გრძნობა-აღქმის, მოძრაობა-გადაადგილების, ქონა-ყოლის გამომხატველი ლექსიკა, ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი (სომატური) ლექსიკა, ბუნებრივ და სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული ლექსიკა და მისთ. ბუნებრივია, ქეგლში ყველაზე დიდი რაოდენობით ე. წ. რომბული შესიტყვებები სწორედ ამ რიგის სიტყვა-სტატიებშია თავმოყრილი.

სიტყვა **ენა** ქეგლში ათზე მეტი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი, რომლებიც, თავისი მხრივ, 2 ძირითად ქვეგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ: I — **ენა**, როგორც ადამიანის (საერთოდ, ცოცხალი ორგანიზმის) სხეულის ნაწილის აღმნიშვნელი ანატომიური ტერმინი, — პირის ღრუში მოთავსებული კუნთოვანი ორგანო და II **ენა** — აზრის ჩამოყალიბებისა და გაგებინების საშუალება, მეტყველების უნარი და ამავდროულად მისი პროდუქტი. ცხადია, მეორე ჭვეფის მნიშვნელობები პირველისაგან მომდინარეობს, რამდენადაც მეტყველების აქტში ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა სწორედ ამ ორგანოს, ენას, აქვს, თანაც მისი მონაწილეობა ყველაზე ხილულია, რამაც უთუოდ განაპირობა მეტყველების პროცესის, ლაპარაკის სწორედ მასთან გაიგვება. ენის ცალკეული მნიშვნელობები ენასთან, როგორც ანატომიურ ორგანოსთან, მსგავსებით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ენაში ეს ორი მნიშვნელობა სხვადასხვა სიტყვითაა გამოხატული (შდრ.: ინგლისური: Tongue — Language, გერმანული: Zunge — Sprache); ქართულში (ასევე რუსულში, ფრანგულში, იტალიურში...) კი ეს ორივე ძირითადი მნიშვნელობა ერთი სიტყვით გადმოიცემა.

სიტყვა **ენა**-სთან დაფიქსირებულ მრავალრიცხოვან ფრაზეოლოგიურ გამოთქმათა უმრავლესობაში წამყვნ სიტყვად, გამოთქმის ბირთვად ენაა წარმოდგენილი, რადგანაც გამოთქმის მეტაფორულობა სწორედ ამ სიტყვასთანაა დაკავშირებული. ასეთებია: **ენაზე ჭალი** არ მოედება, ენას შეუბრუნებს, ენა ეყლაბება, ენას ვერ აბრუნებს, ენა ექავება, ენა არ მოუტრიალდება, ენაზე ადგას, ენად გაიკრიფება და სხვ.

მართალია, ფრაზეოლოგიურ გამონათქვამს, ჩვეულებრივ, მყარი სტრუქტურა და სემანტიკა აქვს, მაგრამ არაიშვიათად შესაძლებელია აგრეთვე გამოთქმის ამა თუ იმ წევრის სინონიმური სიტყვით ჩანაცვლება. ამის მაგალითებია: **ენას აჭარტალებს / ატარტალებს; ენას არ ასვენებს / არ აჩერებს; ენას წაიგრძელებს / ენას წაიღდებს; ენა ექავება / ენა ეფხანება; ენა ჩაუწევდება / ენას გადაყლაბაგს; ენა არ მოუბრუნდება / ენა არ მოუტრიალდება; ენას აიშვებს / ენას აიხსნის; ენა ებორება / ენა უბორძიკდება / ენა უბრკოლდება; ენაზე ადგას / ენაზე უკიდია** ხშირ შემთხვევაში ეს ჩანაცვლება არავითარ ნიუანსობრივ სხვაობას არ იძლევა. ამიტომ თითოეულთან თითქმის ერთნაირი განმარტების მიწერას აზრი არა აქვს. ასეთ დროს ან გაგზავნა ხდება უფრო გაგრცელებულ გამოთქმასთან (ენა ექავება — იხ. ენა ეფხანება), ან სინონიმური გამოთქმების ჩამონათვალი კეთდება (ენას აჭარტალებს, ენას ატარტარებს), ზოგჯერ კი საკუთრივ სინონიმური ფორმა თავსდება მრგვალ ფრჩხილებში: **ენა ებორკება (უბორძიკდება, უბრკოლდება)**. ეს უკანასკნელი ვარიანტი გამოიყენება უფრო საერთო ძირისაგან წარმომაგალ ფუქტთა შემთხვევაში. ასეთ მიღებამას ლექსიკონის ეკონომიურობის პრინციპიც განსაზღვრავს.

ცალკეა გამოსაყოფი ისეთი ფრაზეოლოგიური გამონათქვამები, რომლებიც განსხვავდებიან მხოლოდ ზმნური ფორმებისა და კატეგორიების მიხედვით. ისინიც ერთგვარ პარალელურ, სემანტიკურად სინონიმურ კონსტრუქციებს ქმნიან. კერძოდ, ასეთებია: მასდარული, აქტიური და პასიური კონსტრუქციებით წარმოდგენილი გამონათქვამები. მხედველობაში გვაქს ამგვარი ვარიანტები: **ენის გადაყლაბება, ენას გადაყლაბავს, ენა გადაყლაბება; ენის ჩაგდება, ენას ჩაიგდება; ენის წაგრძელება, ენას წაიგრძელება, ენა უგრძელდება; აგრეთვე „ნაკლული“ კონსტრუქციები: ენას ვერ იმორჩილებს, ენა არ ემორჩილება;** ასეთ გამოთქმებში ზოგჯერ ნიუანსობრივი სხვაობაც შეინიშ-

ნება. მაგ. ენას ჩაიგდებს — უცებ გაჩუმდება, ხოლო **ენა ჩაუვარ-დება** — რაიმე ემოციისგან, მოულოდნელობისაგან ხმას ვეღარ ამოიღებს; **ენას გადაულაპაგს** — ხმას არ ამოიღებს, **ენა გადაექლაპება** — ძლიერი ემოციის გამო ვერ ამოიღებს ხმას, სიტყვას ვერ დასძრავს. ანუ, მცირე განსხვავება ემოციურობის ხარისხშია. საერთოდ, შეინიშნება, რომ პასიურ კონსტრუქციებში მეტია ემოციურობის სემანტიკა, ვიდრე აქტიურში. თუმცა რაოდენობრივად აქტიური კონსტრუქციები ჰქონდობს. შეინიშნება სტატიკურ ზმნათა აქტიურობაც, როგორც ჩანს, ცალკეულ მდგომარეობაზე, როგორც ჩვევაზე, ჩვეულებითობაზე მითითების სემანტიკის გამო (**ენაზე ადგას** — ძალიან კარგად იცის და ვერ გაუსხენებია; **ენაზე აკერია** — წარამარა ახსენებს, ხშირად იმეორებს; **ენაზე უტრიალებს** — თქმას აპირებს.; **ენა უჭრის** — კარგი ლაპარაკი იცის, ლაპარაკი ეხერხება, ეადვილება...). ამავე რიგისაა: **ენაზე უკიდია, ენა (არ) უდგას; ენა არა აქვს...** თუ ნიუანსობრივი სხვობა არ (ვერ) იძებნება, მაშინ ალბათ უკეთესი იქნება, ამგარ ფორმებს ერთი განმარტება ჰქონდეთ.

რაც შეეხება მასდარებს, რამდენადაც ისინი საერთოა აქტიური და პასიური ფორმებისათვის, უპირატესად ხდება მათი არა განმარტება, არამედ გაგზავნა აქტიურ და პასიურ ფორმებთან, თუ ასეთი მათ აქვთ. მაგ., **ენის გადაულაპაგა** — იხ. **ენას გადაექლაპება, ენა გადაექლაპება.** ცალკეულ შემთხვევებში, თუ ძალიან გავრცელებულ ან სპეციფიკურ სემანტიკასთან გვაქვს საქმე, შესაძლოა იყოს მეორე ვარიანტიც: ვერ მოკლე, არსებითი განმარტება და შემდეგ გაგზავნა და შესაბამისი ილუსტრაციები.

განსახილველი ფრაზეოლოგიზმები ძირითადად ორსიტყვიანია, ხშირია უარყოფითნაწილაკიანი გამოთქმებიც, ანუ ისეთები, რომლებიც მხოლოდ ამგვარი ფორმით გამოიყენება: **ენას ვერ აბრუნებს, ენას არ გასძრავს, ენა არ მოუბრუნება ენას არ აქტობს...** შედარებით მცირეა ისეთი იდიომები, რომლებიც გამონათქმიში პოლინიურად იგულისხმებენ და, შესაბამისად, იკავშირებენ კადეც ცალკეულ სიტყვებს. ასეთი სიტყვები ჩვენს რომბულ ფორმულაში მრგვალი ფრჩხილებით არის გამოყოფილი. მაგ., **ენა ჩაუვარდა (მუცელში, პირში...)** — ხმას ვერ ამოიღებს, ლაპარაკის უნარი წაერთმევა. **ენაზე დარჩება (სიტყვა...)** — თქმას ვერ მოასწრებს, ლაპარაკს ვერ დაამთავრებს, სიტყვას შეაწყვეტინებენ; **ენაზე კლიტე (ბოქლომს) დაადებს** — ხმის ამოღების საშუალებას არ მისცემს... აქვე შევნიშნავთ, რომ პარალელურად გვხვდება თანდებული-

ანი და უთანდებულო ფორმები. ასეთ შემთხვევაშიც ფრჩხილის გარეთ უფრო გავრცელებული ფორმაა, ფრჩხილებში კი — მეორე. ასე მაგ.: **ენაზე (ენას) კლიტეს დაადებს; ენას (ენაზე) ჭალი არ მოე-დება.**

შედარებით მცირეა ისეთი გამონათქმები, რომლებშიც ზმნის პირიანი ფორმა არ მონაწილეობს. ამგვარი სულ რამდენიმე გამონათქმისა დაფიქსირებული: **ენით გამოუთქმელი, ენით აუწერელი. ენად გადაეცეული, ენად გაკრეფილი, ენის ბორძიკი...** ეს უკანასკნელი ტერმინოლოგიური მნიშვნელობითაც იხმარება — ლოგონევრობის სახელით. ამიტომ მასთან პარალელური მნიშვნელობით მისი ეს ფუნქციაც არის წარმოდგენილი (აღნიშვნით **სპეციალისტის სახელი**).

მოკლედ შევეხებით გამონათქმამთა სემანტიკასაც. როგორც ადრე აღნიშნეთ, სიტყვა **ენას** ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: 1. **ენა** — სხეულის ნაწილი და 2. **ენა** — მეტყველება, აზრის გადმოცემა. წარმოდგენილი ყველა ფრაზეოლოგიზმის სემანტიკა დაკავშირებულია მეტყველებასთან, მეტყველების პროცესთან, მის ხასიათსა და დანიშნულებასთან. თუმცა ერთ ნაწილში პარალელურად აღნიშნება მისი, როგორც მეტყველების ორგანოს, თავისებურებანიც. ესაა ის გამოთქმები, რომლებშიც ხაზგამშულია ენის, როგორც სხეულის ნაწილის, მდგომარეობა, რაც სხვადასხვა ემოციით არის განპირობებული. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ამგვარ გამონათქმამთა ზმნური ნაწილი გარკვეულ მოძრაობას, მდებარეობას, მდგომარეობას გამოხატავს. ესენია: **ენას ატრიალებს, ენას ვერ აბრუნებს აბრუნებს, ენა ეკლაპება, ენა ჩაუვარდება, ენა ერთმევა და მისთ. ანუ:**

ემოცია < ენის მდგომარეობა (ემოციის ფიზიკური ასახვა) < ემოციის ენობრივი ახსნა, ენობრივი ფორმულა.

ენის ფიზიკურ შესაძლებლობებთან (ან მდგომარეობასთან) დაკავშირებული გამოთქმების ერთი ნაწილი ემოციურად შედარებით ნაკლებადაა დატვირთული და უფრო მეტყველების, ლაპარაკის ხასიათზე ან საერთოდ მის უუნარობაზე მიყვანიშნებს. **ენას არ გასძრავს, ენაზე ჭალი არ მოედება, ენა ებორგება...** ამ გამოთქმებით გადმოცემული ემოციური კონცეპტი და ენის ფიზიკური მდგომარეობა თითქმის ერთმანეთის თანმხვედრია, ანუ წინმსწრები ემოციურ-ფიზიკური მიზეზ-შედეგობრიობა არ იგრძნობა, შესაბამისად, ენობრივი ფრაზეოლოგისათვის აქ ამოსავლად მეტყველების ფიზიკური მხარეა დომინანტური და განმსაზღვრელი. ნიშანდობლივია, რომ ასეთი გამონათქმების სემანტიკა უფრო ექსპრესიულია, ვიდრე მათი,

რომელთა ამოსავალი სწორედ ძლიერი ემოციაა. შდრ., გამოთქმისათვის **ენაზე ჭალი არ მოედება** (= ძალიან ბევრი ლაპარაკი შეუძლია, ბევრს ლაპარაკობს) ამოსავლად შეიძლება ვივარაულოთ სწორედ ენის ფიზიკური მდგომარეობა, — ენა ლაპარაკისათვის დაბრკოლებას არ ჰქნის, თავისუფალია, რაც მეტაფორულადა გადააზრებული და დაკავშირებული ბევრი ლაპარაკის ჩვევსთან, უნართან. ამავე რიგისაა გამონათქვამი **ენას ძალი არა აქვს**, რომელიც თავისი განყენებული, ზოგადი შინაარსით (ასეთივე მოსალოდნელი **ენას ჭალი არა აქვს**) უფრო ანდაზის ფორმულას წარმოადგენს, ვიდრე იდიომს. ასევე: **ენას ლაგამს მიუშვებს, პირში ენა არ უდგას**. ენის ფიზიკური მდგომარეობა ამოსავალი მეტაფორიზაციისას გამოთქმებისათვის: **ენაზე აშჩება (სათქმელი...)** (= ველარ ამბობს, სიტყვა უწყდება); **ენა გაუხმეს (წყველაა); ენას (ვერ) დაასველებს; ენას არ აჩერებს, ენა გაუბრტყელდა.....**

გამოთქმათა ერთი ჯგუფის სემანტიკა კი უშუალოდ დაკავშირებულია ენის, როგორც მეტყველების ფუნქციასთან: **ენას მოუკელი, ენად გადაიქცევა (ენა უყივლებს), ენას შეუბრუნებს, ენას აჭარტალებს / ატარტარებს ენას ატლიკინებს, ენად გაიკრიფება, ენით არ ითქმის, ენას აპუვება, ენას არის აყოლილი, ენას უზიდავს, სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ..**

გამონათქვამთა ერთი ნაწილის სემანტიკაში, მართალია, ენის ფიზიკურ მდგომარეობაზეა ხაზგასმა, მაგრამ ეს არის არა უნებლიერ ან ბუნებრივი, როგორც წინა შემთხვევებში, არამედ მოსაუბრის მიერ საგვანგებოდ შექმნილი მდგომარეობა რაიმე გამიზნული სამეტყველ ქმდებისათვის, — მის აღსაკვეთად ან, პირიქით, გასაძლიერებლად. ასეთები ჩანს: **ენას კბილი დააჭირა, (ენას იქავებს / იფანს,), ენაზე იკბინა, ენას კლიტე დაადო, ენას შეუკრავს, ენის წვერზე დაიჭერს, ენას დაიშაქრავს.....**

გარკვეული ნიუანსობრივი სხვაობა შეინიშნება აგრეთვე სხვადასხვა ზმნისწინებით გაფორმებულ ზმნებთან დაკავშირებითაც; ვთქვათ, გამოთქმა **ენას არ დასძრავს** — თითქოს არა მხოლოდ საიდუმლოს შენახვას, მის დაცვას აღნიშნავს, არამედ იმასაც, რომ ვინმე ხმას არ ამოიღებს (პირდაპირი მნიშვნელობით), ხოლო **ენას არ გასძრავს** — თითქოს მხოლოდ საიდუმლოს შენახვაზე, მის გაუთქმელობაზე მიგვანიშნებს.

ზოგჯერ ფრაზეოლოგიური გამონათქვამები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სხვადასხვა ქცევის ფორმიანი ზმნებით: **ენას**

ვერ აბრუნებს და ენას ვერ იბრუნებს. ამ ფორმებში სასუბიექტო ქცევის მხოლოდ ფორმა გვაქვს და არა შინაარსი, რადგან მათ შორის რაიმე ნიუანსობრივ განსხვავებაზე საუბარი ძნელია, თუმცა ზოგჯერ თითქოს მაიც შეიძლება ამ მცირე განსხვავების დაფიქსირება და ეს სხვაობა სწორედ ქცევის სემანტიკას უკავშირდება. **ენას ვერ აბრუნებს** — ვერ ლაპარაკობს (ძლიერი ემოციისაგან ან სხვა რაიმე შექმნილი დაბრკოლების გამო, მიზეზი თითქოს გარეგანია ან ნეიტრალური), ხოლო **ენას ვერ იბრუნებს** — ვერ ახერხებს ლაპარაკს (მიზეზი უფრო მოსაუბრეშია), თუმცა შესაბამისი ილუსტრაციების მოძიება იოლი არაა. აქვე უნდა შეგნიშნოთ ერთი არსებითი ხასიათის სირთულის შესახებაც; ენის ბუნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, თუკი პარალელური ფორმები და გამოითქმები არსებობს, ამას ყოველთვის აქვს თავისი ახსნა, ისინი ან სხვადასხვა ენობრივი არეალის კუთხილებაა, ან თავსებადობის ხარისხით არიან განსხვავებული, ანუ აბსოლუტურ სინონიმებს არ წარმოადგენენ. ამ განსხვავებული ნიუანსების დაძებნა ხშირად არც ჭირს, თუმცა სათანადო ილუსტრაციების მოპოვება ყოველთვის ვერ ხერხდება. ერთ შემთხვევაში „დაჭრერილი“ ნიუანსი სხვა ავტორთან უცდად შეიძლება შეიცვალოს, დაიკარგოს მწერლის ენის ინდივიდუალიბის გამო; ცხოვრების რიტმისაც თავისი კორექტივები შეაქვს და ზოგჯერ განსხვავებული ნიუანსების გამოყოფა მეცნიერებრივი ენობრივი ალონსა და კეთილსინდისიერების ამარა ჩემია. ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ლექსიკიური ფონდის შეცვებაზე ყოველდღიური ზრუნვა და რამდენად საჭირო საქმეა განმარტებითი ლექსკონის ახალი რედაციის დამუშავება-გამოცემა, რომელიც, უპირველესად, სწორედ ენის თანამედროვე ვითარების, მისი სიცოცხლის დოკუმენტური მაჩვენებელია.

ენა (ენისა) 1. სპეც. პირის ორუში მოთავსებული მოქნილი და მოძრავი კუნთოვგნი სხეული, რომელიც გემოვნების ძირითადი ორგანოა, მონაწილეობს აგრეთვე საჭმლის მონელებაში და არის სამეტყველო ბერებათა საწარმოებელი მთავარი ორგანო. ენას ძვალი არა აქვს, სიტყვას — კი ბაჟიო (ანდაზა). პირის შიგნით ჩვენ გავარჩევთ ყებებს, ორძილებს, კბილებს, სასას, ენასა და ხახას (ი. გოგებ.). ლევანმა გვაჭობა, გადაიხარხარა, ენა გამოვგიყო (ჭ. ამირეგ.). ენის ძირთან მწარე წყლები დაუუგროვდა (რ. თვარ.). ენაც გამოვუყავი, ნამდვილი კაბენიშვილი (თ. ჭილ.). [ბორბლაშ] გამოყო სცელი, ხაოიანი

ენა და რბილად მომისგა ლოყაზე (**რ. ინან.**). ფიგურ. გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი (**ჩუსთაველი**). ხმალზე უფრო ძლიერად ჭრის პატარა და რბილი ენა (**აგაფი**). ენგურმა კლდეზე დარჩენილ მარილსაც ენა ნაიალაღარი ხარივით ხარბად მოუსვადა და ლურჯად მოლივლივე სტომაჭში ჩანთქა (**გ. ავალ.**). სინათლე მდორედ გადაევლო ტყვიისფერ ზურგებს და წამით აალაბლაბა ხუფებიდან ჩამონაღვენთი ნავთობის გალაჭული ენები (**გ. ბაქან.**). ॥ ზოგიერთი ცხოველის ეს ორგანო, რომელსაც საჭმელად ხმარობენ. ლორისა და ძრობის ენებს მოხარშვა კი არ უნდა ლორივით, ზურგიელივით დათლით უმად (**გ. ჯოჩ.**). ენის კლიოტე იგივეა, რაც ნაჭი, პატარა ენა. 2. აზრის ჩამოყალიბებისა და გაგებინების საშუალება საზოგადოებაში. ერის ცხოვრება, მისი დიდება, მისი ისტორია დაცულ არს ენით (**გ. თრბ.**). სამი ღვთაებრივი საუნჯე და გვრჩენია მამა-პაპათავანი: მამული, ენა და სარწმუნოება (**ილია**). როცა განვებამ გამოვგიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწინებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურთხა ენა მეტყველებისათვის (**ს. ჭილ.**). 3. ამა თუ იმ საზოგადოების, ერის სამეტყველო ფორმა, საშუალება. სახელმწიფო ენა.— ეროვნული ენა. — უცხო ენა. — ქართული ენა. — გერმანული ენა. — ქართული ენა ჩვენს პლანეტაზე ერთი ის შემოქმედი ენათაგანია, რომელიც ჰქონდარიტად უკვდავია (**„ლიტ. საქ.“**). ჩვენს არტისტებს კი, ორიოდეს გარდა, არავითარი სწავლა და განათლება არ მიუღიათ და არა თუ უცხო, ის ენაც არ იციან, რომელზეც აღგენენ (**აგაფი**). „რომელ ენაზე უფრო გეოდელებათ ლაპარაკი“ (**ა. ცაგარ.**). მხოლოდ შენ [პრომეტეს] გესმის მოირების ენა (**გ. მაღლულ.**). ფილიმონს ...ენების შეთვისების დიდი უნარი ჰქონდა (**გ. ქორ.**). მან გვიანდერა, დავაქციოთ სულმთლად კახეთი, ...გადვუჭრათ ფესვი, ფესვეული, წავართვათ ენა (**თ. ჩხ.**). ენათა ოჯახი იხ. ოჯახი. 4. მეტყველების უნარი, აზრის სიტყვიერად გადმოცემა, — მეტყველება; ლაპარაკი. ყარყუმი რამ მოკლა და — თავის ენამაო (**ანდაზა**). ენა გულის მოციქულიათ (**ანდაზა**). ვის განუკურნავს სწავლი რჩევით და მარტო ენითა (აკავი). [თედორია] თავისი ხალისიანი ენით ემუსაიფებოდა მოხუცებულს (**დ. კლდ.**). მუნჯის ენა დედამ იცისო (**ანდაზა**). ॥ ფრინველთა და ცხოველთა მიერ თავიანთი ქმედებით (ძირითადად ხმიანობით) საკუთარი შეგრძნებების გადმოცემის უნარი. ბულბულის ენა. 5. გადატ. მოენე, მოლაპარაკე, — ინფორმაციის წყარო. სლავა ასეულის მეთაურთან მივიდა და სთხოვა, ისიც გაეგზავნათ მტრის ზურგში ..ენის“ მოსაყვანად (**ი. ურჯუმ.**). როგორ

ენდობი ეგრეთ კაცს და ისეთ საპასუხისმგებლო დავალებაზე აგზავნი, როგორიც არის დაზვერვა, „ენის“ შოვნა (**ს. იორამ.**). 6. მეტყველების ნაირსახეობა, რომელსაც მოეპოვება თავისი დამახასიათებელი ნიშნები. ლიტერატურული ენა. — გაზეთის ენა. — სასაუბრო ენა, — ბავშვის ენა. — ცოცხალი ენა. — „სიბრძნე სიცრუი“ წიგნი დაწერილია ხალხური ენით (**გ. ქიქ.**). ცოტა როდია ისეთი მაგალითები, როდესაც ლიტერატურული გმირის ენა მთლიანად აგებულია ლიტერატურული ენის ტრაფარეტზე (**შ. ძიდიგ.**). როცა მარტონი დარჩებოდნენ, იმ ძველისძველი სოფლური ენით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს (**გ. ციც.**). დიდხანს ილაპარაკა ეპისკოპოსმა იგავური ენით (**გ. გამბ.**). ეზობეს ენა ... ამ თეატრმაც ეზობეს ენით, დაუფარავად და პირდაპირ უნდა მიგვითოთს ჩვენს ნაკლოვანებზე (**რ. მიშე.**). 7. გადმოცემის თავისებურება, სტილი, რითაც განირჩევა ერთი მწერალი (ან ნაწარმოები) მეორისაგან. ილია ჭავჭავაძის ენა. — „ვეფხისტყაოსნის“ ენა. რ. ინანიშვილი აქვს შესანიშნავი ენა — არა უბის წიგნში ჩაწერილი ენა, არამედ მსის სისხლხორცეული ენა (**„ლიტ. საქ.“**). რუსთაველის პოეტური ენის საოცარი ხალხურობა მოსწონდა ვაჟას (**ს. ჩიქ.**). 6. გადატ. როგორიმე (ავი ან კარგი, მწარე ან ტკბილი...) ლაპარაკი; ასეთი ლაპარაკის უნარი. ვახარებ დიდს და პატარას მის მოსვლას ტკბილი ენითა (**შ. მდგომი.**). [ჯაფარიძე] საოცარი მწარე ენის პატრონი იყო (**დ. კლდ.**). მღვდელმთავრებს არაერთგზის მოხვედრიათ ჯონდი შამანისძის გესლიანი ენა (**გ. გაბ.**). მოსწრებული ენის პატრონიან, ამასაც ამბობდნენ ბატონ გაბრიელშე (**„ლიტ. საქ.“**). რა საძაგელი ენა აქვს ამ ბავშვს (**რ. ინან.**). 8. [რაც გამოსახავს, გადმოსცემს რაიმეს] (ფრინველთა ბეგრას ან კიდევ საგნებს თუ მოვლენებს). რაიმე საგნების ან მოვლენების არსის სიმბოლურად გამომხატველი ერთგვარი საშუალება. — ყვავილთა ენა. — ციფრების ენა, — ბუშვინის გენიალური ქმნილებანი არაერთმა კომპიზიტორმა გადაიტანა მუსიკის ენაზე (**„ლიტ. და ხელოვნ.“**). ქეთევანი ცოტა შეცემნებული მიყურებს... არაერქის ვეკიონები შრომაზე, კილოგრამებზე, ჰექტარებზე, არ მაინტერესებს ციფრების ენა (**ა. კომ.**). სტატისტიკის ენა თითქოს ცოტას ამბობს სანუგეშოს (ქ. ღვინჯ.). კარგახანია მომწიფედა დიდი საუბრის აუცილებლობა იმ ცხოვრებისეული მნიშვნელობის საკითხებზე, რასაც... სოციოლოგიის ენაზე ზენობრივ-მორალური და სამართლებრივი პრობლემები ეწოდება (**„ლიტ. საქ.“**). ॥ უესტ-მიმიკის საშუალებით აზრის გაგებინება, გადაცემა. 9. გადატ. ზარის შიგნით ჩამოკიდებული ლითონის ნაწი-

ლი, რომლითაც ზარი რეკავს (ხმას გამოსცემს). მარებმა ზარი ყურით ხელში აიღო, ენა ამ მოძრაობაზე ზარის ნაპირს მოხვდა და უსიამოვნო ულრიალი მოიღო (**შ. აჩაგი.**). 10. საბერვლის ნაწილი ჰაერის შესასრუტად და გამოსაშვებად, — ჰაერსასრუტი, სასულე. || სალამურის ენა. || საერთოდ, მოგრძო (და მოძრავი) ნაწილი რაიმე საგნის (ან მექანზმის) შუაში. ფეხსაცმლის ენა. — „ენა არ ჰქონია აბზინდს“ (**დ. კლდ.**). 11. გადატ. აღი (ცეცხლისა). ბოლის ნაცვლად შეშებიდან ცეცხლის ენები ამოიმართნენ (**ჩ. გვეტ.**). ხანგამოშვებით ცეცხლის ენები ამოიშრებოდნენ [ხანძრიდან] (**ჩ. რუხ.** თარგმ.). ბიჭი ცეცხლის ენასავით უვლიდა გარს საქონელს (**რ. ინან.**)..

ენა ადვილად იტყვის — სათქმელად ადვილია, შესასრულებლად — რთული;
ენა აეცრება — ლაპარაკის ხალისზე მოვა, ბევრს ილაპარაკებს დუმილის შემდევ;
ენა არ მომიტრიალდება — ტყუილს ვერ ვიტყვი; მძიმე სათქმელია;
ენა არ მოუბრუნდება — ვერ გაბედავს, ვერ შეპბედავს, ვერ იკადრებს რამის თქმას, გამუღინება;
ენა აცრილი აქს — ყველაფერს ლაპარაკობს, ყველაფრის თქმა შეუძლია, არაფრის ერიდება; ყველაფრის თქმას იკადრებს;
ენა არ უდგას პირში — სიმთვრალისაგან ვერ ლაპარაკობს;
ენა აღარ (ძლიერს) ემორჩილება — იხ. ემორჩილება;
ენა გაუხმეს! — წყევლაა;
ენა დააყენე! — ბრძან. || პ. იხ. დააყენებს;
ენა დაებმება (დაებმის) — იხ. დაებმება, ებმება;
ენა დაიმოკლე! — ბრძან. || პ. იხ. დაიმოკლებს;
ენა ებორკება (უბორძიყდება, უბრკოლდება...) შეფერხებით ლაპარაკობს, ენა ებმება;
ენა ერევა — არეულად ლაპარაკობს, ვერ ახერხებს გამართულად მეტყველებას;
ენა ერთმევა — ხმას ვეღარ იღებს, ლაპარაკი აღარ შეუძლია;
ენა ექავება — ლაპარაკი უნდა, რამის თქმა უნდა ძალიან;
ენა ეყლაპება — უჭირს რამის თქმა, ვეღარ (აღარ) ამბობს;
ენა მიაქვს, ენას მიუტანს — იხ. მიაქვს, მიუტანს;
ენა მხარზე აქს გადაკიდებული — ბევრი ლაპარაკი იცის, ლაქ-

ლაქაა, ენატარტალა;
ენა უსწრებს — დაუფიქრებელი ლაპარაკი იცის;
ენა უყივლებს — თითქოს წინასწარ იტყვის იმას, რაც შეიძლება ახდეს;
ენა უჭრის — კარგი ლაპარაკი იცის, ლაპარაკი ეხერხება, ეადვოლება;
ენა ჩაუგარდება (მუცელში, პირში — საუბ. ხმას ვეღარ ამოიღებს, ლაპარაკის უნარი წაერთმევა, დადუმდება (შიშის, აღელვების... გამო);
ენა წაუსწრებს — წამოსცდება, არსათქმელს იტყვის;
ენას აიხსნის, ენა აეხსნება — ლაპარაკს დაიწყებს, საუბრის ხასიათზე მოვა;
ენას ამოიდგამს — იხ. ამოიდგამს ლაპარაკს დაიწყებს;
ენას ამტვრებს — გაჭირვებით ლაპარაკობს (იტყვიან უმთავრესად უცხო ენაზე); იმაზე შეჯელობს, რაც კარგად არ იცის
ენას არ გასძრავს — საიდუმლოს შეინახავს, არ გათქვამს;
ენას არ ასვენებს, ენას არ აჩერებს — ძალიან ბევრს ლაპარაკობს
ენას არის აყოლილი — სხვის ჭკუაზე დადის, სხვის ნათქვამს ბრმად ენდობა;
ენას ატლიკნებს —
ენას აჭარტალებს, ენას ატარტარებს — ზედმეტს ლაპარაკობს,
უადგილოდ ამბობს რამეს, ბევრს ჭორაობს;
ენას გადაყლაპავს — გაჩუმდება, ხმას არ ამოიღებს.
ენას გაიბრტყელებს — ძალიან ბევრს ილაპარაკებს;
ენას გაითხელებს (თხოვნით) — ძალიან ბევრს ილაპარაკებს; ძალიან შეეხევწება ვინმეს რამეს;
ენას გაიღესავს — მოემზადება მეტი ლაპარაკისათვის;
ენას გამენდს, ენას ჩაიწყვეტს — უცებ გაჩუმდება;
ენას გა'იტეხს — ლაპარაკში გაიწაფება;
ენას გაიტლეკს — ბევრს და დაუფიქრებლად ილაპარაკებს
ენას გამოუყოფს — იხ. გამოუყოფს. || გადატ. ენას გამოყოფს ვისიმე გამოსაჭავრებლად;
ენას გასცემს — საუბ. იხ. ხმას გასცემს (იხ. გასცემს);

ენას დაასველებს — რის თქმასაც აპირებდა, იმას იტყვის, მია-ნიშნებს;

ენას დაიმოკლებს — გაჩუმდება, ხმას აღარ ამოილებს, ზედმეტს აღარ იტყვის;

ენას დაიშაქრავს — ტკბილად, ვიწმეს საამებლად დაიწყებს ლაპარაკს;

ენას ვერ დაასველებს — ხმას ვერ ამოილებს, ვერაფერს იტყვის;

ენას ვერ აბრუნებს — სიტყვის თქმას ვერ ახერხებს (ძიძისაგან, სიმთგრალისაგან...);

ენას ვერ დასძრავს — ხმას ვერ ამოირებს, კრინტს ვერ დასძრავს;

ენას ვერ იბრუნებს — ხმას ვერ იღებს, ლაპარაკს ვერ ახერხებს.

ენას ილესავს — ცხარედ, ენამოსწრებულად ილაპარაკებს

ენას იფხანს — ბევრს ლაპარაკობს (უაზროდ, გასართობად). ლაპარაკით დროს კლავს;

ენას კბილებს მოუჭერს (დააჭერს) საუბ. იხ. მოუჭერს, დააჭერს;

ენას ლაგამს მიუწვებს — ბევრს ილაპარაკებს; თავშეუკავებლად, უკონტროლოდ დაიწყებს ლაპარაკს;

ენას მოატრიალდებს, ენა მოუტრიალდება — იხ. მოატრიალდებს, მოუტრიალდება;

ენას მოუკელი! — ბევრს ნუ ლაპარაკობ!

ენას მოიკვეტს — გადატ. ლაპარაკს უცებ შეწყვეტს, უცბად გაჩუმდება, თავს შეიკავებს აზრის გამოთქმისაგან;

ენას მუცელში ჩაიგდებს — კრინტს არ (ვერ) დასძრავს, დადუმდება, გაჩუმდება.

ენას უზიდავს — იგივეა, რაც ენა მიაქვს (ვიწმესთან);

ენას უკიდებს — შეფერხებით ლაპარაკობს, ენამოკიდებით, ბორ-ძიკით ლაპარაკობს;

ენას უჩლექს (ჩჩლექს) — ენამოჩლექით ლაპარაკობს (ელაპარაკება);

ენას შეუბრუნებს — უხეშად, შეუფერებლად შეებასუხება.

ენას შეუკრავს — ლაპარაკს არ დააცლის, თქმის საშუალებას არ მისცემს, — ძალით გააჩუმებს;

ენას ჩაიწყვეტს — იხ. ხმას ჩაიწყვეტს

ენას ძვალი არა აქვს — ყველაფრის თქმა შეიძლება, თუ თავს ნებას მისცემ.

ენას ძლივსოა იგნებს — ძლივს ლაპარაკობს;

ენას წაიგდებს — თავხელურად ზედმეტ ლაპარაკს მოპყვება;

ენას წაიგრძელებს, ენა უგრძელდება — ზედმეტს ლაპარაკობს;

ენას (ენაზე) ჭილი არ მოედება — ძალიან ბევრი ლაპარაკი შეუძლია, არაფრის თქმას არ მოერიდება;

ენაზე ადგას — ძალიან კარგად იცის და ვერ გაუხსენებია (სიტყვა, სახელი);

ენაზე (პირზე) აკერია (ეკერა) — წარამარა ახსენებს, ხშირად იმეორებს ერთსა და იმავეს, გაიძანის;

ენაზე არა დაადგება რა — საუბ. იხ. დაადგება;

ენაზე არაფერი დაამაგრდება — იგივეა, რაც ენაზე არა დაადგება რა; ყველაფერს იტყვის, უთმელად არაფერს დატოვებს;

ენაზე აშრება სათქმელი — ველარ ამბობს, სიტყვა უწყდება;

ენაზე დაიკვევს (რაიმეს) — მუდმივად სალაპარაკო საგნად გაიხილის რამეს;

ენაზე დარჩება (სიტყვა...) — საუბ. თქმას ვერ მოასწრებს (სიტყვისას), ლაპარაკს ვერ დამთავრებს, სიტყვას შეაწყვეტინებენ;

ენაზე იკენებს — ინანებს რაიმეს თქმას;

ენაზე იყბინა — გადატ. ენა მოიკვნიტა, უცბად გაჩუმდა და ინანა, რომ წამოსცდა;

ენაზე კბილის დადგმა — უცბად გაჩუმება, სიფრთხილე (ლაპარაკისას);

ენაზე (ენას) კლიტეს (ბოქლომს დაადებს (დაიდებს) პირზე კლიტეს (ბოქლომს) დაადებს (დაიდებს), — ხმის ამოღების საშუალებას არ მისცემს, არ ალაპარაკებს, გააჩუმებს; გაჩუმდება;

სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ — სხვადასხვა თვალსაზრისხე დგანან; ერთმანეთის არ ესმით, ვერ უგებენ ერთმანეთს;

ენაზე მოადგება — სათქმელად მოუვა;

ენაზე უტრიალებს — თქმას აპირებს;

ენის აყოლა — სხვისი ნათქვამის დაჯერება;

ენის ბორძიყი — იხ. ბორძიყი(მნიშვნ. 2);

ენის (და პირის) დაშაქვრა — პირფერობა;

ენის ზიდვა — ენის მიტანა, დასმენა;
ენის მიტანა, ენის მიტან-მოტანა — იხ. მიტანა, მიტან-მოტანა;
ენის მოკვნეტა — გაჩუმება, ხმის ჩაწყვეტა, საუბრის შეწყვეტა;
ენის შებრუნება — ბასუხის გაცემა შებასუხება;
ენის წვერზე ადგას (უკიდია) — თქმის სურვილი აქვს, თქმას
აპირებს, სათქმელად მზად აქვს;
ენის წვერზე დაიჭერს — აღარ იტყვის სათქმელს, თავს შეიკა-
ვებს, გადაიფიქრებს;

ენით არ ითქმის — ენით აღწერა ძნელია, — მეტად მშვენიერია;
მეტად ბოროტია;
ენით გამოუთქმელი (აუწერელი) რასაც ენა ვერ გამოთქვამს,
— სიტყვით ძნელად გადმოსაცემი, აუწერელი, უსა-
ზღვრო, საოცარი;
ენით ლოკაგს — ეპირფერება, ელაქუცება;
ენით ნაკვერცხლებს იღებს — აგია, კაპასია, ნერვიული;
ენით ჭარს დაატრიალებს — ძალიან ბევრ ტყუილს იტყვის;
ილაქლაქებს;

ენად გადაიქცევა — ბევრს ილაპარაკებს, ყბედი გახდება;
ენად გადაქცეული — ენად გაერეფილი;
ენად გაიკრიფება — ბევრს ილაპარაკებს;
ენად გაკრეფილი — საუბ. იხ. გაკრეფილი;

მოქარეული ენა — ლამაზი, მაგრამ ცოტათი ფარისევლური ენა.
ეზობეს ენა — სათქმელის გადმოცემა შეფარული, ალეგორიული,
შენიღბული ფორმით.

ASMAT PAPIDZE, MAYA ASHADZE

**Some Issues Connected with Phraseological Units in the
Monolingual Dictionary of Georgian**
(on the material of the entry *ena*, meaning language)

Summary

The paper stresses cultural specificity of phraseological units, their close link to historical, ethnographic and social aspects of a particular language community. The main lexicographic issue explored in the paper is the way phraseological units are represented and classified in the new edition of The Georgian Monolingual Dictionary. One of the aims of the new edition has been to enrich the dictionary with phraseological units, as a result some new lexical units (set expressions, blessing and cursing formulas) have been introduced. The new principles of idiom classification are illustrated on the material of the entry *ena*, meaning language.

მანანა რუსეთში, რუსულ დოკუმენტები

**მონოგრაფიული ვერბალური გენტიურის
ფუნქცია განგრენულ როგორი**

სტატიის მიზანია მონომოდალური ვერბალური მეტაფორის კვლევა განგსტერულ რომანში. ამ ტიპის ლიტერატურის ენობრივ თავისებურებებს, ჩვეულებრივ, მკვლევარი-ლინგვისტები არ უღრმავდებიან, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, იგი საკმაოდ საინტერესო ემპირიულ მასალას იძლევა რამდენიმე თვალსაზრისით. კერძოდ, მონომოდალური ვერბალური მეტაფორის ტექსტობრივი და კულტუროლოგიური ფუნქციების, იმპლიკატურისა და რომანის სიუჟეტური ხაზის შემდგომ განვითარებაში მეტაფორული კოდის მნიშვნელობის თვალსაზრისით.

საკვლევ მასალად აღეცულია ჰარი გრეის „The Hoods“ („განგსტერები“) და მარიო ბიუზის „The Godfather“ („ნათლიმამა“). გარდა ამისა, გამოკვლეულია ამ რომანების მიხედვთ შექმნილი ფილმების: „ერთხელ ამერიკაში“ (რეჟისორი სერგიო ლეონე) და „ნათლიმამა“ (რეჟისორი ფრენსის ფორდ კობლა) სცენარები. ამ ტექსტებში აქტუალიზებული მონომოდალური მეტაფორების შესწავლამ და მათმა ანალიზმა გამოამჟღავნა მონომოდალური მეტაფორის როგორც ხატვანი ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურის ფუნქციონალური და კულტუროლოგიური დატვირთვა როგორც მიკრო-, ასევე მაკროკონტრექსტში.

კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის მიხედვით, მეტაფორა არა მარტო მეტყველების ფიგურაა, არამედ აზროვნების ერთ-ერთი ფორმაცი (ლეიკოფი და ჯონსონი, 1999). ამ აზრის პოპულარობის მიუხედავად, მეტაფორის თანამედროვე კვლევები კონცენტრირდება მხოლოდ ვერბალურ მეტაფორაზე, რომელიც ორი სახით გვხვდება - მონომოდალური და მულტიმოდალურით. უდავოა, რომ მეტაფორის თანამედროვე თეორია უნდა მოიცავდეს როგორც მის მონომოდა-

ლურ, ისე მულტიმოდალური გამოვლინებებს არა მარტო ვერბალურ, არამედ არავერბალურ დონეზეც (ფორსვილი, 2006).

ფორსვილი მონომოდალურ მეტაფორას განსაზღვრავს როგორც ისეთ მეტაფორას, რომელშიც წყარო და მიზანი ერთი და იმავე „აღქმის“ არხით, აღქმის ორგანოს საშუალებით გადმოიცემა (ფორსვილი, 2006, 2008, 2009). შესაბამისად, მულტიმოდალური მეტაფორა განისაზღვრება როგორც ისეთი მეტაფორა, როდესაც მეტაფორის ორივე პლანი რეალიზდება სხვადასხვა აღქმის სფეროს მეშვეობით. ფორსვილი აღმიარებს, რომ ჯერ კიდევ არ დაზუსტებულა მოდალობის მისეული გაგება, თუმცა იგი, პირველი მიახლოებით, განსაზღვავს მას როგორც „ნიშანია სისტემას, რომლებიც ინტერპრეტირდება აღქმის განსაზღვრული პროცესის საშუალებით (ფორსვილი, 2009).

რაც შეეხება მეტაფორის სემანტიკურ სტრუქტურას, მას მივიჩნევთ სამშრიან ერთეულად, რომლის სემანტიკური სტრუქტურის პირველ შრეზე აქტუალიზდება მეტაფორის მეტაფორული ფორმა, მის შუა შრეზე მეტაფორის კონტექსტური და პრაგმატიკული პარამეტრები, ხოლო ფონური ცოდნის, პრესუპოზიციის დონეზე აქტუალიზდება სამყაროს მოდელის ის ნაწილი, რომელსაც ეფუძნება მეტაფორის სპეციფიკური ხატი (რუსიეშვილი, 2005). ეს მოდელი შეიქმნა ანდაზის მეტაფორის საკვლევად, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ესადაგება მეტაფორის ყველა სახეობას.

სტატიისათვის გამოყენებული ემპირიული მასალის კვლევა ეფუძნება ოთხივე წყაროდან ამოკრეფილ მონომოდალურ ვერბალურ მეტაფორებს („განგსტერები“-190 ერთეული და „ნათლიმამა“-135 ერთეული). უფრო კონკრეტულად, მასალიდან ავარჩიეთ კულტურულ-სპეციფიკური მეტაფორები, რომელთა ინტერპრეტაციის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეტაფორის სემანტიკური სტრუქტურის ფონური ცოდნის დონეს, რომელიც რეალიზდება მეტაფორის მოდელის მესამე შრეზე (რუსიეშვილი, 2005).

მაგალითი 1 („განგსტერებიდან“)

ნუდლზი (თანამედროვე) რობინ ჰუდია.

რომანში ნუდლზი, ბანდის ყველაზე განათლებული ბიჭი, რობინ

ჰუდს კითხულობს: „I picked up a copy of Robin Hood that Maxie had loaned me and I began reading it over again“ („რობინ ჰუდი ავიღე, რომელიც მაქსმა მათხოვა და თავიდან გადაკითხვას შევუდექი“) (გრეი, 1952, 17).

რობინ ჰუდის გავლენას ახალგაზრდა ნუდლზე საკუთარი ძმაც მიუთითებს, როცა მიმართავს მას: „You visualise yourself as a romantic figure, do not you? A sort of modern Robin Hood“ (თავი რომანტიკული ვინე გვინია, არა? თანამედროვე რობინ ჰუდი) (გრეი, 1952, 194).

ეს მონომძალური მეტაფორა სამი ურთიერთდაკავშირებული შრისაგან შედგება. ზედაპირულ შრეზე ფიქსირდება მეტაფორის ფორმალური მხარე, მის შეორე შრეზე — კონკრეტული კონტექსტუალურ-პრაგმატიკული პარამეტრები, აქვე ხდება ამ მეტაფორის ორი შემადგენელი ელემენტის, ნუდლზისა და რობინ ჰუდის, დაკავშირება საერთო ნიშანთა ასოციაციების შემცველით, კერძოდ, ამ კონტექსტში აქტუალიზდება შემდეგი ასოციაციური ელემენტები: რობინ ჰუდი არის რომანტიკული გმირი, ღარიბების დამცველი, მდიდრების რისხვა. ცხადია, ღარიბი ებრაული წრიდან გამოსულ ნუდლზს იზიდავს ასეთი გმირი. ამ მეტაფორის ამგვარი ინტერპრეტაცია, ბუნებრივია, ემყარება მკითხველის გარკვეულ კულტურულ ცოდნას, რომლის „გასნაც“ მეტაფორის მოდელის მესამე, ფონური ცოდნის, შრეზე, ხდება.

გარდა ამ მეტაფორისა, ნუდლზისა და რობინ ჰუდის მეტაფორული „კავშირი“ რამდენიმე სანტერესო მეტაფორას წარმოშობს: „We mounted our powerful steeds and flew like the wind through the night“ (ჩვენს ძლიერ ბედაურებს მოვახტით და ქარივით გაფთრინდით ღამები) (გრეი, 1952, 55).

ან კიდევ: “Standing behind the Baron in a group were his personal bodyguards, the fiercest knights in all the land” (ბარონს უკან პირადი მცველები, სამეფოს უმძვინვარესი რაინდები ედგნენ) (გრეი, 1952, 55).

ცხადია, რომ ამ კონტექსტში ბედაურები მანქანებია და რაინდები კი ნარკოდილერი ბარონის აგაზაკი მსახურები, თუმცა ნუდლზი მათ რომანტიკულ საბურველში ახვევს და ინტერტექსტუალობის წყა-

ლობით რამდენიმე საინტერესო მეტაფორას ქმნის. ისიც ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში, მეტაფორების სწორი დეკოდირებისათვის გარკვეული კულტურული ცოდნაა საჭირო, რომელიც მკითხველს ეხმარება რობინ ჰუდისა და ნუდლზის მეტაფორულ დაკავშირებაში.

ასევე საინტერესოა აღინიშნოს, რომ როგორც სცენარში, ისე ფილმში „ერთხელ ამერიკაში“, რობინ ჰუდის ადგილს მარტინ იდენი იჭერს. ამ ცვლილების მიზეზი, ცხადია, კვლავ კულტურული ფაქტორია. კერძოდ, ამერიკელი მაყურებლისათვის მარტინ იდენი უფრო ახლობელი აღმოჩნდა, ვიდრე რობინ ჰუდი. მეორე მხრივ, რობინ ჰუდის ჩანაცვლებამ მარტინ იდენით, გარდა კულტურული ხატებისა, მათთან დაკავშირებული კონოტაციებიც შეცვალა. კერძოდ, მარტინ იდენი თვითგანათლებული, ნიჭიერი ახალგაზრდა კაცია, რომელიც, სიცოცხლზე ხელჩაქნებული და გულაცრუებული, სამხრეთის ზღვისკენ გასწევს და თავს იკიდება. ის მითხველი, რომელიც იცნობს მარტინ იდენის ტრაგიკულ ისტორიას, ადვილად დაკავშირებს ნუდლზისა და მარტინ იდენის ცხოვრებისეულ ეპიზოდებს. ნუდლზიც საბოლოო გასაქვევს ჰეროინში ექცებს და ისევე განერიდება რეალობას, როგორც მარტინ იდენი. აქაც, ამ მეტაფორის დეკოდირება და ინტერპრეტაციაც მხოლოდ კულტურული ფონური ცოდნის გათვალისწინებითაა შესაძლებელი.

მაგალითი 2

რატომ შეერქვა ნუდლზს ნუდლზი („განგსტერებიდან“)

მიზეზი, თუ რატომ ჰქვია დავიდ არონსონს ნუდლზი, იხსნება რომანში, სადაც ნუდლზი თავად საუბრობს საკუთარ ზედმეტ სახელზე. იმ ეპიზოდში, რომელშიც ბიჭები დაბობენ, თუ რამდენია მილიონი დოლარი, სწორი პასუხი მხოლოდ ნუდლზს აქვს და იგი სიამაყით ამბობს:

“I was proud, I knew all the answers. That’s why they called me Noodles“ (მე ვამაყობდი, ყველა შეკითხვაზე მქონდა პასუხი, ამიტომ მეძახდნენ ნუდლზს) (გრეი, 1952, 3) მხოლოდ ამ კონტექსტიდან ხდება ცნობილი, რომ ‘noodles“ გადატანით მნიშვნელობით ნიშნავს ჭკვიან, „თავიან“ ადამიანს. რომანში იგივე სიტყვა, თუმცა მხოლობითი რი-

ცხვის ფორმით, იხმარება როგორც „თავი“, „გოგრა“. „You know everything, you got some noodle on your shoulders. You are smart, that's why they call you Noodles.“ (ყველაფერი იცი, ეგ გოგრა გიმუშავებს, ჭიკიანი ხარ და ამიტომაც გეძახიან ნუდლზს) (გრეი, 1952, 3)

ისიც საინტერესოა, რომ ამ სიტყვის პირველადი დენოტატიური მნიშვნელობა ნიშნავს „ატრიას“. სწორედ ამ მნიშვნელობის გამო, ფილმის თარგმნის დროს რუსმა მთარგმნელმა *noodles* თარგმნა როგორც „ და ამის შედეგად ნუდლზის სახელმა შეიძინა უარყოფითი კონოტაცია (რუსულად სუსტ ადამიანს ნიშნავს). ეს კიდევ ერთი მაგალითია, თუ რა დიდ გავლენას ახდენს კულტურული კონტექსტი მეტაფორის დეკოდირების დროს.

მაგალითი 3 („განგსტერებიდან“)

მაქსი ბარონია

ნუდლსა და მაქსს შორის ბრძოლა ლიდერობის შესახებ სრულდება ეპიზოდით, რომელშიც მაქსი დაუფარავად აცხადებს თავს ბანდის ლიდერად. ეს ხდება მეტაფორულად, სამეფო სკამის, ტახტის შემოტანით, რომელზეც ზის მაქსი. რომანში ეს სკამი (თუ ტახტი) ასეა აღწერილი:

“It was a chair. Yeh, Max was sitting in a strange, immense, richly carved chair, at the head of the table. Cockeye and Patsy were in ordinary chairs on either side of him. By comparison they appeared to be sitting on the floor... It (the chair) was like a throne, a royal relic of some sort.” (ეს სკამი გახლდათ. დიახ, მაქსი უცნაურ, უზარმაზარ, მდიდრულად გამოკვეთილ სკამზე იჯდა მაგიდის თავში. კოკი და პატსი ჩვეულებრივ სკამებზე ისხდნენ, მაქსის ორივე მხარეს. მაქსთან შედარებით, თითქოს იატაკზე სხედანო... სკამი სამეფო ტახტს ჰგავდა, რომელიდაც სამეფო რელიკვიას (გრეი, 1952, 330).

ცხადია, სამეფო ტახტი კარგად ცნობილი მეტაფორაა, რომელიც ძალაუფლებასა და ლიდერის მანტიას გულისხმობს. ამ მეტაფორის დეკოდირებას მაქსი თვითონ ახდენს, როდესაც გაკვირვებისაგან დამუნჯებულ ნუდლზს ამგვარად მიმართავს:

„Ain't I the boss of the East Side? Ain't the East Side my baronial domain? Ain't my word law down here?“ („განა მე ისტსაიდის ბოსი არა ვარ?

განა ისტსაიდი ჩემი სამფლობელო არ არის? განა ჩემი სიტყვა აქ კანონი არ არის?) („ერთხელ ამერიკაში“, სცენარი: გვ. 242).

საინტერესოა, რომ სცენარში მაქსის სკამი შემდეგნაირად არის აღწერილი: A huge gilded chair, carved and embellished like a mogul's throne“ („უზარმაზარი მოლერული სკამი, ხის ორნამენტებით შემკობილი როგორც მოგულის ტახტი“ („ერთხელ ამერიკაში“ სცენარი: გვ. 242).

გარდა ამისა, სცენარშივე მაქსს კიდევ ერთი საინტერესო კონოტაცია ემატება. აქ იგი პირში სიგარით გვევლინება: „And sitting in it like a mogul is MAX, with a fat stogy sticking out of his mouth. („და სკამზე მოგულივით ზის მაქსი, დიდი, სქელი სიგარით პირში“) („ერთხელ ამერიკაში“, სცენარი: გვ. 243).

ყველა ამ შემთხვევაში, მეტაფორის სრული ინტერპრეტაცია შესაძლებელია მეტაფორის მოდელის მეორე და მესამე შრეების საშუალებით, რაც საშუალებას გვაძლევს დავაკავშიროთ კონტექსტისა და ფონური ცოდნის დონეების ურთიერთქმედებით წარმოშიბილი ასოციაციები.

მონომძალური ვერბალური მეტაფორა „მაქსი ბარონია“, თავის მხრივ, დასაბამს აძლევს რამდენიმე კონცეპტუალურ ტრადიციულ მონომძალურ მეტაფორას. კერძოდ, „Up is powerful“ (მაღლა არის ძლიერი) და „Down is Powerless“ (ქვემოთ (დაბლა) არის სუსტი).

თავად ნუდლზი საინტერესოდ განმარტავს მეტაფორებს, როდესაც ამბობს „Big Max sits regally in his big chair“ („დიდი მაქსი მეფურად ზის დიდ სკამზე“) („ერთხელ ამერიკაში“, სცენარი: გვ. 333).

„He (Max) was sitting so high up, as if he really was royalty on a throne, listening to some peasant petitioner. I felt small and insignificant“. „იგი (მაქსი) ისე მაღლა იჯდა, რომ მართლაც ტახტზე მჯდომი მეფე გეგნებოდათ, თითქოს ვანმე სათხოვნელად მოსულ გლახაკს უსმენსო. თავი დამცირებულად ვიგრძენი“ („ერთხელ ამერიკაში“ (სცენარი): გვ. 333).

მაქსთან შედარებით, ბანდის სხვა წევრები დაბალ სკამებზე (თითქოს იატაკზე) სხედან. ეს სიტუაცია წარმოშობს კიდევ ერთ კონცეპტუალურ მეტაფორას: Down is Powerful ქვემოთ (დაბლა)

არის ძალაუფლების არ მქონე, სუსტი.

მაგალითი 4 („ნათლიმამადან“)

„ზეთისხილი“ და „ზეითუნის ზეთი“

ჩვენ მივიჩნევთ, რომ ზეთისხილი და ზეითუნის ზეთი რომანში კულტურული მეტაფორის ფუნქციით იხმარება. პიუზო ამ მეტაფორებს რამდენიმე მიმართებით იყენებს. უპირველეს ყოვლისა, ცხადია, რომ ზეთისხილი და ზეითუნის ზეთი იტალიელების კულტურულ ხატად არის ცნობილი. კორლეონეს ოჯახი ზეითუნის ზეთის ბიზნესის მფლობელია, ჭონი ფონტენის ხმა ხასიათდება როგორც ზეითუნის ხმა: *Then Johnny comes along with that olive-oil voice and guinea charm and she runs off (with him) („შემდეგ ჭონი მოდის თავის ზეითუნის ხმითა და იტალიური მომხიბვლელობით და გოგო მას გაეკიდება“) (პუზო, გვ. 61).*

„All olive-oil and sweet talk when what you are really doing is making threats“ — „ვითომ ზეითუნიანი და ტკბილი საუბარია, სინამდვილეში კი გვემუქრები“ (პუზო.გვ. 61)

ორივე მავალითში მეტაფორული ეპითეტები უარყოფითი კონტაციით იხმარება, მეტაფორის სრული და სწორი დეკოდირება კი, თავისთვად, მოითხოვს სპეციფიკურ კულტურულ-ფონურ ცოდნასა და კუითხველის მზაობას.

ზოგჯერ იგივე ლექსიკური ერთეული იხმარება იტალიელების მუქი კანის აღსანიშნავად. მავალითად, „His (Michael's) skin was a clear olive-brown“ — „(მაიკლს) კანი დაწმენდილი ზეთისხილის შეფერილობისა ჰქონდა.“

აპოლონიას (მაიკლის იტალიელი ცოლის) კანიც ზეთისხილისფერია, ხოლო თვალები — ზეთისხილივით დიდი და შავი“ (Her (Appollonia's) face was incredibly beautiful with olive skin, black hair and a rich mouth. Appollonia's eyes are 'as big and black as olives.) („ნათლიმამა“, სცენარი, გვ 95-96)

ცხადია, olive-oil (ზეითუნის ზეთი), olive (ზეთისხილი) მეტაფორულად აღნიშნავს იტალიელებს, და, მაკროკონტექსტის თვალსაზრისით, იტალიურ მაფიას. ორივე მეტაფორული ეპითეტის დეკოდირე-

ბისათვის მკითხველს სჭირდება კულტურული, ფონური ცოდნის აქტუალიზაცია.

მაგალითი 5 („ნათლიმამადან“)

კორლეონები და კუპიდონი

როგორც ცნობილია, კუპიდონი რომაული მითოლოგიის ერთ-ერთი პერსონაჟია, ეროტიული სიყვარულის ღმერთი, რომელიც წარმოდგენილია მშვილდოსანი, ფრთოსანი ბიჭუნას სახით (ლათინურად *cupido* სექსუალურ სურვილს, ვნებას ნიშანას). დონ კორლეონეს შვილების დახასიათებისას პიუზო ამ სიტყვას მეტაფორულიად იყენებს. უფრო ზუსტად, როდესაც პიუზო დონ კარლეონეს სამ შვილს, სანტინს, ფრედოსა და კონს, აღწერს, მათი სახის ნაკვერბს კუპიდონს ამგვანებს. კერძოდ, სანის დახასიათებისას ავტორი ამბობს: *His face was that of a gross Cupid“ („სახე ზრდასრულ კუპიდონს უგავდა“) (პუზო, გვ.16); ფრედოს დახასიათებისას ავტორი დასტენს: „He was not handsome but with the same Cupid head of the family, the curly helmet of hair“ („მიმზიდველი არ ეთქმოდა, მაგრამ ოჯახიდან ხვეული თმით შეგვაბილი კუპიდონის თავი გამოპყოლოდა“); (პუზო, გვ. 16) პიუზო სხვა შემთხვევებშიც ავლებს ბარალელს კორლეონეებსა და კუპიდონს შორის: „Sonny's heavy, Cupid face grew red with anger.“ (სანის მძიმე, კუპიდონის მსგავსი სახე ბრაზისაგან წამოუწითლდა“) (პუზო.გვ.19)*

მეორე მხრივ, როდესაც მაიკლ კორლეონეზეა საუბარი, არც რომანისა და არც სცენარის არც ერთ ეპიზოდში არ იხმარება მის დასახასიათებლად სიტყვა „კუპიდონი“. ანუ, მაიკლი ერთადერთია კორლეონეს ოთხი შვილიდან, რომელიც კუპიდონს არ ჰვავს: „He (Michael) did not have the heavy, Cupid-shaped face of the other children“ (მაიკლს, და-ძმებისაგან განსხვავებით, მძიმე, კუპიდონის მსაგავსი სახე არ ჰქონდა (პუზო, გვ. 25), თუმცა, იტალიელებისათვის დამახასიათებელი ზეითუნის ზეთისხერი სახის კანი გამოპყოლოდა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასოციაციები, რომლებიც დაკავშირებულია კუპიდონთან, ეროტიული სიყვარულისა და ვნების რომაელ ღმერთთან, კორლეონეების მეტაფორული აღწერის დროს, დასაწყისიდანვე განაწყობს მკითხველს,

რომ არც ერთი კუპიდონის ნაქვთებიანი შვილი არ მიიღებდა დონ კორლეონებს (ზეითუნის ზეთის) იმპერიას. მეორე მხრივ, მაიკლი, რომელიც, თუმცა დასაწყისში არ ერევა მამის საქმიანობაში და, უფრო მეტიც, აშკარად ეწინააღმდეგება მას, თავიდანვე განწირულია მამის ადგილის დასაკავებლად.

ისევე როგორც ზემოთ, ამ მაგალითშიც განხილული მონომოდალური ვერბალური მეტაფორების ადეკვატური დეკოდირებაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ კულტურული ცოდნის დონის გათაღისტინებით, რაც მეტაფორის მოდელის მესამე შრეზე აქტიულიზდება.

როგორც დავინახეთ, მეტაფორა (და, კერძოდ, მონომოდალური ვერბალური მეტაფორა) კარგ მასალას იძლევა როგორც ტექსტოლოგიური, ისე პრაგმატიკულ-კულტუროლოგიური კვლევის თვალსაზრისით. კერძოდ, იგი ავტორს ეხმარება სრულად დახატოს გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტი, შექმნას კულტურულ-სპეციფიკური ხატი და იმპლიციტურად მიანიშნოს სიუჟეტის სავარაუდო განვითარებაზე. კვლევამ ასევე დაადასტურა, რომ კულტურულ-სპეციფიკური მონომოდალური ვერბალური მეტაფორის დეკოდირებისა და ინტერპრეტაციის პროცესშიც დიდი როლი ენიჭება მეტაფორის ფონური ცოდნის დონეს, რომელზეც, ფაქტობრივად, იხსნება მეტაფორის ხატი.

ლიტერატურა

გრეი, 1952 — Grey Harry, The Hoods, Buccaneer Books, Cutchogue, New York, 1952

ლეიქოფი და ჯონსონი, 1999 — Lakoff, G, Johnson, M. Philosophy in the Flesh, The Embodied Mind and Its Challenge to Western Thought. Basic Books, New York, 1999.

პუზო, 1978 — Puzo,Mario, The Godfather, Signet, New York

რუსიეშვილი, 2005 — რუსიეშვილი მანანა, ანდაზა, გამომცემლობა „ლომისი“, 2005

ფორსებილი, 1996 — Forceville, Charles. Pictorial Metaphor in Advertising. London/New York: Routledge, 1996

ფორსებილი, 2006 — Forceville, Charles. Non-verbal and multimodal metaphor in a cognitivist framework: Agendas for research. In: Gitte Kris-

tiansen, Michel Achard, René Dirven and Francisco Ruiz de Mendoza Ibáñez (eds.), Cognitive Linguistics: Current Applications and Future Perspectives. Berlin/New York: Mouton de Gruyter, 379-402, 2006.

ფორსებილი, 2009 — Forceville, Charles. Non-verbal and multimodal metaphor in a cognitivist framework: Agendas for research.(revised version) in : Multimodal Metaphor, edited by Forceville and Urios-Aparisim, Mouton de Gruyter Berlin • New York, 2009

„ერთხელ ამერიკაში“, სცენარი: The script of the film “Once upon a time in America” by David Mills available at http://www.onceuponatimeinamerica.net/resources/once_america_script_mills.pdf. ნანახია, 12.03. 2012

ნათლიმაშა, სცენარი, I, II, III ნაწილები <http://www.library.spsec.edu/electronicreserve/swanson/RevTheGodfatherPlotSummaryWinter2003>. ნანახია 2012 წლის 13 მარტს

MANANA RUSIESHVILI, RUSUDAN DOLIDZE

The Function of the Monomodal Verbal Metaphor in ‘Gangster’ Novels

Summary

This article explores the function of the monomodal verbal metaphor in the so-called ‘gangster’ novels using the example of two well-known novels ‘The Hoods’ by Gray and ‘The Godfather’ by Puzo as well as the scripts of the resultant films : ‘Once upon a time in America’ and ‘The Godfather’.

The research has confirmed that the monomodal verbal metaphor follows the similar hierarchical semantic structure to the proverb metaphor (Rusieshvili, 2005) and revealed that a monomodal verbal metaphor can be used to fully portray the psychological portrait of the character, make up both a culture-specific image and an icon and give the reader the implicit cues for the further development of the plot. However, such metaphors also require the readiness of the reader to decode and interpret the cues and associations presented by the metaphor. In the case of successful decoding and interpretation the level of the background knowledge of the monomodal verbal metaphor acquires a particular significance.

მდგრადი, ნათო შავრეზიანი

**ჩოლურულის ლექსიკონის შედგენის ძირითადი
პრიციპები და მნიშვნელობა**

უმდიდრესი ლექსიკის მქონე და არქაიზმებით გამორჩეული სვანური ენით დაინტერესება, როგორც ცნობილია, დიდი ხნის წინ დაიწყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც, რაზეც მეტყველებს ცნობილ მეცნიერთა: ი. გიულფენტელტის (1787-1791 წ.), პ. პალისის (1786-1789 წ.), ჭ. ედვარდის (1788 წ.), ი. კლაპროთის (1807-1808 წ.), გ. როზენის (1845-1847 წ.), ფ. ბოპის (1846-1847 წ.), ი. ბართოლომეს (1855-1876 წ.), პ. უსლარის (1863-1887 წ.), ფრ. მიულერის (1864 წ.), ალ. ცაგარლის (1872-1880 წ.), დ. პიკოვის (1887 წ.), პ. შუხარდტის (1895 წ.), რ. ერკერტის (1895 წ.), მ. ჯანაშვილის (1895-1925 წ.), ა. სტოიანოვის, მ. ზავადეკის, ა. გრენის (1890-1902 წ.), ო. უორდროპის (1911 წ.), ბ. ნიუარაძის (1913 წ.), ა. დირის (1928 წ.) ნაშრომებში ამა თუ იმ სახით წარმოდგენილი სვანური მასალა.

სვანური ენის მეცნიერული კვლევის პირველი ეტაპი, ძირითადად, ტექსტებისა და ლექსიკური მასალის შეგროვებასა და პუბლიკაციაში გამოიხატებოდა. კავკასიის სასწავლო ოლქის უურნალის „

“სხვადასხვა ტომში
იბეჭდებოდა სვანური ანდაზები, გამოცანები, სიმღერები... უნდა ითქვას ისიც, რომ სვანური დიალექტებიდან, ზემოდასახელებულ მეცნიერთა შრომებში, კველაზე უფრო ხშირად იყენებდნენ უშველურს, ნაკლებად — ლაშეურს, ბალსზემოურს, იშვიათად ბალსქვემოურსა და ჩოლურულს¹... პროფ. ვ. თოფურიას აზრით, „არც ტექსტები და არც მიმოხილვები სანდო და დამაკმაყოფილებელი არ არის“ (თოფურია 2002, 151), თუმცა ამ ნაშრომთა ისტორიულ როლსა და მნიშვნელობას მაინც არაერთი მეცნიერი აღიარებს.

¹ ჩოლურული პირველად მოიხსენიება ა. გრენის ნაშრომში (), რომელიც დაიბეჭდა 1890 წელს გამოცემულ კავკასიის სასწავლო ოლქის დასახელებული უურნალის X ტომში.

განსაკუთრებით საყურადღებოდ არის მიჩნეული უშველელი ივანე ნიუარაძის 520 გვერდის მოცულობის რუსულ-სვანური ლექსიკონი, რომელიც 1910 წელს დაიბეჭდა იმავე ორგანოს ერთ-ერთ ტომში (, . 7, 41). მას შემდეგ არაერთ ენათმეცნიერსა თუ არაენათმეცნიერს (ბ. ნიუარაძე, მ. უორდროპი, მ. ჩართოლანი, ჩ. გუჯეგიანი, ლ. პალმაიტისი, ა. ლიბარტელიანი, ა. ავალიანი...) უცდია სვანური ლექსიკონის შედეგნა.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან სვანური ენის მეცნიერული კვლევის საქმე საგრძნობლად წინ წასწია აკად. ნ. მარმა, რომელიც 1911 წლიდან შეუდგა სვანური ენის ფონეტიკურ-მორფოლოგიური თუ ლექსიკურ-ტიმოლოგიური თვალსაზრისით შესწავლას და რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომშიც გამოიკვეყნა.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში მან პეტერბურგში საგრძნებოდ დააძარსა სერია „

“, რომლის VIII, IX და X ტომებში გამოაქვეყნა სვანეთში ოთხი სამეცნიერო მივლინების შედეგები, გამოკვლევები, ტექსტები, ლაშეთის მკვიდრის — არ. ონიანის ხეთა და ბალახთა სახელწოდებების კრებული („მეგმარეშ ი ბალხარე უახელე ხორაჲ“) და სვანურ-რუსული ლექსიკონის საცდელი მონაცემთი („

“). სამწუხაობად, მას არ დასცალდა ბოლომდე მიეცვანა სვანური ლექსიკონის შედეგისა და პუბლიკაციის საქმე, რაც ღირსეულად განახობდა მისმა მოწაფეები — პროფესიონალი კ. დონდუაშ. 1917 წელს პეტერბურგის გამოცემული ლაშეური ტექსტების მიხედვით მან შეადგინა სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი („

“), თუმცა ვერც ეს უკანასკნელი მოესწრო თავისი ნაღვაწის გამოცემას. შეიძლი ათეული წლის წინათ შედგენილი დიალექტური ლექსიკონი, რომელიც წლების განმავლობაში ინახებოდა ჯერ ლენინგრადის, შემდეგ კი მოსკოვის საენათმეცნიერო დაწესებულებებში, 2001 წელს გამოიცა პროფ. ალ. ონიანის არეაციით.

სვანური ენის ლექსიკის კვლევის საქმეში, როგორც ცნობილია, თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ივანე და ბესარიონ ნიუარაძეებმა საკმაოდ ვრცელი რუსულ-სვანური (1910 წ.) და ქართულ-სვანურ-რუსული (2007 წ.) ლექსიკონებით, ოლივერ უორდროპმა ინგლისურ-სვანური ლექსიკონით, ჩათო გუჯეგიანმა და ლეტას პალმაიტისმა სვანურ-ინგლისური ლექსიკონით. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ა. ლიბარტელიანის „სვანურ-ქართული ლექსიკონი“ (ჩოლურული კილო), რომელიც გამოი-

ცა 1994 წელს, და, ასევე პროფ. ი. ჩაბლუანისა და პ. ფენრიხის „სვანურ(ჩოლურული)-გერმანული ზმნათა საძიებელი“ გამოცემული იქნის ფრიდრიხ შილდერის უნივერსიტეტის მიერ 2003 წელს.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის ვრცელი „სვანური ლექსიკონი“, რომელიც გამოიცა 2000 წელს არნ. ჩიქმბაგას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების მეცნიერ თანამშრომელთა დიდი ძალისხმევით. მასში, როგორც ცნობილია, შევიდა მხოლოდ 1978 წლამდე გამოქვეყნებულ ტექსტებში წარმოდგენილი ძირითადი ლექსიკური ფონდი ბალსზემოურ, ბალსქევმოურ, ლაშეურსა და ლენტებურ დიალექტებზე. რაც შეეხება ჩოლურულს, იგი აღნიშნულ ლექსიკონში ცალკე არაა გამოყოფილი.

სვანურში, როგორც ცნობილია, ტრადიციულად ოთხ (ბალსზემოურ, ბალსქევმოურ, ლაშეურ და ლენტებურ) დიალექტს განარჩევნ, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდება უმრავტის, ხმოვანთა სიგრძის, რედუქციის, გრამატიკული (ბრუნება-უღლების პარადიგმატული სისტემა, სინტაქსი) თუ ლექსიკური თავისებურებებით.

რაც შეეხება ჩოლურულს, რომლის ცალკე დიალექტად გამოყოფას ჯერ კიდევ აყადემიკოსი ნ. მარი უჭერდა მხარს, მეცნიერთა ერთი ნაწილის თვალსაზრისით, გარდამავალი დიალექტია (ქვემოსვანურ დიალექტთა შერწყმის შედეგად მიღებული), რომელიც მოქცეულია ლაშეურსა და ლენტებურს შორის და ამის გამო ორივეს ძირითად გრამატიკულ მოვლენებს იჩიარებს, თუმცა უკანასკნელ ხანს მოპოვებული მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება ჩოლურულიც ცალკე ერთეულად (და არა ლაშეურ-ლენტებურ კილოთა გარდამავალ ზონად — შანიძე 1981, 321; თოფურია 1965, 61-67) გამოვით (ონიანი 1998, 7-8). ალ. ონიანის აზრით, „ჩოლურული ისევე განსხვავდება სვანურის ყველა სხვა დიალექტისაგან, როგორც თითოეული მათგანი — ერთმანეთისაგან. ეს კი ჩოლურულის დამოუკიდებელ დიალექტად გამოყოფის საფუძველს იძლევა“ (იქვე).

სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე საცილობლად რჩება სვანური ენის დიალექტთა რაოდენობის საკითხი. სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილის საბოლოოდ განსაზღვრისათვის კი აუცილებელია მისი გამოწვლილვით შესწავლა, რისთვისაც, რასაკვირველია, საჭიროა როგორც საქმაო რაოდენობის ტექსტობრივი მასალის მოპოვება და

გამოცემა, ასევე ჩოლურულის სრული ლექსიკონის შედგენა¹.

უმწერლობო ქართველურ ენათა, კერძოდ კი სვანური მასალების ფიქსირება, როგორც ეს მრავალგზის აღნიშნულა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანაა. თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტენსიური კონტაქტები განსაზღვრავენ ნებისმიერი ენის, განსაკუთრებით კი უმწერლობო ენების, სწრაფი ტემპით ცვლას. სწორედ ამიტომ ამგვარი ენების მასალის ფიქსირება არის არა მხოლოდ სადღეისო ამოცანა, არამედ ახლო და შორეული მომავალი თაობებისათვის ზრუნვის გამოვლენაც (ა. ონიანი).

ჩოლურულ დიალექტზე მეტყველი მოსახლეობა, როგორც ცნობილია, კომპაქტურად არის დასახლებული ცხენისწყლის ხეობის იმ ნაწილში, რომელიც ლაშეთსა და ლენტებს შორის მდებარეობს და გამოყოფა ცამეტი სხვადასხვა სოფლის მეტყველება (ფანაგისა, ლეუშერისა, თევალისა, ჭველიერისა, საყდრისა, მამისა, უკლეშისა, ქუნიშისა, ესიერისა, ბულეშისა, დურაშისა, ჭველფისა და ტებისა)².

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ჩოლურულს ორ ნაწილად ყოფენ, ერთ მათგანს (ზემოჩოლურულს) ლაშეური დიალექტის კუთვნილებად მიიჩნევნ, ხოლო მეორეს (ჭვემოჩოლურულს) — ლენტებურისა (შანიძე 1981, 321; თოფურია 1965, 61-67).

ალ. ონიანის აზრით, „ჩოლურულის ეს ნაწილები (ზემოჩოლურული, ჭვემოჩოლურული), რომელთა ერთობლიობაც დღემდე ერთი საერთო სახელწოდებით აღინიშნება, ლინგვისტურად ბევრად უფრო ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე თითოეული მათგანი — ლაშეურთან ან ლენტებურთან“ (1998, 8).

რადგანაც სვანურ დიალექტთა შორის ჩოლურულის ადგილი საბოლოოდ განსაზღვრული არ იყო, ამიტომ თავის დროზე აუცილებლად და ძალზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ჩოლურული ტექსტების ჩაწერა მისი ყველა კილოგავის მონაცემების გათვალისწინებით, რაც საშუალებას მისცემდა სვანური ენის სპეციალისტებს ზუსტად დაედგინათ ჩოლურული მეტყველების ადგილი სვანურ დიალექტთა შორის.

¹ ერთადერთი, რაზედაც ენათმეცნიერებს ხელი მიუწვდებათ, ეს არის, როგორც უკვე მივუთითეთ, ა. ლიაბრელებიანის „სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო)“ და პ. ფენრიხის, ი. ჩინტლაძისა და რ. ბაბლუანის „სვანურ(ჩოლურული)-გერმანული ზმნათა საძიებელი“.

² ჩოლურის ხეობაში, ამ ცამეტი სოფლის გარდა, არის კიდევ რამდენმე მიტოვებული სოფელი, ესენია: ედიყი, ზაგალოდი და შტვილი.

2007 წელს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ერთწლიანი პროექტის — „**ჩოლურის ხეობის სვანურის მეტყველების ნიმუშები**“ ფარგლებში, ჩოლურის ხეობის 13-ივე სოფლის მეტყველების მიხედვით (სულ 15 საათი)¹, გამოსაცემად მოძიადდა ერთტომეული — „**ჩოლურული პროზაული ტექსტები**“, რომლის გამოცემაც, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოგახერხეთ.

საველე პირობებში ჩვენ მიერ მოპოვებული ჩოლურული მასალა, როგორც ეს თავის დროზე აღვნიშნეთ, მომავალში შედარებული იქნება როგორც ქვემოსგანურ (**ლაშეურ-ლენტებური**), ასევე ზემოსგანურ (**ბალსზემოურ-ბალსევემოური**) დიალექტურ მონაცემებთან და მხოლოდ ამის შემდგომ იქნება წარმოდგენილი საბოლოო დასკვნები (საღლიანი, შავრეშიანი 2011, 243, 244).

ამჯერად ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად სრული და ამომწურავი ლექსიკონის შედგენა ჩოლურის ხეობის 13-ივე სოფლის მეტყველების მიხედვით, რომელიც იქნება როგორც ეთნოგრაფიული, ასევე ტერმინოლოგიურიც.

უმწერლობობ ენის ლექსიკონის შედგენა ცალკეულ დიალექტთა მიხედვით კი, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, საშურია, ვინაიდან ასეთი ენა, ბუნებრივია, ასესტობს მხოლოდ ცალკეულ დიალექტთა სახით. ალბათ, ამის გათვალისწინებამ განსაზღვრა თავის დროზე სალექსიკონიდ თავდაპირველად მხოლოდ ერთი დიალექტის — ლაშეურის (და არა მთელი სვანურის) აღება, რისთვისაც 1930-32 წლებში სვანეთში, კერძოდ, ლაშეთში მივლინებული იქნა ქართველურ ენათა გამოჩენილი მკვლევარი კ. დონდუა. სწორედ მან შექმნა სამენოვანი თარგმნითი ლექსიკონი — „**სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი** (ლაშეური დიალექტი)

ჩვენი აზრით, ა. ლიპარტელიანის 20 ათასამდე სიტყვის შემცვლელ „**სვანურ-ქართულ ლექსიკონი**“ (ჩოლურული კილი), რომელიც 1994 წელს დაიბეჭდა, საქმიან მრავალფეროვანი ლექსიკა წარმოდგენილი, თუმცა მასში ბევრი ხარვეზი და უზუსტობაა და, ამასთან ერთად, ლექსიკონი არ არის ორთოგრაფიულად გამართული, ააც, რასაკვირველია, უცილებლივ იქნება გათვალისწინებული ჩვენს ნაშრომში. ლექსიკონი

¹ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, გარდა ზემოაღნიშნული ტექსტებისა, მოგვეპოვება მდიდარი საარქივო მასალა ჩვენ მეტ წლების განმავლობაში თანამედროვე ტექნიკის (ციფრ და აუდიოაპარატურის) გამოყენებით ჩაწერილი ტექსტებისა.

შეივსება ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული ვრცელი და მრავალფეროვანი მასალის საფუძველზე, რომელიც მოიცავს ჩოლურის ხეობის 13-ივე სოფლის მეტყველებას.

აღნიშნული ლექსიკონის მიზანია შესაძლებლობის ფარგლებში გამოავლინოს ჩოლურული მეტყველების ლექსიკური სიმდიდრე.

სალექსიკონი სტატია, ძირითადად, შემდეგ სახეს მიიღებს: სვანური სიტყვა + მისი მთავარი გრამატიკული ფორმები + კილოკავებში (თქმებში) გავრცელებულობის აღნიშვნა + გრამატიკული ან კონტექსტურ-სტილური დახსასიათება + ქართული განმარტება + სათანადო ილუსტრაციები (ჩვენ მიერ საველე პირობებში მოპოვებული ტექსტებიდან) ქართული თარგმანითური, ბუნებრივია, გვექნება უდეტრები და ფრაზეოლოგიზმები (ასევე სათანადო ილუსტრაციებითა და თარგმნითურთ).

ჩოლურულის ლექსიკონის შედგენის ძირითადი პრინციპები და მეთოდები დაახლოებით ასე წარმოგვიდგენია:

1. ლექსიკურ ერთეულად აღებული იქნება არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი (ყველა შესაძლო ხარისხის ფორმით), რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ნაზმნარი სახელები (მასდარი, მიმღება), ზმნისართი, კავშირი, თანდებული, შორისდებული, ნაწილაკი, სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი აფრესები...

2. ყველა სახელი ლექსიკონში სახელობითი ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი. ფრჩხილებში მიღუთითებთ როგორც მიცემით და მოთხოვთ ბრუნვათა, ასევე მრავლობითი რიცხვის სუფიქსებს. ჩვენი აზრით, აღნიშნულ ბრუნვათა მითითება იმით არის გამართლებული, რომ მიცემითს ემყარება ბრუნების ორფუძიანობა სვანურში (რის გამოც მიცემითი ბრუნვათა რიგში მოთხოვთიზე წინ არის გადმოტანილი). ამასთანავე, გამოყოფენ მიცემითის ხუთ ნიშანს: -ბ, -უ, -ნს, -ა და -ამ, რის შესაბამისადაც გვაქვს ბრუნების ხუთი ტიპი (შარაქენიძე 1955, 127-133), ხოლო მოთხოვთ ბრუნვაში ორი ძირითადი ფორმანტი გამოვლინდება (-დ და -ებ). აქმდე მიღებული ტრადიციის მიხედვით კი, ნათესაობითი მიეთითებოდა (მრავლობითის ფორმებთან ერთად).

ისეთ სახელებს (მაგ., რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზოგი ზედსართავი და ნაცვალსახელი), რომელთაც გრამატიკული რიცხვი არ გააჩნიათ, მიეწერება მხოლოდ ბრუნვის ფორმანტები.

3. ზმნა, როგორც უკვე ითქვა, წარმოდგენილი იქნება როგორც პირიანი, ასევე უბირთ (მასდარი, მიმღება) ფორმით. ძირითად სალექსი-

კონკ ერთეულად შევა აწმყოს მწკრივის მხ. ჩ. III პირის ფორმა, რომ-ელსაც ფრჩხილებში მითითებული ექნება სამ-სამი ერთეული: ულლების მიხედვით სრული პარადიგმატული სისტემის მქონე (როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ) ზმნებთან — აორისტის I, III პირისა და მყოფად-სრულის III პირის ფორმები¹ (მაგ.: ხ-ემშვარ (ლოხტმუშგრუნ, ლეხ-მუშგრან; ლეხტუშგრუნ), გ რ დ უ კ. — ესტუმრება; ხ-ოშები (ოხოშებ, ოხშებ; ოხშებენ), გ რ დ მ. — უკერავს და ა. შ.).

4. დეფექტური ზმნებიდან ლექსიკურ ერთეულად გამოტანილი იქნება მხოლობითი რიცხვის III პირის ერთმანეთისაგან განსხვავებული აწმყოს, ნამყო ძირითადის, მყოფადის ფორმები მასდარზე მითითებით (მაგ., ესლრი „მიღის“, იხ. ლიზი, აჩად „წავიდა“, იხ. ლიზი, ადრინე „წავა“, იხ. ლიზი...).

5. მასდარის გვერდით ფრჩხილებში წარმოდგენილი იქნება აწმყოს, ნამყო ძირითადისა და მყოფადის მხ. რიცხვის III პირის ფორმები² (მაგ.: ლისედ — სახელი სედნი (სედნოლდა, ასდენი) ზმნის მოქმედებისა, — დარჩენა) ნეიტრალური ვერსიის ჩვენებით, თუმცა ზოგჯერ სხვა მონაცემიც იქნება წარმოდგენილი.

შენიშვნა: ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ თავდაპირველად, აკად. ვ. თოფურიას წინადადებით, გათვალისწინებული იყო ყველა შესაძლო ზმნისწინის მიწერა, თუმცა ყველა პრევერბიანი ფორმა ერთტომეულში ვერ აისახა. ამ ნაკლის რამდენადმე შესავსებად კი იქ, სადაც მოხერხდა, განსამარტვა სალექსიკონ ერთეულთან, ლექსიკონის გამომცემელთა მიერ, ითარგმნა მხოლოდ ფუძის (ან ძირის) მნიშვნელობა, ხოლო სხვადასხვა კონტექსტში საგულვებელი პრევერბები ჩაისვა ფრჩხილებში (მაგ., ლეგბრინგშე — ღაუზვნილი, მაგრამ ქალეგბრინგშე — გამოფშვნილი). ამით თავიდან აიცილეს ლექსიკონის მოცულობის გაზრდა (იხ. გვ. 13). ჩვენი აზრით, რადგან ცალკეულ მეტყველებასთან გვაქვს საქმე, აქედან გამომდინარე, პრევერბებთან დაკავშირებული პრობლემაც არ გვექნება, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ პრევერბი შინაარსობრივ სხვაობას წარმოგვიდგენს, ბუნებრივია, ყველა ეს ერთეული იქვე იქნება ჩამოთვლილი და განმარტებული.

6. მიმღეობებთან, როგორც წესი, უნდა მივუთითოთ მიც.-მოთხ.

¹ თუმცა, უმჯობესი იქნება ოთხივე სერიის მეთაური მწკრივები წარმოვადგინოთ.

² ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ მხოლოდ აწმყოს III პირის ფორმებია წარმოდგენილი.

ბრუნვისა და მრ. ჩ. მორფემები (მაგ.: ლეგშე (ეს||-ას, -ად||ედ, -ალ) — გაშავებული).

7. ნაცვალსახელები, ფორმაუცვლელი (დამხმარე) სიტყვები და სხვადასხვა საწარმოებელი აფიქსები ლექსიკონში შევა სათანადო გრამატიკული კვალიფიკაციისა და ფუნქციების აღნიშვნით (მაგ.: ისგუში ნაცვალსახ., ეჩხენ ზმნის., ერე კავშ., -ისა თანდებ., მაგ ნაწილაკ., ლიმადარის საწარმოებელი პრეფიქსი და ა. შ.).

8. ცალკეულ სიტყვა-სტატიებიდან იქნება წარმოდგენილი ომონიმები, რომლებიც შესაბამისი ლიტერებით (1, 2, 3 და ა. შ.) იქნება ერთმანეთისგან გამოყოფილი (მაგ.: მაგ1 „ყველა“, მაგ2 „ც“ — ნაწილაკი).

9. რაც შევხება ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებს (იდიომებს, წყველის, დალოკვისა და მისალმების ფორმულებს...), ისინი შევა მათი შემადგენელი ძირითადი კონტაქტის განსამარტავ სიტყვა-სტატიაში.

10. ლექსიკონში, ჩვენი აზრით, გარკვეული დოზით უნდა შევიდეს გეოგრაფიული და ადამიანის საკუთარი სახელები, ასევე, სათანადო ილუსტრაციებითა და თარგმანითურთ.

11. ლექსიკონში შევა როგორც ქართულთან საერთო სიტყვები, ასევე უცხოური წარმოშობის სიტყვებიც, რომლებიც დღესდღეობით ჩილურული მეტყველების ძირითადი ლექსიკური ფონდის კუთვნილებას წარმოადგენს.

12. ლექსიკონში მასალა, რასაკვირველია, დალაგდება ანბანთრიგზე და მასში მთლიანად იქნება გათვალისწინებული ყველა დღემდე არსებული ჩილურული ლექსიკონისა და ჩვენ მიერ ჩილურის ხეობის 13-ივე სოფელში საველე პირობებში მოპოვებული მრავალფეროვანი მასალა.

ლექსიკონის სახის წარმოსაჩენად რამდენიმე სალექსიკონი ერთეულს წარმოვადგენთ

აპანდე	(ოხტბრნდ, ანბანდე; ანბანდნე), გ რ დ მ. კერავს, ბლანდავს (ძველმანებს), აკერებს. დედე ლეგბრულს აპანდე — დედა ტანსაცმელს კერავს, ბლანდავს.
აბრაგ	(-ს, -დ, -ალ) — ყაჩალი, აბრაგი. სოფელისა აბრაგალ არდას — სოფელში ყაჩალები იყვნენ.
აკენე	(ოკენ, ანკენ; ანკენენ) გ რ დ მ. — კონავს. ჩალს ჟისუაცენალ — ჩალას შეგვანავდით ხოლმე.

აკნი	იგივეა, რაც აკენი
ამხენ	ზ მ ნ ს. — აქეთ, აქედან. ამხენ ალდარ ანგადხ — აქედან ესენი მოვიღენ.
ბელდუკუში	(-ს, -დ, -არ) — 1. ჭინჭი. მემად ბელდუკუშარშუ იზლალ — ყოველთვის ჭინჭებით დადის 2. მოზრდილი გოგო. ამზუმ ბელდუკუშის თველ მა ხოზ — ამხელა გოგოს ტვინი არ აქვს.
ბეჟუში	(-ს, -დ, -ბეჟუშარ) — 1. ხოკერა, ხის ქერქისაგან გაკეთებული ჭურჭელი (საერთოდ, მარცვლეულისა ან ფერილისათვის). ქორა ბეჟუშს ლადინდ დარ იკედ — ოჯახის ხოკერას არავინ ანათხოვრებს. 2. ქლიავის ნაყოფი დამწიფებამდე, უკურკო, ფერშეცვლილი. ური ბეჟუშილს დარ ხებზი — მკახე ქლიავს არავინ აძლება. კ ნ ი ნ. ბეჟუშილ, ბოჟუშილ.
ბუზლურიტი	(-ს, -დ, -ტრარ) — პატარა მუწუკი. ბლაუს უზშუში ბუზლურტარ ხარ — ბავშვს სახეზე პატარა მუწუკები აქვს. კ ნ ი ნ. ბუზლურტარილ.
იკუშე	(ოხტიკუში, ენკუშიშ; ენკუშიშე), გ რ დ მ. 1. იტეხს (პურს, კირს...). ბლოშ დიარს იკუშე — ბავშვი პურს იტეხს. 2. «გამო»ჩეკს („იჩეკს“). ქათალდ ლშთხეუ წიწილ ენკუშე — ქათამა ოთხი წიწილა გამოჩეკა. 3. «გამო»ტყდება, «გა»ამხელს. ზურალდ ქორს დაშმა ლეიგუშიშ — ქალმა სახლში არაფერი გაამზილა. 4. გამოთქვამს (აზრს). სოფელდ გუანდ გარ ლეჟუშიშ ტკაც — სოფელმა მხოლოდ გვიან გამოთქვა თავისი აზრი. 5. ტეხს (ყამირს), კაფახს (ტყეს საყანედ). ბესი დაბძექ გიმს იკუშე — ბესი საყანე მიწას იმზადებს („იტეხს“). გ ა დ ა ტ. ითანხმებს, «და»იყოლიებს („მოტეხს“). ხატშუ ურკუშახ მეზგას — ხატზე დაფიცებით ითანხმებდნენ ხოლმე.
კოხინგრობ	(-ს, -დ, -ალ) — კოხინგრობა. ნაა გუამთქუშა ჩილურს კოხინგრობ — ჩვენ გვჩვევია ჩილურში კოხინგრობის დღესასწაული.
ლიტული	ს ა ხ ე ლ ი ტსლი... ზმნის მოქმედებისა, — 1. დაძახება. ლიტულის მამ ხაყა — დაძახება არ შეიძლება. 2. თქმა. ამშა ლიტული მამ იძარგ — ამისი თქმა არ შეიძლება.

¹ მეორე მნიშვნელობა სხვა დიალექტებში არა აქვს.

მადე, მამა, მომა	უ ა რ კ. ნ ა წ ი ლ. არ, არა. მამ მაკუ ლისზი — არ მინდა წასვლა.
-გჲ	1. სინანულის შორისდებული — ეჲ! გჲ, ალე მავ ხოჩტმინა?! — ეჲ, ეს რა გაუკეთებია?! 2. უ ა რ კ ო ფ. ნ ა წ ი ლ ა კ. — არა. გჲ, მად ესერ ხაკუ! — არა, არ მინდა!

ვფიქრობთ, აღნიშნული ლექსიკონი, რომელიც განკუთვნილი იქნება, უპირველს ყოვლისა, ჰუმანიტარული დარგების მეცნიერთათვის (ენათმეცნიერების, ლინგვოკულტუროლოგების, ფოლკლორისტების, ეთნოლოგებისათვის,...) გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით შესწავლის საქმეში. გარდა ამისა, აქ წარმოდგენილი მასალა ნათელ წარმოდგენას შეუქმნის ენათმეცნიერებს თანამედროვე ჩოლურული მეტყველების ფონეტიკური სისტემის, მორფოლოგიური სტრუქტურის, მორფონოლოგიურ მოვლენათა თუ სინტაქსური თავისებურებების შესახებ, რაც საშუალებას მისცემს მკვლევარს უფრო დასბუთებული დასკვნა წარმოადგინოს ჩოლურულის ადგილის შესახებ სვანურ დიალექტთა შორის.

ლიტერატურა

თოფურია, 1965 — ვ. თოფურია, გარდამავალი დიალექტის საკითხისათვის სვანურში კილოების მონაცემთა მიხედვით, თსუ შრომები, 114, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, თბილისი, 1965

თოფურია, 2002 — ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი, 2002

ონიანი, 1998 — ა. ონიანი, სვანური ენა, თბილისი, 1998

საღლიანი, შავრეშიანი 2011 — მ. საღლიანი, ნ. შავრეშიანი, ჩოლურის ხეობის სვანურის მეტყველების ნიმუშები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXII, თბილისი, 2011

შანიძე, 1981 — ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, თხზულებანი, II, თბილისი, 1981

შარაძენიძე, 1955 — თ. შარაძენიძე, ბრუნებათა კლასიფიკაციისათვის სვანურში, იკე, VII, თბილისი, 1955

MEDEA SAGHIANI, NATO SHAVRESHIANI

**The Importance of and the Main Principles for
Compiling a Cholurian Dictionary**

Summary

The issue of the dialects of Svan remains to be debatable in scholarly literature. For the purpose of stating the importance and place of the Cholurian dialect of Svan, it is essential to form the linguistic corpus of the dialect based on the data accumulated from all the 13 villages of the Choluri valley, and also to compile a dictionary. The dictionary should contain information about phonetic-phonological, morphological and syntactic peculiarities of the dialect and might be of use for a wide circle of scholars: linguists, ethnologists, folklorists and culturologists.

შარიშვილი

**პარეზიტის თარგმნის პრობლემა
ფრანგულსა და ქართულური**

უძველესი დროიდან, ერის სული და სიბრძნე მის ანდაზებსა და გამონათქვამებში ვლინდება, ხოლო ამა თუ იმ ეთნოსის ანდაზებისა და გამონათქვამების ცოდნა არა მარტო ენის საუკეთესო ცოდნას განაპირობებს, არამედ ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის აზრებისა და ხასიათის საუკეთესო გაგებასაც.

სხვადასხვა ხალხის ანდაზებისა და გამონათქვამების შედარება გვიჩვენებს, რომ ამ ხალხს ბევრი საერთო გააჩნიათ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მათ საუკეთესო ურთიერთგაგებასა და დაახლოებას. ანდაზებსა და გამონათქვამებში ხალხთა მდიდარი ისტორიული გამოცდილება აისახება, მათი შრომით მოღვაწეობასთან დაკავშირებული წარმოდგენები, ასევე ადამიანთა კულტურა და ყოფაცხოვრება. ანდაზებისა და გამონათქვამების სწორი და დროული გამოყენება მეტყველებას განუმეორებელ თავისებურებასა და განსაკუთრებულ მხატვრულობას ანიჭებს.

პარემიების თარგმნა ნებისმიერ ენაზე გარკვეულ სირთულეებთანა დაკავშირებული. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ორიგინალისა და თარგმნის ენა სხვადასხვა ოჯახებს განეკუთვნება, რაც ტიპოლოგიური შედარების საფუძველზე პარემიულ ტექსტთა თარგმანის უნივერსალურ თავისებურებათა გამოვლენის შესაძლებლობას იძლევა. ფრანგული პარემიების ქართულად თარგმნის პრობლემა ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი სათანადო დონეზე. ქართველი მკითხველი დიდ ინტერესს იჩენს ფრანგების ლიტერატურული და ფოლკლორული ტრადიციების მიმართ. როგორც ცნობილია, ფრანგი მწერლები ხშირად იყენებენ თავიანთ ნაწარმოებებში პარემიულ ერთეულებს.

იყენებს რა ამა თუ იმ ანდაზას კონკრეტულ სიტუაციაში, მოსა-

უბრე ცდილობს დაადასტუროს და ხაზი გაუსვას ნათქვამის არსს. ასეთი აქცენტები გარდაუვალია ნებისმიერ დროს, შესაბამისად, ანდაზები და გამონათქვამები იყვნენ, არიან და იქნებიან ჩვენს მეტყველებაში. აქედან გამომდინარეობს, რომ მთარგმნელმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეძლოს მათი სწორად გადათარგმნა, მათი არსის მსმენელამდე დაყვანა.

ასევე არანაკლებმნიშვნელოვანია ისიც, რომ ყოველ ენაში არსებობს ფრაზები და გამონათქვამები, რომელთა ზედმიშვევნით გაგებაც შეუძლებელია, მაშინაც კი, როცა ყველა სიტყვის მნიშვნელობა ცნობილია და გასაგებია გრამატიკული კონსტრუქცია. ასეთი ფრაზების აზრი რჩება გაუგებარი და უცნაური. ანდაზებისა და გამონათქვამების სიტყვასიტყვით გადათარგმნის მცდელობებს შეუძლიათ მოულოდნელ, ხშირად უაზრო შედეგამდე მიგვიყვანონ. მაგალითად, ფრანგული ანდაზა: „Acheter chat en poche (en sac)“ (სიტყვასიტყვით: ჯიბეში დამალული კატის ყიდვა; უნახვად რაიმეს ყიდვა) შეესაბამება ქართულ გამონათქვამს „თევზი წყალში არ დაფასდებაო“; „Pot félé dure longtemps“ (სიტყვასიტყვით: გაბზარული ქოთანი დიდხანს ძლებს) შეესაბამება ქართულ გამონათქვამს: „ძალი კოჭლობით არ მოკვდებაო“.

ანდაზები და გამონათქვამები ხალხური შემოქმედების უძველესი უანრია. ისინი უხსოვარ დროში წარმოიშვნენ და თავიანთი ფესვებით საუკუნეთა სიღრმეში მიღიან. ზოგი მათგანი ჯერ კიდევ მაშინ წარმოიშვა, როცა დამწერლობაც კი არ იყო. ამიტომაც პირველწყაროების საკითხი ჯერ კიდევ ღიაა. შეიძლება გამოიყოთ ანდაზებისა და გამონათქვამების ფრანგულ ენაში წარმოშობის შემდეგი ძირითადი წყაროები: ხალხური, ლიტერატურული, ბიბლიური წარმოშობის, უცხო ენიდან ნასესხები და ფრანგი მწერლების ციტატების ანდაზებისა და გამონათქვამების სახით გამოყენება.

ანდაზა გამონათქვამისაგან განხვავდება იმით, რომ ანდაზის მთავარი ოვისებაა მისი დასრულებული აზრი და დიდაქტიკური შინაარსი. გამონათქვამი კი გამოიჩევა აზრის დაუსრულებლობით, ჭკუის-დარიგებითა და დამრიგებლობითი ხასიათის არარსებობით. ჩვეულებ-

რივ გამონათქვამების სახით გამოიყენება ისეთი გამოხატულებანი როგორიცაა: „Quand les poules auront des dents“ - „როცა ვირი ხეზე ავა“ ან „როცა კიბორჩხალი მთაზე დაუსტვენს“ (სიტყვასიტყვით: როცა ქათამებს კბილები ამოუვათ); „Quand la coupe est plein, elle déborde“ - „მოთმინების ფიალა აიგსონ“ (სიტყვასიტყვით: ფიალა რომ აიგსება, გადმოიღვრება.). ზოგჯერ ძალიან რთულია ანდაზა გაარჩიო გამონათქვამისაგან, ან გაავლო ზუსტი საზღვარი ამ უანრებს შორის. გამონათქვამი ესაზღვრება ანდაზას, ერთი სიტყვის მასთან შეერთებისას ან სიტყვათა წყობის ცვლილებისას გამონათქვამი ანდაზად იქცევა. ზეპირსიტყვიერებაში გამონათქვამი ხშირად გარდაიქმნება ანდაზად, ხოლო ანდაზა — გამონათქვამად.

ყურადღებას იმსახურებს ის მხატვრული ხერხები, რომელთა დახმარებითაც მიიღწევა ანდაზებისა და გამონათქვამების მდგრადობა და დამასკოვრება. ერთ-ერთი ასეთი ხერხია ზუსტი ან ასონანსური რითმა:

„L'homme propose et Dieu dispose“ — კაცი ბჭობდა, ღმერთი იციოდა.

„L'habitude est une seconde nature“ — ჩვეულება რეულზე უმტკიცებიათ.

„À la faim tout est pain“ — თუ კი ვშია ზაქარია, ცივი მჭადის ზაქარია.

„Aujourd'hui en fleurs, demain en pleurs“ — სიცილს ტირილი მოცდებს.

ანდაზებისა და გამონათქვამების უბრალო ბალანსირებული ფორმა უფრო ხშირად მისაღებ მეთოდს წარმოადგენს, მაგალითად:

„Bien perdu, bien connu“ — დაკარგული ძროხა კარგი მეწველიაო.

„Peu de bien, peu de soucis“ — ცოტა ფული, ცოტა დარღიაო.

„Ami de plusieurs, ami de nul“ — ყველას მაზიარებელი, დარჩეულიარებელი.

„À la guerre comme à la guerre“ — აღამიანი მღვიმარეობას უნდა შევუსოსო.

„À beau jeu beau retour“ — კარგ მოქმედს კარგი გამგონე უნდააო.

მოკლე ფორმა გამონათქვამების არსებითი ასპექტია. ანდაზებისა და გამონათქვამების მხოლოდ მცირე ნაწილია მრავალსიტყვიანი, მათი უმრავლესობა 5 სიტყვაზე მეტს არ შეიცავს:

,,Laisser faire, laisser passer” — რაც იყოს, იყოს.

,,Chacun son gout” — ყველა თავისებული ღიუდებაო.

,,Grande fortune, grande servitude” — ბევრი ფული, ბევრი დარღვაო.

ანდაზებისა და გამონათქვამების წარმოშობის წყაროები სრულიად სხვადასხვაგარია. ანდაზად რომ იქცეს, გამონათქვამი უბრალო ადამიანების მიერ უნდა იყოს ათვისებული და აღქმული. ამასთან გამონათქვამის პირველწყარო ხშირად დაგიწყებას მიეცემა. იქცევა რა ანდაზად, იგი საზოგადოებრივი შეგნების ნაწილად იქცევა. ანდაზის მთქმელისათვის სულაც არაა მნიშვნელოვანი ვინ მოიფიქრა ის. შეიძლება დავძინოთ, რომ ნებისმიერი ანდაზა გარკვეული ადამიანის მიერაა შექმნილი, გარკვეულ გარემოებაში, თუმცა მრავალი უძველესი ანდაზის წარმოშობის პირველწყარო სავსებით დაკარგულია. ამიტომაც სამართლიანი იქნება თუ ვიტყვით, რომ ანდაზებსა და გამონათქვამებს ხალხური წარმოშობა აქვთ, რომ მათი პირველწყარო ხალხის კოლექტიურ გონებაშია. გამონათქვამების უმრავლესობაში თაგს იყრის ყოველდღიური გამოცდილება, სიტყვათა მნიშვნელობა, რომელიც, როგორც ჩანს, თანდათან გადაიზარდა ანდაზის ფორმაში ყოველგვარი აშკარა გამოცხადების გარეშე. ფრაზა „Bon champ semé, bon blé rapporté” — „რასაც დასთეს, იმას მოიძეო”, რომელიც თავისი წარმოშობის სათავეს მინდვრის სამუშაოებიდან იღებს, ასეთი ანდაზის მაგალითია. ნებისმიერი ფერმერი გრძნობს ამ აზრის სიმართლეს, არა აუცილებელი ზუსტად ამ სიტყვებით იყოს გადმოცემული. მაგრამ მას შემდეგ რაც ასობით ადამიანი გამოხატავდა ამ აზრს სხვადასხვა ხერხებით, ბევრი ცდისა და შეცდომების შემდეგ ამ აზრმა საბოლოოდ მიიღო დამახსოვრებადი ფორმა და ცხოვრება ანდაზის სახით დაიწყო. ამგვარად, გამონათქვამი „Bonne marchandise trouve toujours son marchand” — „არა საქონელს რეკლამა არ უნდაო“ წარმოიშვა სავაჭრო ურთიერთობათა პრაქტიკული გამოცდილების შედეგად.

მეორე მხრივ, ასევე ცხადია რომ მრავალი ანდაზა შექმნილია ძალიან ჭირიანი და სხარტი გონების მქონე ადამიანის მიერ. თუ ეს ნიჭიერი ადამიანების მიერ ზეპირი სახით მოხდა, მაშინ, რა თქმა უნდა, არანაირი დადასტურებული ჩანაწერი არ არსებობს, მაგრამ თუ ეს იმ ნიჭიერმა ადამიანებმა შეექმნეს, რომლებსაც ჩაწერის ჩვეულება ჰქონდათ, მაშინ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ანდაზის პირველწყარომდეც მივაღწიოთ. საერთოდ, სამართლიანი იქნება თუ აღვინიშნავთ იმის შესახებ, რომ აბსტრაქტული ხასიათის ანდაზათა უმრავლესობამ არსებობა ასეთი გზით დაიწყო. მაგალითად „Le but sauve l'acte” ან „La fin justifie les moyens” - „მიზანი ამართლებს საშუალებას“, გამომდინარე მეტვიღმეტე ასწლეულის თეორიული დოქტრინიდან ან ან კიდევ: „Vouloir, c'est pouvoir”; „l'État c'est moi”; „Après moi le déluge!” — რომელიც პირველად წარმოითქვა მრავალი ცნობილი ადამიანის და სახელმწიფო მოღვაწის მიერ, ან გამონათქვამი „Le tonneau des Danaïdes” - „დანაიდას კასრი”; „უსასრულო, უნაყოფო შრომა“ უკველია, თავისი დასრულებული ფორმით ნასხებია მითოლოგიიდან, ასევე უამრავი ანდაზა აღებულია ბიბლიოდან. მაგრამ ვინ შეძლებს თქვას, რომ ეს ანდაზები არ გახდნენ ზეპირი ტრადიციის ნაწილი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი წერით ფორმას შეიძენდნენ. ანდაზების გამოყენებამ თავისი აყვავების ხანას რენესანსის დროს მიაღწია, მაგრამ სავარაუდოა, რომ ბევრი მათგანი სანამ რომელიმე ფრანგ მწერალს მიწერებოდა, ადრეც არსებობდა, თუმცა უფრო ნაკლებად დამახსოვრებადი სახით. ასევეა ბიბლიაშიც. მისი ანდაზების სიბრძნე აღბათ არაა ორიგინალური. ნებისმიერ შემთხვევაში, ორივე პირველწყარო, ხალხურიც და ლიტერატურულიც, ერთად შერწყმული ხდება. ბეჭდური სიტყვის გაფრცელების წყალობით ნიჭიერ ადამიანთა გამონათქვამები უფრო ხშირად ხდებოდა ხელმისაწვდომი უბრალო ადამიანებისათვის, რომლებიც, თუკი ეს აზრი მოეწონებოდათ, მას ანდაზად აქცევდნენ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ფრანგული და ქართული ანდაზები და გამონათქვამები მრავალმნიშვნელობიანია, რაც ართულებს მათ განმარტებასა და შედარებას. ფრანგული ანდაზების ქართული

შესაბამისობების არჩევისას აუცილებელი კრიტერიუმი იყო მისი ერთ-ერთი (როგორც წესი, მთავარი) მნიშვნელობის დამთხვევა და მაინც, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყალიბდებოდა რა სხვადასხვა პირობებში ქართული და ფრანგული ანდაზები და გამონათქვა-მები ერთი და იმავე ან მსგავსი აზრის გამოსახატავად სხვადასხვა წესებს გამოიყენებდნენ, რომლებიც, თავის მხრივ, ასახავდნენ ორი ხალხის სხვადასხვა სოციალურ წესია და ყოფიერებას და ხშირად არ იყვნენ აბსოლუტურად ეკვივალენტურები.

ლიტერატურა

- აბაკელია, 1997** — აბაკელია ნ. სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბ., 1997.
- სახოკია, 1979** — სახოკია თ., ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი, 1979.
- სებირია, 2005** — სებირია ე., კულტურა, ენა და პიროვნება. თბ., უნივერსალი, 2005.
- ფანჯიძე, 1995** — ფანჯიძე დ., თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტობის პრობლემა. თბ., განათლება, 1995.
- არტო, 1999** - Artaud A. La culture: un moyen raffiné de comprendre et d'exercer la vie. Gallimard, 1999.
- ლევი-სტროსი, 2003** - Levi-Straus C. Anthropologie structurelle. La pensée sauvage. P.2003.
- პონ-იუმბერი, 1998** - Pont-Humbert C. Dictionnaire des symboles, des rites et des croyances. Paris, 1998.

MARINA SIORIDZE

The Issue Of Translating Paremia From French Into Georgian

Summary

The paper deals with the issue of correspondence between French and Georgian proverbs. The observations have proved that quite often propositionally equivalent French and Georgian proverbs differ in the way of their linguistic realization. The latter being conditioned by the linguistic peculiarities of the two languages as well as the specificity of French and Georgian cultures.

შპრენ სოლიძე

**არგოზული ლექსიკა თანამედროვე
ფრანგულ რომანში**

„მეტყველება წმინდაა, როდესაც იგი არ შეიცავს სალიტერატურო ენისთვის მიუღებელ სიტყვებს, ფორმებს ან გამოთქმებს როგორიცაა: ბარბარიზმები, დიალექტიზმები (პროვინციალიზმები), უარგონიზმები, მიუღებელი კალკები, ე.ი. ისეთი ელემენტები, რომლებიც ანაგვიანებენ ენას, მაგრამ არსებობს კი დღევანდელობაში ასეთი მეტყველება?“ (ბასილია, 1991, 29).

ფრანგული ახალგაზრდული მეტყველება წარმოადგენს ძალზე საინტერესო ლინგვისტურ ფერმენტს. მისი არსებობა განპირობებულია არა მარტო ასაკობრივი ფაქტორებით, არამედ დროებითი სივრცული და სოციალური ფაქტორებითაც. ის რეალურად არსებობს ქალაქის ახალგაზრდა სოციალურ კლასსა და იზოლირებულ ჯგუფებში, რომლებიც ინაწილებენ საერთო ცხოვრების წესს. ენა ცოცხლობს და ოცელება უფრო მეტად სოციალური ზეწოლით, ვიდრე შიდა ტრანსფორმაციული ხერხებით.

„ზოგჯერ ახალგაზრდულ მეტყველებას ეძახიან სლენგს ან სოციალურ დიალექტს“ (ი. სკრებნევი). როგორც ყველა დიალექტი, ისიც იქმნება საერთო ნაციონალური ენის საფუძველზე, იყენებს რა მის ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ ბაზისს. სოციალური დიალექტოლოგია სოციალური ლინგვისტიკის ნაწილია. სოციალური დიალექტების არსებობა ენასა და საზოგადოებაში ენის სოციალური არაერთგვაროვნების მეფიოდ გამოხატულების მიგალითია.

სალოპარაკო სტილის ლექსიკო-ფრაზეოლოგიურ თავისებურებებზე საუბრისას შანსკი აღნიშნავდა: „მისწრაფება სიახლისკენ და ცოცხალი მეტყველება განსაკუთრებით ახასიათებს ახალგაზრდებს და ამ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა მეტყველებაში გაცილებით მეტია მდაბიური გამოთქმები და უარგონსული ელემენტები, ვიდრე უფროსი თაობის მეტყველებაში“. ახალგაზრდული მეტყველება, ე.ი. ახალგაზრდა სოციალური ჯგუფის მეტყველება, წიგნიერი ენისგან

განსხვავებით, არ არის განსაზღვრული სათქმელის წინასწარი გააზრებითა და ენობრივ საშუალებათა წინასწარი შერჩევით. მას ახასიათებს აზრებისა და გრძნობების გამოხატვა უბრალოდ, მარტივად.

აღნიშნულ სტილს ახასიათებს სუბიექტურობის ნიშნები, განისაზღვრება მისაუბრისა და თანამოსაუბრის ცოდნით, ინტერესით, მიზნით. ძირითადად ის გამოხატავს ამბავს, კითხვა-პასუხს, ბრძანებებს და გრძნობებს.

ახალგაზრდების მეტყველებას ახასიათებს მრავალფეროვანი საყფაცხოვრებო ლექსიკა: ფამილიარული (შინაურული, მოურიდებელი), ემოციის, ექსპრესიისა და შეფასებითი სტილის სიტყვები (შორისდებულები, ნაწილაკები), წინადაღებაში სიტყვათა განმეორება შინაარსის ხაზგაშით აღსანიშნავად, ასევე განკერძოებული წევრები, ჩართული თქმები, მიმართვა. ხშირად შეკვეცილი სიტყვები, დიალექტიზმები, ბარბარიზმები, უარგონიზმები; სიტყვების ხმარება როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

უან ლაკანსი და პიერ დევონ ამ ფენომენს ასე ხსნიდნენ: რაღან ფრანგულ ენაში არ არსებობს სიტყვები, რომლებიც გამოხატავს განსაკუთრებულ (თავისებურ) საგნებს ანდა მოქმედებას, რომელიც მოცემულ ინდივიდთა სოციალური კატეგორიისათვისაა ჩვეული, ამ დროს წარმოიქმნება არგოტული სიტყვები, რათა „უმკურნალონ“ ენის ამ ნაკლს.

ახალგაზრდულ მეტყველებათა თავისებურებას პირველმა საფრანგეთში რობერ მერლმა მიაქცია ყურადღება და შეეცადა მაქსიმალურად აესახა ის რომანში „მინის უკან“. თავად რობერ მერლი იყო მოწმე იმ დიდი სტუდენტური მოძრაობისა, რომელიც ისტორიაში შევიდა „1968 წლის მაისის“ სახელით. ამ რომანში აღწერილია ნანტის უნივერსიტეტის ერთი დღის ცხოვრება, რომელსაც დაერქვა „22 მარტის მოძრაობა“. ამ დღეს სტუდენტებმა დაიბყრეს უნივერსიტეტის აღმინისტრაციული შენობა და მისცეს ბიჭი იმ მოძრაობას, რომელმაც მოიცვა მთელი საფრანგეთი 1968 წლის მაისს-ივნისში. ასე დაიწყო ნანტის უნივერსიტეტის მასობრივი სტუდენტური გამოსვლები, რომლებიც მოითხოვდნენ ფუშეს რეფორმის უარყოფას, რომელიც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტში მიღების მკაცრ ფორმასა და სწავლების გართულებულ ვარიანტს. ყოველვე ამან უბიძგა ამ სტუდენტურ ამბობებას. ყველგან, სორბონის უნივერსიტეტში, თეატრ ოდეონის კედლებზე თუ სხვაგან, გაჩნდა წარწერები, მოწოდებები და

დევიზები. რა თქმა უნდა, ეს არგოტული სიტყვები როდი იყო, მაგრამ ფრაზეოლოგია იყო პრეციოზული სტილის ზღვარზე. ახალგაზრდები ერთბაშად გათავისუფლდნენ და თავისუფალი გახდა მათი მეტყველებაც. ბევრი ახალი სიტყვის წარმოქმნა სწორედ ამ პერიოდთანაა დაკაგშირებული.

უდავოა ის ფაქტი, რომ არგო მეტად საინტერესო და რთული მოვლენაა, ის წარმოადგენს, ერთი მხრივ, ხალხური ლექსიკის ერთერთ ნაწილს, ხოლო, მეორე მხრივ, დეკლასირებული ელემენტების სოციალურ დიალექტს.

როგორც განსაკუთრებული პროფესიული — ტერმინოლოგიური ლექსიკონი, არგო წარმოადგენს სოციალურ დიალექტს, ან პროფესიონალური უარგონების მთლიანობას.

სიტყვა არგო, რომელიც სიტყვა უარგონის ხელოვნურ დეფორმაციას წარმოადგენდა, დიდხანს ემსახურებოდა იმას, რომ აღნიშნა ქურდების კორპორაცია და ის ხელობა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ. არგო გამდიდრა XVIII ს-ში, ხოლო XIX ს-ის 30-იან წლებში უკვე გამოიცა ფიდოკის ლექსიკონი, რომელმაც ხელი შეუწყო არგოს ხალხში გავრცელებას.

არგო ძალიან სწრაფად განვითარდა და შეესისხლხორცა ენას, ხოლო არგოტული ლექსიკის ზრდამ და განვითარებამ იმ ღონებდე მიაღწია, რომ თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში არგოს ვედებით ნებისმიერი სახის აღნიშვნების გარეშე.

არგოს სიტყვები არის ლიტერატურული სიტყვების სტილისტური სინონიმები და იცვლებაან სპეციფიკის მიხედვით.

გირზ წერდა: „თვით არგო თავისი ფორმით, განსვავებულ ლინგვისტურ ნიშანს წარმოადგენს, ლიტერატურულს, ერთდროულად უხეშსა და ელემენტარულს, მაგრამ ეფექტურს. მეტყველება ესაა მოქმედებისა და ხასიათების რეზონანსის ზარდაზშა“. ყოველი არგო, თვით ყველაზე ბანალური, რომელიც იღებს სტილისტურ გადატვირთვას, არის აღმატებითი ლიტერატურული ნიშანი. მაგრამ ლინგვისტს არ ავიწყდება, რომ ეს ეფექტურობა, როგორი რეალურიც არ უნდა იყოს, სათავეს იღებს ილუზიაში; არგოს მომხიბვლელობა, მისი შესაძლებლობები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ენის ღირსებებს, ვიდრე მის ექსცენტრულ ბუნებას (ჯაში, 2004, 108). თუ ესა თუ ის სიტყვა მიანიშნება რომელიმე წრეზე, მის ჩვევებზე, მის მენტალიტეზე, ეს იმიტომ რომ მისი პირდაპირი საკუთრებაა და იგი

სცილდება ნორმას.

დღეს შეუძლებელია იპოვო მწერალი, რომელიც არ იყენებს არგოს. მწერლების უმეტესობა არგოდან ნაესხები სიტყვებით ალამაზებს თავის ნაწარმოებებს. ზოგ შემთხვევაში ცალკეული პერსონაჟი ლაპარაკობს არგოზე, ის ვინც მიეკუთვნება საზოგადოების დექლასირებულ ფენას. სხვა შემთხვევაში თვით მთხოობელი, პირველ პირში თხრობისას იყენებს არგოტულ სიტყვებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რ. მერლმა პირველმა თავის ნაწარმოებებში, აშკარად და ხაზგასმით გამოიყენა არგოტული სიტყვები და მიიჩურა ამით თანამემამულეთა ყურადღება. მაგალითად:

— „Dans cette optique, le *lechecultisme* dont il s'entoure apparaît comme un bouclier destiné à défendre à l'avance ce moi si vulnérable“.

lechecultisme (m) — მღიქელობა.

„... mais aujourd’hui ce n'est rien, s'est simplement que j'ai peur de fouire *mon expli*, et piuttant, je scuis aussi terrifiéc aue si je morchais à la mort, c'est absurde, ça n'a aucune commune mesure avec ce qui pourrait vraiment arriver.“

expli (f) — სტ. არგო — ტექსტის ანალიზი.

— „Alors, nous, tu comprends, Denise, on ne peut pas se permettre de se conduire à Nanterre comme *des potaches* qui montent un canular au Proto“.

Potache (m) — fam. მოსწავლე

Proto (გ) — Arg. სკოლ. — ლიცეუმის დირექტორი

— „Et en attendant, les *Amerlos* bombardent au napalm et a la bombe à billes les paysans vietnamiens, c'est odieux, il faut à tout prix agir, faire quelque chose, lutter aux côtés de ces pauvres gens.“

Amerlos (m, pl) — ამერიკელები.

— „Nous avons occupé avec succès la tour. Comme succès, *c'est drôlement bath*“.

‘est drôlement bath — ეს ძალზე მაგარია.

ლიტერატურულ ტექსტში შეიძლება შეგვხდეს სხვადასხვა ტიპის არგოს მაგალითები. დღესდღეობით მომრავლდა სასკოლო არგოტული სიტყვები და, შესაბამისად, მათი გამოყენება მხატვრულ ტექსტებში. მიზეზი კი ამ ლექსიკის გამრავლებისა არის ის, რომ სასწავლო დაწესებულებები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ საუბრობენ ბავშვები სკოლის გარეთ. მრავალი მასწავლებელი, რომელიც გარეუბანში მუშაობს, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მოსწავლე-

თა უმრავლესობა, განსაკუთრებით ემიგრანტთა შვილები, ერთმანეთ-თან საუბრისას იყენებენ ისეთ ლექსიკას, რომელიც სრულებით არ ჰქავს სტანდარტულ ფრანგულს. მოზარდები ამ ენას იყენებენ ერთმანეთში საუბრის დროს. მასზე საუბრობენ ყოველ წუთში. მასწავლებლის თანდასწრებით ისინი ამ ენის სიტყვებს იყენებენ იმ შემთხვევებში, როდესაც უნებლივთ წამოსცდებათ სიტყვა **წგზშო-წგთ-ს** ნაცვლად, როდესაც ამბობენ **ზეწა-ჰასწ**, ან კიდევ შეურაცხყოფნ მასწავლებლებს ვერლანზე.

რობერ მერლის რომანში „მინის უკან“ მრავლადაა სასკოლო და სტუდენტური არგოს მაგალითები. სასკოლო არგო:

— „Alors, nous, tu comprends, Denise, on ne peut pas se permettre de se conduire à Nanterre comme des potaches qui montent un canular **au proto**“.

proto (m) — ლიცეუმის დირექტორი

— „Prises de porole dans plusieurs cours, **Profs réacs** harceles“.

Profs réacs — რეაქციონერი მასწავლებელი.

სტუდენტური აგროტული ლექსიკა უფრო სპეციფიური ხასიათისაა და ძირითადად სტუდენტურ ცხოვრებასა და საქმიანობასთანაა კავშირში.

— „Tout bon **thèseux** doit savoir ça: pas le calepin!“

theseux (m) — სტუდენტი, რომელიც წერს სამეცნიერო ნაშრომს.

— „Ils attendent que **la stra** soit partie et ils ouvrent la petite porte qui donne sur la galerie B.“

stra (f) — საერთო საცხოვრებლის ადმინისტრაცია.

— „Il avait fait deux ans de **khâgne**, sa tradò lat. ne lui paraissait pas trop dure, il travaillait avec une sensation agréable de vitesse et d'efficacité“.

Khâgne (m) — მოსამართებელი კურსი უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე.

— „Applaudissements quasi unanimes et cris furieux de **Exo, exo!** à l'adresse des inventorieurs“.

Exo, exo — სტუდ. arg. — გაეთრიე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ცნობილი ლექსიკონების ავტორები, როგორებიცაა „Larousse, Petit Robert“ და სხვა, ახდენენ დიფერენციაციას „Argot scolaire“, „Argot“, „Familier“, „Populaire“-ს შორის.

სტილისტიკის თვალსაზრისით, ფრაზეოლოგიური გამოთქმა არის უაღრესად მნიშვნელოვანი გამომსახველობითი ენობრივი საშუალება, რომლის სიმრავლე როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში გამო-

ხატავს ენის უშრეტ სიმდიდრესა და ხიბლს. ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს ახასიათებთ გაცილებით მეტი გამომხატველობა, ვიდრე სხვა ლექსიკურ ერთეულებს. ეს იმით აისხება, რომ ფრაზეოლოგიზმები დასახელების გარდა, ახასიათებენ სიტყვას თუ მოვლენას.

— „On finissait par se retrouver en proie à deux peurs : celle de ne plus trouver de jobs pour vivre, et celle de se faire recalé aux certificats faute de temps pour travailler“.

trouver le job — სამუშაოს პოვნა.

— „Ménestrel retourna en courant sur ses pas, et atteignit de justesse le deuxième automatique, **coiffant sur le poteau**, à une courte tête, une grande jument alezane bottée de blanc“.

Coiffer sur le poteau — გასწრება, წინ წასვლა.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოყვანილი ახალგაზრდული მეტყველების მაგალითებიდან გაცილებით მეტია ფრაზეოლოგიური გამოთქმები, ვიდრე სხვა ლექსიკური ერთეულები. გარდა ამისა, ფრაზეოლოგიზმების არსებობა, როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებაში გამოხატავს მწერლის მდიდარ, ლამაზ და ცოცხალ ენას. სალაპარაკო ფრაზეოლოგიური ერთეულები ძირითადად სალაპარაკო მეტყველების დამახასიათებელია. აღსანიშნავია ის, რომ მდაბიურ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში შენარჩუნებულია ლიტერატურული ენის ნორმები. სწორედ ამით განსხვავდებიან ისინი ჩვეულებრივი მდაბიური გამოთქმებისაგან.

როგორც ვნახეთ, თანამედროვე მეტყველების ფორმები ნელ-ნელა მკვიდრდება მხატვრულ ლიტერატურაში და საკმაო პოპულარობასაც იმსახურებს. ყოველივე ამის წინაპირობა კი იყო იმ ლექსიკის გამოყენების სიხშირე, რომელიც განეკუთვნებოდა საერთო ლექსიკას და რომელიც ქმნიდა და ქმნის ორიგინალურობის ეფექტს. უკვე აღარავის უკვირს ეს გამაოგნებელი ნარევი ლამაზისა და უშნონსი, მანკიურებისა და პატონისების, კარგისა და ცუდის, შესანიშნავისა და სისაძგლის, რომელიც ასე მკაფიოდ და ლამაზად არის ასახული თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში.

ლიტერატურა

- ბახილია, 1991** — ბასილია ნ., ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991.
- კოლინი, 2001** — Colin Y.P. Mével Y.P. Dictionnaire de l'argot larousse, 2001.
- კორადი, 2006** — Corades Fr. Dictionnaire du français argotique et populaire, Larousse, 2006.
- ლებანიძე, 2004** — ლებანიძე გ., კომუნიკაციური ლინგვისტიკა, „ენა და კულტურა“, თბ., 2004.
- მერლი, 2007** — Mérle R. Derrière le vitre, Paris, 2007.
- ჯაჭი, 2004** — ჯაჭი ქ., ფრანგული არგო, „ენა და კულტურა“, თბ., 2004.

MARINA SIORIDZE

Argotisms in Modern French Fiction

Summary

The paper discusses some peculiarities of argotisms encountered in Modern French fiction. Some differences and commonalities between argotisms and Standard French lexis have been revealed. It has been stated that colloquial set phrases mainly follow the norms of Standard French.

ნანა სტამბლიშვილი, აწორ აბულევიძე

პოლისემანტურობილან მონისემანტურობისაძვნ
სწრაფება ადრეულ ახალ ზემოგვირმანულებისა და
ახალ ზემოგვირმანულების ფონზე

არსებული საკითხისადმი ჩვენი ინტერესი გამოიწვია ადრეულ ახალ ზემოგვირმანულსა და ახალ ზემოგვირმანული ენის ლექსიკონებზე მუშაობამ. ლექსიკონებზე მუშაობამ ცხადყორობამ ადრეული ახალი ზემოგვირმანულსა და ახალი ზემოგვირმანული ენის ლექსიკონებში ცალკეულ სიტყვაზე გაცილებით მეტი მნიშვნელობებია წარმოდგენილი, ვიდრე ეს თანამედროვე გერმანულ ლექსიკონებში ფიქსირდება. ერთ ლექსიკონში მოცემული ლექსიკურ ერთეულთა სიჭარბე და თანამედროვე გერმანული ენის ლექსიკონებთან მიმართებით ამ მნიშვნელობების განსხვავებულობა ისეთი ცნებების გამოყვეთის საშუალებას იძლევა, რომლებსაც დომინირებული პოზიცია უკავიათ, რაც, პირველ ჩიგში, მათი პოლისემანტურობით აიხსნება. ენასა და მეტყველებაში ლექსემათა მუდმივი ურთიერთებების შედეგად ხდება მნიშვნელობების სახეცვლა, რასაც განაპირობებს ამ უკანასკნელთა შორის არა მკაფიოდ გამიჯნული საზღვრების არსებობა და აღსანიშნება და აღმნიშვნელს შორის მუდმივი კავშირი. ცვლილებები ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობაში შეიძლება ოდნავ შესამჩნევი იყოს, ზოგჯერ ინდივიდუალურიც, ე.ო. ისინი შეიძლება თავს იჩენდეს მხოლოდ მეტყველებაში. სიტყვის მნიშვნელობის ცვლის, ლექსიკური გარდაქმნის დროს, ლექსემამ შეიძლება დაკარგოს ზოგიერთი სემანტიკური კომპონენტი ან, პირიქით, ახალი შეიძინოს. იმის გამო, რომ სემები მოძრავი სტრუქტურებია-სიტყვის ახალ კონოტაციურ დატვირთვას და შეფერილობას იძენს — ისინი ხდებიან პოლისემანტურები. პოლისემიურია საზოგადოდ, ნებისმიერი ენობრივი ერთეული, რომელსაც ერთზე მეტი დენოტატი შეესაბამება. პოლისემიურ ლექსი-

კურ ერთეულს უნარი აქვს აღნიშნოს მონათესავე ცნებები. როგორ შეიძლება მოხდეს მნიშვნელობების სპექტრის გაფართოება? ეს შეიძლება მოხდეს ტროპის სხვადასხვა ხერხის მეშვეობითაც.

სიტყვის განვითარების აღწერისათვის გამოყენებულ დომინირებულ ცნებებად შეიძლება დავასახელოთ: ლექსიკური მნიშვნელობის დავიწროება (სპეციალიზაცია), ლექსიკური მნიშვნელობის გაფართოება (გენერალიზაცია), ლექსიკური მნიშვნელობის გაუარესება (პეკიორიზაცია). სპეციალიზაციისა და პეკიორიზაციის მეშვეობით იცვლება სიტყვის ცალკეული მნიშვნელობა, კნიდება სიტყვის მნიშვნელობის სპექტრი, ხდება მისი უარყოფითი ხასიათით გამოყენება.

ამ ცვლილებებში ყველაზე ნაკლებ პროდუქტიულია სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება (გენერალიზაცია), სიტყვის მნიშვნელობის გაუმჯობესება (მერილიზაცია). სიტყვათწარმოება (ახალი სიტყვების წარმოქმნა მოპბლიური ენის ბაზზე კომპოზიციისა და გრამატიკული დერივაციის მეშვეობით); სიტყვათსხება უცხო ენის ლექსიკიდან მნიშვნელობების სესხების გზით, რომლის ენის სისტემაში შემოსვლისა და გაფრცელების ფორმები და გზები განსხვავდებიან.

აღნიშნულ ლექსიკონებში ლექსიკური ერთეულების სიჭარებმთანამედროვე გერმანული ენის ლექსიკონებთან შედარებისას, გვაფიქრებინა პოლისემანტურობიდან მონისემანტურობისაკენ სწრაფვის მიზეზებისა და ვათარების კვლევა-ძების მცდელობა.

ო. რაიხმანი აღნიშნავს, რომ მონისემანტურობა არ შეიძლება გვიგოთ, როგორც პოლისემური სიტყვის ერთადერთ მნიშვნელობაზე დაყვანა, ახამედ განვითარების ისეთი ტენდენცია, რომელიც ამ განვითარების ლოგიკურ დასასრულადე მიგვიყვანს „Reduktion vieler auf eine einzige Bedeutung“ (რაიხმანი, 1989, 27).

მონისემანტურობის ტენდენცია ჩვენს ნაშრომში ორი სიტყვის მაგალითზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომლის თანახმად შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ იგი კვანტიტატურად და კვალიტატურადაც ენის ისტორიული განვითარების საფუძლიან გზას გვიჩვენებს. ეს სიტყვებია: 1. **AAAbenteuer** და 2. **AAblas**. პირველი სიტყვა **Abenteuer** ფრანგული ენიდან ნასესხები სიტყვების იმ პირველ ნაკადს ეკუთ-

ვნის, რომელიც გერმანულში XI-XII საუკუნეებში შემოვიდა. ეს პირველი ნასესხობანი, მაშინდელ საფრანგეთში სარაინდო ეპოქის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ამ პერიოდის ფრანგულიდან ნასესხებ ლექსიკას ეკუთვნის გერმანული *Palast franguli Palais*-ის გავლენით. გერმანული *Tournier* — ფრანგული *tournoi*-ის გავლენით გერმანული *Lanke* ფრანგული *lance*, გერმანული *blond* — ფრანგული *blond*-ის, გერმანული *FForme*, ფრანგული *forme*-ს, გერმანული *Preis*, ფრანგული *prix*-ის, გერმანული *fein* — ფრანგული *fin*-ის, გერმანული *Abenteuer* ფრანგული *aventure*-ს გავლენით და სხვ.

Abenteuer ადრეულ ახალ ზემოგერმანულ ლექსიკონში 17 მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ამ მნიშვნელობებიდან პირველი ოთხი რაინდულ საქმიანობას უკავშირდება. ესენი არიან:

1. რაინდული მამაცობის გამოჩენისთვის, სარისკო საქმეების და ა.შ დამადასტურებელი ჭილდო, რისკიანი საქმეები (Zum Beweis rittlicher Tüchtigkeit, oft zugleich zur Heilung von Rechtsbrüchenen unternommene ritterliche JBewährungsprobe, risikoreiches Unternehmen); პირველი ლიტერატურული ძეგლი უკავშირდება მე-14/15 საუკუნეს: Henschel u.a, Heidin A 171 (nobd,um 1300): *Er sprach ich wil minen lip /Wagen of aventure.*

2. თავდასხმების დროს მოპოვებული ნადავლი, გამარჯვების, რაინდული მამაცობის გამოჩენისთვის დამადასტურებელი ჭილდო (die bei der ritterlichen Bewährungsprobe errungene Trophäe, Siegebeweis, Preis für ritterliche Tüchtigkeit);

... Thiele, Minner. II, 6, 78 (Hs.ndalem.strk., 14 O, 901): das er mir **abentur bringt**, die er mit ritterlicher tat jem in **mynem dinst erworben** hatt.

3. სამხედრო შეხლა-შემხლა, ბრძოლა, ომი (militärische Auseinandersetzung, Kampf, Krieg) — გხვდება სინტაგმებით: *Abenteuer bestehen, stehen, überstehen*, jm. wiederfahren: *der abenteuer gedenken; auf a. ausziehen; etw. in abenteuer setzen*.

...TOEPPEN. Ständetage Preußen 2. 79,14. preuss. 1438): *Darumme ist deser orth...in suiche sorgliche abeschacht und swere abenture ozu setzzen.*

4. ნადავლი, რომელიც სამხედრო შეხლა-შემხლის შედეგად იქნა მიღებული.

(Beute aus militärischer Auseinandersetzung);

...Röhrich u.a., Cod. Dipl. Warm. 4, 417, 24 (omd, 1431): Will ouch
ymant als von em selbst | utf *ebenteuw /er uscȝiben una von den f ȝnden ed-*
was irwerben, das sei ber em behaiden.

აღსანიშნავია, რომ პირველ და მეორე მნიშვნელობებს აქვს პარა-
ლელები, როგორც მესამე და მეოთხე მნიშვნელობებთან, ასევე მეთექ-
ვსმეტე და მეჩვიდმეტე მნიშვნელობებთან.

5. ადრეულ ახალ ზემოგერმანულში მოცემული მეხუთე მნიშვნე-
ლობა: გასაოცარი, უცნაური, საუცხოო, და ა.შ. (merkwürdiges, unhe-
imliche, wunderbare oder wunderliche, staunenswerte, gefahrvolle Begeben-
heit oder Tat) შეესიტყვება დუდენში მოცემულ მნიშვნელობებს: უჩვე-
ულო, შემატეოთებელი შემთხვევა, მომხდარი ამბავი, ფრიად სა-
ფრთხო (საშიში) სიტუაცია. (außergewöhnliches, erregendes Geschehen,
Ereignis, außergewöhnliche, gefahrvolle Situation). ამავე ლექსიკონის
იგივე მეხუთე მნიშვნელობა ავითარებს სემა-სტრუქტურებს და გვაქვს
აგრძელებულობა, ამაღლვებელი თავგადასავალი (außergewöhnlic-
hes, erregendes Erlebnis).

ადრეულ ახალ ზემოგერმანულ ლექსიკონში სიტყვა *abenteuer*-ის
მე-6 მნიშვნელობას: მოთხრობა, უცნაური ამბების ისტორია
(Erzählung, Geschichte, Bericht von einer merkwürdigen Begebenheit oder
Tat) და მე-7 მნიშვნელობას: გამოგონილი ამბები, ზღაპრები (Lügen-
geschichte, Ammenmärchen) თანამედროვე გერმანულში ანალოგები არ
მოეპოვება, ხოლო მე-8 მნიშვნელობასთან: უსამართლობა, უხამსობა,
უკადრისობა, უბატივცემულობა, უზნეობა, თაღლითობა, მოჩმისული
ამბები, ინტრიგები (Unrechtmäßigkeit jeder Art, Ungebürlichkeit, Unsit-
tlichkeit, Betrug, Gaunerei, übles Treiben, Machenschaften) და ა.შ. სემა-
ტრიკურად ახლოსაა თანამედროვე გერმანული ენის ლექსიკონში მო-
ცემული მნიშვნელობებთან: საიყვარულ ამბები (ინტრიგები), თავგა-
დასავლები, სიყვარულობანი (Liebesaffäre, Erlebnis, Liebelei). ადრეულ
ახალ ზემოგერმანულის ლექსიკონში მოცემული მე-9 მნიშვნელობა:
პამპულაობა, უონგლიორობა, მეფოკუსობა, ბრიყვობა (Posse, Gaukel-
spiel, Narrerei) და მე-10 — დაახლოებით იმავე მნიშვნელობით (Mittel
zur Posse) სემასიოლოგიურ ველს ვერ ავითარებს თანამედროვე ახალ

ზემოგერმანულში, ხოლო მე-11 მნიშვნელობა, რომელიც საქმიანი ხა-
სიათის რისკთან და გამბედაობასთან არის დაკავშირებული (Risiko,
Wagnis, meist geschäftlicher Art) ქმნის სინტაგმას: a. stehn, wagen, auf
a. Segeln, etw. auf a. erarbeiten. ანალოგებს ნახულობს თანამედროვე
გერმანულში *abenteuer*-ის მნიშვნელობა: საშიში, რისკიანი წამოწყება
გაურკვეველი დასასრულით (gefährvolles, risikoreiches Unternehmen mit
ungewissen Ausgang). ადრეულ ახალ ზემოგერმანულის ლექსიკონში
სიტყვა *abenteuer*-ის მე-12 ციფრით დაფიქსირებული მნიშვნელობა
ბიზნესს და საქმიანობის დასასრულს უკავშირდება (Geschäft, Handel-
sabschluss); მე-13 მნიშვნელობა-ღირებულების არ მქონე, საეჭვო სა-
ვაჭრო საქონელს (minderwertige, verdächtige Handelware), ხოლო მე-14
მნიშვნელობა — იღბლიან შემთხვევას, ბედნიერებას (Zufall, Glück)
და იკეთებს წინდებულიან მყარ შესიტყვებებს „von ungefähr“, „auf gut
Glück“, „aufs Geratewohl“ და სინტაგმებს: jm. Abenteuer geben, jm.
der abenteuer gönnen, etw. auf abenteuer vornemen, auf abenteuer „auf gut
Glück“, „von ungefähr“. Bei abenteuer „vielleicht“, „zufällig“

მე-15 მნიშვნელობა უკავშირდება სამთო განძს (Bergschatz), მე-
16 — ჯილდოსა და შეჯიბრებებს (Preis, Wettschießen) და მე-17 — შე-
ჯიბრებაში მოპოვებულ პრიზს (der beim Preisschießen zu gewinnende
Preis).

აღსანიშნავია, რომ ადრეულ ახალ ზემოგერმანულის ლექსიკონ-
ში სიტყვა *abenteuer* — მე-8 მნიშვნელობასთან: ყოველი სახის უსა-
მართლობა, უბატივცემულობა, უზნეობა, თაღლითობა, ინტრიგა, მო-
ჩმახული ამბები და ა.შ. (Unrechtmäßigkeit jeder Art, Ungebürlichkeit,
Unsittlichkeit, Betrug, Gaunerei, übles Treiben, Machenschaften), ო. რაობ-
მანის ადრეულ ახალ ზემოგერმანულის ლექსიკონის პირველ ტომში
ერთადერთია, რომელიც სიტყვა „idioma“-თი აღინიშნება. ეს იდიო-
მაა *abenteuer stehen* „Für die Folgen seines Verhaltens gerade stehen“
გრიმის ლექსიკონის მიხედვით „seine sache vertreten, für etwas gerade
stehen,dafür haften“ (შენი საქციელის შედეგზე პასუხისმგებელი იყო,
შენი საქმე დაიცვა, მედგრად დაუხვდე და ა. შ.). განვიხილოთ კონ-
ტრაქტი ორივე ლექსიკონის მიხედვით.

... Non. Boica, NF. 2, 1,299,6 (nobd. 1464): wie der herrschaft die a igen verclawht sint worden und **abenthewer geschenen**.

... Dinklage, Frk.Bauernweist. 53,19 (nobd., A.16. Jh.): sucht aber einer außflucht, so **sten** einer seyn **abethewer**.

o. გრიმთან იდიომის კონტექსტში გამოყენება თარიღდება: 1368, 1522, 1589, 1627, 1780 და ა.შ. პირველად, სავარაუდოდ, ეს არის მე-14 საუკუნე. მაგალითად:

wer dem anderen eyn oug... vorserete, der muste vor gheme wider yn sollichir **ebenteuer stehn**.

გრიმების ლექსიკონის მოხედვით sityva **Abenteuer** (*das ebenteuer*) შემდეგნაირადაა სტრუქტურირებული: (1) წარმოშობა და ფორმა. (herrkunft und form. mhd. Aventiure wurde ende des 12. jhs. aus dem frz. (afrz. aventure zu vulgärlat. *adventura) entlehnt, im nordwesten durch mnl.vermittlung (s.u.) die im nd. (gegenüber mnl aventure, avonture) vom beginn der bezeugung bis in moderne mundart durchaus vorherrschende nebenform. eventür (u, ä.) — უფრო ძველი თვალსაზრისით ლათინური ნორმალური ფორმა ავენტურე უმლაუტიანმა eventür-მა შეცვალა.

(2). სქესი. (Genus) (საშუალო და მდედრობით სქესი)

ლექსიკონს თან ახლავს წარმოშობისა და ფორმაცვალებადობის დამადასტურებელი კონტექსტები. მინიშებულია სიტყვის სხვადასხვა სქესით გამოყენების ნიმუშები.

საშუალო სქესი ჯერ კიდევ მე-13 საუკუნიდან გამოიყენება და თანდათან იდევნება მდედრობითი სქესი (თუმცა იგი მე-18 საუკუნე-მდე კვლავ გამოყენებაშია).

3. bedeutung und gebrauch. მნიშვნელობებისა და გამოყენების თვალსაზრისით გამოყენების სფეროები დაყოფილია პუნქტებად a, b, c, d და ა.შ. წარმოგვიდგენს კონტექსტების ფართო არჩევანს, სადაც ერთ-ერთი ნაწილი გამოყოფილა. როგორც სალპარაკო ენის ძირი-თადი მნიშვნელობები უამრავი კონტექსტებით, რომელთა გარკვეული ნაწილი როგორც აღვნიშნეთ, ემთხვევა ადრეულ ახალ ზემოგერმანულში მოცემულ კონტექსტებს. მაშასადამე, **abenteuer** გრიმების ლექსიკონშიც არანაკლებ პოლისემანტურობითაა წარმოდგენილი. სამაგიეროდ დუდენის ლექსიკონის მიხედვით **abenteue**-ის 4 მნიშვნელობა გვაქვს, რომელიც ძირითად მნიშვნელობების სპეცირით იდენტუ-

რუბას ამჟღავნებს ზემოთ განხილულ ლექსიკონებში მოცემულ მნიშვნელობების მიმართ: das abenteuer [(mhd. *bentuire, ventiure* <afrz. *aventure*, zu lat. *adventure*, *Advent*): mit einem außergewöhnlichen, erregenden Geschehen verbundene gefahrvolle Situation, die man mit Wagemut zu bestehen hat: A. Bestehen, suchen; sich in jedes A. Stützen.

2. außergewöhnliches, erregendes Erlebnis: dies Fahrt war ein A.

3. gelegtl (abwertend) riskantes Unternehmen: Napoleons A. in Ägypten.

4. Liebesabenteuer: Lydia war sein erstes A. gewesen (er hatte mit ihr sein erstes Liebeserlebnis gehabt).

მეორე სიტყვა, რომელიც ჩვენ მისი პოლისემანტურობის ნიშნით ავირჩიეთ — ეს არის გერმანიკული წარმოშობის სიტყვა **Ablas**. (mhd. *aplaç*, ahd. *abl* 3). აღნიშნული სიტყვა გხვდება უმეტესად მამრობითი სქესის არტიკლით (der), მაგრამ ზოგჯერ საშუალო სქესის არტიკლითაც (das). ამრიგად, ძველი ზემოგერმანულისა და საშუალო ზემოგერმანული ენების განვითარების საფეხურებს გამოვლილი სიტყვა **Ablas** ადრეულ ახალ ზემოგერმანულის ლექსიკონში 13 მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. მისი პირველი მნიშვნელობა თანამედროვე გერმანული ენის პერსპექტივის მიზნით ადვილად მისახვდრია, რადგან იგი სემანტიკურად მოტივირებულია და რაღაცის შეწყვეტას, თავის დანებებას ნიშნავს (Unterbrechung, Aufhören von etwas); სიტყვა თანდათან განიცდის ტრანსფორმაციას, ავითარებს სხვადასხვა სემს, მაგრამ თუ დაგავირდებით, მისი სემანტიკა სხვა მნიშვნელობების კონტექსტში გამოყენების შემთხვევაშიც არ კარგავს თავს თავდაპირველ მნიშვნელობასთან კავშირს და შინაგანი მოტივაციის წყალობით, ადვილად გამოსაცნობია. მაგალითად: მე-2 მნიშვნელობა კარგი რაღაცისთვის გადახდილ თანხას უკვშირდება (bei der Aufgabe eines Gutes zu entrichtende Gebühr; მე-3 მნიშვნელობა — რაიმეს მიმართ ნებართვის, უფლების ჭინას წარმოგვიდგენს (Erlaubnis, Recht zu etwas); მე-4 — რაღაცის ჩამოწერას ან შემცირებას უკავშირდება (ფინანსური ვალდებულების და ა.შ.). მე-5 და — 6 მნიშვნელობები ცოდვების მიტევებასა და ცოდვებთან დაკავშირებულ სასჯელის მიტევებას გამოხატავს (Vergebung der Sünde, Nachlass oder Erlass der Sündenschuld

und damit verbunden geglaubter Sündenstrafen).

მე-7 და მე-8 მნიშვნელობები გარკვეულწილად უფრო შორდება თავდაპირველ მნიშვნელობას და გვევლინება წლიური ბაზრობის, დღესასწაულისა და ფინანსური ექსპლოატაციის ომნიშვნელ სი-ტყვად (Jahrmarkt, Festtag; Finanzielle Ausbeutung).

Ablas-ის მე-9 მნიშვნელობა ადრეული ახალი ზემოგერმანულის ლექსიკონის მიხედვით ვინმეს მიმართ უპატივცემულობას, უდიერად მოპყრობას, ძალათობას ნიშავს (*Mißbrauchung von jmdm.*).

მე-10, მე-11 და მე-12 მნიშვნელობები დინებას, სითხის გაშვებას, წყლების, ღვინის დაღვრას ან გაშვებას, დანადგარს წყლის ოეგულირებისათვის და ა. შ. (Ablauf, Abfluß, Auslaufenlassen (von Gewässern) als Vorgang/Tätigkeit; Vorrichtung zur Regulierung (von Gewässern),...) Staustelle (...) Wehr; das Ablassen des Weines(...).

13. ცეცხლის გაშვებას, გასროლას (Losbrennen, Abfeuern (von Geschützen) უკავშირდება.

საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილი მნიშვნელობებს, რომლებიც ენის განვითარების ადრეულ პერიოდში, კერძოდ, ადრეული ახალ ზემოგერმანული ენის ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპზე მე-14-17 საუკუნეებში აქტიურ გამოყენებაში იყო (რაც ლექსიკონში მოცემული ლიტერატურული ნაწარმოებების კონტექსტებში ამ სიტყვის მნიშვნელობების გამოყენების სიხშირის მიხედვით დგინდება), ახალ ზემოგერმანულის ლექსიკონში (დუდენის მიხედვით), მხოლოდ სამი მნიშვნელობა შეესიტყვება. ეს მნიშვნელობებია: ადრეულ ახალ ზემოგერმანული მე-5 და მე-6 მნიშვნელობები, რომლებიც ცოდვების მიტევბასა და ცოდვებთან დაკავშირებულ სასჯელის მიტევბას უკავშირდება (Vergebung der Sünde, Nachlaß oder Erlass der Sündenschuld und damit verbunden geglaubter Sündenstrafen), დუდენში კითხულობთ: Nachlaß von Kirchenstrafen, die von dem Sünder nach seiner Umkehr noch zu verbüßen sind (საკუთრივ სასჯელის მიტევბა, რომელიც შემცოდებელს კვლავ აკისრია მისი მოქცევის (განწყენდის) შემდეგაც. ადრეულ ახალ ზემოგერმანული ენის ლექსიკონში მე-10 ნომრით დაფიქსირებულ მნიშვნელობასაც აქვს ანალოგი თანმედროვე გერმანული ენის ლექსიკონში. კერძოდ, სიტყვა „das Ablassen“ (z.B. von Dampf) —

ორთქლის ან რაიმე სითხის გაშვება. თანამედროვე გერმანულში გხვდება ამ სიტყვისაგან წარმოქმნილი კომპოზიტი: **Ablassvorrichtung** – დანალგარი, რომელიც სითხის გაშვებისათვის გამოიყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ განხილული აღრეულ ახალ ზემოგვერმანული ენის ლექსიკონში სიტყვა *ablas* მე-9 მნიშვნელობით: ვინძეს მიმართ სექსუალური ძალადობა (*Mißbrauchung von jmdm [...] im sexuellen Sinne*) — იკოთხბს ქცევას — *des ablasses teilhaftig werden „sich brauchen lassen“* (ვინძეს საკუთარ თაგზე სექსუალური ძალადობის ნება მისცე). აღნიშნულ გამოთქმას ვხვდებით მე-16 საუკუნის შვებულ წყაროებში: Barack, Zim. Chron. 2,642,16 (schwäb.M,16 Jh): *ir cammermagdt, die auch zuvor des aplas zu zeiten teilhaftig worden, hat diese haimlichkeit und das ganz gescheft gewisst.*

ასეთია, ადრეულ ახალ ზემოგერმანული *abenteuer*-ის და *ablas-*ის და ახალ ზემოგერმანული, სტანდარდიზირებული *Abenteuer*-ისა და *Ablas*-ის (ამ პერიოდისათვის არსებოთი სახელი უკვე დიდი ასოთი იწერება) სემასიოლოგიური ცოლი.

მიუხედავად იმისა, რომ მეთოდური კუთხით მონისემანტურობის ტენდენცია ხელმისაწვდომ თეორიულ კონცეპტად ჩამოყალიბდა, სე-მასიოლოგიური ველის მონისემანტურობისაკენ ტენდენციის მტკიცება თეორიული თვალსაზრისით პრობლემურია. ყველაზე მტკიცენული წერტილი ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, იმ ფაქტის არსებობაში მდგომარეობს, რომელიც ლექსიკოგრაფიულ-პრაგმატული პირობების თანახმად უნდა იქნას ახსინილი. არსებულ საკითხის კვლევას პრაგმატული კუთხით თუ მივუღებით, ვიტყვით, რომ პრაქტიკულად ყოველმა ლექსიკოგრაფმა იცის იმ ვითარების შესახებ, რომ ლექსიკონში მოცემული მნიშვნელობები არავთარ შემთხვევაში არ არის მხოლოდ სამეტყველო კრიტერიუმის მიხედვით განაწილებული, არამედ ლექსიკონის შედეგის დროს გადამწყვეტ მნიშვნელობას იღებს სხვა კრიტერიუმებიც. ასე მაგალითად, ვინც ათტომეულ ლექსიკონს აკეთებს, თითოეულს 1000 გვერდის მოცულობით, მას რა თქმა უნდა, მეტი შესაძლებლობა აქვს სემანტიკური დიფერენციაციის, ვიდრე ექსტრომეულის 3000 გვერდის მოცულობის შემდგენელს. გასათვა-

ლისტინებელია ისიც, რომ ვინც ლექსიკონს სამეცნიერო ხაზით მომხმარებლისთვის წერს, ის თავისთვის, უფრო მეტი სიზუსტით ანაწევრებს მნიშვნელობებს, ვიდრო ის, ვისაც მიზნად აქვს ესა თუ ის ლექსიკონი ფართო მომხმარებელთათვის, არასპეციალისტებისათვის გამოსაყენებლად შექმნას.

ამ ფაქტთან დაკავშირებული პრობლემა იმ კუთხიდანც უნდა დავინახოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ლექსიკონში დამუშავებული მასალა პრაგმატული პირობებისაგან დამოუკიდებლად განსხვავებული წესით შეიძლება იქნას დაყოფილი. ასე მაგალითად, სინტაქსური თვალსაზრისით, როგორც ეს ნაწილობრივ საშუალ ზემოგერმანულ ლექსიკონშია (das Wörterbuch der mittelhochdeutschen Urkundensprache) ან სემანტიკური კრიტერიუმის მიხედვით ისეთნაირად, რომლის თანახმად გამოყენების a წესი, შემდეგ b წესი და c წესი ამ დანაწევრებას თანდათან ზრდის. განსაკუთრებით ისეთი სიტყვების ხარჯზე, რომელთა მნიშვნელობები ერთმანეთში ძალიან გადახლართულია, გამოცდილ ლექსიკოგრაფის შესაძლებლობას აძლევს მოახდინოს სემასიოლოგიური ველის სხვადასხვანაირი სტრუქტურირება.

ლექსიკონებში მნიშვნელობების სიჭარბე შეიძლება ერთი გარემოებითაც აიხსნას, რაც ლექსიკოგრაფების მუშაობასთან მიმართებით შეიძლება ითქვას: ის, რაც ერთისათვის მნიშვნელობა შეიძლება იყოს, სხვათვის ერთი აბსტრაქტული ნართის ნაწილობრივი მნიშვნელობად ან სხვადასხვა მნიშვნელობის გარკვეულ ნიუნსად შეიძლება ვიგულისტმოთ.

ჩვენი დაკვირვების თანახმად, ადრეულ ახალ ზემოგერმანულში Abenteuer-ი თავისი მე-5 მნიშვნელობით, დუდენის ლექსიკონის მიხედვით პირველ მნიშვნელობასთან სემანტიკურ მსგავსებას ამჟღავნებს, რადგან სიტყვები Ereignis და gefahrholl გხვდება ორივე ლექსიკონში აღნიშნულ სიტყვასთან მიმართებით. ამავდროულად არ შეგვიძლია არ ვალიაროთ, რომ ადრეულ ახალ ზემოგერმანულ ლექსიკონში ამ რიგით წარმოდგენილ მნიშვნელობას უფრო „უცნაური“-ის (merkwürdig) ნიუანსი აქვს, ხოლო იგივე მნიშვნელობა დუდენში „საშიშროებით აღსავს“ — (gefahrenvoll)-თი შემოიფარგლება. შესატყვისობის გამოვლენის გამორჩეულ სურათს გვიხატავს ადრეულ ახალ ზემოგერმანულ ლექსიკონში მე-11 და თანამედროვე გერმანული ენის ლექსიკონის მიხედვით მე-3 მნიშვნელობის შედარება. მაგალითად:

ადრეულ ახალ ზემოგერმანულში — Risiko, Wagnis, meist geschäftlicher Art (რისკი, გაბედულება, უმეტესწილად საქმიანი ხასიათის) და დუდენის მიხედვით: gewagtes, gefahrvolles, risikoreiches Unternehmen mit ungewissen Ausgang (გაბედული, საშიში, რისკიანი საქმე გაურკვეველი დასასრულობა); იმავე ლექსიკონების მიხედვით მინიმალური მსგავსება ფიქსირდება მე-8 ნომერსა და მე-4 ნომრით აღნიშნულ მნიშვნელობებს შორის. მაგალითად: Unrechtmäßigkeit jeder Art, Ungebührlichkeit, Unsittlichkeit, Machenschaften (ადრეული ახალი ზემოგერმანული) და Liebesaffäre - erlebnis, liebelei (დუდენის მიხედვით). ასეთივე მსგავსებები აღმოვაჩინეთ ადრეულ ახალ ზემოგერმანულის ლექსიკონში მე-6 და მე-10 ნომრით აღნიშნულ მნიშვნელობებს შორის და დუდენის 1 და მე-2ა, მე-2ბ მნიშვნელობებს შორის შედარებისას.

ამრიგად, აღნიშნული ლექსიკონების ფონზე განხილვის მცდელობით ნათელი გახდა, რომ პოლისემანტური სემასიოლოგიური ველი თანამედროვე ლექსიკონთან მიმართებით მონოსემანტურუბის ტენდენციას იჩენს. მაგრამ საეჭვო გახდა ის მოსაზრება, თუ რამდენად გაუჩინარდა ეს მნიშვნელობები გერმანული ენიდან. ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ ეს მნიშვნელობები საერთოდ კი არ გამერალან ენიდან, არამედ მათ განიცადეს ე.წ. „ვერტიკალიზაცია“, ასე მიხედვითაც გარკვეული მნიშვნელობები მოხვდნენ სალიტერატურო ენის პირამიდაში, დანარჩენები კი ჰორიზონტალური განლაგებით ისევ განაგრძობას არსებობას სხვადასხვა გერმანულ დიალექტსა და კილოკავში. აქედან გამომდინარე

მონოსემანტურობა რეფორმაციის დროს დაწყებული ვერტიკალიზაციის პროცესს უკავშირდება. რომელსაც საფუძვლად დაედო გერმანული ტექსტების ტერიტორიული გადანაწილების სპექტრი და დიალექტების გადაწყვეტება-ინტეგრაციის პროცესი.

ლიტერატურა

დუდენი, 2006 — Duden. Deutsches Universalwörterbuch (2006): Dudenverlag. Mannheim-Leipzig-Zürich-Wien
გრიმები, 1983 — J.Grimm, W.Grimm (1983): Deutsches Wörterbuch(DWB). Band I .S. Hirzel Verlag. Leipzig.
რაიხმარი, 1994 — O.Reichmann (1994): Frühneuhochdeutsches Wörterbuch (FWB). Band I. Walter de Gruyter. Berlin. New York.

რაიხმანი, 1988 — O.Reichmann (1988): Zur Vertikalisierung des Varietätspektrums in der jüngeren Sprachgeschichte des Deutschen. Berlin.
Deutsch-Russisches phraseologisches Wörterbuch (1975): Verlag „Russische Sprache“. Moskau.

NANA STAMBOLISHVILI, ANZOR ABUSERIDZE

**The Tendency from Polysemy towards Monosemy in Early New High German and New High German Dictionaries.
(sociolinguistic perspective)**

Summary

The research carried out on the dictionaries of Early New High German and New High German has shown that compared to New High German polysemy was quite typical of Early New High German. The abundance of meanings evidenced in Early New High German was conditioned by the historical events of the 14-17th centuries, viz. the period of Reformation. The tendency in question is illustrated on the example of two lexical units: out of 16 meanings the first unit preserved only 4 in New High German, while the second lexical unit retained 3 meanings out of 13. The tendency towards monosemy implies not only the reduction of meanings of certain lexical units, but also the disappearance of the latter from Literary German. This can be well illustrated on the material of phraseological units.

However, the above-mentioned words and their meanings have not entirely disappeared from the language, they are still evidenced in different dialects. Thus, it can be said that monosemy is closely connected with the process of verticalization started in the period of Reformation. The latter being based on the integration process – territorial redistribution of German texts and regrouping of the dialects.

ნანა სტამბოლიშვილი, ლია აბუსერიძე
გერმანური და არავერბალური ტაბუ კულტურის
გათარების დასკურსი

ტაბუდადებულ თემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კულტურათშორის კონტაქტურ სიტუაციებში, რადგან იგი ქმნის კულტურის ქცევის დაკვირვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს. „ტაბუდადებული სიტყვები წარმოადგენს კულტურის გამოვლინების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, ამიტომ ტაბუს არსებობა და მისი ზეგავლენა შეიძლება უნივერსალურ მოვლენად ჩავთვალოთ განსხვავებული კულტურების ისტორიის შესწავლაში“ (მალეცკე, 1996, 91).

ტაბუს კვლევას ბევრი ეკრობელი და მათ შორის გერმანელი მკვლევარი მიმართავდა. ვანერი (1991), ლუხტენბერგი (1997), შროდერი (1995) და სხვ.

ტაბუში, პირველ რიგში, სამეტყველო ტაბუ მოიაზრება. არსებობს ისეთი ტაბუც, რომელიც კრძალავს სამეტყველო, პირველ რიგში კი, სოციოკულტურულ გაუგებრიობაზე საუბარს. რა ვიცით ჩვენ საერთოდ ტაბუს შესახებ და ვაკვირდებით თუ არა ქცევისა და მეტყველების პროცესში ტაბუს გამოვლენას? ხშირ შემთხვევაში, არა. ადამიანი ხომ ქვეცნიბირედ, ინსტინქტურად აქეთებს ან ფიქრობს ისე, როგორც მას ბაგშვიბიდანვე შესისხლხორცებული აქვს, რაც ასე ვთქვათ, „ქვალსა და რბილში აქვს გამჯდარი“.

ტაბუ გარკვეულწილად ზრდილობასთან ასოცირდება. ადამიანმა იცის, რომ არის რაღაც, რაც არ უნდა ითქვას ყველას თანდასწრებით. ასე რომ არ იყოს, არ იქნებოდა იდიომატური გამოთქმები, რომლებიც უხერხულობის, უტაქტობის თავიდან აცილებაზე მიუთითებს და აზრობრივ-შინაარსობრივად იდენტურია სხვა ენებშიც. ასე, მაგალითად, გერმანულ იდიომებს, რომლებიც უტაქტო შენიშვნებით, უადგილო გამონათქვამებით გამოწვეულ განაწყენებას გამოხატავს,

ანალოგიურ ფორმები აქვს ქართულშიც: ins Fettäpfchen treten (bei jmdm.); jmdm. auf die Hühnenaugen treten; jmdm. Auf den Schlipス treten – მტკივნეულ ადგილს შეეხო; იარაზე, მტკივნეულ ადგილზე ფეხი დააბრკო. აქედან გამომდინარე, ყველა კულტურაში არის რაღაც, რაც არ ექვემდებარება გამჭვინებას, სააშკარაოზე გამოტანას, რაც გასაიდუმლობულია. ლევისი აღნიშნავს: „საკუთარ კულტურაში ჩვენ გვაქვს ქცევის კოდექსი, რა არის სწორი და რა არის მცდარი, მისაღები ან არმისაღები, საპატიებელი და არსაპატიებელი. და ეს კოდექსი, რომელიც მშობლებმა და მასშავლებლებმა გადმოგცეს, შეიცავს არა მარტო საფუძვლიან ღირებულებას, არამედ წარმოადგენს ყველა ცხოვრებისული კორექტური ქცევისა და შეხედულებების განაწესს და იმისდა მიუხედავად, იქცევა იგი კანონად თუ არ იქცევა, არ შეიძლება იგი საკუთარ საზოგადოებაში უშედეგოდ და დასჯის გარეშე დარჩეს. არ შეიძლება მისი დარღვევა“ (ლევისი, 1996, 164).

ტაბუდადებული თემები და ხშირად ქცევებიც მშობლიურსა და არამშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთა შორის კომუნიკაციის არ შედგომის, მისი ჩაშლის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს. ტაბუდადებული თემებისაგან გამოწვეული კომუნიკაციის არშედგომის მიზეზები უცხო კულტურათა მიმართებაში ზოგჯერ შეიძლება უფრო მძიმე შედეგობრივი აღმოჩნდეს, ვიდრე მშობლიურ კულტურაში, რადგან ის, ვინც ტაბუდადებულ არგვებს, ის შეგნებულად არ მოქმედებს ასე, არამედ მას აკლია საჭირო კომპეტენტურობა ამ საკითხში.

რა არის ტაბუ? იგი პოლინეზური სიტყვაა (*tapu* “Ta pu”) და მიეკუთვნება იმ იშვიათ სიტყვებს, რომელებმაც სამხრეთ სანაპიროების ენებიდან გავრცელება პოვეს დასავლურ ცივილიზაციის ენებში. სიტყვა „ტაბუ“ 1777 წ. ინგლისში ჯეიმს კუკმა შემოიტანა, საიდანაც იგი სწრაფად გავრცელდა სხვა ქვეყნებში. ბეტცი აღნიშნავს, რომ გარდა ეგზოტიკური ქლერადობისა, მის გავრცელებას ხელი შეუწყო საჭირო სიტყვების უქონლობით გამოწვეულმა ვაკუუმმა, რაც დასავლური ცივილიზაციის ენებში არსებობდა (ბეტცი, 1978, 141). გერმანულ ენაში იგი 1851 წელს მაიერის „conversations-lexikon“-ში დაფიქსირდა და მან ნაყოფიერი წვლილი შეიტანა ბუნებრივი ენებისა

და კულტურათა კვლევის საქმეში. ფაქტიურად არ არსებობს ხალხი და არც კულტურის რომელიმე სფერო, რომლისათვის გვერდი აევლო ტაბუს შიშისმომგვრელ და ზიანის მომგვრელ გავლენას. მოგვიანებით ფრინიდის ნაწარმოებში „Totem und Tabu“ ცნებამ „ტაბუ“ საბოლოო ადგილი დაიკავა „კულტურის მატარებელი ხალხის დისკურსში“.

არც ადრე არსებობდა და არც ახლა არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ითარგმნოს ეს სიტყვა სხვა ენაზე. ზოგადად გავრცელება პოვა სიტყვის ორმა ძირითადმა მნიშვნელობამ: „heilig“ (წმინდა) და „verboten“ (აკრალვა), სადაც გაურკვეველია, რომელია უფრო ძველი მნიშვნელობა. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ სიტყვა „აკრალვის“ მნიშვნელობით უფრო ძველია, ზოგიერთი პირიქით, უფრო ძველი მნიშვნელობის სტატუსს „წმინდას“ ანიჭებს. ფრინიდი კი ტაბუს ერთდროულად, როგორც „წმინდას“, ისე „არაწმინდას“ უკავშირებს, რადგან ტაბუ მისი აზრით, მასში აღნიშნულ ცნებას უკვე აღარ აღნიშნავს (ფრინიდი, 1974, 315). ტაბუს ძირითად მნიშვნელობას თანამედროვე სამეტყველონირმებში, ისე როგორც კულტურის შემსწავლელ დისციპლინებში, ძალიან ცოტა აქვთ საერთო სიტყვის გავრცელების სფეროს იმ კონცეპტთან, რომელიც დაკავშირებული იყო საკრალურ სფეროსთან, მაგრასთან, დემონების არსებობის რწმენასთან და ა.შ.

გასული საუკუნის მკვლევრები გენეტიკურად ერთმანეთთან აკავშირებენ რელიგიურ ტაბუს და ევფემიზმებს (ბერძ. eu „კარგად phem ვმეტყველებ“). ადამიანებს ჰქონდათ შიში ბუნების მიმართ, გარკვეულ მოქმედებებს და ფაქტებს ცრუმორწმუნენი დღესაც უკავშირებენ ისეთ საკითხებს, რაც აუსანელი რჩებოდა მათთვის. ასე გაჩნდა ენაში თავის დროზე არსათქმელისა და არგასაკეთებლის გამოსახატავად მათი შემცვლელი სიტყვები და შესიტყვებები, რომლებსაც შემდეგ ევფემიზმები დაუბირისპირდა. ასე მაგალითად, გერმანულ ენაში და ანალოგიურად ქართულშიც არის გამოთქმები: *der Allwissende, der Allmächtige, der himmlischer Richter* (ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე, ზეციური მსაჯული და სხვ.). ისინი ასახვას პოულობენ კლასიკოსების ნაწარმოებებში: *Wenn du von deinem himmlischen*

Richter dich nicht mehr genierst? (H.Mann). გერმანულ ენაში შიშის დაძლევის მიზნით შექმნილი ეფექტური მებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია სიკვდილთან დაკავშირებული სიტყვები: Vetter Hein, Knochenmann, Sensenmann, Trennung, Hinscheiden, Ableben, Heimgang, Hinritt, Hingang და სხვ. ასე შეიქმნა ქართულშიც გარდაიცვალა, უფალს სული მიაბარა, სული განუტევა და სხვ. ტაბუდადებულის შესანაცვლებლად შეიქმნა ქართულში გველის ხსნების სანაცვლოდ — უხსესებელი. ასეთი ტიპის სიტყვები და შესიტყვებები, შექმნილი თავის დროზე სამეტყველო ტაბუს თავიდან აცილების მიზნით, დაფიქსირებულია ენაში და ყველასთვის მისაღები და გასაგებია. დღეს ტაბუს ძალიან ცოტაა აქვს საერთო ამ კონცეპტის გაფრცელების პირველ მნიშვნელობასთან. შეიმჩნევა ამ ცნების რეპერტუარში სამეტყველო ნორმებში მნიშვნელობის გადაწევა. ზაიბელი აღნიშნავს ამის შესახენ: ისეთი ეგზოტიკური სიტყვა, როგორიცაა ტაბუ, წყდება თავის კონტექსტს, ტრანსფორმირდება კულტურის წრეში ახლებური, სახეშეცვლილი სახით და იყავებს არასაკმარისი სამეტყველო საშუალებებით გამოწვეულ ცარიელ ადგილებს სპეციფიკურ ჯგუფისთვის დამახასიათებელ აკრძალვითი ხასიათის სტრუქტურებში“ (ზაიბელი, 1990, 75).

ტაბუს კვლევის სფეროებიდან გამოყოფთ ინტერკულტურულ მიმართულებას, რომელშიც ვერბალურ და არავერბალურ ტაბუს გამოყოფენ. არავერბალური ტაბუ გაიგება როგორც ნაწილი რომელიმე კოლექტივისა, რომელიმე ჯგუფის სოციალური კოდექსი, რომელიც ადგენს რომელი მოქმედება და ქცევის ნორმა არ შეიძლება იქნას დაშვებული. ვერბალურ ტაბუს მიეკუთვნება, ერთი მხრივ, თემები, რომელზეც არ ლაპარაკობენ, ან მხოლოდ გარკვეული ეტიკეტის დაცვით იყენებენ კომუნიკაციაში. მეორე მხრივ, ესენი არიან სამეტყველო გამონათქვამები, რომელსაც ერიდებიან და არ იყენებენ კომუნიკაციაში ან ცვლიან ეფექტიზმებით.

ტაბუს ინტერკულტურული კვლევის საგანია: ა) მოქმედების ნეგატიური კონვენციები (მოქმედების ტაბუ: „ამას არ აკეთებენ“) ბ) თემები, რომელსაც არ ეხებიან; (კომუნიკაციური ტაბუ: „ამის შესახებ არ ლაპარაკობენ“) გ) ეტიკეტდადებული თემები: „ამის შესახებ

მხოლოდ ასე ლაპარაკობენ“), დ) სამეტყველო გამონათქვამები, რომელსაც ერიდებიან: „ამას არ ამბობენ“) ე) გრაფიკული ხასიათის ტაბუ, რომელიც ეხება ობიექტებისა და თემების სიმბოლურ შეხების საკითხს. იგი ყოველთვის ნათელ სურათს ვერ იძლევა, რადგან არის თემები, რომელიც ვერბალურად შეიძლება გამოიხატოს, მაგრამ მისი გრაფიკულია ასახვა ტაბუდადებულია (მაგალითად, ძალაუფლება, სიკვდილი, სექსუალური ძალადობა). მიუხედავად იმისა, რომ დღეს ადამიანებს მეტი შესაძლებლობა აქვთ „მიიღონ მხედველობაში ტაბუ ან არ მიიღონ“ (ლუხტენბერგი, 1999, 69), მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ყველა კულტურის ყველა სფეროში ერთნაირი შეხედულება არსებობს იმის შესახებ, თუ რას შეიძლება შეეხოთ, რას არა, რაზე შეიძლება და რაზე არ შეიძლება ყურადღების გამახვილება და ა. შ. საზოგადოების პრობლემა და პირველ რიგში ინტერკულტურული კომუნიკაციის პრობლემა ისაა, რომ წესები ტაბუს შესახებ და ევფემიზმების გამოყენება უკვე არაერთგვაროვნად შეიძლება იქნეს ფორმულირებული. აქ ბევრი რამ არის ყურადღალები: ეროვნული ტრადიციების გათვალისწინება (სიკვდილის, გლოვის, მიცვალებულის დატირების, სექსუალურ ორიენტაციის განსხვავებული ინტერპრეტაციის და სხვ.).

რა ნიმან-თვისებები და ფუნქცია გააჩნია ტაბუს? — კომუნიკაციაში ჩართულ, ენობრივ თუ მოქმედებაში გამოხატულ ტაბუს ძირითადი ნიშანია ის, რომ უმეტესწილად იგი ექსპლიციტურად ფორმულირებული არაა, იგი არაა იურიდიულად აკრძალული და გრამატიკული წესით კოდირებული. ტაბუს როცა არღვევს ადამიანი, იგი სასხელს კი არ ელის, არამედ აქვს დანაშაულისა და უხერხულობის გრძნობა საკუთარი თავის მიმართ. მიუხედავად ამისა, ზუსტი გამიჭვნა ტაბუსა და აკრძალვას შორის მაინც შეუძლებელია. ტაბუს ფუნქცია ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ სოციალური ქმედება საზოგადოების ნორმებს შეესაბამებოდეს. ვერბალური ტაბუს ძირითადი ფუნქცია არავერბალურთან მიმართებით არის ის, რომ მსარი დაუჭიროს აბსოლუტურად ტაბუდადებულ მოქმედებას: ამის შესახებ არ ლაპარაკობენ, ამას არ აკეთებენ; შეეცადოს დაფაროს ტაბუდადებუ-

ლი მოქმედება რაღაცის შენაცვლებით. მაგალითად, გერმანიაში პოლიტიკასა და ეკონომიკის სფეროში ასეთი სახის შენაცვლებას აკეთებენ: *spendieren Schmiergeld*-ის, ხოლო *Operation — Krieg* — ნაცვლად. ასეთი ტიპის შენაცვლებები ყველა ენაში მოიპოვება, თუმცა თანამედროვე ეპოქაში უკვე ძნელია მოიძებნოს მათრად ტაბუდადებული საკითხები. ჰარტმანი აღნიშნავს, რომ აშკარად სულ უფრო და უფრო განვითარებულ საზოგადოებაში ვიმყოფებით, სადაც ისტორიული თვალსაზრისით აღარ არსებობს ენობრივად გავლენის მომზდენი ტაბუდადებული სიტყვები (ჰარტმანი, 1990, 148). საქართველოში ჯერ კიდევ ტაბუდადებულად თვლიან სექსუალურ საკითხებზე აშკარად და მოურიდებლად საუბარს, ტაბუდადებულ მოვლენად მიიჩნევენ ჰომოსექსუალობას. თავშეეავებას ამჯობინებენ უფროსების თანდასწრებით უხერხეულ თემებზე, ყოფილ შეყვარებულებზე, პარტნიორებზე საუბრისას და ა.შ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტერკულტურულ კომუნიკიის დროს ტაბუ თემებს. ყველა კულტურაში მოიპოვება ე.წ. „გარანტირებული თემები“, რომლებზეც უპრობლემოდ შეიძლება ყველა სიტუაციაში ლაპარაკი და ტაბუდადებული თემები, რომლებზეც არ ლაპარაკობენ. ამერიკელები ყველაზე ხშირად გამოყენებად თემებად თვლიან სექსზე, რელიგიზე, პოლიტიკაზე საუბარს, რომლებსაც გერმანელები თავს არიდებენ. გერმანელები თავს არიდებენ გრძნობების გამუღავნებას, საკუთარ პრობლემებზე საზოგადოდ საუბარს, რაიმე პოზიციის დაკავებას და ა.შ.

არანაკლებ პრობლემებს ქმნის ტაბუდადებული თემები უცხო ენის გაკვეთილზე. გაკვეთილის სიტუაციაში გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის ზოგიერთი სახის საუბრების ანალიზი, რომელიც შეიძლება ერთ კულტურაში უპრობლემო იყოს, მაგრამ სხვა კულტურაში ნეგატიურ გამოძახილს პოულობდეს, რადგან იგი ტაბუდადებულ სფეროს განეკუთვნება. კნიფუას მოჰყავს მაგალითი ერთ-ერთი გერმანული ენის სახელმძღვანელოდან, სადაც ქალის სახელი „მონიკა“ საუდის არაბეთში ჰომოფონურად უწესო ქალთან ასოცირდება და ამიტომ ისინი ერიდებიან ამ სახელის წარმოთქმას გაკვეთილზე და მი-

მართავენ სხვა საშუალებას.

არავერბალური საშუალებებით გამოხატული ტაბუ შეიძლება უსტითაც აღინიშნოს, რადგან თუ იგი ერთ კულტურაში ნეიტრალურ და პოზიციურ მნიშვნელობას აღნიშნავს, მეორეში პირიქით, ტაბუდადებული იყოს. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული თითით გამოხატული უსტი „alles ist okey“, რომლის მეშვეობითაც ცერი და საჩვენებელი თითი წრეს მიანიშნებს, სხვა ქვეყანაში შეიძლება შეურაცხმელფერი მნიშვნელობას ატარებდეს. საფრანგეთში მაგალითად, ამით გამოხატავენ: „შენ ნული ხარ“, ხოლო საბერძნეთსა და თურქეთში იგი ულგარული სექსუალური მოწოდებაა და ა.შ.

საქართველოში გავრცელებული უსტი, როცა მმაკაცები ხვდებიან ერთმანეთს და ჩვეულებრივ გადაეხვევიან, გადაკოცნიან ერთმანეთს, ევროპელებისათვის მიუღებელი და გაუგებარია, რადგან ისინი თვლიან, რომ ერთი სექსის წარმომადგენლები ერთმანეთს არ უნდა კოცნიდნენ. ჩვენთვის კი გაუგებარია ის მოტივი, რაც მასში დევს: ისინი ხედავენ ამაში ერთი სექსის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ურთიერთობის მიმანიშნებელ ელემენტს, რაც ჩვენთვის გაუგებარია. სამაგიეროდ, ჩვენთვის მიუღებელია ცხვირის მოწმენდის ის „ხმაურიანი“ წესი, რასაც ევროპელები ჩვეულებრივად თვლიან.

არსებობს ისეთი კონტაქტური სიტუაციები, სადაც ერთი კომუნიკატორი საუბრისას მოულოდნელად შეხვდება ე.წ. „interlingual Taboos“ — (მოიაზრება ისეთი ტაბუდადებული გამონათქმები, რომელიც ორივე ენაში გრაფიკულად და ვოკალურად ერთნაირია, მაგრამ განსხვავებული შინაარსი აქვს) ან ე.წ. „intercultural taboos“ (როცა ორივე ენაში ენობრივი ფორმები სხვადასხვაა, მაგრამ მათი სიმბოლიკა ერთ-ერთ ენაში ტაბუდადებულია და შესაბამისად, სიტყვა დაკავშირებულია ნეგატიურ ასოციაციებთან (რიცხვები, ფერები, ცხოველები ფრინველები და ა.შ.). მაგალითად, 13 რიცხვი ბევრ ქვეყანაში არაბედნიერ რიცხვთან ასოცირდებას (ზოგიერთ სასტუმროს ნომრებს არ აქვთ ნომერი 13, თვითმფრინავში აკლია მე-13 რიგი და ა.შ.). 4 რიცხვი არაბედნიერ რიცხვად ითვლება ჩინეთსა და იაპონიაში, რადგან იგი ჰომოფონურია ამ ენებში სიკვდილის აღმნიშვნელ

სიტყვასთან. სხვადასხვა კულტურაში განსხვავებული სიმბოლიკა აქვს ფრინველებსა და ცხოველებს. სინგაპურელი ბავშვისთვის ისეთი რაღაცის ჩუქება, რაზეც წეროა გამოსახული ფატალური იქნებოდა, რადგან იგი სიკვდილის აღმნიშვნელია, როცა გერმანიაში იგი პირიქით, ბავშვის დაბადებას და ბედნიერებას უკავშირდება. ინტერკულტურულად ტაბუდადებული სიტყვაა გერმანული „Kippe“ (ნამწვავი), რომელსაც ამერიკაში „fag“ შეესიტყვება, მაგრამ იგი „Schwuler“ „მამათმავალ“-საც აღნიშნავს. ასეთი უამრავი მაგალითების მოყვანა შეიძლება. მთავარი კი ისაა, ვიცნობდეთ იმ ენობრივ სკრიპტებს, რომლებიც საჭიროა წარმატებული ინტერკულტურული კომუნიკაციისთვის, რადგან მიუხედავად განსხვავებული წარმოდგენებისა და განაწესებისა, პიროვნებებზე დიდად არის დამოკიდებული რამდენად მოქნილად და მარჯვედ შეძლებენ ისინი უხერხულობის თავიდან აცილებას და ურთიერთგაგებას.

გამოკითხვის თანახმად, ახალგაზრდების გარკვეული პროცენტი თვლის, რომ საჭართველოში დღეს ტაბუდადებული თემები არ არსებობს. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება პირობითია, რადგან ტაბუდადებული თემები ყველა კულტურაშია და მიგვაჩნია, რომ ტაბუ არის, ერთი მხრივ, სწორედ კულტურული კოდის მაჩვენებელი, კულტურის თვითმყოფობის შენარჩუნების ერთ-ერთი პირობა. მეორე მხრივ, იგი ზრდილობასთან ასოცირდება და ამით ინარჩუნებს უკანდახევის, დისტანციურობის, ეტიკეტის დაცვის ფუნქციას.

ამრიგად, ტაბუდადებულ თემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კულტურათშორის კონტაქტურ სიტუაციებში, რადგან იგი ქნის კულტურის ქცევის დაკვირვების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს. ინტერკულტურულად ორიენტირებული სწავლებისას მნიშვნელოვნია გარკვეული სტრატეგიების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს ტაბუდადებულ თემებზე საუბარის. არ შეიძლება სამეტყველო და სოციოკულტურულ გაუგებრობაზე საუბარი. კომუნიკატორების კომპეტენციასა და მოქნილობაზეა დამოკიდებული ტაბუდადებული თემების ირგვლივ საუბარზე თავის არიდება. ტაბუდადებული მიმართვები ნათელს ფენს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ერთი

მხრივ, ტაბუ-ფენომენის მიმართ დიდი დახვეწილობისა და სიფაქიზის გამომუშავება, მეორე მხრივ, ტაბუ – დისკურსისთვის ენობრივი ნორმების დამუშავება და განვითარებისთვის ხელის შეწყობა. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტაბუდადებული თემების სწავლება ეთიკის ნორმებს, პირველ რიგში კი ზრდილობას უკავშირდება.

ლიტერატურა

ბეტცი, 1978 — Betz, Werne: Tabu-Wörter und Wandel, in Meyers Enzyklopädisches Lexikon. . Mannheim u.a.S 142-144

ზიგმუნდი, 1974 — Freud Sigmund. Totem und Tabu. Einige bereinstimmungen im Seelenleben der Wilden und der Neurotiker. Studienausgabe. Band IX. Frankfurt a.m.

ჰარტმანი, 1990 — Hartmann, Dietrich: Sprache und Tabu heute. In: Osnabrücker Beiträge zur sprachtheorie 42 S. 137-159.

ლუქტენბეგი, 1997 — Luchtenberg. Sigrid. Euphemismen im heutigen Deutsch. Mit einen Beitrag zu Deutsch als Fremdsprache Fr.a. M. 1985

მალეცკე, 1996 — Maletzke, Gerhard. Interkulturelle Kommunikation. Zur Interaktion zwischen Menschen verschiedener Kulturen. Opladen.

ლევისი, 1996 — LLewis, Richard .Handbuch Internationaler Kompetenz. Mehr Erfolg durch den richtige Umgang mit Geschäftspartner Weltweit. Verlag Frankfurt a. M New York

შროდერი, 1995 — Schröder, Hartmut: Tabuvorschung als Aufgabe interkultureller Grammatik. In: Jahrbuch Deutsch als Fremdsprache 21. S. 15-35.

ზაიბელი, 1990 — Seibel, Karin: Zum Begriff des Tabus. Eine Soziologische Perspektive. Universität. Frankfurt a.M .

ულმანი, 1962 — Ullmann, Stephan: Semantics. Introduction to the Science of Meaning. Oxford University.

ვაგნერი, 1991 — Wagner, Hans. Medien-Tabus und kommunikationsverbote. Die manipulierbare Wirklichkeit. München.

NANA STAMBOLISHVILI, LIA PARTENADZE

Verbal and Non-Verbal Taboo in the Discourse of Native Speakers**Summary**

Taboo studies are an essential tool for investigating patterns of cultural behaviour. As is known tabooed/unsafe topics acquire particular significance in intercultural communication. Since the issue of safe /unsafe topics is closely linked with ethic norms and politeness values, it is of particular relevance to include the given issue in culture-oriented language teaching. The aim of the teaching in question is to develop tolerance in learners towards taboos in a foreign as well as in their native culture, to equip them with verbal and non-verbal patterns of adequate behaviour that might be of use in intercultural situations.

ნათალია სურიშვილი

**პარეშიათა გარდანტებისა და სინონიმების პლეის
ფრანგულ და ქართულ ენებზე**

პარეშიათი ენის ფუნქციონირების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. თავიანთი სტრუქტურით ისინი მეტყველების სიმბოლური ერთეულებია, რომლებიც მორალურ და უტილიტალურ ნორმებს გამოხატავენ. ეს ნორმები სხვადასხვა კულტურებში შეიძლება ემთხვეოდნენ ერთმანეთს ან დიამეტრულად გასხვავდებოდნენ. ფრანგული და ქართული ანდაზების შედარებისას დასაშვებია აღმოჩნდეს მსგავსებები და განსხვავებებიც, რომლებიც უთუოდ მოცემული კულტურების მახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ.

ფრანგული ანდაზების ქართულად თარგმნისას არსებობს ვარიანტულობის ფართო განვითარება, რაც ენის გამდიდრებისა და განახლების უმნიშვნელოვანესი წყაროა.

მოცემული სტატია ეხება ანდაზების ვარიანტებისა და სინონიმების კვლევას ფრანგულ და ქართულ ენებში. მათ წარმოქმნას საფუძვლად უდევს ცვლილებები ლექსიკურ შემადგენლობაში. ეს ვარირების ყველაზე მეტად გაფრცელებული ტიპია, რომელსაც ახასიათებს მთელი რიგი ლექსიკურ-სემანტიკური კანონზომიერებები. ჩატარებულმა ანალიზმა დაგვანახა, რომ პარეშიათი ვარირებისადმი ლექსიკური კომპონენტებისათვის ნიშანდობლივია: 1. ხატის ერთიანობა; 2. საერთო დენოტატურ-სიგნიფიკატური შინაარსი; 3. ენაში შესრულებული ფუნქციისა და კატეგორიალური (ლექსიკურ-გრამატიკული) მნიშვნელობების დამთხვევა.

ანდაზების ვარიანტებისაგან განსხვავებით კი პარეშიათი აგებულია სხვადასხვა ხატის ბაზაზე, რომელთაც საერთო კლასები და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სპეციფიკური სემები გააჩნიათ.

პარეშიათა ვარიანტების პირველი ნიშანი — ხატის ერთიანობა

ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშანია, რომელიც მათ განასხვავებს სინონიმებისაგან. ამას გარდა, სწორედ ამ ნიშანს, როგორც სემანტიკურ ინგარიანტს ენიჭება წამყვანი როლი ანდაზის იგივეობის შენარჩუნებაში ყველა მისი ლექსიკური თუ სტრუქტურულ-გრამატიკული მოდიფიკაციებისას.

მეორე ნიშანი — დენოტატურ-სიგნიფიკატური (საკუთრივ აზ-რობრივი) შინაარსი გულისხმობს ანდაზის ვარიანტების სემანტიკურ ტოლფას, თუმცა ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ექსპრესიულობითა და სტილისტური შეფერილობით. თუ პარემიული ვარიანტები ერთი და იმავე ანდაზის სხვადასხვა ფორმებია, ანდაზური სინონიმები დამოუკიდებელი ერთეულებია.

მესამე ნიშანში იგულისხმება პარემიული ვარიანტების მიერ ენაში შესასრულებელი ფუნქციებისა და მათი კატეგორიალური /ლექსიკურ-გრამატიკული/ მნიშვნელობების თანხვდებილობა. თუ რომელ კლასს უნდა მივაკუთვნოთ ისინი თავიანთი სტრუქტურით, სუბსტანტიურს, აღიერებულს, ზმნურსა თუ კომპარატიულს.

ვარიანტების წარმოქმნას საფუძლად უდევს ცვლილებები ლექსიკურ შემადგენლობაში. ეს ვარირების ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპია, რომელსაც ახასიათებს მთელი რიგი ლექსიკურ-სემანტიკური კანონზომიერებები, რაც გამოწვეულია იმით, თუ რამდენად და რა ფორმით არსებობს ან ითარგმნება ესა თუ ის ანდაზა ფრანგულიდან ქართულში.

პარემიული ზოონიმები და ფიტონიმები წარმოადგენენ სამყაროს ენობრივი სურათის პროდუქტს, რომელიც აისახება ადამიანის სულიერ სამყაროში და სინამდვლის ეროვნულ აღქმაში.

თითოეული ერის ენაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა მყარი გამონათქვამები, რომელთაგან ერთ-ერთ ვარიაციას პარემიები წარმოადგენს. ეს მინი-ტექსტები, თავიანთი ფორმითა და შინაარსით, ფოლკლორულ ტრადიციებში აღქმულია როგორც ფოლკლორის ერთ-ერთი ჟანრი. ხალხური გამონათქვამი და ანდაზები გადმოსცემენ საუკუნეების განმავლობაში ხალხთა მიერ დაგროვილ სიბრძნეს, ფილოსოფიასა და მათ ისტორიას.

ჩვენ მიერ მოძიებულმა მასალამ დაგვანახა, რომ პარემიების ვარირებისადმი ლექსიკური კომპონენტებისათვის ნიშანდობლივია სემანტიკური თანაფარდობა, ანუ ვარირებად, კომპონენტებს შორის სინონიმური მიმართება.

ზოონიმით ნაწარმოები პარემიული ვარიანტები ასახელებენ:

1. ინტერაქტიულობას:

Chien hangreux a toujours l' oreille déchirée — ავმა ძალომა არც თვითონ ჭამა და არც სხვას ჭამა; ავის მქნელს ავი დაემართება; ავის მქნელი თავისი თავისი მტერიაო.

Chat échaudé craint l'eau froide(დამდუღრულ კატას ცივი წყლის ეშინა) - შეშინებული ძალით მთვარეს უყეფდათ; რძისგან შეშინებული დოს უბერავდათ.

Quand le chat n'est pas là, les souris dansent= უძალლო ქვეყანაში კატის აყელებდნენ

2.თანაბარ წინააღმდეგობას: à bon chat, bon rat= se dit quand celui qui attaque trouve un antagoniste capable de lui résister= équivalent géorgien=თუ კატა მკვირცხლია, არც თავგია დონდლონ; თუმცა კატა მარდია, თავგიც დამბლა როდიაო.

3. გულგრილობას: Acheter chat en poche= ზღვაში თევზი ვის დაუფასებიაო.

4. შეუძლებლობას: c'est le nid d'une souris dans l'oreille d'un chat= გირი ხბოს რომ მოიგებს, თევზიც საძოვარზე გაიგზავნებაო.

5. უმადურობას: A cheval donné on ne regarde pas la bouche= ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო.

6. უბედობას: A cheval maigre vont les mouches= კაცი ხიდან ჩამოვარდა და ძირს გველმა უკბინაო.

7. თავდაცვას: A chien qui mord il faut jeter des pierres = მეტენარა ძალს ქვა უნდა ესროლონ

8. ინდივიდუალობას: A chaque oiseau son nid est beau= ყვავსაც თავისი ბახალა მოსწონსო, ბუს თავისი ბახალა ფარშავანგზე ლამაზი ჰერონიაო, ყველა მელას თავისი კუდი მოსწონსო.

9. ჩვევის სიმტკიცეს: A laver la tête d'un âne on perd sa lessive= ღორი აბდენიც უნდა ბანო, ისევ ლაფში ჩაწვებაო; ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუბა და გუბეში ჩახტაო; არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა.

ფიტონიმებით ნაწარმოები პარემიები ასახლებენ:

1. მოთმინებას: Avec le temps et la paille les nèfles (=ზღმარტლი) mûrisse= ქართული ეკვივალენტი — მოთმინება და შრომა ყველაფერს აადვილებსო.

2. შედეგს: Bon champ sème, bon blé rapporte, bon fruit vient de bonne semence= ქართული ეკვივალენტი — რასაც დათეს, იმას მოიმქიო; კარგი ხე, კარგ ნაყოფს იძლევაო.

3. მოჩვენებას, სიმულაციას: Belle vigne sans raisin ne vaut rien= ქართული ეკვივალენტი- შორიდან მტერს მოუკლავს გულს, ახლოდან მოყვარესაო.

4. არარაობას: Cela ne vaut pas un trognon de chou= ქართული ეკვივალენტი — კომბოსტოს მურკადაც არ ღირს.

5. მუქთახორობას, სიზარმაცეს: Celui qui travaille mange la paille, celui qui ne fait rien mange le foin= ქართული ეკვივალენტი — ერთი არის მთხველიო, ოცდახუთი მცოხელიო.

6. შედეგს: c'est au fruit qu'on connaît l'arbre, on reconnaît l'arbre à ses fruits= ქართული ეკვივალენტი- ხე ნაყოფით იცნობაო. La racine du travail est amère, mais son fruit est doux = ქართული ეკვივალენტი — სწავლის ძირი მწარე, არის კენჭეროში გატებილდებას

7. უვიცობას: Jeter(semier) des marguerites devant les pourceaux= ქართული ეკვივალენტი — ვირმა რა იცის ხურმა რა ხილიაო

8. ერთგვაროვნებას: La pomme ne tombe pas loin du tronc, le fruit ne tombe jamais loin de l'arbre= ქართული ეკვივალენტი — როგორიც ტყე, ისეთი ნადირიო, ნაყოფი ხისგან შორს არ ვარდებაო, რაც ქოთანი, ის ყვავილიო.

9. ტოლერანტობას: Le fruit pourri ne pourrit pas l'arbre= ქართული ეკვივალენტი — ერთი გონჯი ყველა ოჯახში არისო

10. Le concept d'opportunité: Le semer et la moisson ont leur temps et leur saison= ქართული ეკვივალენტი — ბალს ქერქი მაშინ გააძრე, როდესაც გაეცლებაო

11. სიხარბეს: Les arbres empêchent de voir la forêt= ქართული ეკვივალენტი — თხამ კომბოსტო დაინახა და ღობე ვერაო.

12. დაბრკოლების გადალახვას: Pas de vie sans épines= ქართული ეკვივალენტი — ვარდი უკლოდ არავის მოუკრეფიაო

13. სიფრთხილეს: Souvent la plus belle pomme est vêreuse ; entre l'arbre et l'écorce, il ne faut pas mettre le doigt = il ne faut pas juger de l'arbre par l'écorce; Tout bois n'est pas bon à faire flèche= ქართული ეკვივალენტი — ყველა ხისგან ისარი არ მზადდებაო, შორიდან მტერს მოუკლავს გულს ახლოდან კი მოყვარესო.

14. უარყოფით შედეგს : Qui sème les épines, recueille les charbons= équivalent géorgien = ვინც ეკალს თესაგს ეკალსვე მოიმქისო. A chemin battu, il ne croit point d'herbe = ქართული ეკვივალენტი — გათელილ გზაზე ბალახი აღარ ამოდისო

ესა თუ ის ერი თავისი არსებობის მანძილზე აკვირდებოდა გარემოს, ბუნებას, ქმნიდა ასოციაციებს და გადასცემდა თაობებს სიბრძნეს, მორალსა და რჩევებს. აღსანიშნავია ის, რომ მსგავსება და დამთხვევა ზოონიმური ანდაზებისა ორივე ენაში საქმაოდ მრავალ-რიცხვანია. მაგრამ საჭიროა ითქვას ისიც რომ ზოონიმებით ნაწარმოები ბეგრი ფრანგული ანდაზა ქართულში ცხოველთა სახელებით არ არის შედგენილი ან კიდევ ჩანაცვლებულია სხვა ცხოველით.

მაგ. :

1. Rejeter le moucherons et avaler le chameau = ქართული ეკვივალენტი — თუ კაცსა არ სწავია, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო(cela veut dire: si quelqu'un ne veut pas on ne peut rien voir) exprime l'ingratitude.

2. Réchauffer un serpent dans son sein = ქართული ეკვივალენტი — ავმა რა ქნა ავის მეტიო = cela veut dire qu'un homme méchant ne fait que la méchanceté.

3. Parole de saints et griffes de chats = ქართული ეკვივალენტი — უჩინარი მტერი მოსულ მტერზე უარესიაო= cela veut dire que l'ennemi anonyme est beaucoup plus dangereux que l'ennemi visible (attaquant)

4. On n'a jamais vu chèvre morte de faim = ქართული ეკვივალენტი
— მშიერი ყველაფერს ჭამსო, თუ კი გშია ზაქარია ცივი მჭადიც შა-
ქარია cela veut dire qu'un homme affamé peut manger tout.

ჩანაცვლებულია სხვა ზოონიმებით :

1. Bon chien chasse de race = ძვითი გვარზე ხტისო
2. Bon lièvre vient toujours mourir au gîte= ჩიტი სადაც გაიზრდება,
მისი ბალდადიც იქ არისო.

3. Brebis qui bête perd sa goulée= მოკაკანე კაკაბი მახში ჩავარდე-
ბაო

4. Ce n'est pas sa faute si des grenouilles n'a pas de queue= ნიკორა
გაატყავს — რატომ დედა არა გყავსო.

5. C'est là que gît le lièvre= აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარ-
ხულიო

6. Absent le chat, les souris dansent= ბედაურები დაწყდაო, ვირს
მოედანი დარჩაო, უძალლო ქვეყანაში კატას აყეფებდნენო

7. Acheter chat en poche = ზღვაში თევზი ვის დაუფასებიაო

8. Faire d'une mouche un éléphant = რწყილს კამეჩად მოგაჩვენებ-
სო

9. Les loups peuvent perdre leurs dents, mais non leur nature= გველ
რომ შვიდი ტყავი გააძრო, მაინც გველიაო.

10. Les loups ne se mangent pas entre eux = ძაღლი ძაღლის ტყავს
არ დახევსო

როგორც ვხედავთ, ამ ანდაზებში სემანტიკური ეკვივალენტობა
იგივეა, მაგრამ ფრანგულ ვარიანტში მოცემული ცხოველები ქარ-
თულში შეცვლილია სხვა ცხოველებით:

1. ძაღლი კვიცით 2. კურდღელი ჩიტით 3. ცხვარი ხობით 4.
ბაყაყი ძრობით. 5. კურდღელი ძაღლით. 6. კატა და თაგვი ჯიშიანი
ცხენითა და ვირით. 7. კატა თევზით. 8. ბუზი რწყილით და სპილო
კამეჩით. 9. მგელი ძაღლით. 10. მგელი გველით.

შეგვხდა ასევე ინვერსიული ვარიანტებიც, როცა ქართული ზო-
ონიმური ანდაზების ფრანგულ ვარიანტში საერთოდ არ არის მოცე-

მული ცხოველთა სახელები:

1. კატა(le chat) ჩაარტყეს ძეხვით — დამეცა კარგი მეხიო=A qu-
elque chose malheur est bien

2. მგელს(le loup) მგლურად დაუხვდი და მელას(le renard) მელუ-
რადაო=A tout seigneur, tout honneur

3. მგლისთვის(le loup) ცხვარი(le mouton) ვის მიუბარებიაო=Au
plus larron la bourse.

4. თუნდ მგელმა შეიტამოს, თუნდ მგლის შვილმაო=Autant vaut bi-
en battre que mal battre, autant vaut bien être mordu d'un chien que d'une chi-
enne.

5. ველსა (le serpent) ხვრელით ამოყვანს ენა ტკბილად მოუბა-
რი=Bon accueil vaut bien un mets.

6. ვირს (l'âne) თუ მოშივდა, სირბილში ცხენიც(le cheval) ვერ
აჯობებსო=Besoin fait la vieille trotter.

7. დაკარგული ძროხა(la vache) ბევრს იწველიდაო=Bien perdu, bien
connu.

8. ძაღლი(le chien) საყასბოს არ მოშორდებაო=Celui louer de qui le
pain mangera.

ანდაზები ყოველ ენასა და კულტურაში გამოხატავენ მორალსა
და დაგროვილ სიბრძნეს, უმრავლესობა მათ შორის ზოონიმებითაა
ნაწარმოები, ხოლო ფიტონიმებით ნაწარმოები ორივე ენაში მცირე-
რიცხვანია.

ზოონიმური და ფიტონიმური პარემიების შედარებამ ფრანგულ
და ქართულ ენებში, მოგვდა შესაძლებლობა რამდენიმე ჯუფის
გამოყოფისა:

1. ლექსემები, რომლებიც ორივე ენის პარემიოლოგიაშია:

Mauvais chien ne trouve où mordre = ავმა ძაღლმა ხეირიანად კბე-
ნაც არ იცისო

On connaît le cheval dans la plaine = კარგი ცხენი გაშლილ ველზე
იცნობაო

On connaît l'arbre à ses fruits = ხე ნაყოფით იცნობაო

Tout chien est lion dans sa maison = თავის ეზოში ძალასაც დიდი გული აქვსო

Une hirondelle ne fait pas le printemps = ერთი მერცხლის ჭიქჭიკი გაზაფხულს ვერ მოყვანსო.

2. ლექსემები, რომელიც მხოლოდ ფრანგულ პარემიოლოგიაშია:
L'âne frotte l'âne = სულელი სულელს აქებსო

Plumer la poule sans le faire crier = გცემ და არ გატირებო

On ne peut pas prendre tels chats sans mitaines = საჩოთირო, ძნელად შესასრულებელი საჭმე

Quand les poules auront les dents = არასოდეს, არასოდეს

3. ლექსემები, რომელიც მხოლოდ ქართულ პარემიოლოგიაშია:
დათვმა თქვა: რასაც ჩემი კბილი ვერ მოვავლე, გემო ვერ ჩავა-ტანეო.

L'ours a dit ce que je n'ai pas pu mordre avec mes dents, je n'ai pas pu le déguster

ცხვარი ცხვარია მაგრამ თუ გაცხარდა ცხარეაო (le mouton est doux mais s'il se fâche il devient mordant)

ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია=Les lionceaux naissent égaux de nature mâle ou femelle.

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი= La langue douce tirerait du fond de son trou un serpent.

თაგვა თხარა თხარაო, კატა გამოთხარაო= Autant la souris a creusé qu'il a creusé le chat enfin(elle a creusé sa mort)

თვეზმა თვეზს უთხრა: — ცოტა იქით მიიძარიო, — საით მივიძრა, ორივენი ერთ ტაფაში ვიწვითო (Un poisson a dit à l'autre poisson de reculer un peu à côté, celui-ci a répondu où aller, qu'ils se cuissent dans le même casseroles)

ანდაზების გარიანტებისაგან განსხვავებით კი პარემიული სინონიმები აგებულია სხვადასხვა ხატის ბაზაზე, რომელთაც საერთო კლასემები და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სპეციფიკური სემები გააჩნიათ.

პარემიული სინონიმები ლექსიკური სინონიმებისაგან განსხვავებით გამოხატავენ უფრო კონკრეტულსა და ტევად ცნებებს (ოვისე-

ბებს, მოვლენებსა და ა.შ.), რასაც განაპირობებს ანდაზების, როგორც ენის კომპლექსური, ცალკე გაფორმებული ერთეულების სპეციფიკა, რომელიც ემსახურება გარემომცველი სინამდვილის ხატოვან-ექსპრესიულ დახასიათებას.

ბარემიულ სინონიმებს ახასიათებთ ცვლილებები როგორც ლექ-სიკურ შემადგენლობაში, ასევე გრამატიკული სტრუქტურაშიც:

1. Le renard mourra dans sa peau=Mourir dans sa peau=Bois tortu ne se redresse pas= წითელი ცხენი წითელ ტყავში მოკვდებაო; კუზიანს სამარე გაასწორებსო.

2. Donner des fèves pour des pois=donner un oeuf pour avoir un boeuf=ცოტაც, სად მიდახარო და — ბევრთანაო; შიგ ჩავაგდე ოთნისტელა, ამოვილე ქოთნისტელაო.

3. Bon champ semé, bon blé rapporté=bon fruit vient de bonne semence= რასაც დათეს, იმას მოიმკიო; კარგი თესლი კარგ მიწაში არ დალპებაო.

ჯართულში ამ ტიპის პარემიული სინონიმებია:

1. ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მირჩევნიაო=ზეცას წერო მიფრინავდა, ძირსა თვლილნენ შამფურებსაო.

2. ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო=ნაჩუქარი ტალახიანი ჯოხიც კარგიაო.

3. თხას ბოსტანი მიაბარესო=მგელს ცხვარი მიაბარესო.

4. ვირი გავყიდე, დოლი ვიყიდე=თხა გავყიდე, თხა ვიყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო.

დასკვნისას შეიძლება ითქვას, რომ პარემიული ვარიანტები ორივე ენაში უფრო მრავლადაა, ვიდრე სინონიმები, ხოლო მათი სტრუქტული თანხვედრა ბევრად განსხვავდება ერთმანეთისაგან მოცემულ ენებში. ნებისმიერი ენის პარემიოლოგია წარმოადგენს ძვირფას საგანძურს ამა თუ იმ ერისა. ზოონიმურ და ფიტონიმურ პარემიებში დაფიქსირებული ასოციაციები გასაგებია ნებისმიერი ხალხისათვის, მათში შესაძლებელია ეთნიკური მარკერების აღმოჩნა, რაც ყველაზე უკეთ გამოხატავს ერის ხასიათს, მათ ეთნოფსიქოლოგიას. დასასრულს შეიძლება ითქვას, რომ ანდაზები წარმოადგენენ საშუალებას

ინტერკულტურული დიალოგის დამყარებისა, რომელშიც მთელი კაცობრიობის სიბრძნეა გადმოცემული.

ამჟამად ანდაზები უფრო და უფრო ნაკლებად გამოიყენება თანამედროვე ახალგაზრდების მეტყველებაში, თუმცა მათ ვხვდებით სარეკლამო რეოლებში, პოლიტიკოსთა დისკუსიებსა და დისკურსში, სარეკლამო სლოვანებში, ასაკოვან და განათლებულ ადამიანთა მეტყველებაში.

ლიტერატურა

გვარგალაძე ი., მიქელაძე ქ. 1981 — «Proverbes et dictos français» avec les traductions et équivalents géorgiens, თბილისი.

კიტუ, 2001 — Quittout, M. «Humour et stéréotypes dans le langage parémiologique» In : Marges linguistiques. Contacts : www.marges-linguistiques.com: p.1

რუსთაველი 1979 — ვეფხისტყაოსანი (ფრანგულად ნათარგმნია გასტონ ბუაჩიძის მიერ)

რეცერი, 1963 — Retsker, J.I. Dictionnaire phraséologique franco-russe.

რეი, 1979 — Rey, A., Chanteau S. (1984) : Dictionnaire des expressions et locutions. Paris.

სახოდა, 1979 — თ. სახოდა, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბილისი.

სურგულაძე, 2005 — Le système des zoonymes et des somatismes animaux dans la phraséologie française. ISBN 99940-25-91-0 ბათუმი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

NATALIA SURGULADZE

The Study of Paremia Variants and Synonymy in French and Georgian

Summary

Changes in lexis lead to the creation of paremia variants and synonymy. This is a widely spread variation type which is characterized by a number of lexico-grammatical regularities. Paremia variants are characterized by equivalence or synonymy of the constituent lexical units. The study of French and Georgian proverbs has shown that for the paremia variants the following features are typical: 1. equivalence of the image; 2. common denotative-significative content; 3. identity of functions and categorical meanings; Unlike proverb variants paremia synonyms are built on different image bases that have common classements and relevant semes.

ლიტერატურული მონაცემები

06 ინტერარეტურული თაობაზე

ანტიკური დროიდან მოყოლებული ირონის, როგორც ტროპის ერთ-ერთი ნაირსახეობის განსაზღვრისა და მისი თვისებების შესახებ საქმაოდ ბევრი გამოკვლევა და ინტერეპრეტაცია არსებობს. ამ სტატიის ერთ-ერთი მიზანი იმ განსხვავებების ანალიზია, რომელიც ნეოგრაისიანულ თეორიებს შორის არსებობს ირონის განსაზღვრების, მისი კოდირებისა და დეკოდირების თვალსაზრისით.

ირონია, მეტყველების ფიგურის ტრადიციული განსაზღვრების თანახმად, გამოხატავს ექსპლიციტურად დაფიქსირებულ გამონათქვა-მის/პროპაზიკის საწინააღმდევო აზრს. ირონიის ამ განსაზღვრების ეთანებება ყველა მცვლევარი, თუმცა არის განსხვავებებიც, კერძოდ, გრაისი (გრაისი, 1989) ამტკიცებს, რომ ირონია იმპლიკატურის ერთ-ერთი სახეა და ირონიის აქტუალიზაციის დროს მოსაუბრე საგანგებოდ ანიჭებს გამონათქვამს საწინააღმდევო მნიშვნელობას, რითაც არღვევს გრაისის მაქსიმათაგან ერთ-ერთს, კერძოდ, ხარისხის მაქსიმას. კაუფერი (კაუფერი, 1981) საწინააღმდევო აზრს ადგას, როდესაც თვლის, რომ მხოლოდ გრაისის მაქსიმათაგან ერთ-ერთის დარღვევა ირონიის წარმოქმნის საკმარისი პირობა არ არის და დასძენს, რომ ირონიისათვის კრიტიკულ მომენტად უნდა ჩაითვალოს მისი ციტირებული ბუნება. დაახლოებით იმავე აზრისაა დუ მარსა-სიც (დუ მარსა-სი, 1967)

ლევინი (ლევინი, 1982), სხვების კვალდაკვალ, ასევე მიიჩნევს, რომ ირონიის დამახასიათებელი დიფერენციალური ნიშან-თვისება ექსპლიციტურად თქმულის ფაქტობრივად საწინააღმდევო აზრის გამოხატვაა. დამატებით, იგი ორი სახის ირონიას გამოყოფს — ერთი ფოკუსირდება სიტყვაზე და მას ეწოდება საკუთრივ ირონია, როგორც სისტემური ტროპი („irony as a trope“). მაშინ როცა ირონიის

მეორე ტიპი ფოკუსირდება წინადადებაზე და აღნიშნავს იმ შემთხვევებს, როდესაც ირონია დამატებითი კონტექსტუალური პარამეტრებით იტვირთება. („irony as mention“) მცვლევარი ასევე დასძენს, რომ მკვლევრების მზარდ ინტერესს იწვევს სწორედ ირონიის მეორე ტიპი, რაც ბუნებრივია თურდაც იმიტომ, რომ კონტექსტს, როგორც ცნობილია, ძალუძს სრულიად შეცვალოს ირონიის სისტემური მნიშვნელობა.

შეიძლება ითქვას, რომ ირონიის ყველა ზემოთ განხილულ განსაზღვრებას ჯერ კიდევ არსებითი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე მეცნიერებაში, მაგრამ მაინც კვლავ ერთხმად მიიჩნევა, რომ არცერთი მათგანი არ არის საქმარისი ირონიის ზუსტი და ყოვლისმომცველი განმარტებისათვის. ის, რომ ირონია გამოხატავს თქმულის საწინააღმდევო აზრს, ნათელია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი ირონიის განმარტებისა და აღმისათვის არის ის, რომ იგი უნდა გავიაზროთ, როგორც კონტექსტურად ცვლადი ელემენტი, ანუ იმისათვის, რომ ირონიის ინტერპრეტირების პროცესი უკეთ გავიგოთ, საჭიროა მისი კონტექსტური პარამეტრების შესწავლა (სპერბერი, უილსონი, 1981).

ირონიის მთავარი პრობლემა მისი ტრადიციული გაგებით აღიარების დროს წარმოიშობა მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, თუ რატომ არჩევს მოსაუბრე კონკრეტულ კონტექსტში გამოიყენოს ირონიული გამონათქვამი ან სხვაგარად რომ ვთქვათ, რატომ ირჩევს აზრის გამოხატვის ირიგ გზას საკომუნიკაციო აქტისათვის კონკრეტული პრაგმატიკული ინტენციის „მინიჭების“ დროს.

როგორც ირონიის შესწავლის ტრადიცია გვარწმუნებს (მუეკე, ბუთი, შაფერი, ჩენი, კროიცი და რობერტსი და ირონიით დაინტერესებული სხვა მცვლევრები) არსებობს ირონიის 4 ტიპი:

- 1) სოკრატისეული ირონია — ანუ, როდესაც მოსაუბრე თავს გვაჩვენებს, თითქოს დასკუსის თემის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს, აყენებს ჰეშმარიტი დებულების რადიკალურად საპირისპირო არგუმენტებს და ამით ინსპირირებს შემდგომ

- დისკუსიას. მკვლევრები თანხმდებან, რომ ამ ტიპის ირონია ამჟამად იშვიათად აქტუალიზდება.
- 2) დრამატული ირონია — როდესაც დრამატული გმირი ნაკლებ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე აუდიტორია, ანუ მსმენელი და ირონიის არსი გმირის მიერ ინფორმაციის თანდათანობით მიღებაშია.
 - 3) სიტუაციური ირონია — მუეკე (1970) მას უწოდებს „ბედის ირონიას“, როდესაც კონკრეტულ სიტუაციაში მოსალოდნელი და რეალური შედეგები ერთმანეთს არ შეესაბამება (მაგალითად, ო'ჰერნის მოთხრობა „The gift of the Magi“).
 - 4) საკუთრივ ვერბალური ირონია, როგორც ლინგვისტური ფენომენი, რომელიც მხოლოდ ლინგვისტიკის „საკუთრებაა“ და აქტუალიზდება კონკრეტულ სამეტყველო აქტებში.

არის კიდევ ერთი სახე ირონიისა, რომელსაც გიბსი (გიბსი, 1995) უწოდებს წინასწარ „განუზრახაველს“, ანუ, როდესაც ირონიის მნიშვნელობის კოდირება და მისი რეალური პრაგმატიკული ინტენციის დეკოდირება მთქმელსა და მსმენელს შორის განსხვადება. მკვლევარი ასევე დასძენს, რომ ამგვარი ტიპის ირონიის აქტუალიზაციის შემთხვევაში შეიძლება ვერბალური და სიტუაციური ირონიის ტიპები ერთად წარმოიშვეს. ეს იმ შემთხვევებშია შესაძლებელი, როდესაც მთქმელის კომუნიკაციური ინტენცია არ არის ირონია, თუმცა მსმენელი თქმულს ირონიულად მიიჩნევს, რის შემდეგ მთქმელის პრაგმატიკული ინტენცია და ნათქვამის მსმენელისეული დეკოდირება ერთმანეთს არ ემთხვევა.

როგორც აღვნიშნეთ, ამ სტატიის ერთ-ერთი მიზანი ისიც არის, რომ გავარკვიოთ, თუ როგორ შეიძლება აიხსნას ირონიის კოდირებისა და მისი დეკოდირების მომენტები იმის ჩვენებითა და ანალიზით, თუ რა თვალისაზრისები არსებობს ენათმეცნიერებაში.

ირონიის ავტორის დამოკიდებულება წარმოთქმულის მიმართ შეიძლება არა მხოლოდ ნებატიური იყოს, არამედ პოზიტიურიც. მიზაუ (მიზაუ, 1984) და ბრაუნი, (ბრაუნი, 1980) ამტკიცებენ, რომ

არსებობს **ასთეგზის** უამრავი მაგალითი, როდესაც მთქმელი იმპლიკოტურად აკრიტიკებს რაიმეს, მაგრამ ახალურად, ექსპლიციტურად აქებს ირონიის „მსხვერპლს“. თუ ჩვენ ზემოთ აღნიშნულ განსაზღვრებას გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ირონიის ექსპლიციტურად უარყოფითი ფორმის გამოყენების შემთხვევაში, მთქმელი ირონიულ აზრს პოზიტიურ ლინგვისტურ-სემანტიკურ ფორმით გამოხატავს, თუ მსმენელი მას სწორად გაუგებს, ე.ი. ირონიულად — მაშასადამე, შეფარულმა აზრმა დანიშნულების ადგილს მიაღწია. საპირისისიროდ, თუ მსმენელი მას პირდაპირ, ანუ პოზიტიურად, გაიგებს — მთქმელი „გადარჩება“, რადგან მან დადებითი რამ თქვა კონტექსტის / სიტუაციის შესახებ. მეორე მხრივ, თუ ირონია პოზიტიურია, მთქმელი გამოხატავს გზავნილს უარყოფითი ფორმით და ამ შემთხვევაში გაუგებრობის აშკარა საფრთხე იქმნება. თუ ნათქვამი არ აღიქმება როგორც ირონია, მაშინ მას იღებენ, როგორც კრიტიკას, ამიტომ პოზიტიური ფორმით გამოხატული ირონია საკითხოვანი იშვიათია უარყოფითი ფორმით გამოხატულ ირონიასთან შედარებით.

(1) Sorry to keep bothering you like this. (Brown, 1980)

ეს არის ასთეგზის კარგი მაგალითი, როდესაც ბირჟის ბროკერი ურეკავს თავის კლიენტს და, ფაქტობრივად, ახარებს კარგ ამბავს — ატყობინებს დივიდენდების მოულოდნელი მიღების შანსს.

კომუნიკაციის დროს ორივე მხარე, მსმენელიცა და მთქმელიც, საჭიროებს გარკვეულ გონებრივ, მერტალურ აქტივობას კონკრეტული საკომუნიკაციო აქტთან დაკავშირებული სიტუაციური „რწმენის“ ტრანსფორმაციის თვალისაზრისით. ასევე, საკომუნიკაციო აქტის რელევანტურად აღსაქმელად საჭიროა მოსაუბრისა და მსმენელის ყურადღების კონცენტრაციაც, რადგანაც მსმენელმა შეიძლება არც კი მიაქციოს ყურადღება ირონიით გაღმიოცემულ შეფარულ მესიჯს, თუ მას სჭერა, რომ ის არ წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის მოვლენას მისთვის. ეს მოსაზრება ერთ-ერთი გავრცელებული მიღვომა ირონიის დეკოდირების პროცესისადმი, როდესაც კომუნიკაციის აქტი გარკვეულ ინფორმაციას გადასცემს და გრაისის რელევანტურობის პრინციპის მიხედვით, შეიძლება იყოს ან არ იყოს რელევანტური მსმენელისათის.

ირონიის აღქმა ძალზე რთული პროცესია, რადგან მოსაუბრევერ იქნება დარწმუნებული, თუ რა ინტერპრეტირებას მოახდენს მსმენელი და რა შეფასებას მისცემს იგი მთქმელის ნათქვამს. არსებობს დიდი რისკი იმისა, რომ მისი ნათქვამი არასწორად აღიქვან, ამისათვის მთქმელი ყოველთვის არჩევს იმოქმედოს მინიმალური ძალისხმევით და მსმენელს თავისი ნათქვამი აღსაქმელად ყველაზე ადგილი გზით გააგებინოს. თავის მხრივ, მსმენელის რეაქცია დამოკიდებული იქნება ნათქვამის კონტექსტუალურ ეფექტზე. თუ მთქმელი პროპოზიციას გრაიასის ორელევანტურობის პრინციპის გაუთვალისწინებლად წარმოთქამს და თან ისე, რომ მსმენელის ყურადღების კონცენტრაციას ვერ ახდენს, მაშინ შეიძლება მას ვერ გაუგონ. მეორე მხრივ, თუ მსმენელი ნათქვამს ორელევანტურობის პრინციპის მიხედვით არ გაიგებს, დიდი რისკია, რომ საერთოდ ვერ აღიქვას თქმულის შეფარული არსი.

ირონიის აღქმის ორი ძირითადი თეორია არსებობს. კერძოდ, განარჩევენ მისი აღქმის ერთსაფეხურიან და ორსაფეხურიან პროცესს. ის, თუ რომელი თეორია აღმოჩნდება მეტად მორგებული ირონიის ბუნებაზე და რომელი მათგანი ასახავს მის არსს, ბოლოდროინდელი თეორიული შერკინების მთავარი საკითხი გახდა. (გრაიასი, ჭიორა, სპერბერ, ვილსონი)

უნდა აღინიშნოს, რომ ირონიის ორსაფეხურიანი პროცესირების თეორია გრაიასის და ყველა „ტრადიციულ მკვლევარს“ ეკუთვნის, როდესაც ირონიული ნათქვამის პროცესირება ჯერ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის აღქმით იწყება, შემდეგ ხდება ამ ინტერპრეტაციის უარყოფა და გადასვლა ნათქვამის რეინტერპრეტაციის მეორე საფეხურზე. ჭიორა (ჭიორა, 1997) უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ ირონიის პროცესირების დროს თავიდანვე ქვეცნობიერად ხდება კონტექსტისათვის რელევანტური მნიშვნელობის არჩევა, მნიშვნელობის აქტუალიზაცია და შემდეგ, ირიბი უარყოფა. ირიბი, ანუ არაექსპლიციტური უარყოფა, მკვლევრის აზრით, ნათქვამის პირდაპირ და ნაგულისხმევ მნიშვნელობებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას გამოხატავს. სიტყვის კონტექსტუალურად რელევანტურ

მნიშვნელობაზე დაყრდნობა ნიშნავს იმას, რომ ირონიის ინტერპრეტაციის დროს მსმენელი ეყრდნობა სიტყვის ძირითად მნიშვნელობას, რომელიც ადეკვატურად გაგების პროცესის წინაპირობაა. ეს ის მნიშვნელობაა, რომელიც 1) ფიქსირდება ლექსიკონში; 2) ხსიათდება სიხშირით; 3) ცნობილია როგორც მთქმელისთვის, ისევე მსმენელისთვის; 4) და ხშირად გვხვდება კონკრეტულ ლინგვისტურ კონტექსტში (jiora, Giora 1997).

ცნობილია, რომ პოლისემანტიკური სიტყვის გამოყენების შემთხვევაში მთქმელიც და მსმენელიც, უპირველეს ყოვლისა, მის მთავარ მნიშვნელობას გულისხმობენ, რომელიც შეიძლება არ დაემთხვას კონტექსტურს. ამგვარად, ჭიორა გამოთქვის მოსაზრებას, რომ ირონიის დეკოდირების დროს გამოყენებულია არა სიტყვის პირდაპირი, არამედ კონტექსტუალურად არსებითი მნიშვნელობა. ამგვარად, ირონიის ამგვარი ინტერპრეტაციას მეტი დრო სჭირდება.

სპერბერისა და ვილსონის (Sperber & Wilson, 1981) თქმით, ირონიის აღქმის ერთსაფეხურიან თეორიაში ირონიული მნიშვნელობა პირდაპირ, არენტერეპრეტაციის გარეშე, ვლინდება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ მაგალითში, როდესაც ამ წინადადებას ამბობს აღამიანი, რომელიც წვიმისაგან გალუმბულია.

(2) It seems to be raining — თითქოს წვიმს.

ირონიის, როგორც მეტყველების აქტის, ანალიზის სპეციფიკაზე საუბრისას საუბრობენ 5 ტიპის მიღეობაზე:

- 1) პირველი მიღეობა გულისხმობს იმას, რომ ირონიის სამეტყველო აქტუალიზაციაში უნდა არსებობდეს ორი იდეა, აზრი, რომლებიც ერთმანეთთან იმპლიციტურ წინააღმდეგობაში მოდიან: კერძოდ, შეიძლება აქტუალიზდეს კომპლიმენტარულობის, ანტონიმიის, დაპირისპირებითობისა და კონვერსიის ელემენტები“ (ამანტე, 1981).
- 2) მეორე მიღეობის თვალსაზრისით, მეტყველების აქტი ვერ იქნება ირონიული „გულწრფელობის პირობის“ გარეშე, როდესაც ირონია ასოცირდება აღამიანის კონკრეტულ ფსიქოლო-

- გიურ მდგომარეობასთან და ექსპლიციტურად შეიძლება გამოიხატოს მაღლობის, მისალმების, ბოდიშის მოხდის ფორმით, ხოლო იმპლიციტურად გულისხმობდეს საპირისპიროს (ბრაუნი, 1980). მაგალითად, ბოდიში შეიძლება არც იყოს გულწრფელი.
- 3) შემდეგი თეორია, რომელიც მოგვაგონებს წინა თეორიის შებრუნებულ ვარიანტს, ამტკიცებს, რომ პირველი შეხედვით, ირონია არის „არაგულწრფელობის განზრანული გამოხატულება“, როდესაც მთქმელს სურს, მსმენელი დაარწმუნოს თავის ექსპლიციტურ არაგულწრფელობაში. ეს მიღომა ამტკიცებს გრაისისეულ ირონიის პრაგმატიკულ თეორიას, როგორც ხარისხის მაქსიმის განზრახ დარღვევას (ხავერკატე, 1990).
- 4) გლუქსბერგი, (გლუქსბერგი, 1995) ამტკიცებს, რომ არსებობს ირონიის, როგორც მეტყველების აქტის დეკოდირების ანალიზის მეოთხე ტიპი, როდესაც პირველი და მნიშვნელოვანი „პრაგმატიკული არაგულწრფელობის“, „pragmatic insincerity“ კონცეფცია არის მეტყველების შემადგენელი ნაწილი, მაგრამ არასაკრისია ირონიის შესაქმნელად. ამ მხრივ, მეორე აუცილებელი პირობაა „ილუზია რაიმე წინასწარი მოლოდინისა, ნორმისა ან შეთანხმებისა, რომელიც ამა, თუ იმ გზით დაირღვა“.
- 5) ერთ-ერთი შედარებით ახალი გზა ირონიის ინტერპრეტირებისა ეკუთვნის სპერბერ და უილსონმა (Sperber and Wilson 1981), — ეს არის ციტირება, ან ადრე ნათქვამის ხსენება, ან ექივიური ციტირება, განმეორება, როდესაც აზრის გამოყენება ხდება ისე, რომ ის წარმოადგენდეს სხვა ადამიანის აზრს ან ნათქვამის გამეორებას. ექივიური გამონათქვამი მაშინ „ცოცხლდება“, როდესაც ჩვენ სხვის და არა ჩვენი საკუთარი ფიქრების ინტერპრეტაციას ვახდენთ. მთქმელი ამბობს ვიღაცის სიტყვებს და თან გამოხატავს გარკვეულ დამოკიდებულებას ამ ნათქვამთან დაკავშირებით და მსმენელი აცნობებას

ბებს მთქმელს, რომ მან გაიგო ნათქვამი, ინტერპრეტირება გაუკეთა მას, „აწონა“ ნათქვამის მნიშვნელობა და შემდეგ პასუხის სახით გააკეთა მასზე რეაგირება. ამგვარად, ეს მკვლევრები ამტკიცებენ, რომ ირონია ყოველთვის შეიცავს იმპლიკაციას და მთქმელის დამოკიდებულებას საკუთარი ნათქვამის მიმართ და რომ სხვისი გამონათქვამის ციტირების ასპექტი ძალიან მნიშვნელოვანია ირონიის განსაზღვრისას.

(3) What nice weather! – said on a rainy day while on a picnic.

რა კარგი ამინდია — ნათქვამი პიკნიკის დროს წამოსულ წვიმაზე.

ეს წინადადება შეიძლება არ იყოს უშუალოდ სხვა ადამიანის ნათქვამის ციტირება, მაგრამ შეიძლება იყოს წინა დღის ამინდის პროგნოზისადმი იმპლიციტური რეფერენცია. აქ მთქმელი ამატებს თავისებურ, გარკვეულ დამოკიდებულებას ამ პროგნოზისადმი და გადმოსცემს ამ მესიჯს სარკასტული ინტონაციის დახმარებით, რომელიც, თქმული წვიმიან დღეს, რა თქმა უნდა, იძენს ირონიულ მნიშვნელობას.

ასე რომ, „ირონია არის ტროპის სახეობა, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის აზრს რაიმე, სხვის მიერ უკვე გამოთქმულ აზრთან დაკავშირებით“ (ვილსონი, სპერბერი, 1992).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სხვა მიმართულებაც, რომლის მიხედვითაც ყველა ციტირებული ნათქვამი წინადადება როდის ირონიული. შაფერი და ჩენი (შაფერი, 1982; ჩენი, 1990) ამტკიცებენ, რომ მაგალითად შემდეგი ნათქვამი:

He told us that she said she was ill.

არის სხვისი ნათქვამის გამეორება, თუმცა არაირონიული. სპერბერი და უილსონი (სპერბერი, იულსონი, 1981) თანხმდებიან, რომ ციტირება არაა საკმარისი პირობა ირონიის არსებობისთვის. მსმენელი იდენტიფიცირებას უკეთებს ნათქვამს, როგორც ციტირებულს

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტს, მნიშვნელოვანია ეს ნათქვამი მისთვის, თუ არა.

(4) I'm tired.

(5) You are tired. And what do you think I am? Wilson and Sperber (1981)

ამგვარად, როგორ შეუძლია მსმენელს დარწმუნდეს, რომ მთქმელი ვიღიაცის სიტყვებს იმეორებს. რა თქმა უნდა, ინტონაციის მეშვეობით, ანუ იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოაჩენს მთქმელი თავის გზავნილს. მსმენელი იგებს ირონიას არა სიტყვათა მნიშვნელობაზე დაყრდნობით, რომელთაც მისაუბრე წარმოთქმამს, არამედ მოსაუბრის არავერბალური ინტენციებით და კონტექსტური მნიშვნელობებით. ასე რომ, გრაისისეულ ირონიაზე საუბრისას, ეს არის წმინდა პრაგმატიკული კონცეფცია, რომელიც დამოკიდებულია კონტექსტსა და მთქმელის ინტენციებზე. გრაისის ირონია უშუალოდაა დაკავშირებული გრძნობის, დამოკიდებულებისა და შეფასების გამოხატულებასთან (1999). პრობლემა აქ არის ის, რომ უნდა გავაცნობიეროთ, არის კონტექსტი ირონიული, თუ არა და რა იყო ნაგულისხმევი ნათქვამში.

მეორე მხრივ, ამ თეორიის სუსტი წერტილი ის არის (ატარდო, 2000), რომ ძნელია გარკვიო, არის თუ არა გამონათქმემი ირონიული, როდესაც ჩვენ გვაქს მისი მხოლოდ წერილობითი ვერსია და არ არსებობს დამხმარე საშუალება — ინტონაცია ან სხვა სუპრასეგმენტური საშუალებები. ამგვარ შემთხვევებში ირონიის იდენტიფიკაციის პროცესში გვეხმარება კონტექსტი და მთქმელის ფონური, პრესუპოზიციული ცოდნა. ამ არი იდენტიფიკაციის საშუალებით მსმენელს შეუძლია გაიგოს მთქმელის ნათქვამი ექიმურაა, ანუ ვიღაცის ნათქვამის ირონიული განმეორება — ციტირებაა, თუ არა. მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ გიბსი და ობრაიენი (გიბსი, ობრაიენი, 1991) ირონიის ინტერპრეტაციის შესწავლისას პრაგმატიკული მიდგომების ფსიქოლინგვისტურ კრიტიკას იყენებდნენ „სტანდარტული პრაგმატიკული მოდელის (SPM) დახმარებით, სადაც ირონიის პრო-

ცესირებას ორი საფეხური აქვს: პირდაპირი მნიშვნელობის აღქმა და ამის შემდეგ, არაპირდაპირი, ანუ ახლადშექნილი მნიშვნელობის გაზიარება, რომელიც იმპლიკაციის საშუალებით ხდება. ექსპერიმენტები აჩვენებს, იმისათვის, რომ „დამტკიცდეს“ ნათქვამის ირონიულობა, აუცილებელია კონტექსტის ფაქტორის გათვალისწინება. მაგალითად:

„We should throw all these immigrants legal or illegal, out of the US.“

Attardo (2000)

თუ კონტექსტის მიხედვით მსმენელმა იცის, რომ ამ გამონათქვამის მთქმელი ემიგრანტია, მაშინ მსმენელი მიხვდება, რომ ეს ნათქვამი არის გამოძახილი ამერიკელი მოქალაქესა.

ვერბალური ირონიის შემთხვევაში საჭმე გვაქს შემთხვევებთან, თუ როგორ დისცირდება მთქმელი ექიმიურ ნათქვამებისგან. ამ დისცირების — დისტანცირების მიზეზები სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ის, რომ ორიგინალური იდეა ზედმეტად რბილი, ყალბი ან აბსურდული იყო. ასე რომ, ამ თეორიის მიხედვით, მსმენელმა რომ გაიგოს ირონიული მესიჯი, მან უნდა ამოიცნოს: 1) რომ ეს მესიჯი ნამდვილად სხივი ნათქვამის ექია; და 2) მთქმელის დამოკიდებულების ტიპი; დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ იმისათვის, რომ რაიმე გამონათქვამი ირონიული იყოს, მას უნდა ჰქონდეს ექიმიური ციტირების ასპექტი და მოსაუბრის დამოკიდებულება (პოზიტიური თუ უარყოფითი) მის მიმართ.

ასე, რომ ჯიორას (ჯიორა, 1995, 1998) მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ირონიის აღქმა და პროცესირება არის ხანგრძლივი აქტი, რომელსაც უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე სხვა რომელიმე ლიტერატურულ გამონათქვამს, გათვალისწინებულია ირონიის კვლევის პროცესით, მითუმეტეს, რომ მაკდონალდის (მაკდონალდი, 1992) ემპირიული კვლევები აჩვენებს შედეგებს, რომ მსმენელი, რომელსაც თავის ტვინი ჰქონდა დაზიანებული, გარკვეულ სიძნელეებს აწყდებოდა ირონიის იდენტიფიცირებისა და დეკოდირების პროცესში.

როდესაც ვსაუბრობთ მოსაუბრის განზრახვაზე, თქვას რაიმე ირონიულად, უნდა გვახსოვდეს პრესუპოზიციის ფაქტი, როდესაც

ორივემ, მთქმელმა და მსმენელმა წინასწარ იციან, თუ რა შეიძლება იყოს ნაგულისხმევი ნათქვამით.

ირონიის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევრის, ატარდოს (ატარდო, 2000) აზრით, არსებობს ორი ასპექტი, რომელიც გავლენას ახდენენ ირონიის აღქმაზე: „რელევანტურობის მაქსიმა და „ირონიის ანტიფრასტიკული, ანტრონიმური გაეგბა“. ამ თეორიის, მოდელის მოხედვით მსმენელი ჯერ აცნობიერებს, რომ ტექსტი ირონიულია, შემდეგ გაზიარებს ირონიის მნიშვნელობას და ბოლოს მიდის მისი საწინააღმდეგო აზრის ინტერპრეტაცია — დეკოდირების მიმართულებით. ატარდო ამტკიცებს, რომ გზავნილი ირონიულია იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის კონტექსტუალურად, ექსპლიციტურად არაშესაფერისია, ამავდროულად, აზრობრივად რელევანტურია.

როგორც ზემოთ აღწერეთ, ირონიის გაგების პროცესი, საბოლოოდ, თქმულის საჭინააღმდეგო, ხშირად ნეგატიურ აღქმამდე მიგვიყვანს. მაგალითად, თუ მთქმელი ამბობს:

(6) “I love children so” Attardo (2000)

და მსმენელმა იცის, რომ ის ტყუის, მას შემდეგ, რაც ის გააცნობიერებს მთქმელის ტონს, მიმიკას ან სხვა სიგნალებს, მსმენელმა შეიძლება იფიქროს, რომ ეს სპეციალურად, განზრას არის ნათქვამი, იმისათვის, რომ არაპირდაპირ იყოს აღქმული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ირონია არღვევს ხარისხის მაქსიმას, სადაც საჭმე გვაქვს იმპლიკაციასთან. ზემოთ მოყვანილ მაგალითში დარღვეულია არა მხოლოდ გრაისისეული ხარისხის მაქსიმა, არამედ რელევანტურობისაც.

სპერბერი და უილსონი თავიათ ნაშრომში ამტკიცებენ, რომ გარეულ გარემოებებში ნებისმიერი ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სხვა ობიექტის რეპრეზენტაცია, რომელიც ასახავს პირველი ობიექტის თვისებებს და გამოხატავს მსმენელის დამოკიდებულებას მის მიმართ. მაგალითად, თუ მთქმელი წიხლს ამოარტყამს უნიფორმაში გამოწყობილ თოჯინას, მსმენელი ივარაუდებს, რომ თოჯინა ჯარისკაცია და რომ სუბიექტის დამოკიდებულება მისადმი ნეგატიურია. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ვერბალურად არაფერი თქმულა, მაინც ცხადია სუბიექტის დამოკიდებულება ჯარისკაცისა-

დმი. აგტორი თვლის, რომ ნებისმიერი გზავნილის მსგავსება მით უფრო დიდია, რაც უფრო მაღალია ლოგიკური ან კონტექსტუალური იმპლიკაციების ხარისხი და რაოდენობა. ამგვარად, ირონია არა მხოლოდ ირიბი გზით გადაცემული აზრია, ან სხვისი უბრალო, მექანიკური ნათქვამის ციტირება, არამედ ამ ნათქვამის — გზავნილის ინტერპრეტაციაცაა.

განხილული თეორიები წარმოადგენს ირონიის შესახებ მხოლოდ ნაწილს ნეოგრასიულ თეორიებისა. ისინი უფრო ფართო არეალს მოიცავენ, ვიდრე გრაისის კონცეფციაა, ემყარებიან კონტექსტს და აღიარებენ ირონიის დეკოდირების პროცესის ორ საფეხურიანობას. ირონია, როგორც პრაგმატიკული ფენომენი წარმოადგენილია გზავნილით, რომელიც რელევანტურია კონკრეტულ კონტექსტისთვის და ორ საფეხურზე პროცესირება. კონკრეტული კონტექსტის შიგნით ირონიის ნებისმიერ ინდივიდუალურ შემთხვევას აქვს მიზანი, რომელიც მსმენელს მის აღქმაში ეხმარება.

ირონიის ჩვენი სამუშაო განმარტება ასეთია: ირონია არის ენის სისტემური ტროპი, რომელსაც, ისევე როგორც ყველა ტროპს, აქვს ორი პლანი: ექსპლიციტური და იმპლიციტური, ზედაპირული და სილრმისეული და, რომლის კოდირება და დეკოდირება მიიღწევა ამ ორ პლანს შორის კონტექსტუალური „თამაშით“. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ირონიის აღქმაზე არა აქვს არსებითი გავლენა ექიკურ ასპექტს, ციტირებადობას, თუმცა აპრიორულად ვალიარებთ, რომ ირონიის დეკოდირების პროცესი ორეტაპიანია, პირველად მსმენელი „იჭერს“ პროპოზიციის სისტემურ, კონტექსტისათვის მისთვის რელევანტურ, მოსალოდნელ მნიშვნელობას, შემდეგ, რადგანაც ხედავს შეუსაბამობას, იგი ახდენს პროპოზიციის რეანტერპრეტირებას. თუ ეს მოხდა, მაშინ ირონიის სამეტყველო აქტუალიზაცია წარმატებულია.

ლიტერატურა

- ამანტე, 1981** — Amante D. The theory of ironic speech acts, 1981.
- ატარდო, 2000** — Attardo S. Irony as relevant inappropriateness, 2000.
- ბრაუნი, 1980** — Brown R. The pragmatics of verbal irony, 1980.
- ბუთი, 1974** — Booth W. A rhetoric of irony, 1974.
- გიბსი, 1995** — Gibbs R W. On irony and negation, 1995.
- გიბსი, ო'ბრაიენი 1991** — Gibbs R W, O'Brien J E. Psychological aspects of irony understanding, 1991.
- გრაისი, 1989** — Grice H. P. Studies in the way of words, 1989.
- გრაისი, 1975** — Grice H. P. Logic and conversation, 1975.
- გლუცებერგი, 1995** — (Glucksberg S. Commentary on nonliteral language: Processing and use, 1995).
- დუ მარსაისი, 1967** — Du Marsais P. Les Tropes, 1967.
- კაუფერი, 1981** — Kaufer D. Understanding ironic communication, 1981.
- კრიუცი, რობერტსი 1995** — Kreuz R., Roberts R. Two cues for verbal irony, 1995.
- ლევინი, 1982** — Levin S. Are figures of thought figures of speech? 1982.
- მაკდონალდსი, 1992** — Macdonald S. Differential pragmatic language loss after closed head injury, 1992.
- მიზაუ, 1984** — Mizzau M. L'ironia, 1984).
- მუეკე, 1969** — Muecke D. The compass of Irony, 1969.
- სპერბერი, უილსონი, 1981** — Sperber D., Wilson D. Irony and the use-mention distinction, 1981.
- სპერბერი, უილსონი 1986** — Sperber D., Wilson D. Relevance: Communication and cognition, 1986.
- უილსონი, სპერბერი 1992** — Wilson D., Sperber D. On verbal irony, 1992.
- შაფერი, 1982** — Schaffer R. R. Vocal clues for irony in English, 1982.

ჩენი, 1990 — Chen R. Verbal irony as implicature, 1990.

გიორა, 1995 — Giora R. On irony and negation, 1995.

გიორა, 1997 — Giora R. Understanding figurative and literal language, 1997.

ჰავერკატე, 1990 — Haverkate H. A speech act analysis of irony, 1990.

ILONA KENKADZE

Towards the Interpretation of Irony

Summary

Since antique times there have been numerous studies and interpretations of irony, one of the varieties of trope. The paper analyses different linguistic theories on irony, the ways of coding and decoding of the trope in question. Two basic theories on the perception of irony are also discussed.

Irony as a systemic trope of language has two dimensions: explicit and implicit, of surface structure and deep structure and the process of its decoding is carried out by the contextual interplay of the two. At the first level the relevant propositional content of the message is perceived, at the second one, because of its inadequacy with the context, the message is re-interpreted.

შესახებ

**აოცნებითი ატრიბუტული ზედართავი სახელის
სემანტიკა და კომუნიკაციური ლირებულება
ნომინალურ სინტაგმაში**

მოცემულ სტატიაში განვიხილავ პოსტნომინალური ატრიბუტული ზედართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურის მიმართებას მის სინტაქსურ სტრუქტურასთან — ვალენტურ და დისტრიბუციულ შესაძლებლობებთან, კომუნიკაციურ და ინფორმაციულ ღირებულებასთან. ნომინალურ სინტაქმაში „პოსტნომინალური ატრიბუტული ზედართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ხასიათდება დენოტატური შენიშვნელობების აქტუალიზაციით, მცირე მოცულობის გადმოცემული ინფორმაციით, პირველადი ნომინაციების რეალიზაციით“ (ლამბაშიძე, 2006, 242-244), რაც განაპირობებს მის სინტაქსურ სტრუქტურას, შესაძლო სინტაქსურ გარემოცვას, სინტაქსურ დისტრიბუციასა და კომუნიკაციურ, ინფორმაციულ დატვირთულობას.

„ვალენტობა არის სინტაქსური ერთეულების თვისება სხვა სინტაქსური ერთეულების (აქტანტების) სემანტიკური დეტრიმინაციისათვის“ (ველკე, 1995, 170).

ექსტრანული რეგენსი მასზე დამოკიდებულ წევრებს ყოფს აქტანტებად და თავისუფალ წევრებად: რეგენსს ამის განხორციელება თავისი მართვის (Rektion), ანუ სხვა ელემენტების მართვის უნარის საფუძველზე შეუძლია. მაგრამ რამდენადაც მართვა რეგენსის მთელ კლასზე არ ვრცელდება, არამედ ამ კლასის მხოლოდ ნაწილზე, ტენიერიდან დაწყებული ლაპარაკია სიტყვის ვალენტობაზე. აქტან გამომდინარე: „ვალენტობა განისაზღვრება როგორც სუბკლასებად (კლასიფირებულად) — სპეციფიკური რექციონი“ (ენგელი, 2004, 16).

„ვალენტობა (ქვ. ლათ. *valentia* — „სიმძლავრე“, „ძალა“) არის სიტყვის უნარი სხვა სიტყვა სემანტიკურ-სინტაქსურად დაიკავშიროს“ (დუდენი, 2007, 1787).

სემანტიკური ვალენტობა არ წარმოადგენს შენიშვნელობის თვისებას და არც მის უშუალო რეფლექსს, არც მხოლოდ სინტაქსური აქ-

ტანტების კატეგორიალურ ერთობლიობას. სემანტიკური ვალენტობა არის მნიშვნელობის ფუნქცია და ამით რეგულაცია სინტაქსია და სემანტიკას შორის.

მმართველი ზედართავი სახელი თავის ვალენტობას მართავს არა მარტო აქტანტების ამორჩევის თვალსაზრისით, არამედ იგი ამყარებს ზედართავ სახელსა და აქტანტებს შორის სემანტიკურ რელაციებს.

დამოკიდებული მართული ელემენტი დეპენდენსია, მმართველი ელემენტი რეგნისი. ყოველ ელემენტს შეიძლება რამდენიმე დეპენდენსი ჰქონდეს. ხოლო ერთ ელემენტზე დამოკიდებული ყველა ელემენტი შეიძლება განხილულ იქნას მის ერთობლიობაში. მაშინ შესაძლებელი ხდება ამ ელემენტის სატელიტებზე საუბარი. პოსტნომინალური ატრიბუტული ზედართავი სახელის სატელიტები იყოფა: 1) გამოხატვის ფორმის მიხედვით და 2) სინტაქსური ფუნქციის მიხედვით.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედართავი სახელის სატელიტები გამოხატვის ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს:

- 1) ნომინალური ფრაზები.
 - (1) ..alles ist nicht ganz richtig, ein sonderbares Haus, still und dunkel (კაშინიცი, 2004, 10)
 - (2) წინდებულიანი ფრაზები.
 - (2) Dieser junge Mann, noch von seinen Eltern abhängig, stieg in den gewohnten Zug (ლიურენმატი, 2000, 60)
 - (3) Abgerissen sahen sie aus, hungrige, kleine Banditen, gefährlich nur in Rudeln (შუბერტი, 1967, 18)
 - (3) ნაწილაკანი ფრაზები.
 - (4) ...die Strohpuppe, so gedrückt und gequetscht, so widerlich (კაშინიცი, 2004, 119)
 - (5) Ein paar Fragen in seinem Kopf, eben noch wichtig genug, um ihn wachzuhalten (შრაეგრი, 1968, 157)
 - (4) დამოკიდებული წინადაღება.

- 6) Ein ruhiger Mann, wortkarg, der nicht schimpfte (ცვაიგი, 1967, 464)

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედართავი სახელის სატელიტები სინტაქსური ფუნქციის მიხედვით შეიძლება იყოს: 1) აქტანტები, 2) თავისუფალი წევრები.

ენობრივ დონეზე გამოიყოფა ობლიგატორული და ფაკულტატური აქტანტები.

აქტანტები ზედსართავ სახელთან ერთად ქმნის ნომინალური ფრაზის მინიმალურ სტრუქტურას. თავისუფალი წევრების დამატებით იქმნება მაქსიმალური სტრუქტურა. თავისუფალ წევრებს წარმოადგენს წინადადების ყველა შემადგენელი ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება არც ზმნურ კომპლექსს და არც აქტანტებს. ამით ის არ განეკუთვნება წინადადების მინიმალურ სტრუქტურას, არამედ სხვა შემადგენელ ნაწილებთან ერთად ქმნის მის მაქსიმალურ სტრუქტურას. როცა წინადადებას არ გააჩნია თავისუფალი წევრები, მინიმალური და მაქსიმალური სტრუქტურები იდენტურია.

პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტა უმრავლესობა ფაკულტატურია. მხოლოდ მცირე რაოდენობის ობლიგატორული აქტანტები ჩეალიზდება.

აბსოლუტური ზედსართავი სახელები, ძირითადად ერთვალენტიანია. ხშირ შემთხვევაში ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელები მოითხოვენ შემდგომ პარტნიორს. წინადადებაში მეორე პარტნიორი არის კონსტრუქციული პირობა, რომელიც უნდა შესრულდეს, თუ საჭიროა მოცემული მნიშვნელობის აქტუალიზაცია. დიდი რაოდენობის ერთვალენტიანი ზედსართავი სახელების გვერდით არსებობს 2 და მეტვალენტიანი ზედსართავი სახელები, რომლებიც აღნიშნავენ განსაზღვრულ მიმართებებს (რელაციებს) დამოკიდებულ სიდიდეებს შორის და განაპირობებენ ზედსართავი სახელის შესაძლო სინტაქსურ გარემოცვას, სინტაქსურ დისტრიბუციას ნომინალურ სინტაგმაში.

„დისტრიბუცია არის რეგულირებადი გარემოცვა“ (ენგელი, 2004, 12).

„დისტრიბუცია (ლათ. *distributio* — განაწილება, კლასიფიკაცია) არის ფაქტის, ვითარების არსებობის შესაძლებლობა სხვა ენობრივი ერთეულების გარემოცვაში“ (ვარივი, 2002, 357).

დისტრიბუციული ანალიზი წარმოადგენს დამატებით მნიშვნელოვან საშუალებას, ენობრივი ელემენტის მნიშვნელობა დაზუსტდეს სემანტიკასა და სინტაქსს შორის ურთიერთობიმართების საფუძველზე, რადგან სემანტიკა განსაზღვრავს სტრუქტურას და არა პიროვნება.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის სატელიტები — აუცილებელი და ფაკულტატური აქტანტები წარმოდგენილი არიან

1) სხვადასხვა სახის დამატებებით:

ა) ნათესაობით ბრუნვაში.

აუცილებელი აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელებისთვის „satt“, „gewahr“, „wert“, და ფაკულტატური აქტანტი ზედსართავი სახელისთვის „müde“.

(7) Die Dorfjugend, des bloßen Drehens satt, ging zu Spieltanzen über (ველსკოპფ-ჰენრიხი, 1967, 51)

(8) Alexander, des errungenen Vorteils gewahr, fuhr fort, ihr Schmeicheleien zu sagen (ვაისკოპფი, 1966, 327)

(9) Dinge, nicht der Mühe wert (თ. მანი, 1963, 457)

(10) Einige Empörer, des Stehens müde, a en Butterbrot. (თ. მანი, 1963, 168)

ბ) მიცემით ბრუნვაში.

აუცილებელი აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელისთვის „ähnlich“.

(11) Ich bin auf ein Amphorenfeld gestoßen, halslose Gefäße, ähnlich der phonizischen „Type B“ (შრაიერი, 1968, 64)

ფაკულტატური აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელისთვის „ნაკე“.

(12) ...eine teure Gegend, so nahe dem Kudamm (შუბერტი, 1967, 240)

გ) ბრალდებით ბრუნვაში. ფაკულტატური აქტანტი:

(13) Ein kleines Plateau, zwanzig Jards lang und sieben breit (შრაიერი, 1968, 66)

(14) Von ihnen öffnete sich ein grünes Tal, etwa drei Kilometer breit (ნოლი, 1967, 384)

(15) Ein unbesiedelter Gürtel, zwanzig Kilometer breit (ვაიგი, 1967, 204)

ისინი გრადუირებულ აქტანტებს წარმოადგენენ და ემსახურებიან, უპირველეს ყოვლისა, რელაციურ და აბსოლუტურ ზედსართავ სახელთა ხარისხის გრადაციას. ეს აქტანტები მოქმედებენ ზედსართავი სახელის დადებით ხარისხთან, როგორც რაოდენობისა და ზომის განმსაზღვრელები.

აუცილებელი აქტანტი ნომინალურ სინტაგმაში პოსტნომინალუ-

რი ატრიბუტული ზედსართავი სახელისთვის „alt“, როდესაც საჭიროა ზუსტი ასაკობრივი მონაცემის დაფიქსირება.

(16) Die beiden Schwestern, zweiundfünfzig und sechsundvierzig Jahre alt, unterhielten eine Pension (ნოლი, 1967, 7)

(17) So starb Barbara Pauline Osann, vierundvierzig Jahre alt (ცვაიგი, 1967, 417)

მხოლოდ სემანტიკური და არა სინტაქსური (სტრუქტურული) თვალსაზრისით დაუშვებელია:

(18) Die beiden Schwestern, alt, unterhielten eine Pension.

(19) So starb Barbara Pauline Osann, alt.

აუცილებელი აქტანტი ნომინალურ სინტაქსაში პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელისთვის „stark“, რომელიც აღნიშნავს კონკრეტულ ზომას.

(20) Da lag das Vorwerk, fünf Häuser stark (შტრიტმატერი, 1979, 11)

(21) Sieh mal an, eine Kupferplatte, fünf Millimeter stark, schärzte Rebellen (შუბერტი, 1967, 372)

დ) წინდებულიანი დამატებებით. ფაკულტატური აქტანტი.

(22) Ihr blaues Kleid, naß zum Auswringen (შუბერტი, 1967, 352)

(23) Diese Mädchen, von Hause meist arm, lebten alle bald von Gelegenheitsarbeit (ჰესე, 2005, 76)

(24) .. grünlich das Wasser, dick von schmutzigem Öl (ბიოლი, 2003, 81)

2) ა) პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის დადებით ხარისხთან ანაფორით:

wie + არსებითი სახელით

wie + ზედსართავი სახელით

wie + პირის ნაცვალსახელით

wie + ზმინზებით გამოხატული შედარებით-ფაკულტატიური აქტანტი.

(25) Auf einem Felsblock stand eine schöne Person, stolz wie eine Tochter Kapris. (ჰერმანი, 1963, 12)

(26) ..und der alte Mann, so groß wie breit, paßte nicht an das Zeichenbrett unter dem schrägen Fenster (შუბერტი, 1967, 348)

(27) Er ist ein schöner Mann, nicht so schön wie Sie (ცვაიგი, 1967)

(28) Kutschera, barhäuptig wie immer, trat vor die Front (ნოლი, 1967, 216)

ბ) პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის უფროობით ხარისხთან ანაფორით:

als+ არსებითი სახელით

als+ნაცვალსახელით

als+რიცხვითი სახელით

als+ზმინზებით

als+დამოკიდებული წინადადებით გამოხატული შედარებით-ობიგატორული აქტანტი:

(29) Eine Last, schwerer als Sandsäcke, lag mir in Nacken.. (დიოლონგი, 2007, 80)

(30) Ein Sog, stärker als er selbst, hatte sich seiner bemächtigt (შრეიერი, 1968, 72)

(31) Sie fing noch einen Barsch, wieder etwas kleiner als der zweite (შუბერტი, 1967, 315)

(32) ...an der Hand glänzte ein Brillant, größer und funkelder als früher (ნოლი, 1967, 466)

(33) Ein Rausch, höher und herrlicher als der, den das Bier vermittelte (ჰ. მანი, 1962, 56).

როდესაც საუბარია შედარების გამომხატველ „wie“ და „als“ ნაწილაკებზე ძრითადად გართულებული ტერმინის გამო, რათა კავშირებისა და წინდებულების ტრადიციულ კლასებთან ამ ლექსემათა საკმათო კუთვნილება თავიდან იყოს აცილებული: „თუმცა საქმე ეხება კავშირებს, უფრო ზუსტად ადიუნქტებს“ (ჰელბიგი..., 2001, 424).

3. ინფინიტიური ჯუფით.

ა) აუცილებელი აქტანტი იმ ზედსართავი სახელებისთვის, რომლებიც იმართება ზუ ნაწილაკიანი ინფინიტივით: froch, bereit, geneigt და ა.შ.

(34) ...so daß denn der junge Mann, froh, einen Anknüpfungspunkt zu haben, dem Zugführer eine Brasil anbot (დიურენმატი, 2000, 67)

(35) Für jedes Thrönchen findet sich ein deutscher Fürst, bereit, darauf

zu sitzen (ცვაიგი, 1967, 72)

(36) Wienfried, niemals geneigt, den Herrn zu spielen, hatte heute nachmittag feststellen müssen, wie tief er sich in den Zauberägärten verloren hatte (ცვაიგი, 1967, 183)

ბ) ფაკულტატური აქტანტი პოსტონომინალური კვალიტატური ზედსართავი სახელებისთვის.

(37) ... angenehme Dinge, nett, daran zu denken, wenn ein scharfer Tag vorüber ist (ცვაიგი, 1967, 55)

საკამათოა ინფინიტიური კონსტრუქციის ნაწილაკი „ჟუ“, რომელიც არ განეკუთვნება კავშირების და წინდებულების არსებულ კლასებს, რომლის თავისებურება ის არის, რომ ის არ გამოხატვას ელფრს, მოდალობას, გრადაციას, ხარისხს, როგორც მავალითად, ნაწილაკების სამი დიდი კლასი: მოდალობის — aber, auch, bloß, denn, doch, eben, ja, mal, nur; გრადაციის — sogar, selbst, gerade, genau, erst, schon და ხარისხის ნაწილაკები — sehr, ganz, höchst, recht, so, ziemlich, რომელსაც არ გააჩნია არც სემანტიკური ღირებულება (როგორც გრადაციისა და ხარისხის ნაწილაკებს), და არც კომუნიკაციური ღირებულება (როგორც მოდალურ ნაწილაკებს), არამედ წარმოადგენს მხოლოდ სინტაქსურ სიგნალს მოძღვნონ ინფინიტივისათვის, მაგრამ ნაწილაკთა სხვა სუბკლასებისგან განსხვავდით სინტაქსურად ობლიგატორულია: „დამოკიდებული წინადადების დამწყები სუბიუნქტორებთან სიახლოვის გამო, ისინი ინფინიტივ-სუბიუნქტორებად აღიქმებან“ (პელბიგი, 2001, 424).

4. დამოკიდებული წინადადებებით. ფაკულტატური აქტანტი.

(38) Sie saßen in einem Berliner Zimmer, hoch und dunkel, weil das Eckfenster zum Hof hinausging (შუბერტი, 1967, 204)

(39) Also rein mit den vorgelochten Stück Stahl, schön weißwarm, damit er es leichter hatte, die Axtschneide auszuziehen (შუბერტი, 1967, 265)

როგორც ენობრივი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, მოცემული ენობრივი სტრუქტურები — აუცილებელი და ფაკულტატიური აქტანტები ლოგიკურ-სემანტიკურ დონეზე დაკავშირებული არიან პოსტონომინალური ატრიბუტული ზედსართავი სახელის დენოტატურ მნიშვნელობებთან, რის შედეგადაც მათი რეალიზება ნომინალურ სინტაგმაში მნიშვნელოვნად შეზღუდულია (განსაკუთრებით, წინდებულიანი ჯგუფების).

ლიტერატურა

ბიოლი, 2003 — H. Böll. Mein trauriges Gesicht. Erzählungen. Raduga-verlag Moskau 2003.

დიოლინგი, 2007 — B. Dölling. Alles bestens. Beltz & Gelberg 2007.

დიურენმატი, 2000 — F. Dürrenmatt. Der Tunnel. Erzählungen von deutschsprachigen Schriftstellern. Verlag Menedsher Moshaisk 2000.

დუდენი, 2007 — Duden. Deutsches Universalwörterbuch. Mannheim Dudenverlag 2007.

ენგელი, 2004 — U. Engel. Deutsche Grammatik. Judicium Verlag GmbH München 2004.

გასკებავი, 1966 — F.C. Weiskopf. Abschied vom Frieden. Aufbau-Verlag Berlin und Weimar 1966.

გარიგი, 2002 — G. Wahrig. Deutsche Grammatik. Wissen Media Verlag GmbH München 2002.

ვალეკი, 1995 — K. Welke. Dependenz, Valenz, Konstituenz. In: Dependenz und Valenz. Band 10. Helmut Buske Verlag Hamburg 1995.

ველსკოფ-ჰენრიხი, 1967 — L. Welskopf-Henrich. Zwei Freunde. Mitteldeutscher Verlag Halle (Saale) 1967.

კაშნიცი, 2004 — M.L. Kaschnitz. Erzählungen. Aris Press Moskau 2004.

ჰ. მანი, 1962 — H.Mann. Der Untertan. Aufbau-Verlag Berlin 1962.

თ. მანი 1963 — Th. Mann. Buddenbrooks. Verlag für fremdsprachige Literatur Moskau 1963.

ნოლი, 1967 — D. Noll. Die Abenteuer des Werner Holt (Roman einer Jugend). Aufbau-Verlag Berlin und Weimar 1967.

ლამბაშიძე, 2006 — მ. ლამბაშიძე. განკერძოებული ზედსართავი სახელის სემანტიკური სტრუქტურა ნომინალურ სინტაგმაში. საენათ-მეცნიერო ჟურნალი. XXIV, თბილისი 2006, გვ. 241-244.

შრაიერი, 1968 — W. Schreyer. Fremder im Paradis. Mitteldeutscher Verlag Halle (Saale), 1968.

შტრინგერი, 1979 — E. Strittmatter. Der Wundertäter. Band I. Aufbau-Verlag Berlin und Weimar 1979.

შუბერტი, 1967 — D. Schubert. Acht Unzen Träume. Neues Leben Berlin 1967.

ცვავი, 1967 — A. Zweig. Einsetzung eines Königs. Aufbau-Verlag Berlin und Weimar 1967.

ჰელბიგი, ბუშა, 2001 — G. Helbig, J. Buscha. Deutsche Grammatik. Ein Handbuch für den Ausländerunterricht. Langenscheidt KG Berlin und München 2001.

ჰერმანი, 1963 — G. Hermann. Kubinke. Das Neue Berlin 1963.

ჰესე, 2005 — H. Hesse. Der Steppenwolf. Aris Press Moskau 2005.

MANANA GHAMBASHIDZE

Semantics and Communicative Relevance of Postnominal Attributive Adjectives in Nominal Syntagms

Summary

In nominal syntagms on the logical-semantic level differently represented obligatory and optional actants (objects in the Genitive or Dative, graduated actants in the Accusative, Infinitive constructions and subordinate clauses) are linked with the denotational meanings of the postnominal attributive adjectives; as a result their realization (especially in the case of prepositional objects) is restricted and the communicative relevance of postnominal attributive adjectives is low. By contrast on the outer, syntactic level the semantic and communicative relevance of isolated postnominal attributive adjectives is very high.

შანანი ხოჭოების

ესკანური წნის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა
ს. ძასარესისული კლასიფიკაცია და მათი შართული
ეპიზოდების დაღგენის ცდა

ფრაზეოლოგიური ერთეულის კომპონენტთა შიდასემანტიკური
და სტრუქტურული შეკავშირებულობა განსაზღვრავს მის გრამატი-
კულ მახასიათებლებს, მის ფუნქციურ შესაბამისობას მეტყველების
ამა თუ იმ ნაწილისადმი.

ძირითად ფრაზეოლოგიურ ერთეულებს შორის ს. კასარესი
გამოყოფს შვიდ სახეობას:

1. სუბსტანტიური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones nominales), რომლებიც აღნიშნავენ პიროვნებებს, საგნებს, მო-
ვლენებსა და არსებითი სახელების ეკვივალენტებს: alma de cántaro
(რეგვნი, ბოთე, ჩერჩეტი), fuerza pública (პოლიცია), gallina ciega
(დახუჭობანი), el perro del hortelano (ავი ძალი), moco de pavo (არა-
რაობა, ფუჭი რამ), caldo de gorra (თვალთმაქცი, ეშმაკი), calderas de
Pedro Botero (ჯოჯოხეთური პაპანაქება, ხვატი), el lecho de Procrustes
(პროკრუსტეს სარეცელი); manzana de discordia (განხეთქილების
გაშლი), las once mil vírgenes (ოსპი) და ა. შ.

2. ზენური ფრაზეოლოგიურები (locuciones verbales), რომლებიც
ასახელებენ მოქმედებებს და ზმების ეკვივალენტურნი არიან: guardar
las vueltas (სიფრთხილის გამოჩენა, გასაფრთხილებელი ზომების
მიღება). hacer las once (წახემსება, წასაუზმება), quedarse con un palmo
de narices (პირში ჩალაგამოვლებულად დარჩენა), coger la vez (რი-
გის დაკავება), coger una mona (დათრობა, გამობრუჟვა), tirar la manta
(გამოაშკარავება, საბურველის ჩამოცილება), irse al Pardo (გახუნება,
გაუფერულება), hacerse el gallito (ყოყლოჩინობა, კუდის ყავარზე გა-

დება), hacer nana (დაძინება), poner en olvido (დავიწყება, დავიწყების-თვის მიცება), hacer burla (დაცინვა, მასხრად აგდება) და ა. შ. ეს ფრაზეოლოგიზმების ყველაზე „მრავალრიცხოვანი“ ფუნქციურ-გრა-მატიკული სახეობაა. მათ პირველ კომპონენტს ყოველთვის წარმო-ადგენს ზმნა, რომელიც გრამატიკულად აფორმებს შესიტყვებას რო-გორც ენობრივ ერთეულს. მისი მორფოლოგიური ცვლილების გზით ხდება მთელი ფრაზეოლოგიზმის ზმნური თვისებების რეალიზება.

3. ადიექტიური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones adjetivales), რომლებიც ასახელებენ პირთა და საგანთა თვისობრივ მახასიათებლებს და ზედსართავის ფუნქციებს ასრულებენ: de pelo en pecho (მამაკი, უშიშარი, ძლიერი), de chicha y nabo (უმნიშვნელო, არაფრის მაქნისი), de tres pepinos (რიგითი, არაფრით გამორჩეული), duro de cabeza (ჭიუტი), de adorno (უსარგებლო, გამოუსადეგარი), en agraz (ნაადრევი, უმწიფარი), de padre y muy señor mío (არაჩვეულებრი-ვი, საუცხოო, იშვიათი), sin par (შეუდარებელი, გამორჩეული) და ა. შ.

4. ნაცვალსახელური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones pronominales), რომლებიც მიუთითებენ საგანზე ან ნიშან-თვისე-ბაზე კონტრეტულ სამეტყველო სიტუაციაში და რომლებიც ნაცვალ-სახელებთან არიან გათანაბრებული; cada quisque (ყოველი, თითოეუ-ლი), este cura (მხ. რიცხვის I პირის ნაცვალსახელის ეკვივალენტი), uno que otro (რამდენიმე, ზოგიერთი, რომელიღაც), cada cual (ყოვე-ლი), el que más y el que menos (ყველა გამოუკლებლივ, ნებისმიერი) და ა. შ. ეს საკმაოდ შეზღუდული ჭარფია, როგორც წესი, არასახო-ვანი, მყარი შესიტყვებებისა.

5. ზმიზედური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones adverbiales), რომლებიც ასახელებენ მოქმედებათა და მდგომარეობა-თა ხარისხობრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს და რომლებიც ზმნიზედების ეკვივალენტურნი არიან. a pan y cebolla (ნახევრად მშიე-რი), a la birla birlonga (აგდებულად, დაუდევრად, უცერემონიოდ), a ojos cegarritas (თვალმოშუტულად), con los ojos cerrados (ბრძად, დაუ-ფიქრებლად, ალალბედზე, თვალდახუჭული), sin decir tuz ni muz (უდავოდ, უსიტყვოდ, სიტყვის შეუბრუნებლად), por fas o por nefas (რადაც უნდა დაჯდეს, ასე თუ ისე), en tiempo de Rey perico (უხსო-

ვარ დროს, ადამისა და ევას დროს), და ა. შ. ეს მდგრადი შესი-ტყვებების მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალსტრუქტურიანი სა-ხეობაა.

6. შორისდებლური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones interjectivas), რომლებიც შედგებიან ორ და მეტსიტყვიანი შეძახი-ლების, წყველა-კრულვისა და ფიცისაგან და სხვადასხვაგვარ ემოცი-ებსა და სურვილებს გამოხატვენ. ეს ფრაზეოლოგიზმების მეტად თავისებური სახეობაა. ზოგიერთი მათგანი სინტაქსურად პრედიკა-ტულ ერთეულს წარმოადგენს. თუმცა სემანტიკური თვალსაზრისით მათი პრედიკატულობა ნეიტრალიზებულია. ასეთი შესიტყვებები ფაქტობრივად არ გადმოსცემენ აზრს. ისინი რაიმე კონკრეტული ცნებების ნომინაციისთვისაც კი არ გამოიყენებიან, იხმარებიან გა-რჩვეულ სიტუაციებში სხვადასხვაგვარი ემოციების ან ნებელობითი განზრახვების გამოსახატავად. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ისეთი შე-სიტყვებები, როგორებიცაა; **Más vale!** (საჭმეც ეგა! ასე უკეთესია!), **Dios mío!** (ღმერთო ჩემო! ოჰ! ვაი! უი!), **Adiós, Madrid!** (დავიღუპეთ! ჰირი მოგვჰამა! ჯვარი დაესვა!), **Ancha es Castilla!** (რაც იყოს, იყოს!, მიღი, აბა ჰე!), **Vaya una ganga** (დიდი ამბავი! მერე რა! თქვენც იტყ-ვით, რა!), **Válgame Dios** (ერიპა! ეშმაკმა დალახვროს! — გაკვირვე-ბის, წყენის გამოსახატავად), **Al banco tío Roque** (მიღი, შეუბერე! მია-ჰექი!, მიღი, მიღი!) და ა. შ.

7. მიმღეობური ფრაზეოლოგიური ერთეულები (locuciones participiales), რომლებიც აღნიშნავენ მდგომარეობას, როგორც ვინ-მეს ან რაიმეს ნიშან-თვისებას. მათ პირველ კომპონენტს ყოველ-თვის წარმოადგენს მიმღეობა **hecho**. ეს შესიტყვებათა მცირერი-ცხოვანი ჭარფია. მათ გამოყოფას ცალკე დაბეჭიოთებით მოითხოვს ხულიონ კასარესი, თუმცა ისინი ადვილად შეიძლება აგვერიოს კომ-პარატიულ შესიტყვებებთან, რომლებიც იწყებიან სიტყვით **como**. მიმღეობური ფრაზეოლოგიზმების სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ მათ შეუძლიათ მიმღეობური შესიტყვებების წარმოქმნა და გამოიყენებიან სახელდებითი წევრის სახით მდგომარეობის აღმნიშ-ვნელ ზმნებთან. აქ საუბარია ისეთი ტიპის შესიტყვებებზე, როგო-

რებიცაა: hecho (ა, ოს, ოს) un mar de lágrimas (ცრემლებად დაღვრა, ცრემლებად გადაქცევა), hecho una sopa (გალუმბა, თავიდან ფეხებამდე დასველება), hecho un braZo de mar (გამოპრანჭული, მორთულ-მოკაზმული) და ა.შ.

ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დაჯუფების დასრულებისა აუცილებელია ერთხელ კიდევ გაესვას ხაზი იმას, რომ მყარი შესიტყვებები ძნელად თავსდებიან საკლასიფიკაციო სქემებში. აღნიშნული კლასიფიკაციის გაგრძელება და შემდგომი დეტალიზება შესაძლებელია ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სტრუქტურული, სემანტიკური, სინტაქსური, მორფოლოგიური და სხვა თვისებების გათვალისწინების საფუძველზე.

ლიტერატურა

კასარები, 1950 — Casares J, *Introducción a la lexicografía moderna*. Madrid; 1950.

ფანჯიკიძე, 1995 — ფანჯიკიძე დ. თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტურობის პრობლემა, თბ., 1995.

შვეიცერი, 1988 —, 1988.

MANANA KHOPERIA

J. Casares' Classification of Spanish Phraseological Units and An Attempt to State their Georgian Equivalents

Summary

The paper analyses seven classes of phraseological units (substantival, verbal, adjectival, pronominal, adverbial, interjectional and participial) singled out by J.Casares on the material of Spanish and discusses corresponding Georgian phraseological units from the standpoints of adequacy and equivalence principles.

განახლებისა

ლექსიდური მნიშვნელობისა და ცენტრის
ურთიერთმიმართულის პროგლობა თანამედროვე
ესპანურ მნაში

ლექსიკურ მნიშვნელობას ხშირად აიგივებენ სიტყვის აზრობრივ შინაარსთან. ცხადია, ასეთი განსაზღვრა ძალიან ზოგადია, თუმცა კი პრინციპულად სწორი. ამ შინაარსის ბირთვს ცნება წარმოადგენს. ფილოსოფიული და ლოგიკული ცნებას განმარტავენ როგორც აზროვნების კატეგორიას, ობიექტური სინამდვილის საგანთა და მოვლენათა არსებითი ნიშან-თვისებების განზოგადებაზე დაფუძნებულ სამყაროს ასახვის ფორმას. ცნების მატერიალიზება და დამაგრება ხდება ენობრივ ფორმებში და, პირველ ყოვლისა, სიტყვათა მნიშვნელობებში. მისი შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ენობრივი გამოხატვის საშუალებით.

ცნებასთან შედარებით სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა თავისი მოცულობით, ანუ თავისი შეფარდებითობით ჩეალური სინამდვილის ობიექტებთან, როგორც წესი, უფრო ვიწროა, თავისი შინაარსით კი — უფრო ფართო. აქედან გამომდინარეობს, რომ რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობებში შეიძლება დაფიქსირდეს ერთი და იგივე ცნება, ოღონდ ამ მნიშვნელობათაგან თითოეულს შეიძლება ჰქონდეს დამატებითი აზრობრივი და სტილისტური შეფარილობა. მაგალითად, სიტყვები *mentira, embuste, falsedad* არა a, *embeleco, paparrucha* შეიცავენ ცნებას „ჭეშმარიტების შევნებული დამახინება“. მაგრამ თითოეული მოყვანილი ერთეულის ლექსიკურ მნიშვნელობას თავისი დამატებითი სემანტიკური და ექსპრესიული ელფერი გააჩნია. თუკი *mentira* აღნიშნავს ჭეშმარიტების შეგნებულად დამახინებას, *embuste* — მხოლოდ სიცრუის თქმას, ტყუილების ლაპარაკს კი არ გამოხატავს, არამედ შესაცდენად გამიზნულ ქმედებასა და ქცევასაც; *falsedad* — ყველაფერი, რაც სიმართლეს, უტყუარო-

ბას მოკლებულია, ამასთან ამ სიტყვის მწიგნობრული ელფერიც და-ჰკრაგს; *arána* ნიშნავს სიცრუეს, მოტყუებას, რაიმე თაღლითობის ჩა-სადენად, *embeleco* კი მზაკვრობის უფრო ეშმაკობას, გაიძვერობას; და-ბოლოს, *paparrucha* – ესაა უხეში, აშკარა ტყუილი, მხოლოდ დოყლა-პიებისთვის რომ გამოდგება, ამასთან თვითონ ეს სიტყვაც უპირატე-სად სალაპარაკოა, თითქმის მდაბიურია (შდ. ქართულ ენაში: სიც-რუე, ტყუილი, ცრუპენტელობა... და ა. შ.). ამგვარად, ცნება „ჭეშმა-რიტების შეგნებული დამახინჯება“ სიტყვების — *mentira, embuste, falso* და ა. შ. საშუალებით ეთანადება რეალური სამყაროს კონკრე-ტული ფაქტების, მოვლენების, ქმედებების უამრავ რაოდენობას, თი-თოვეული ამ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა კი — ასეთი ფაქტები-სა და მოვლენების ბევრად უფრო შეზღუდულ რაოდენობას. სამაგიე-როდ ლექსიკური მნიშვნელობის თვით შინაარსი გაცილებით უფრო მოცულობითია, ვინაიდან მასში თვით ცნების გარდა, დაფიქსირებუ-ლია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც აყონკრეტებს გამოსხატავ ცნებას და სიტყვის სტილისტურ, ემოციურ, სტილურ და სხვა მსგავს მახასიათებლებს გაღმოსცემს. ეს დაზუსტებანი არ შედის თვით ცნე-ბაში, თუმცა მნიშვნელობის საგრძნობლად დიდ ნაწილს შეადგენს. ამიტომაც ამბობენ, რომ **სიტყვის მნიშვნელობა თავისი შინაარსით ფართოა ცნებაზე, მოცულობით კი — უფრო ვიწრო.**

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება. მაგალითად, ისეთი სიტყვები, როგორებიცაა *cara, faz, jeta* (სახე, სიფათი) ადამიანის მი-მართ ერთსა და იმავე ცნებას — თავის წინა მხარეს აღნიშნავენ, მაგ-რამ სიტყვა *faz*-ის მნიშვნელობა შეიცავს აგრეთვე ზეიმურობის ემო-ციურ-ექსპრესიულ ელფერს, ხოლო *jeta* — უგულებელყოფისა და ერ-თგვარი ვულგარულობისას. თვით ისეთ ჩვეულებრივ სიტყვებსაც კი, როგორებიცაა *casa* და *edificio* (სახლი, შენობა), რომლებიც აღნიშნა-ვენ ცნებას „შენობა ცხოვრებისა და მუშაობისათვის“, თავიანთი სა-კუთარი აზრობრივი შეფერილობა გააჩნიათ. *Casa* უპირატესად სა-ცხოვრებელს, ხოლო *edificio* — საწარმოებს, დაწესებულებებს. როგორც ვხედავთ, ცნებები ნივთების, ქმედებების, თვისებებისა და მოვლენების მხოლოდ არსებით ნიშან-თვისებებს ასახავენ, მხოლოდ იმას, რაც მათ

არსესა და ერთიანობას შეადგენს. ცნების გამოსავალი ნიშან-თვისებე-ბი შენარჩუნებულია ლექსიკურ მნიშვნელობებშიც, მაგრამ შევსებუ-ლია ნაკლებად არსებითი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანი, აღამია-ნის ცნობიერებით ჩამოყალიბებული და მის გრძნობებსა და ენასთან დაკავშირებული ნიშან-თვისებებით.

ლექსიკური მნიშვნელობა შეიძლება იყოს მოტივირებულიც და არამოტივირებულიც. ეს დამოკიდებულია სიტყვის ე. წ. შინაგან ფორმაზე, რომელსაც ჭერ კიდევ ვ. ჰუმბოლდტი განმარტავდა რო-გორც სიტყვის მნიშვნელობის წარდგენის ხერხს, ა. პოტებნია კი მას მნიშვნელობის ნიშანს უწინდებდა. გრამატიკული ფორმები და ურთი-ერთობები ენობრივი სისტემის ელემენტებს შორის განსაზღვრავენ იმ ზღვარს, რომელიც გამოყოფს ერთი შეხედვით თავისუფალ, ენობრივი ნიშებით არამოტივირებულ სიტყვებს ისეთი სიტყვებისგან, რომელთა მნიშვნელობები მეტ-ნაკლებად მოტივირებულია.

ასე, მაგალითად, სიტყვები *mesa, sol, azul, bosque* და სხვ. არა-მოტივირებულები ჩანან, ვინაიდან მათი უღერადობისა და დაწერი-ლობიდან გამომდინარე, არ შეიძლება აიხსნას, თუ რატომ არის *mesa* — მაგიდა, *bosque* კი — ტყე. ენის ისტორიული განვითარების პროცეს-ში მათი „სემანტიკური დასაბუთება“, რომელიც, როგორც ჩანს, ამ სიტყვების შექმნის მომენტში გასაგები იყო, დაიკარგა, სხვა საქმეა ისეთი სიტყვები, როგორიცაა *meseta* (ზეგანი), *sobre Mesa* (სუფრა), *sol* (მზიანი), *azular* (გალილავება, ლილაში ამოვლება), *azulear* (გაცის-ფრება, გალურჩება), *oyente* (მსმენელი), *bosquejar* (ტყის დასატვა), *guardabosque* (მეტყევე), *gallina* (მშიშარა), *mosca* (აბეზარა, წუწუნა), *hazmerreír* (ყველას სასაცილო, ტაკიმასხარა, სიტყვა-სიტყვით — „მაიძულე — მე ვიცინ“), *correveidile* (ჭორიკანა, ენატანია, დამსმენი; სიტყვა-სიტყვით — „გაიძეცი — ნახე — და უთხ-არი — მას“) და ა. შ. ყველა ამ სიტყვაში შენარჩუნებულია წარმო-დგენა წარმოქმნილი ცნების საფუძვლად გამოყენებული პირველადი ნიშან-თვისების შესახებ. სიტყვათა ფუძეები, სუფიქსები და პრეფიქ-სები „მოლაპარაკები“ ხდებიან. მათ მიერ გადმოცემული აზრი ან სა-ხე თითქოს განმარტავს, ნათელს პფენს სიტყვის ლექსიკურ მნიშვნე-

ლობას. ცხადია, ურთიერთობა შინაგან ფორმასა და ლექსიკურ მნიშვნელობას შორის არ იძლევა ამ უკანასკნელის ზუსტ ახსნას, შინაგან ფორმაში შენარჩუნებულია მხოლოდ გადაკრული მითითება (ხან გაუგებარი, ხანაც უფრო გასაგები) სიტყვის მნიშვნელობაზე.

სიტყვათა შინაგანი ფორმა ასახავს ენის ეროვნულ თავისებურებას. ეს ადგილი შესამჩნევია, თუკი შევადარებთ რამდენიმე სემანტიკურად ეკვივალენტურ ესპანურ და ქართულ სიტყვას, რომელთა წარმოშობისას ნომინაციის საფუძვლად აღვებული იყო სხვადასხვა ნიშან-თვისებები: *avión* (სიტყვიდან *ave* – ფრინველი) — თვითმფრინავი; *invernadero* (inviero – ზამთარი) — სათბური; *tinta* (tinta – საღებავი) — მელანი; *girasol* (girar და *sol* – ბრუნვა, ტრიალი და მზე) — მზესუმზირა; *embotellamiento* (*botella* -ბოთლი) — საცობი (საავტომობილო); *vapor* (vapor – ორთქლი) ორთქლმავალი და ა. შ. ხმაბაძვის საფუძველზე წარმოქმნილ სიტყვებში და თვით ხმაბაძვით სიტყვებშიც (onomatopeyas) შინაგანი ფორმა ჩვეულებრივ არ თანხვდება: *mugir* – ღმუილი, *gru ir* – ღრუტუნი, *maullar* – კნავილი, *graznar* – ჩხავილი, *balar* – კიკინი, *pit* – *pit* (*pita* – *pita*, *tita* – *tita*) – წიბ-წიბ! წია-წია *quiquiriqui*, *mis-mis* – ფის-ფის და ა. შ.

სიტყვის „შინაგანი ფორმა“, სიტყვის მნიშვნელობის ან ხმარების საფუძვლად აღებული ხატი შეიძლება გაირკვეს მხოლოდ იმ მატერიალური და სულიერი კულტურის, ენის იმ სისტემის ფონზე, რომლის კონტექსტშიც წარმოქმნენ და გარდაიქმნენ მოცემული სიტყვა ან სიტყვათა შეხამება.

ლიტერატურა

კასარესი, 1950 — Casares J, *Introducción a la lexicografía moderna*. Madrid; 1950.

ლებანიძე, 1997 — გ. ლებანიძე, ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში. თბილისი, 1997.

ლოპატნიკოვა, მოვშოვიჩი, 2001 — Lopatnikova N. N.; Movchovitch N. A. — *Lexicologie du français modesne*. M., 2001.

MANANA KHOPERIA

The Issue of Interrelation between Lexical Meaning and Concept in Current Spanish

Summary

The paper discusses the interrelation between concept, a mental construct, and generalized lexical meaning embracing denotational as well as connotational (emotive charge and stylistic reference) aspects. The question is dealt with on the material of current Spanish.

სარჩევი

- ნ. აკობია — იდიომების გამოყენება და მათ შორის განსხვავებები
ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში.....3
- მ. ალექსიძე — ირიბი მეტყველება როგორც მხატვრულ ნაწარმო-
ებში პერსონაჟის შინაგანი მეტყველების გამოსახვის სა-
შუალება.....11
- ც. ახვლედიანი, გ. ყუფარაძე — უახლეს ინგლისურენოვან
ნასესხობათა ფონეტიკურ-გრამატიკული ასიმილაცია
ფრანგულ ენაში.....25
- ე. ბალიაშვილი — სემატიკური მაჩვენებელი „What? — რა?“
საინფორმაციო საგაზეთო სტატიებში.....30
- ს. ბალდავაძე — ვერბალური და ვიზუალური პერსაჟის სემიო-
ტიკა ინტერნეტ ახალ ამბებში
- ი. ბერაძე — ენბორივი ცნობიერებიდან — კულტურამდე47
- ა. ბოჭორიშვილი — მამაკაცისა და ქალის მეტყველების
ზოგიერთი მახასათობელი.....52
- ს. გელაძე — პრესის როლი უცხოური ენის (ფრანგული) სწავ-
ლების პროცესში.....64
- ი. გოშეთელიანი — პლეონაზმი ყოველდღიურ დისკურსში.....75
- ნ. დარასელია — ინიციაციის არქეტიპი ს. ტ. კოლრიუს
პოემაში „ბებერი მეზღვაურის ლექსი“.....82
- ი. დემეტრაძე — გამხნევების გამოხატვის საშუალებები ინგლი-
სურ და ქართულ ენებში
- ნ. ვასაძე — ზოგი რამ პოლიტიკური კორექტულობის შესახებ....99
- რ. ზექალაშვილი — ზმის ხმოვანპრეფიქსთა შესახებ გერმანუ-
ლენოვან ენათმეცნიერულ ლიტერატურაში.....114
- რ. კავთიაშვილი — ემოციურობის ფაქტორი და სამეცნიერო
პრობზა.....125

- ც. კვანტოლიანი, რ. ლანდია — ზმიური კომპონენტი ტერმი-
ნოლოგიურ ლექსიკაში „შინამრეწველობის მასალების“
მიხედვით
6. ლოლაძე — სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმები....138
6. მსახურაძე — პოლიტიკური დისკურსის თარგმანის ენო-
ბრივი თავისებურებანი.....146
- თ. ნაჭყებია — პერსონაჟთა სახეები აუდიო-ვიზუალურ თარ-
გმანში (დუბლირება).....152
6. ოთინაშვილი — ლიახვის ხეობის ონმასტიკური მასალები
(თურქული აღწერის მიხედვით)
- ა. პაპიძე, მ. აშაძე — ფრაზეოლოგიზმებთან დაკავშირებული ზო-
გი საკითხი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში
(სიტყვა-სტატია ერის მაგალითზე)
- მ. რუსიაშვილი, რ. დოლიძე — მონომოდალური ვერბალური
მეტაფორის ფუნქცია განგსტერულ რომანში.....188
- მ. საღლიანი, ნ. შავრეშვილი — ჩოლურულის ლექსიკონის შე-
დგენის ძირითადი პრინციპები და მნიშვნელობა.....198
- მ. სიორიძე — პარემიების თარგმნის პრობლემა ფრანგულსა და
ქართულში
- მ. სიორიძე — არგოტული ლექსიკა თანამედროვე ფრანგულ
რომანში.....209
6. სტამბოლიშვილი, ა. ბუსერიძე — პოლისემანტურო-
ბიდან მონოსემანტურობისაკენ სწრაფვა ადრეულ
ახალ ზემოგერმანულისა და ახალ ზემოგერმანული
ლექსიკონების ფონზე.....223
6. სტამბოლიშვილი, ლ. ფარტენაძე — ვერბალური და არავერ-
ბალური ტაბუ კულტურის მატარებელი ხალხის დის-
კურსში.....235
6. სურგულაძე — პარემიათა გარიანტებისა და სინონიმების
კვლევა ფრანგულ და ქართულ ენებში
- ი. ქენქაძე — ირონიის ინტერპრეტაციის თაობაზე

8. ღამბაშიძე — პოსტნომინალური ატრიბუტული ზედსართავი
სახელის სემანტიკა და კომუნიკაციური ღირებულება
ნომინალურ სინტაგმაში 270
9. ხოფერია — ესპანური ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ხ. კასა-
რესისეული კლასიფიკაცია და მათი ქართული ეკვივა-
ლენტების დადგენის ცდა 279
10. ხოფერია — ლექსიკური მნიშვნელობისა და ცნების ურთიერთმი-
მართების პრობლემა თანამედროვე ესპანურ ენაში..... 283

CONTENT

N. A k o b i a — Differences in the Usage of Idioms Between American and British English.....	10
M. A l e k s i d z e — Indirect Speech as a Means for Conveying a Fiction Character's Inner Speech	24
T. A k h v l e d i a n i, G. K u p a r a d z e — Phonetic and Grammatical Assimilation of the Latest Borrowings from English into French	29
E. B a l i a s h v i l i — The Semantic Indicator "What?" in Informative Newspaper Articles	35
N. B a g h d a v a d z e — Semiotics of Verbal and Visual Landscapes in Internet News Stories	45
I. B e r a d z e — From Linguistic Awareness to Culture	51
A. B o c h o r i s h v i l i — Some Gender Peculiarities of Verbal Communication Between Men and Women	62
S. G u e l a d z e — The Role of the Press in Teaching a Foreign Language (On the Material of French)	74
I. G o s h k h e t e l i a n i — Pleonasm in Every Day Discourse	81
N. D a r a s e l i a — The Archetype of Initiation in S.T. Coleridge's "The Rime of the Ancient Mariner"	90
I. D e m e t r a d z e — The Ways of Expressing Encouragement in English and Georgian Languages	98
N. V a s a d z e — On Political Correctness	113
R. Z e k a l a s h v i l i — On Georgian Verbs with Vocalic Prefixes in German Linguistic Literature	124
R. K a v t i a s h v i l i — Emotion and Scientific Prose	128
Ts. K v a n t a l i a n i, R. L a n d i a — Verb Components in Terminological Lexis: On the Material of "Household Manufacturing"	137

N. L o l a d z e — Verbs Denoting Space Location	144
N. M s a k h u r a d z e — Linguistic Peculiarities of the Translation of Political Discourse	151
T. N a c h k e b i a — Characters in Audio-Visual Translation (Dubbing) ..	166
N. O t i n a s h v i l i — Onomastic Materials of the Liakhvi Valley (On the Basis of Turkish Survey).....	171
A. P a p i d z e, M. A s h a d z e — Some Issues Connected with Phraseological Units in the Monolingual Dictionary of Georgian (On the Material of the Entry Ena, Meaning Language)	187
M. R u s i e s h v i l i, R. D o l i d z e — The Function of the Monomodal Verbal Metaphor in ‘Gangster’ Novels.....	197
M. S a g h l i a n i, N. S h a v r e s h i a n i — The Importance of and the Main Principles for Compiling a Cholurian Dictionary	208
M. S i o r i d z e — The Issue of Translating Paremia From French into Georgian.....	215
M. S i o r i d z e — Argotisms in Modern French Fiction	222
N. S t a m b o l i s h v i l i, A. A b u s e r i d z e — The Tendency from Polysemanism Towards Monosemanism in Early New High German and New High German Dictionaries (Sociolinguistic Perspective).....	234
N. S t a m b o l i s h v i l i, L. P a r t e n a d z e — Verbal and Non-Verbal Taboo in the Discourse of Native Speakers	244
N. S u r g u l a d z e — The Study of Paremia Variants and Synonymy in French and Georgian.....	255
I. K e n k a d z e — Towards the Interpretation of Irony.....	269
M. G h a m b a s h i d z e — Semantics and Communicative Relevance of Postnominal Attributive Adjectives in Nominal Syntagms.....	278
M. K h o p e r i a — J. Casares’ Classification of Spanish Phraseological Units and an Attempt to State their Georgian Equivalents...	282
M. K h o p e r i a — The Issue of Interrelation Between Lexical Meaning and Concept in Current Spanish.....	287